

მ. გვენცაძე, ც. ჭიჭინაძე  
M. GWENZADSE, Z. ČIČINADSE

# გერმანული ენის ისტორია

მაქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულია  
სახელმძღვანელოდ უმაღლესი სასწავლებლების სპეციალური ფაკულტეტების  
სტუდენტებისათვის

## GESCHICHTE DER DEUTSCHEN SPRACHE

Hochschullehrbuch für Germanistikstudenten in georgischer Sprache

გამომცემლობა „განათლება“  
თბილისი — 1993

გერმანული ენის ისტორია განუთვნილია სპეციალური ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. იგი ამ დარგის პირველი ქართული ორიგინალური სახელმძღვანელოა. ამასთან იგი აგებულია თანამედროვე დიდაქტიკური მოთხოვნების გათვალისწინებით — მის სტრუქტურას განაპირობებს სალექციო, დამოუკიდებელ და ინდივიდუალურ სამუშაოთა ურთიერთკავშირი.

წიგნი დახმარებას გაუწევს აგრეთვე შესაბამისი სპეციალობის ასპირანტებს, გერმანული ენის მასწავლებლებს და, საერთოდ, გერმანიკული ფილოლოგიით დაინტერესებულ მკითხველებს.

რედაქტორი დოც. გ. ლე ბ ა ნ ი ძ ე

რეცენზენტები: დოც. მ. კ რ ა ვ ე ი შ ვ ი ლ ი ;  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერმანული ფილოლოგიის კათედრა.

4602020103 — 087  
M — 602(08) -- 93

ISBN 5 — 505 — 01570 — 0

© მ. გვენცაძე, ც. ჰიჭინაძე, 1993

ქართული კულტურისა და ხელოვნების განვითარების  
ხელშეწყობის საზოგადოება „მთაწმინდა“

## წინასიტყვაობა

ამ უკანასკნელ ხანს უმაღლესი სკოლის რეორგანიზაციის ერთიან კონტექსტში ახლებურად დადგა უცხო ენის როგორც სპეციალობის სწავლების საკითხი. ახალი მოთხოვნები შეესო უცხო ენის მასწავლებლის პროფესიული მომზადების ყველა ძირითად ასპექტს, მათ შორის ენობრივი თეორიული დისციპლინების ციკლსაც. ამ მოთხოვნათა ნაწილი უკვე აისახა მეთოდურ რეკომენდაციებსა და სამუშაო პროგრამებში, სსსწავლო გეგმასა და სახელმწიფო გამოცდის განახლებულ მოდელში. თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო ინსტიტუტის რომანულ-გერმანიკული ფილოლოგიის კათედრამ, გამოკვეთა რა თავისი დამოკიდებულება თეორიული საგნების შესწავლაში სიახლეების შეტანის მიმართ, მართებულად მიიჩნია რამდენიმე ზოგადი და კერძო რეკომენდაციის მიღება, მათ შორის:

1. ზოგიერთი თეორიული საგნის სწავლება მიზანშეწონილია წარმართოს სტუდენტთა დედაენაზე. ამ შოსაზრებას მხარს უჭერს სადიპლომო ნაშრომის დედაენაზე შესრულებისა და დაცვის ახალი წესიც. სპეციალისტთა აზრით, ეს საშუალებას მისცემს სტუდენტს, უფრო ღრმად შეისწავლოს ენის თეორია, გარკვეულ მეცნიერულ დონეზე იმსჯელოს პრობლემურ საკითხებზე, უფრო თავისუფლად ჩამოაყალიბოს საკუთარი აზრი და სხვ.

2. შესასწავლი ენის თეორიის ათვისების დონის შესამოწმებლად მართებულია ტექსტის ლინგვისტური ანალიზის შემოღება სახელმწიფო გამოცდაზე. ეს ანალიზი უნდა წარმოადგენდეს ტექსტში მინიშნებული რამდენიმე მომენტის ენათმეცნიერულ განმარტებას ვრცელი თეორიული კომენტარითურთ.

3. თეორიული საგნების სწავლებაში აუცილებელია ახალი ფორმების დროული დანერგვა. მხედველობაში გვაქვს სტუდენტთა დამოუკიდებელი და ინდივიდუალური მუშაობის შენოღება და, აქედან გამომდინარე, სააუდიტორიო მუშაობის შინაარსისა და მეთოდების გააღაზრება.

ჩამოთვლილი მოსაზრებების განხორციელებას, ცხადია, სოლიდური საფუძველი სჭირდება. პირველი და აუცილებელი პირობაა შესაბამისი სასწავლო-მეთოდური ლიტერატურა. ამგვარი ლიტერატურა ორ უმთავრეს მოთხოვნას მაინც უნდა უპასუხებდეს. პირველი: თუ სწავლებას ქართულად წარემართავთ, მაშინ ძირითადი საყრდენიც (სახელმძღვანელო, დამხმარე სახელმძღვანელო თუ მეთოდური მითითებები) ქართულად უნდა გვექონდეს. მეორე: დამოუკიდებლად ასათვისებელი მასალა უნდა დამოუშვადეს სალექციო მასალასთან მიმართებაში — როგორც მისი ორგანული ნაწილი და არა მექანიკური გაგრძელება. ამიტომ ყოველი საპროგრამო თემისა თუ საკითხის სწავლებას უნდა უსწრებდეს მისი მეთოდური გააზრება: რომელი ასპექტები უნდა გაშუქდეს ლექციაზე, რომელ ასპექტებს შეიძლება გაეცნოს სტუდენტი დამოუკიდებლად, რომელი მომენტებია მიზანშეწონილი ინდივიდუალური ძიებისათვის და სხვ. ზედმეტია, ალბათ, იმის მტკიცება, რომ დღეს ამგვარი სასწავლო-მეთოდური ლიტერატურა არცა გვაქვს და ვერც გვექნებოდა. ამიტომ კათედრამ ორიგინალური სახელმძღვანელოების შექმნა თავის უპირველეს ამოცანად მიიჩნია. წინამდებარე წიგნი ამ ამოცანის გადაჭრის პირველი ცდაა.

მოკლედ ვიტყვი თუ წიგნის სტრუქტურასა და ძირითად მეთოდურ წინამძღვრებზე.

1. მასალის შერჩევა-გადმოცემისას ჩვენთვის ამოსავალი იყო გერმანული ენის განვითარების უმთავრესი ტენდენციების გამოკვეთა, მათი მოქმედების ჩვენება ენის ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე და არა ცალკეული ენობრივი ფაქტების აღნუსხვა. ამიტომ თვალი გავადევნეთ ძირითადად იმ პროცესებს, რომლებმაც ენის არსებითი ფონეტიკური, ლექსიკური თუ გრამატიკული ცვლილებები განაპირობა.

2. მასალის განაწილებისას ტრადიციული სქემის მიხედვით გამოვყავით ოთხი მონაკვეთი: შესავალი და ენის განვითარების სამი ძირითადი პერიოდის ამსახველი ნაწილები (ძველი ზემოგერმანული, საშუალო გერმანული, თანამედროვე გერმანული). ვფიქრობთ, რომ მასალის ამგვარი წარმოდგენა შესაძლებელს ხდის, მაქსიმალურად გამოვკვეთოთ როგორც ე. წ. „შიდა“ და „გარე“ ფაქტორების ურთიერთმიმართება ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, ისე ენის ამა თუ იმ მდგომარეობის თვისებრივი ტრანსფორმირების პროცესი.

3. თითოეული ზემოხსენებული ნაწილი შედგება თემებისაგან (თემატურად გამთლიანებული მონაკვეთებისაგან). თემების გამოცალკევება დამოკიდებულია თვით მასალის ბუნებაზე — გამოიყოფა იმდენი

თემა, რამდენის საშუალებასაც იძლევა მასალის შინაარსი. ამიტომ მეტნაკლებად განსხვავებულია თემების მოცულობა. არც მათი რაოდენობა შეესაბამება ზუსტად სასწავლო გეგმით დადგენილ საათებს. მასწავლებელს შესაძლებლობა ექნება სურვილისამებრ გაანაწილოს დრო, აირჩიოს თემა და ა. შ.

4. ცალკეული თემების შინაგანი სტრუქტურის განსაზღვრისას ვითვალისწინებდით დამოუკიდებელი მუშაობის უდიდეს ღირებულებას. საქმე ის არის, რომ დღეს სწორედ დამოუკიდებელ მუშაობას ევალება, რამდენადმე მაინც გამოიყვანოს ენობრივი თეორიული საგნები იმ ჩიხიდან, რომელშიც ისინი სააუდიტორიო საათების სრულიად უმართებულო შემცირებამ მოაქცია. ამ ორიოდ წლის პრაქტიკამ უკვე გვიჩვენა, რომ მის გარეშე სააუდიტორიო მუშაობა ვერ უზარუნველყოფს როგორც ცალკეული საკითხის (განსაკუთრებით პრობლემურის), ისე მთლიანად თეორიული საგნის ათვისებას საჭირო მოცულობითა და სასურველი ხარისხით. მაგრამ დამოუკიდებელი მუშაობის იდეა ფიქციად დარჩება, თუ შემოვიფარგლეთ შესასწავლი საკითხების ჩამოწრით და იმ ლიტერატურის მითითებით, რომელიც ჩვენს ბიბლიოთეკებში მოიპოვება. ამიტომ ჩვენ საჭიროდ მივიჩნით სახელმძღვანელოში სალექციო მასალის გვერდით წარმოგვედგინა დამოუკიდებლად ასათვისებელი მასალაც. ვფიქრობთ, რომ ამით პრაქტიკულად მივაღწიეთ სააუდიტორიო და დამოუკიდებელი მუშაობის ორგანულ კავშირს. ამასთან, დავუზოგეთ სტუდენტებს დრო და ენერგია, რომელიც მათ მასალის მოპოვებაზე უნდა დაეხარჯათ.

შემოთავაზებული დამოუკიდებელი სამუშაო მრავალმხრივ მიმართებაშია სალექციო კურსთან: იგი ავსებს ლექციაზე განხილულ საკითხებს, ავრცობს მათ, იძლევა ალტერნატიულ თვალსაზრისებს, მიზნად ისახავს თეორიული საკითხის ათვისების სრულყოფას პრაქტიკული ანალიზის მეშვეობით და სხვ.

დამოუკიდებელ სამუშაოში შედის აგრეთვე ინდივიდუალური დაჯალებები. ისინი მიუთითებენ წყაროებზე, რომლებიც შეიცავენ ამოწურავ ინფორმაციას ამა თუ იმ საკითხზე და სამეცნიერო კვლევაძიებისაკენ უბიძგებენ გერმანული ენის ისტორიით დაინტერესებულ სტუდენტებს.

5. თეორიული მასალის წარმოდგენისას ძირითადად ვეყრდნობოდით ო. მოსკალსკაიას სახელმძღვანელოს „Deutsche Sprachgeschichte“. ცალკეული საკითხების განხილვისას ვისარგებლეთ აგრეთვე ლიტერატურის ნუსხაში ჩამოთვლილი ნაშრომებით. პრაქტიკული

დავალეები. მთლიანად ავტორთა გამოცდილების შედეგია. ვცადეთ შეგვედგინა ისეთი სავარჯიშოები, სადაც ენობრივი მოვლენა, მისი განვითარება წარმოჩნდებოდა ფართო კონტექსტში. „შემაჯამებელ დავალეებში“ კი თავმოყრილია სავარჯიშოები, რომლებიც დღევანდელი ენობრივი ფაქტების ისტორიულ ინტეგრეტაციას გულისხმობენ. ეს სავარჯიშოები. ნათელყოფენ, თუ რა მჭიდრო კავშირშია თანამედროვე ენა თავის ისტორიასთან და რაოდენ ასახავს იგი საუკუნეების მანძილზე მოქმედ ტენდენციებს. ამ სავარჯიშოების ერთ-ერთი მიზანია სახელმწიფო გამოცდებისათვის მზადება. ვფიქრობთ, რომ ამგვარი შეკითხვების სახით, რომლებიც თავის მხრივ ვრცელ ისტორიულ-ლინგვისტურ კომენტარს გულისხმობენ, შესაძლებელია ენის ისტორიის პრობლემატიკის ასახვა სახელმწიფო გამოცდაზე საანალიზოდ გამოტანილ მასალაში.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ განსაკუთრებულად რთული დავალეების შესრულება (მათ მასწავლებელი ადვილად გამოარჩევს) ყველა სტუდენტს არ ევალება — ისინი უპირატესად ინდივიდუალურად მომუშავე სტუდენტებსა და ასპირანტებს გამოადგებათ.

6. სახელმძღვანელოში, ცხადია, ყველა კერძო საკითხის გაშუქება ვერ მოხერხდა. ასეთი საკითხების დამუშავებას სტუდენტებს შევთავაზებთ რეფერატების სახით ხელმისაწვდომი გერმანულენოვანი სპეციალური ლიტერატურის მიხედვით.

ამრიგად, სახელმძღვანელოს სტრუქტურას განსაზღვრავს ძირითადი მიზანი: ყოველი თემის გავლის შემდეგ სტუდენტმა გაამთლიანოს ლექციაზე მოსმენილი მსჯელობა და დამოუკიდებლად ათვისებული მასალა, შეიქმნას ერთიანი შთაბეჭდილება ამა თუ იმ საკითხის შესახებ და შეძლოს სრული სახით მისი ჩამოყალიბება.

წიგნის შესავალი, პირველი ნაწილი და შემაჯამებელი დავალეები შესრულებულია მ. გვენცაძის მიერ, ხოლო მეორე და მესამე ც. ჭიჭინაძეს ეკუთვნის.

სახელმძღვანელო აპრობირებულია ავტორების მიერ 1988—89 და 1989—90 სასწავლო წლებში. აპრობაციაში მონაწილეობდა აგრეთვე დოც. გ. კარიაული.

ავტორები

## შესავალი

თემა პირველი

### სალექციო მასალა

1. ენის სინქრონიული და დიაქრონიული შესწავლა;
2. ენობრივი ცვლილებები და მათი გამომწვევი მიზეზები. ენის ცვალებადობის ზოგადი კანონზომიერებანი;
3. გერმანული ენის ისტორიის საგანი და ამოცანები.

### დამოუკიდებელი სამუშაო


1. დიაქრონიული ლინგვისტიკის ძირითადი მეთოდები;
2. გერმანული ენის ისტორიის ადგილი თეორიულ საგანთა ციკლში;
3. ინდივიდუალური დავალება.

### სალექციო მასალა

1. ენის სინქრონიული და დიაქრონიული შესწავლა. ენა როგორც სისტემა არსებობს სოციალურ დროსა და სივრცეში. შესაბამისად ლინგვისტური კვლევაც ენისადმი ორგვარ მიდგომას გულისხმობს: პირველი შეისწავლის ენას დროში — მის ცვალებადობას გარკვეულ მონაკვეთში, ენობრივი განვითარების ძირითად ტენდენციებსა და ზოგად მიმართულებას, მეორე კი განიხილავს ენას სივრცეში — მის გარკვეულ მდგომარეობას, ენობრივი დინამიკის ამა თუ იმ მომენტს და ამ მომენტისთვის ნიშანდობლივ ენის სისტემურ განზომილებებს. პირველ მიდგომას დიაქრონიული ეწოდება, ხოლო მეორეს — სინქრონიული. ეს ორი მიდგომა, ისე როგორც ენის შესაბამისი — სინქრონიული და დიაქრონიული — ასპექტები, მჭიდრო ურთიერთკავშირშია: როგორც სინქრონია შეი-

ცავს ერთგვარ დინამიკას, ისე დიაქრონია არ გამორიცხავს გარკვეულ სტატიკას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ, ერთი მხრივ, დროის რა მცირე მონაკვეთიც არ უნდა ავილოთ, მუდამ გვექნება რაიმე ცვლილება ენობრივი სისტემის ამა თუ იმ რგოლში, ხოლო, მეორე მხრივ, — ენობრივი ცვლილებების მიუხედავად, ენის სისტემის არსებით შეცვლას საუკუნეები სჭირდება.

სინქრონიისა და დიაქრონიის ეს ორგანული ურთიერთმიმართება განსაკუთრებით მკაფიოდ ენის ისტორიული შესწავლისას ვლინდება: ენის ისტორია — დიაქრონიული მიდგომის ეს უმნიშვნელოვანესი განხორციელება — ძნელად წარმოსადგენია სინქრონიის გარეშე. საქმე ის არის, რომ ენის ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპი დიაქრონიული კვლევისას წარმოგვიდგება როგორც ერთიმეორის მომდევნო სინქრონიული კრილები:



## დ ი ა ქ რ ო ნ ი ა

უნდა ითქვას ისიც, რომ მოყვანილ სქემაში სინქრონიულ კრილს შეფარდებითი ხასიათი აქვს. იგი წარმოადგენს მეცნიერულ აბსტრაქციას, რომელიც ნაკლებად მნიშვნელოვან ცვლილებებს უგულებელყოფს. სხვაგვარად შეუძლებელიცაა: ერთი ენობრივი მდგომარეობიდან მეორეზე გადასვლა ნახტომისებურად როდი ხდება. ენობრივი ცვალებადობა უწყვეტი პროცესია. ამ პროცესის დანაწევრება ცალკეულ მონაკვეთებად მხოლოდ პ ი რ ო ბ ი თ ა დ თუ შეიძლება. მაგრამ ამ პირობითობასაც თავისი საფუძველი აქვს. ეს საფუძველია იმ ენობრივ ცვლილებათა ერთობლიობა, რომელიც ენაში საუკუნეების მანძილზე გროვდება და რომელიც საბოლოო ჯამში ენობრივი სისტემის თვისებრივ ცვლილებას იწვევს. ენის შესწავლის დიაქრონიულ ხაზზე გამოყოფილი თითოეული სინქრონიული კრილი შეესაბამება ამრიგად ენობრივი სისტემის ისეთ ისტორიულ ეტაპს, რომლის მან-



ძილზეც ეს ენობრივი სისტემა ერთიანია (სტაბილური ანუ პირობითად უცვლელია) თავისი ძირითადი ასპექტების მიხედვით. ყოველი შემდგომი ჭრილი კი სწორედ ამ ერთიანობის დარღვევას გულისხმობს.

ზემოთქმულიდან შემდეგი დასკვნა გამომდინარეობს:

ენის ისტორია შეისწავლის ენას დიაქრონიულ-სინქრონიულად დიაქრონიული მომენტის უპირატესობით. სინქრონიული ასპექტი გულისხმობს სინქრონიული ჭრილების გამოყოფას და მათს აღწერას, ხოლო დიაქრონიული — სინქრონიული ჭრილების ერთმანეთთან შედარებას და ამის საფუძველზე ენის სტრუქტურის უმნიშვნელოვანესი კანონზომიერებების დადგენას, ენობრივი ცვალებადობის ძირითადი მიმართულებების გამოკვეთას, ენობრივი სისტემის პოტენციური შესაძლებლობების გამოვლენას.

2. ენობრივი ცვლილებები და მათი გამოწვევი მიზეზები. ენის ცვალებადობის ზოგადი კანონზომიერებები. ენის ცვალებადობას მრავალგვარი ფაქტორი განაპირობებს. მათ ჩვეულებრივ ორ ძირითად ჯგუფად ყოფენ. ესენია შიდა ენობრივი (შიდასტრუქტურული, ინტრალინგვისტური) და გარე ენობრივი (ექსტრალინგვისტური) ფაქტორები.

გარეენობრივ ფაქტორებში იგულისხმება საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტის ზემოქმედება ენაზე. ენა როგორც სოციალური ფენომენი თან სდევს საზოგადოების წარმოშობასა და განვითარებას, იცვლება იმ სოციალურ გარემოსთან ერთად, რომელსაც ემსახურება, მონაწილეობს ენობრივ კოლექტივებს შორის არსებულ კონტაქტებში. ამდენად ენის ისტორია მჭიდროდ უკავშირდება ერის კულტურასა და ისტორიას, სოციალური გარემოს შინაგან დანაწევრებას. ენობრივი ცვლილებები დამოკიდებულია ენის გეოგრაფიულ გავრცელებაზე, მეზობელ ენებზე და ა. შ. ამასთან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ამგვარი კავშირები აისახება არა მარტო ენის არსებობის ფორმებში და მათს ურთიერთმიმართებაში (სალიტერატურო ენა — დიალექტი, სალიტერატურო ენა — სოციალური ჟარგონი და სხვ.), არამედ თვით ენის სტრუქტურაშიც, ენის შინაგან ცვალებადობაში. ასეთ შემთხვევებში განსაკუთრებულ როლს ენობრივი კონტაქტები თამაშობს. ენობრივი კონტაქტებით გამოწვეულ შიდასტრუქტურულ მოვლენებს განეკუთვნება, მაგალითად, ე. წ. „სუბსტრატი“ და „სუპერსტრატი“. სუბსტრატთან გვაქვს საქმე მაშინ,

როდესაც დამარცხებული ხალხი იღებს ქვეყნის დამპყრობთა ენას და შეაქვს მასში საკუთარი ენის ელემენტები, ხოლო სუპერსტრატთან — როდესაც გამარჯვებული დამარცხებულის ენას იღებს და მასზე გარკვეულ გავლენას ახდენს. ენობრივი კონტაქტები იწვევენ აგრეთვე სესხებას, რის შედეგადაც ხშირად მნიშვნელოვნად იცვლება ენის ლექსიკური (ზოგ შემთხვევაში — გრამატიკული) სისტემა. სესხების პროცესს დიდი მნიშვნელობა აქვს ენათა განვითარების უახლეს პერიოდშიც — ამას მოწმობს თუნდაც თანამედროვე ენებში არსებული ინტერნაციონალური ლექსიკის ფენა, რომელიც სულ უფრო იზრდება აგრეთვე მატერიალური და კულტურული ცხოვრების სწვადასხვა სფეროში წარმოქმნილი სიტყვების ერთი ენიდან მეორეში გადასვლა და სხვ. საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარებით, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესით აიხსნება ენის ლექსიკური ფონდის განვითარება (ახლად შეცნობილ საგნებს, თვისებებს, ურთიერთმიმართებებს ახალი დასახელება სჭირდება), სიტყვების მნიშვნელობათა გაფართოება/დავიწროება და ა. შ.

ენის ცვალებადობის ექსტრალინგვისტური ფაქტორების გარდა არსებობს აგრეთვე შიდასტრუქტურული ფაქტორები. ეს ფაქტორები თვით ენის სისტემაში იღებენ სათავეს, ისინი ენობრივი ცვლილებების შინაგან კანონზომიერებებსა და ზოგად მიმართულებას განსაზღვრავენ.

ენის ცვალებადობის უმნიშვნელოვანეს კანონზომიერებებს განაპირობებს ჰომომორფული წონასწორობის შენარჩუნების პრინციპი. ჰომომორფიზმი გულისხმობს შესაბამისობას ენის შინაარსისა და გამოხატვის პლანებს შორის.

ენობრივ სისტემას, ისე როგორც ენობრივ ელემენტებს, ორი პლანი აქვს: შინაარსისა (ლექსიკური მნიშვნელობა, გრამატიკული მნიშვნელობა...) და გამოხატვის (ამა თუ იმ შინაარსის შესაბამისი ენობრივი ფორმა). ორივე პლანს აქვს უნარი, გარკვეულ მონაკვეთში ერთმანეთისგან რამდენადმე დამოუკიდებლად შეიცვალოს: შეიცვალოს გამოხატვის ენობრივი ფორმა, შინაარსი კი დარჩა უცვლელი, ან პირიქით, შეიცვალოს შინაარსი ერთი და იმავე ფორმის ფარგლებში. ყოველი ასეთი ცვლა ორ მომენტს გულისხმობს: ჯერ ირღვევა შესაბამისობა პირვანდელ ფორმასა და შინაარსს შორის, შემდეგ კი ეს შესაბამისობა კვლავ აღდგება — სახეცვლილი ფორმა და შინაარსი უკვე ახალი მიმართებით ერთიანდება. ჰომომორფიზმზე დაფუძნებული ენობრივი სისტემის ფორმისა და შინაარსის პლანთა შესაბამისობის

შუღმივი დარღვევა/აღდგენა ენის ევოლუციის ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალაა.

კომომორფიზმის ზოგადი პრინციპის გარდა ლაპარაკობენ აგრეთვე ენის ცვალებადობის სხვა კერძო ფაქტორებზეც, რომელთა შორისაც ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევენ სტაბილურობის, ენობრივ საშუალებათა წონასწორობის, ენის სისტემური ბუნებებისა და ზოგჯერ — პროგრესის ფაქტორს.

სტაბილურობის ფაქტორს უზრუნველყოფს ის გარკვეული წინააღმდეგობა, რომელსაც ენობრივი სისტემა ცვალებადობის მიმართ იჩენს. ეს ასე როჟ არ იყოს, ენის ცვლა ისეთი ტემპით განხორციელდებოდა, რომ მომდევნო თაობებსაც კი გაუჭირდებოდათ ენობრივი კომუნიკაცია.

ენობრივ საშუალებათა ერთიერთგაწონასწორობებულობის პირობა შემდეგში მდგომარეობს: თუ რომელიმე ენობრივი საშუალება მოძველდა ან დაიკარგა, მას ახალი შეენაცვლება. ასე, მაგალითად, ძველგერმანულში ბრუნვის ნიშანთა განვითარებული სისტემა გამოხატავდა არსებითი სახელის ბრუნვასა და რიცხვს:

Singular	Plural
N. tag	tagâ
G. tages	tago
D. tage	tagum
A. tag	tagâ

შემდგომში ბრუნვის ნიშანთა ამ სისტემამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა — იგი იმდენად დაიშალა, რომ აღარ შეეძლო ბრუნვისა და რიცხვის განმასხვავებელი ფუნქციის შესრულება. მაშინ ეს ფუნქცია, გერმანული ენის განვითარების ძირითადი ტენდენციების შესაბამისად (სინთეზური ფორმებიდან ანალიზურზე გადასვლა), არტიკლმა იკისრა.

ენობრივი განვითარებისას ენის სისტემური ბუნებების მნიშვნელობა ვლინდება უპირველესად იმაში, რომ ერთი ენობრივი დონის ცვალებადობა იწვევს სხვა ენობრივი დონეების შეცვლასაც. ასე, მაგალითად, საშუალ გერმანულში მოხდა უმნიშვნელოვანესი ფონეტიკური ცვლილება — ბოლოკიდური ხმოვნები შესუსტდა (გადავიდა [ჰ]-ში) ან დაიკარგა. ჩვენ მიერ ზემომოყვანილ მაგალითში ეს ცვლილება შემდეგნაირად აისახა:

ძველი ზემო- გერმანული		საშუალო გერმანული
N. tag-â		tag-e
G. tag-i	→	tag-e
D. tag-um		tag-en
A. tag-â		tag-e

როგორც ვხედავთ, ფონეტიკურმა ცვლილებამ არსებითი მორფოლოგიური გარდაქმნები გამოიწვია.

უკანასკნელი ფაქტორია პროგრესის მომენტი ენაში, რომელიც ისტორიულ ენათმეცნიერებაში ერთ-ერთ ყველაზე სადავო საკითხად ითვლება. რა არის ენობრივი დინამიკა — უბრალო ცვალეობა თუ განვითარება, ან რას ნიშნავს საერთოდ „განვითარება“ ენასთან მიმართებაში? ეს კითხვები დღესაც დისკუსიის საგანია. ამ უკანასკნელ ხანს გამოიკვეთა შემდეგი თვალსაზრისი:

საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებისას იქმნება ენობრივი კომუნიკაციის ახალი პირობები, რომლებიც იწვევენ ენის საკომუნიკაციო შესაძლებლობების დახვეწასა და გაფართოებას, ვინაიდან ენა უნდა მისდევდეს ენობრივი კოლექტივის წევრთა მზარდ საკომუნიკაციო მოთხოვნილებებს. ენის ცვალეობაობა საკომუნიკაციო ფუნქციის უკეთ შესრულების შესაბამისად შეიძლება ჩაითვალოს განვითარებად.

3. გერმანული ენის ისტორიის საგანი და ამოცანები. ახლა კი შევეცდებით, ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, დავაკონკრეტოთ გერმანული ენის ისტორიის საგანი და მისი შესწავლის მიზანი.

გერმანული ენის ისტორია შეისწავლის გერმანული ენის ჩამოყალიბების პროცესს, ადგენს მისი განვითარების შინაგან კანონზომიერებებს. გერმანული ენის ისტორიული განხილვა გვიჩვენებს, თუ როგორ იცვლებოდა საუკუნეების მანძილზე მისი ლექსიკური შემადგენლობა გერმანული ხალხის საზოგადოებრივ, მეცნიერულ და კულტურულ განვითარებასთან ერთად, როგორც ყალიბდებოდა ენის ფონეტიკური, გრამატიკული და სტილისტური სისტემა, როგორ განაპირობებდნენ ერთმანეთს ენის ცალკეული ასპექტები და როგორ იკვეთებოდა ენის არსებობის თანამედროვე ფორმები.

გერმანული ენის ისტორიის შესწავლა შესაძლებლობას გვაძლევს უფრო ღრმად გავიზიაროთ თანამედროვე გერმანული ენის სტრუქტურა, ავხსნათ მრავალი მისი დღევანდელი მოვლენა. თანამედროვე ენის

შინაგანი ტენდენციების წვდომა შეუძლებელია მისი განვითარების ძირითადი კანონზომიერებების ცოდნის გარეშე. ამას გარდა, ენის ისტორიის ცოდნა საშუალებას გვაძლევს გავეცნოთ ძველ ისტორიულ და ლიტერატურულ ძეგლებს, დავუკავშიროთ ენის ისტორია ხალხის ისტორიასა და კულტურას.

### დამოუკიდებელი სამუშაო

დავალება 1. შეავსეთ ლექციის შინაარსი შემდეგი დამატებითი მასალით!

დიაქრონიული ლინგვისტიკის ძირითადი მეთოდები.

დიაქრონიული და სინქრონიული კვლევის გამიჯვნამ განაპირობა ლინგვისტური მეთოდების ორი ძირითადი სახის ჩამოყალიბება. ესაა ენის დინამიკის შესწავლისა და ენობრივი სისტემის აღწერის მეთოდები.

ენის დინამიკის შესწავლის მეთოდები გამოიკვეთა ისტორიულ-შედარებით ენათმეცნიერების ფარგლებში, რომელსაც დასაბამი მიეცა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში. ენათმეცნიერების ისტორიის აღნიშნული პერიოდისათვის ნიშანდობლივად მიიჩნევენ სამ ფაქტორს. ეს ფაქტორებია:

1) რომანტიზმის ზეგავლენით ეროვნული წარსულის მნიშვნელობის წინა პლანზე წამოწევა, რამაც გააძლიერა ენის ადრეული ეტაპების შესწავლისადმი სწრაფვა;

2) ენათმეცნიერებაში ისტორიზმის პრინციპის შემოქრა;

3) ევროპელ ფილოლოგთა მიერ ძველი ინდური კლასიკური მწერლობის ენის — სანსკრიტის — გაცნობა.

სწორედ ამ სამი ფაქტორის ერთდროული ზეგავლენით წარმოიშვა ენათა ისტორიული და შედარებითი შესწავლის იდეა, რომელმაც ხორცი შეისხა კონკრეტულ ნაშრომებში:

1808 წელს გამოვიდა ფ. შლეგელის „ინდოელთა ენისა და სიბრძნის შესახებ“ („Über die Sprache und Weisheit der Indier“), რომელშიც ავტორი მიუთითებდა სანსკრიტისა და ლათინურ-ბერძნულის მსგავსებაზე და გახაზავდა ენათა შედარებითი შესწავლის აუცილებლობას;

1816 წელს ფ. ბოპმა გამოაცხა თავისი პირველი ნაშრომი „უღვლილების სისტემისათვის სანსკრიტისა შედარებით უღვლილების სის-

ტემასთან ბერძნული, ლათინური, სპარსული და გერმანული ენისა<sup>1</sup> („Über das Konjugationssystem der Sanskritsprache in Vergleichung mit jenem der griechischen, lateinischen, persischen und germanischen Sprache“), ხოლო 1833—1852 წლებში შეიქმნა მისი ძირითადი ნაშრომი „შედარებითი გრამატიკა სანსკრიტისა, ზენდისა, სომხურისა, ბერძნულისა, ლათინურისა, ლიტათურისა, ძველი სლავურისა, გუთურისა და ბერძნულისა“ („Vergleichende Grammatik des Sanskrit, Zend, Armenischen, Griechischen, Lateinischen, Litauischen, Altslawischen, Gotischen und Deutschen“); რომელშიც ენათმეცნიერი უმდიდრესი ენობრივი მასალის საფუძველზე ასაბუთებს ინდოევროპულ ენათა გენეტიკური ნათესაობის იდეას და შეიმუშავებს მეთოდს, რომლის საშუალებითაც იგი ცდილობს აღადგინოს ამ ენების „პირვანდელი მდგომარეობა“.

1818 წელს გამოიცა დანიელი ენათმეცნიერის რ. რასკის შრომა „გამოკვლევა ძველი ჩრდილოური ანუ ისლანდიური ენის წარმოშობის შესახებ“ („Untersuchung über den Ursprung der altnordischen oder isländischen Sprache“), სადაც განხილულია სკანდინავიურ და სხვა ინდოევროპულ ენათა ნათესაობის კავშირები.

1819 წელს კი გამოვიდა იაკობ გრიმის „გერმანული ენის გრამატიკის“ („Deutsche Grammatik“) პირველი ტომი. (ამ ნაშრომის ოთხივე ტომის გამოცემა დასრულდა 1837 წელს). იგი ისტორიული გრამატიკის პირველი ნამუშაია. მასში მოცემულია გერმანიკულ ენათა გრამატიკული ფორმების ისტორიული განვითარების დეტალური აღწერა.

დასახელებულმა ნაშრომებმა საფუძველი ჩაუყარეს ინდოევროპულ ენათა ისტორიულ-შედარებით შესწავლას და განაპირობეს ამ მიმართულების შემდგომი განვითარება. მათი დამსახურებაა ენის დიაკრონიული კვლევის ძირითადი მეთოდის — ისტორიულ-შედარებითი მეთოდის — შექმნა და მისი გამოყენება ვრცელი ენობრივი მასალის მოშველიებით.

ისტორიულ-შედარებითი მეთოდი მონათესავე ენათა შესწავლას გულისხმობს. ცნება „მონათესავე“ ენებს წარმოშობის მიხედვით აერთიანებს: მონათესავე ენებად ითვლება ენები, რომლებიც ერთი ენიდან მომდინარეობენ. ამ ენას ფუძე-ენა (Grundsprache) ან წინარე ენა (Ursprache) ეწოდება. ივარაუდება, რომ ფუძე-ენა ოდესღაც რეალურად არსებობდა, მასზე გარკვეული ხალხი

<sup>1</sup> ნაშრომების დასახელებათა თარგმანი ეკუთვნის არნ. ჩიქობავას (იხ. არნ. ჩიქობავა. ზოგადი ენათმეცნიერება, II. ძირითადი პრობლემები. თბ., 1983).

ლაპარაკობდა. იგი თავდაპირველადვე დიალექტურ დანაწევრებას ავლენდა. შემდგომ ეს დიალექტები დამოუკიდებელ — მონათესავე — ენებად ჩამოყალიბდა.

ისტორიულ-შედარებითი მეთოდი აღგენს ენათა გ ე ნ ე ა ლ ო გ ი უ რ კლასიფიკაციას. გენეალოგიური კლასიფიკაცია ნიშნავს ენათა დაჯგუფებას ნათესაობის (საერთო წარმომავლობის) მიხედვით. გენეალოგიური კლასიფიკაციის ძირითადი ერთეულია „ენათა ოჯახი“. იგი მოიცავს მონათესავე ენათა მთელ ერთობლიობას (მაგალითად, ინდოევროპულ ენათა ოჯახი, სემიტურ ენათა ოჯახი, კავკასიის ენათა ოჯახი და სხვ.). ენათა ოჯახის შიგნით გამოიყოფა ენობრივი შტოები ანუ ჯგუფები, ესაა ახლო მონათესავე ენათა ერთობლიობა (მაგალითად, გერმანიკული ენების შტო, რომანული ენების შტო, სლავური ენების შტო და სხვ.). ივარაუდება, რომ თითოეულ ენათა ოჯახსა თუ შტოს (ჯგუფს) შესაბამისი ფუძე-ენა აქვს, რომლისგანაც ოჯახში ან შტოში შემავალი ენები მომდინარეობენ (მაგალითად, ინდოევროპული ფუძე-ენა, გერმანიკული ფუძე-ენა და სხვ.).

სწორედ ფუძე-ენის აღდგენა (რეკონსტრუქცია) იქცა ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად<sup>2</sup>, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა ისტორიულ-შედარებითი ძიების კერძო მეთოდი — შ ი ნ ა გ ა ნ ი რ ე კ ო ნ ს ტ რ უ ქ ც ი ი ს მეთოდი. ამ მეთოდის არსია სხვადასხვა ენაში არსებული გენეტიკურად ეკვივალენტური ფორმების მიხედვით იმ პირვანდელი სავარაუდო ფორმის (წინარეფორმის, არქეტიპის) აღდგენა, რომელიც ფუძე-ენაში უნდა ყოფილიყო<sup>3</sup>. რეკონსტრუირებული წინარეენა, ცხადია, მთლიანად ვერ დაემთხვა ისტორიულად არსებულ რეალურ ენას, მაგრამ იგი მაინც ასახავს მისი სტრუქტურის ყველაზე არსებით ნიშნებს.

შინაგანი რეკონსტრუქციის მეთოდი მუდმივი დახვეწის პროცესშია. უკანასკნელ ხანს არსებითად განახლებული სახით იგი წარმოგვიდგა თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის ფუნდამენტურ ნაშრომში „ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები (Т. В. Гамкрелидзе, Вяч.

<sup>2</sup> ინდოევროპულ ენათა კვლევის სფეროში აღნიშნული მიზანი დაკავშირებულია უპირველესად ა. შლიხერის სახელთან და განხორციელებულია მის ნაშრომში „ინდო-ევროპულ ენათა შედარებითი გრამატიკის სახელმძღვანელო“ („Compendium der vergleichenden Grammatik der indogermanischen Sprachen“, 1876).

<sup>3</sup> ა. შლიხერს მიაჩნდა, რომ შინაგანი რეკონსტრუქციის გზით შესაძლებელია ინდოევროპული ფუძე-ენის პირვანდელი სახის სრულად აღდგენა. ამ მოსაზრების დასასაბუთებლად მან იგავ-არაკიკ კი დაწერა „ინდოევროპულ წინარეენაზე“ (იგავ-არაკის ტექსტი მოცემულია წიგნში: Die deutsche Sprache. Kleine Enzyklopädie. B. I, Leipzig, S. 41).

Вс. Иванов. Индоевропейский язык и индоевропейцы. Изд-во ТГУ, Тб., 1984). აქ ინდოევროპული წინარეების რეკონსტრუქცია განუყოფელია წინარეკულტურის რეკონსტრუქციისაგან: ლინგვისტური მონაცემების მიხედვით ნაშრომში აღდგენილია ინდოევროპული წინარეების მატარებელ ხალხთა ისტორიული არსებობის ყველა ძირითადი მომენტი (ფლორა, ფაუნა, გეოგრაფიული გარემოცვა, ჰავა, მატერიალური და სულიერი კულტურა ფართო გაგებით), ხოლო წინარეკულტურის რეკონსტრუქციის ელემენტები გამოყენებულია, თავის მხრივ, როგორც ენობრივი ფაქტების შემდგომი დაზუსტების საშუალება.

თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის ნაშრომში შინაგანი რეკონსტრუქციის მეთოდი შეესებოდა სტრუქტურულ-ტიპოლოგიურით: ლინგვისტური ტიპოლოგიის, უპირატესად კი დიაქრონიული ტიპოლოგიის მონაცემები (გარკვეული ლინგვისტური სტრუქტურების ცვალებადობის საერთო სქემები, რომლებიც დგინდება ცალკეულ ენათა ისტორიის კონკრეტული ფაქტების შესწავლისას), არა მარტო რეკონსტრუქციის ენობრივი მოდელის ჰეშმარიტების შემოწმებას ემსახურება, არამედ ენობრივი სისტემის სტრუქტურის ნაკლული, მაგრამ სავარაუდო რგოლების აღდგენასაც.

დ ა ვ ა ლ ე ბ ა 2. გაეცანით შემდეგ მასალას:

გერმანული ენის ისტორიის ადგილი თეორიულ საგანთა ციკლში

გერმანული ენა ენობრივ უმაღლეს სასწავლებელში შეისწავლება როგორც პრაქტიკულად, ისე თეორიულად. ლინგვისტურ დისციპლინათა იმ კომპლექსს, რომელიც პედაგოგიურ ინსტიტუტში ამჟამად მოქმედი სასწავლო გეგმის მიხედვით ენის თეორიულ შესწავლას ემსახურება, შეადგენენ:

- 1) გერმანული ენის თეორიული ფონეტიკა;
- 2) გერმანული ენის ლექსიკოლოგია;
- 3) გერმანული ენის თეორიული გრამატიკა;
- 4) გერმანული ენის სტილისტიკა;
- 5) გერმანული ენის ისტორია.

რა მიმართებაშია ენის ისტორია დანარჩენ თეორიულ საგნებთან? ვფიქრობთ, რომ ეს მიმართება სულ ცოტა ორგანიზომილებიანია:

1. ენის ისტორია გამოირჩევა დანარჩენი საგნებისაგან, უპირველეს ყოვლისა, მიდგომის თვალსაზრისით: იგი ერთადერთია ამ კომ-



პლექსიდან, რომელიც ენას დიაქრონიულ ჰრილში შეისწავლის. ყველა სხვა ზემოჩამოთვლილი დისციპლინა ენის თანამედროვე მდგომარეობას აღწერს და ამდენად სინქრონიული ჰრილის ფარგლებში რჩება.

2. სამი საგანი — თეორიული ფონეტიკა, თეორიული გრამატიკა და ლექსიკოლოგია — ენობრივი სისტემის ერთ გარკვეულ ასპექტს მოიცავს. სტილისტიკა კი კომპლექსური დისციპლინაა. მის შემადგენლობაში ტრადიციულად გამოიყოფა ფონეტიკური, ლექსიკოლოგიური და გრამატიკული სტილისტიკა.

ენის ისტორია ტრადიციულად სწორედ ენობრივი სისტემის ცვალებადობას შეისწავლის და ამდენად სრულიად ბუნებრივია მისი ასევე ტრადიციული დანაწევრება ისტორიულ ფონეტიკად, ისტორიულ ლექსიკოლოგიად და ისტორიულ გრამატიკად. რაც შეეხება ისტორიულ სტილისტიკას, მისი ჩამოყალიბება მომავლის საქმეა.

ყოველივე ზემოთქმული შეიძლება შემდეგი სქემითაც დავაზუსტოთ:

	ენობრივი სისტემის ასპექტების შესწავლა:	ენობრივი სისტემის კომპლექსური შესწავლა:
სინქრონიული ჰრილი	{ თეორიული ფონეტიკა ლექსიკოლოგია თეორიული გრამატიკა	სტილისტიკა
დიაქრონიული ჰრილი	{ ენის ისტორია: ისტორიული ფონეტიკა ისტორიული ლექსიკოლოგია ისტორიული გრამატიკა	[ ისტორიული სტილისტიკა ]

### ინდივიდუალური დავალება

პირველი თემის გავლისას განხილულ საკითხებს (ენის სინქრონიული და დიაქრონიული შესწავლა და დიაქრონიული ლინგვისტიკის ძირითადი მეთოდები) უფრო ვრცლად გაეცნობით შემდეგ ნაშრომებში:

1. არნ. ჩიქობავა. ზოგადი ენათმეცნიერება II. ძირითადი პრობლემები. თბ., 1983, გვ. 244—277.

2. თინ. შარაძენიძე. თანამედროვე ენათმეცნიერების თეორიული საკითხები. თბ., 1972, გვ. 61—85.

3. ენათმეცნიერების შესავლის საკითხები. გ. ახვლედიანის რეაქციით. თბ., 1972, გვ. 28—35; გვ. 261—266.

4. გ. ნებიერიძე. ენათმეცნიერების შესავალი. თბ., 1991.

## თემა მორე

### ს ა ლ ე ქ ც ი ო მ ა ს ა ლ ა

1. ინდოევროპულ ენათა ნათესაური სიახლოვე და წინარეენის საკითხები;

2. გერმანიკული ენები.

### დ ა მ ო უ ქ ი დ ე ბ ე ლ ი ს ა მ უ შ ა ო

1. ინდოევროპულ ენათა ოჯახი;

2. გერმანიკული ტომები;

3. რუნული ანბანი;

4. პრაქტიკული დავალებები;

5. გერმანიკული ენების საერთო ტიპოლოგიური ნიშნები;

6. ინდიგულუალური დავალება.

### ს ა ლ ე ქ ც ი ო მ ა ს ა ლ ა

1. ინდოევროპულ ენათა ნათესაური სიახლოვე და წინარეენის საკითხები. თანამედროვე გერმანული ენა მიეკუთვნება გერმანიკულ ენათა ჯგუფს, რომელიც, თავის მხრივ, შედის ინდოევროპულ ენათა ოჯახში. ამ ოჯახში შემავალი გრავალრიცხოვანი ენები გავრცელებულია ისლანდიიდან ინდოეთამდე. ტერმინიც „ინდოევროპული“ (შემოკლებით „ი. ე.“) სწორედ გავრცელების ტერიტორიის მიხედვით შეიქმნა. გერმანულენოვან სპეციალურ ლიტერატურაში „ინდოევროპულის“ („indoeuropäisch“, შემოკლებით „ide.“) ვერდიით გეხდება აგრეთვე ტერმინი „ინდოგერმანული/ინდოგერმანიკული“ („indogermanisch“).

შედარებით ისტორიულმა ენათმეცნიერებამ დამაჯერებლად დაასაბუთა ინდოევროპულ ენათა ურთიერთნათესაური კავშირი. ორი ან მეტი ენის საერთო წარმომავლობის დადგენისას მეცნიერები ამოდიოდნენ მათი სტრუქტურის არსებითი ნიშნების თანხვედრიდან, ხოლო ამგვარ ნიშნებად კი მიიჩნევდნენ რეგულარულ ბგერათშესატ-

ყვისობებს, ანალოგიურ გრამატიკულ გაფორმებასა და ძირითადი ლექსიკური ფონდის სიტყვების მსგავსებას.

გენეტიკური შესაბამისობა ყველაზე ცხადად სიტყვათა რიგების შედარებისას მოჩანს:

ძვ. ინდური	ლათინური	ბერძნული	გუფთური	რუსული	გერმანული
bhrātor	frāter	phrātōr	broþar	брат	Bruder
navas	novus	nēos	niujis	новый	neu
trāyas	trēs	treis	þreis	три	drei
asti	est	esti	ist	есть	ist
tad	tud	to	þat	то	das

ინდოევროპული წინარეენის პრობლემა, მისი სისტემის შინაგანი რეკონსტრუქციის გარდა, რამდენიმე კერძო საკითხსაც გულისხმობს:

1) დაახლოებით როდის არსებობდა ინდოევროპული როგორც ერთიანი ენა და როდის დაიწყო მისი დანაწევრება დამოუკიდებელ ენებად?

2) სად უნდა ვეძიოთ წინარეენის გავრცელების ტერიტორია (არეალი) და შესაბამისად — ინდოევროპელთა „წინარესამშობლო“ („Urheimat“)?

3) რა იყო ცალკეული ენების გამოყოფის მიზეზი და როგორ მიმდინარეობდა ეს პროცესი?

თითქმის ორი საუკუნეა, რაც ეს საკითხები ენათმეცნიერთა ყურადღების ცენტრშია. მათ უამრავი გამოკვლევა მიეძღვნა, შეიქმნა რამდენიმე სერიოზული თეორია, გამოითქვა არაერთი საყურადღებო ჰიპოთეზა. და მაინც შათდამი ინტერესი დღესაც არ შენელებულა. ამის უპირველესი დასტურია ინდოევროპეისტიკის ბოლო პერიოდის ყველაზე თვალსაჩინო მიღწევა — თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის ახლახან გამოსული ნაშრომი „ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები“, რომელზედაც პირველ ლექციაში ვილაპარაკეთ. წიგნში ზემოხსენებული სამივე საკითხი საგანგებოდაა წამოჭრილი. მათი მოკლე გადმოცემისას ჩვენც უპირატესად ამ ნაშრომს დავეყრდნობით.


ინდოევროპული ენის ქრონოლოგიის დადგენა გულისხმობს მისი არსებობის ზედა და ქვედა ზღვარების მონიშვნას, ხოლო შემდეგ — ცალკეულ ენობრივ ერთობლიობათა გამოყოფის ძირითადი ეტაპების განსაზღვრას.

ინდოევროპული წინარეენის ზედა ზღვარად მიჩნეულია V—IV ათასწლეული ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ივარაუდება, რომ ამ პერიოდში იგი არსებობდა როგორც ერთიანი ენა. დროის სწორედ ამ მონაკვეთში უნდა დაწყებულიყო მისი დანაწევრება დიალექტებად, რომლებიც თანდათანობით დამოუკიდებელ ენებად განვითარდნენ. დამოუკიდებელი ენების გამოცალკეება განსაზღვრავს ინდოევროპული წინარეენის ქვედა ზღვარს. ეს ზღვარი ემთხვევა IV—III ათასწლეულის მიჯნას — როდესაც ანატოლიის (მცირე აზიის) ენათა ჯგუფი ინდოევროპულს გამოეყო. ამ ვარაუდის საფუძველს იძლევა ის ფაქტი, რომ მეორე ათასწლეულის დასაწყისისთვის ანატოლიის ჯგუფის ცალკეული ენები (ხეთური და ლუვიური) უკვე მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ ერთიმეორისაგან, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ენებმა ინდოევროპულიდან გამოცალკეების შემდეგ განვითარების ხანგრძლივი გზა განვლეს.

III—II ათასწლეულთა მიჯნაზე უნდა ჩამოყალიბებულიყო კიდევ ერთი ენობრივი ერთობლიობა — ბერძნულ-სომხურ-არიული ჯგუფი, რომელიც შემდგომში დაიშალა ბერძნულ, სომხურ და ინდო-ირანულ ენებად. ამ ვარაუდს მხარს უჭერს თუნდაც ის ფაქტი, რომ ბერძნული ენის წერილობითი ძეგლები ჩვენს წელთაღრიცხვამდე უკვე XV საუკუნეში დასტურდება.

II ათასწლეულის განმავლობაში ივარაუდება გერმანიკული ენების გამოცალკეება.

ინდოევროპული წინარეენის ქრონოლოგია შეგვიძლია აგრეთვე, ცხადია გამარტივებულად და პირობითად, სქემის სახითაც წარმოვადგინოთ:



რაც შეეხება ინდოევროპელთა წინარესამშობლოს, XIX საუკუნეში მას ჯერ ეძებდნენ შუა აზიის ტრამპლებში, შემდეგ კი ახლანდელი სამხრეთ რუსეთისა და სამხრეთ უკრაინის ტერიტორიაზე. XX საუკუნის დასაწყისში გერმანელმა მეცნიერებმა წამოაყენეს ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც ინდოევროპელებს ჩრდილოგერმანიის დაბლობებზე უნდა ეცხოვრათ. მოგვიანებით ინდოევროპელთა წინარესამშობლოდ მიიჩნიეს ტერიტორია დუნაიდან ვოლგამდე. თ. გამყრელიძემ და ვ. ივანოვმა წამოაყენეს და ფაქტობრივად დაასაბუთეს ახალი თვალსაზრისი (როგორც ლინგვისტური, ისე კულტურულ-ისტორიული მონაცემების საფუძველზე), რომლის მიხედვითაც ინდოევროპელთა წინარესამშობლოდ დასახელებულია რეგიონი მცირე აზიასა და ჩრდილოეთ მესოპოტამიას შორის: სწორედ აქედან დაიწყო, ავტორთა აზრით, ინდოევროპელთა მიგრაცია ჩრდილოეთის მიმართულე-ბით — ევროპისა და აზიის კონტინენტებზე.


რაც შეეხება ინდოევროპულის ცალკეულ ენებად დანაწევრების მიზეზებს, ამჟამად შემდგომი მოსაზრება დომინირებს:

ინდოევროპული წინარეენა თავიდანვე არ ყოფილა მონოლითური, იგი არსებობდა ცალკეული დიალექტების სახით. დროთა განმავლობაში დიალექტებზე მოლაპარაკენი სცილდებოდნენ ერთმანეთს ტერიტორიულად, კონტაქტში შედიოდნენ განსხვავებულ ხალხებთან, რის შედეგადაც სხვაობები დიალექტებს შორის სულ უფრო ღრმავდებოდა. ეს პროცესი კი, თავის მხრივ, დამოუკიდებელი ენის ჩამოყალიბებით სრულდებოდა.


2. გერმანიკული ენები. გერმანიკული წინარეენის (Urgermanisch) გამოცალკეება ინდოევროპულიდან, როგორც ვთქვით, ძვ. წ. II ათასწლეულში უნდა მომხდარიყო. ივარაუდება, რომ ერთიანი გერმანიკული დაახლოებით ძვ. წ. VIII საუკუნემდე არსებობდა, შემდეგ კი დაიწყო მისი დანაწევრება დამოუკიდებელ ენებად. ეს პროცესი, როგორც ჩანს, ძვ. წ. III საუკუნემდე გაგრძელდა — აქედან მოყოლებული შეიძლება ვილაპარაკოთ უკვე ცალკეულ გერმანიკულ ენებზე, თუმცა მათს საბოლოო ჩამოყალიბებას კიდევ რამდენიმე საუკუნე დასჭირდა.

ძველი გერმანიკული ენების არსებობის ხანა, ამ ენებზე დამწერლობის შექმნის ეტაპები ქრონოლოგიურად ერთმანეთს არ ემთხვევა. ასე მაგალითად, წერილობით ძეგლებში შემონახული გუთური მოიცავს IV—VI, ძველი ზემოგერმანული — VIII—XI, ხოლო ძველი ისლანდიური — XI—XV საუკუნეებს. მიუხედავად ამისა, მეც-

ნიერებმა შეიმუშავეს ძველი გერმანიკული ენების ერთიანი კლასიფიკაცია:



აქვე მოვიყვანთ თანამედროვე გერმანიკული ენების სქემას:



როგორც ვხედავთ, ძველი გერმანიკული ენები სამ ქვეჯგუფად იყოფა, ახალი კი — ორად. აღმოსავლურ ქვეჯგუფში შემაჯავალი გუთური (Gotisch) დღეს გადაშენებულია, მაგრამ მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო გერმანიკული, არამედ ინდოევროპული ენების შესწავლისათვისაც.

გუთური უძველესი დამწერლობის მქონე გერმანიკული ენაა. ეპი-სკოპოსმა ულფილამ (Wulfila) IV საუკუნეში თარგმნა გუთურად ბიბლია<sup>4</sup> — გერმანიკული ენების პირველი ჩვენამდე შემორჩენილი წერილობითი ძეგლი. მანვე შექმნა გუთური ანბანი (ძირითადად ბერძნული ანბანის საფუძველზე). აქვე უნდა ითქვას, რომ ე. წ. „გუთურ შრიფტს“, რომელიც ევროპაში XI საუკუნის დასასრულიდან გავრცელდა, არავითარი საერთო არა აქვს გუთურ დამწერლობასთან. ამ შრიფტს, ისევე როგორც XIII—XIV საუკუნეების არქიტექტურულ სტილს, „გუთური“ აღორძინების ხანის ჰუმანიტებმა უწოდეს. ამით მათ გამოხატეს უარყოფითი დამოკიდებულება შუასაუკუნეების ქრისტიანული კულტურისადმი: საქმე ის არის, რომ გუთები (და გერმანიკული ტომები საერთოდ) მათ ბარბაროსობის სიმბოლოდ მიაჩნდათ. ამდენად ტერმინი „გუთური“-ც „ბარბაროსულს“ გულისხმობდა. დროთა განმავლობაში ამ სახელწოდებამ შეფასებითი ელფერი დაკარგა, რამდენადაც დაუწყებდას მიეცა აგრეთვე მისი მეტაფორული გადაზარებაც, და ამიტომ არ არის გამორიცხული ტერმინების „გუთური შრიფტი“ და „გუთური სტილი“ თით გუთების დამწერლობასა და კულტურასთან უმართებულო დაკავშირება.

შემდგომში ჩვენ ხშირად მივმართავთ გუთურ მაგალითებს. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია გუთური ორთოგრაფიის ზოგიერთი მომენტის გარკვევა:

1) ei მუდამ აღნიშნავს გრძელ ზნოვანს [i]-ს;

2) ai, au თანხმოვნების r, h-ს წინ იკითხება როგორც [ɛ] და [o]. იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება წესიდან გადახვევები — განსაკუთრებით ზმნის მორფოლოგიური ფორმების შემთხვევაში: getai:h, getau:h, სადაც ai და au ბიფონემური შეყვშირებებია;

3) ასო h = [hw]-ს;

4) ასო q = [kw]-ს;

5) ასო þ წარმოითქმის დაახლოებით ისე, როგორც ინგლისური ყრუ th. გუთური ტექსტების ციტირებისას იგი ხშირად ასეც იწერება.

გუთების სახელმწიფოს დამხობასთან ერთად გუთური დამწერლობა დაიკარგა.

<sup>4</sup> გუთებმა ქრისტიანობა სხვა გერმანიკულ ტომებზე ადრე — IV ს.უკუნეში — მიიღეს.

ჩრდილოგერმანიკული ანუ სკანდინავიური ქვეჯგუფის ძველი ენები თანამედროვე ენებად განვითარდნენ:

დანიური ენა (Dänisch) — დანიის სახელმწიფო ენა. რუნული წარწერები თარიღდება IX საუკუნით, ლათინური ანბანით შესრულებული წერილობითი ძეგლები — XI—XII საუკუნეებით. ახლოს არის ნორვეგიულთან.

შვედური ენა (Schwedisch) — შვედეთის სახელმწიფო ენა, აგრეთვე ფინეთის ერთ-ერთი სახელმწიფო ენა. რუნული წარწერები თარიღდება IX საუკუნით, ხოლო ლათინური ანბანით შესრულებული ტექსტები — XIII საუკუნით. ჩამოყალიბდა XVI—XVII საუკუნეებში.

ნორვეგიული ენა (Norwegisch) — ნორვეგიის სახელმწიფო ენა. რუნული წარწერები შესრულებულია X საუკუნეში, წერილობითი ძეგლები — XII და შემდგომ საუკუნეებში.

ისლანდიური ენა (Isländisch) — ისლანდიის რესპუბლიკის სახელმწიფო ენა. ლათინური ანბანით წერა დაიწყო XI საუკუნიდან. შემონახულია მდიდარი ლიტერატურა ძველ ისლანდიურზე.

სკანდინავურ ენებს მიაკუთვნებენ აგრეთვე ფაროული ენა (Färöisch) — ატლანტიკის ოკეანეში მდებარე ფარერის კუნძულების მოსახლეობის ენას. სკანდინავური ენებიდან ეს ყველაზე „ახალგაზრდა“ და ყველაზე ნაკლებად გავრცელებული ენაა. XVIII საუკუნემდე იგი არსებობდა მდიდარი ზეპირმეტყველების სახით. თანამედროვე ორთოგრაფია შეიქმნა 1848 წ., ხოლო 1948 წელს ფაროული აღიარეს კუნძულების ძირითად ენად (მანამდე პრიორიტეტი დანიურს ეკუთვნოდა).

გერმანულთან ყველაზე ახლოსაა დასავლეთ-გერმანიკული ენები:

ინგლისური ენა (Englisch) — ყველაზე გავრცელებული გერმანიკული ენაა. მისი სამი ძირითადი ვარიანტია ბრიტანული, ამერიკული და ავსტრალიური. ინგლისური ენა გავრცელებულია აგრეთვე აზიისა და აფრიკის ქვეყნებში. ინგლისურად ლაპარაკობს 300 მილიონზე მეტი კაცი.

ინგლისური ენის განვითარების ძველი პერიოდი (ე. წ. ანგლო-საქსური — Angelsächsisch) მოიცავს VII—XI საუკუნეებს. მეშვიდე საუკუნით თარიღდება ლათინური ანბანით შესრულებული პირველი წერილობითი ძეგლები. ახალი ინგლისური XVI საუკუნიდან გამოიყოფა.



ფ რ ი ზ უ ლ ი ე ნ ა (Friesisch) დღეს დაახლოებით 370 ათასი კაცის დედაენაა. იგი ძირითადად გავრცელებულია ფრისლანდიაში — ნიდერლანდის ერთ-ერთ პროვინციაში, აგრეთვე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე. მას უხდება არსებობა ორენოვნების ვითარებაში, სადაც პრიორიტეტი — როგორც ოფიციალური სტატუსის, ისე გავრცელების თვალსაზრისით — მეორე ენას (პოლანდიურს ან გერმანულს) ეკუთვნის.

ძველი ფრიზგული (დაახლოებით 1500 წლამდე) ძალზე ახლოსაა ძველ ინგლისურთან. პირველი წერილობითი ძეგლები განეკუთვნება XVI საუკუნეს. უნდა ითქვას, რომ ფრიზული ღარიბია როგორც წერილობითი, ისე ლიტერატურული ძეგლებით, ვინაიდან იგი ძირითადად ზეპირი მეტყველების სახით არსებობდა.

ჰო ლ ა ნ დ ი უ რ ი ანუ ნიდერლანდური (Niederländisch) პოლანდიის სახელმწიფო ენაა. იგი აგრეთვე ბელგიის ერთ-ერთი სახელმწიფო ენაა. პირველი წერილობითი ძეგლები IX საუკუნეს განეკუთვნება. ახალი ჰოლანდიური ძველი ქვემოფრანკულისგან განვითარდა.

ძველი საქსონური (Altsächsisch)<sup>5</sup> დადასტურებულია IX—XII საუკუნეების ხელნაწერებში. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია რელიგიური შინაარსის ეპოსი „ჰელიანდი“ („heliand“ — „მაცხოვარი“) და ბიბლიური ლეგენდების პოეტური გადმოცემა „გენეზისი“. XIII—XVI საუკუნეები საქსონურის განვითარების ახალი ეტაპია, რომელსაც „ქვემოგერმანული“ ეწოდება. დროის ამ მონაკვეთში მასზე შეიქმნა მდიდარი ქალაქური ლიტერატურა. ქვემოგერმანულის პოზიციები განსაკუთრებით მყარი იყო ჰანზის კავშირის არსებობის ხანაში. ამ პერიოდში დადგინდა როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ენობრივი ნორმა. ჰანზის კავშირის დაცემასთან ერთად ქვემოგერმანულმაც დაკარგა თავისი მნიშვნელობა და განაგრძო არსებობა დიალექტის სახით. გერმანული ენის დიალექტის სტატუსი აქვს მას დღესაც.

თანამედროვე გერმანიკული ენების ცხრილში შედის ორი ენა, რომლებიც ძველი ენებიდან არ მომდინარეობენ. ეს ენებია აფრიკაანსი (Afrikaans) და იდიში (Jiddisch).

---

<sup>5</sup> ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში იხმარება აგრეთვე ვარიანტული ტერმინები „საქსონური“ და „საქსური“.

აფრიკაანსი (ბურეზის ენა) სანხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სახელმწიფო ენაა (ინგლისურთან ერთად) 1925 წლიდან. იგი ყველაზე „ახალგაზრდა“ გერმანიკული ენაა. მისი ჩამოყალიბება დაიწყო XVI საუკუნეში აფრიკის ერთ-ერთ პოლანდიურ კოლონიაში. XIX საუკუნეში აფრიკაანსი მხოლოდ ყოფითი კომუნიკაციისას გამოიყენებოდა, ოფიციალური ურთიერთობის ენა პოლანდიური იყო. 1806 წლიდან კოლონიის ოფიციალურ ენად ინგლისური გამოცხადდა. ბრძოლა აფრიკაანსის ფუნქციების გაფართოებისათვის ამავე დროს ინგლისურის გაბატონების წინააღმდეგაც იყო მიმართული. ეს ბრძოლა გამარჯვებით დამთავრდა — აფრიკაანსი, როგორც ეთქვით, მეორე სახელმწიფო ენად გამოცხადდა.

ილიში ამჟამად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში (აშშ, რუსეთის ფედერაცია, ისრაელი, პოლონეთი, რუმინეთი და სხვ.) მცხოვრები ებრაელების სალაპარაკო და სალიტერატურო ენაა. მისი ფორმირების პროცესი ჯერაც შეუსწავლელია. ილიშის ჩამოყალიბება დაიწყო გერმანიის ტერიტორიაზე დაახლოებით XIII საუკუნიდან გერმანული დიალექტების საფუძველზე. ებრაელების აღმოსავლეთ ევროპაში მიგრაციის შემდეგ იგი საბოლოოდ ჩამოყალიბდა როგორც ახალი ენობრივი ერთობლიობა უკვე სლავური სუბსტრატისა და საკუთრივ ებრაულის გავლენით.

ლიტერატურა ილიშზე (როგორც რელიგიური, ისე საერო) იქმნებოდა XVI საუკუნიდან. ამჟამად ებრაული ლიტერატურა ილიშზე გამოდის ჩრდილო და სამხრეთ ამერიკაში, რუსეთის ფედერაციაში (ბირობიჯანის ავტონომიური ოლქი), ისრაელში. ამასთან უნდა ითქვას, რომ ისრაელის სახელმწიფო ენა არის არა ილიში, არამედ ებრაული, რომლის საფუძველსაც კლასიკური ძველი ებრაული წარმოადგენს.

გერმანული ენა მიეკუთვნება, ამრიგად, დასავლეთ-გერმანიკული ენების ქვეჯგუფს — სწორედ დასავლეთ-გერმანიკულ ენებთან აკავშირებს მას უახლოესი ნათესაობა. დასავლეთ-გერმანიკულ ქვეჯგუფთან ერთად იგი შედის გერმანიკული ენების ჯგუფში, ხოლო ყველა დანარჩენ გერმანიკულ ენებთან ერთად — ინდოევროპულ ენათა ოჯახში.

გერმანიკული ენების ნათესაობა ვლინდება ყველა ენობრივი ქვესისტემის (ფონოლოგიური, ლექსიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური) შესაბამობაში. ამ შესაბამისობის დადგენასა და შესწავლას მრავალი გამოკვლევა მიეძღვნა. ისინი თავმოყრილია მრავალტომიან სე-

რეებსა, ეტიმოლოგიურ ლექსიკონებსა, ენციკლოპედიებსა თუ ცალკეულ წრომებში მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე. მაგრამ აღნიშნული შესაბამისობა ნათლად ჩანს „შეუიარაღებელი თვალთაყ“. ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ ავიღებთ იდენტური შინაარსის ნიმუშებს:

„მამაო ჩვენო“<sup>1</sup>

გუთური:

- 1 Atta unsar thu in himinam, weihnai namô thein. qimai  
Vater unser du in Himmeln, geweiht werde Name dein. (Es) komme
- 2 thiudinassus theins. wairthai wilja theins, swê in himina  
Volksreich deins. (Es) werde Wille deiner, gleichwie im Himmel
- 3 jah ana airthai. hlaif unsarana thana sinteinan gif uns himma  
auch auf Erden. Brot unseres d:s tägliche gib uns (an)diesem
- 4 daga. jah aflêt uns thatei skulans sijaima, swaswê jah weis  
Tage. Und erlaß uns, daß Schuldner wir seien, so wie auch wir
- 5 aflêtam thaim skulam unsaraim, jah ni briggais uns in  
erlassen den Schuldern unsern, und nicht bringe uns in
- 6 fraisubnjai, ak lausei uns af thamma ublin. untê theina ist  
Versuchung, sondern (er)löse uns von dem Übel. Denn dein ist
- 7 thiudangardi jah mahts jah wulthus in aiwins. amên.  
Königreich und Macht und Herrlichkeit in Ewigkeiten. Amen.

ქველი ზემოგერმანული:

- 1 Fater unsêr, thû in himilom bist, giuufhit sî namo thin.  
Vaser unser, (der) du in Himmeln bist, geweiht sei Name dein.
- 2 quaeme richi thin. uuerdhe uuilleo thin, sama sô in himile endi  
Komme Reich dein. Werde Wille dein, ebenso wie in Himmel auch
- 3 in erthu. broot unseraz emezzîgaz gib uns hiutu. endi falâz  
auf Erden. Brot unseres beständiges gib uns heute. Und erlaß
- 4 uns sculdhi unsero, sama sô uuir farlâzzêm scolôm unserêm.  
uns Schulden unsere, ebenso wie wir erlassen Schuldern unsern.

---

<sup>1</sup> ტექსტი და თარგმანი მოცემულია წიგნში: Wolf G. Deutsche Sprachgeschichte. Frankfurt am Main, 1986, S. 50.

5 endi ni gileidi unsih in costunga, auh arlôsi unsih fona  
 Und nicht leite uns in Versuchung, sondern erlöse uns von  
 6 ubile.  
 Übel.

მოყვანილი ტექსტები ნათლად ავლენენ როგორც ლექსიკურ, ისე მორფოლოგიურ შესაბამისობას:

ლექსიკური პარალელიზმები:

გ უ თ უ რ ი	ძ ვ ე ლ ი	ზ ე მ ო გ ე რ მ ა ნ უ ლ ი
unsar	—	unsér
thu	—	thû
in	—	in
himinam	—	himilon
namô	—	namo
wilja	—	uuiileo
skulans	—	sculthi
ubilin	—	ubile და სხვ.

მორფოლოგიური პარალელიზმები:


გ უ თ უ რ ი	ძ ვ ე ლ ი	ზ ე მ ო გ ე რ მ ა ნ უ ლ ი
qimai	—	queme
wairthai	—	uuerdhe
gif	—	gib
uns	—	uns და სხვ.

#### დამოუკიდებელი სამუშაო

დავალებათა 1. შეავსეთ მეორე ლექციის მასალა შემდეგი ინფორმაციით!

## ინდოევროპულ ენათა ოჯახი

ინდოევროპულ ენათა ოჯახში შედის როგორც ცალკეული ენები, ისე ენათა ჯგუფები<sup>6</sup>:



ქვემოთ მოცემულია მოკლე დამატებითი ცნობები ენობრივი ჯგუფების შემადგენლობისა და ცალკეული ენების შესახებ.

1. ინდურ ენათა ჯგუფი. შედარებით-ისტორიული ენათმეცნიერებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ძველ

<sup>6</sup> როგორც ინდოევროპულ ენათა ოჯახის შედგენილობის განსაზღვრისას, ისე ცალკეული ენების ქართულ სახელწოდებათა დაზუსტებისას ვხელმძღვანელობდით ნაშრომით „ენათმეცნიერების შესავლის საკითხები“, თბ., 1972, გვ. 292—305.

ინდურს, რომელმაც ჩვენამდე ორი სახით მოაღწია. ესაა ვ ე დ ე ბ ის ენა (ძვ. წ. II ათასწლეულში შექმნილი რელიგიური ტექსტების ენა) და ს ა ნ ს კ რ ი ტ ი (ძველი ინდური კლასიკური ლიტერატურისა და მეცნიერების ენა, რომლის საფუძველზეც ძვ. წ. IV საუკუნეში შეიქმნა პანინის გრამატიკა).

თანამედროვე ენებიდან ყველაზე გავრცელებულია: ჰ ი ნ დ ი (ინდოეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ენა), უ რ დ უ (პაკისტანის რესპუბლიკის სახელმწიფო ენა), ბ ე ნ გ ა ლ უ რ ი, ფ ა ნ ჯ ა ბ ი ე ნ ა.

2. ი რ ა ნ უ ლ ე ნ ა თ ა ჯ გ უ ფ ი. უძველესი ირანული ენაა ა ვ ე ს ტ ის ე ნ ა — ძვ. წ. I—II ათასწლეულში შექმნილი ჰიმნების ენა (ევროპულ ენათმეცნიერებაში მას აღრე „ზენდ“-საც უწოდებდნენ). იგივე ტერმინი აღნიშნავს აგრეთვე საშუალ სპარსულს — ავესტის თარგმანსა და კომენტარებში შემონახულ ფალაურს (ფეჰლევს).

თანამედროვე ირანული ენებიდან დავასახელებთ ს პ ა რ ს უ ლ ს, ტ ა ჯ ი კ უ რ ს, ა ვ დ ა ნ უ რ ს, ქ უ რ თ უ ლ ს ა და ო ს უ რ ს.

3. ს ლ ა ვ უ რ ე ნ ა თ ა ჯ გ უ ფ ი. გადაშენებული ენებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ძველი საეკლესიო ს ლ ა ვ უ რ ი — საერთო სლავური სალიტერატურო ენა, რომელზედაც ითარგმნა (IX—XI სს.) და რომლის მეშვეობითაც გავრცელდა ქრისტიანული ლიტერატურა. მისთვის შეიქმნა ორი ანბანი — გლაგოლიცა და კირილიცა.

თანამედროვე ენებია: რ უ ს უ ლ ი, უ კ რ ა ი ნ უ ლ ი, ბ ე ლ ო რ უ ს უ ლ ი, ბ უ ლ გ ა რ უ ლ ი, ჩ ე ხ უ რ ი, ს ლ ო ვ ა კ უ რ ი, პ ო ლ ო ნ უ რ ი, ს ე რ ბ უ ლ-ხ ო რ ვ ა ტ უ ლ ი და სხვ.

4. ბ ა ლ ტ ი კ უ რ ე ნ ა თ ა ჯ გ უ ფ ი. ეს ჯგუფი აერთიანებს ორ თანამედროვე ენას — ლ ი ტ ვ უ რ ს ა და ლ ა ტ ვ ი უ რ ს — და ერთ გადაშენებულს — ძველ პ რ უ ს ი უ ლ ს. სამივე ენაზე პირველი წერილობითი ძეგლები (ლათინური ანბანით) თარიღდება XIV საუკუნით.

5. გ ე რ მ ა ნ ი კ უ ლ ე ნ ა თ ა ჯ გ უ ფ ი (იხ. სალექციო მასალა).

6. ი ტ ა ლ ი კ უ რ ე ნ ა თ ა ჯ გ უ ფ ი. იტალიკური ენები ეწოდება აპენინის ნახევარკუნძულის ძველ ენებს. მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ლ ა თ ი ნ უ რ ი. იგი ძველი რომის სახელმწიფო და სალიტერატურო ენაა. წერილობითი ძეგლები — ძვ. წ. VI საუკუნიდან. მნიშვნელოვანი განსხვავებანი კლასიკურ ლათინურსა და რომის პროვინციებში გავრცელებულ დიალექტებს შორის შეინიშნებოდა ჯერ კიდევ ძვ. წ. I ათასწლეულში. დიალექტთა ამ ერთობლიო-

ბას ხალხური (ველგარული) ლათინური ეწოდება. იგი საფუძვლად დაედო თანამედროვე რომანულ ენებს. ეს ენებია: ფრანგული, იტალიური, ესპანური, პორტუგალიური, კატალანური რუმინული, მოლდავიური, რეტორომანული და სხვ.

7. კელტურ ენათა ჯგუფი აერთიანებს ირლანდიურს, შოტლანდიურს, ბრეტონულსა და უელსურს.

8. ბერძნული ენა. განასხვავებენ: 1) ძველ ბერძნულს — ერთ-ერთ უძველეს სამწერლო ენას (წერილობითი ძეგლები — ძვ. წ. XV საუკუნიდან), ე. წ. კლასიკურ ბერძნულს; 2) კლასიკური პერიოდის შემდგომ ხანაში (ელინურ სამყაროში) გავრცელებულ საერთო ბერძნულ სამწერლო ენას — ე. წ. „კოინე“-ს (ძვ. წ. III ს. — ახ. წ. IV ს.); 3) საშუალ ბერძნულს ანუ ბიზანტიურს — ბიზანტიის იმპერიის სახელმწიფო და სალიტერატურო ენას (IV—XIV სს); 4) ახალ ბერძნულს — საბერძნეთის სახელმწიფო და სალიტერატურო ენას დაახლოებით XIV საუკუნიდან დღემდე, რომელიც „კოინე“-ს საფუძველზე განვითარდა.

9. ალბანური ენა ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ენაა (წერილობითი ძეგლები — XV—XVII საუკუნიდან).

10. სომხური ენა სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო სალიტერატურო ენაა. დამწერლობა თავისი სპეციფიკური ანბანით აქვს ახ. წ. V საუკუნიდან.

11. ანატოლიურ ენათა ჯგუფი. ამ ჯგუფის ყველაზე მნიშვნელოვანი ენაა ხეთური. ხეთების სახელმწიფო არსებობდა მცირე აზიაში ძვ. წ. XIX—XII საუკუნეებში. ხეთური ენა მეცნიერებამ გაიცნო ჩვენი საუკუნის დამდეგს, როდესაც თურქეთის ტერიტორიაზე (თანამედროვე ბოლასქოი, ქ. ანკარის მახლობლად) აღმოაჩინეს სოლისებრი (ლურსმული) დამწერლობით შესრულებული წარწერები თიხის ფირფიტებზე. მეცნიერებმა უდიდესი შრომის შედეგად ამოიკითხეს ეს წარწერები და მიიჩნიეს ხეთური ერთ-ერთ ყველაზე უფრო არქაულ ინდოევროპულ ენად.

ამავე ჯგუფში შედის რამდენიმე ძველი ენა: ლუვიური, პალაური, ლიდიური და ლიკიური.

12. ტოქარული ენა ცნობილი გახდა აგრეთვე ჩვენი საუკუნის დამდეგს. იგი გავრცელებული იყო აღმოსავლეთ თურქმენეთის ტერიტორიაზე. ტოქარული ქმნის ინდოევროპული ენობრივი არეალის

უკიდურეს სამხრეთ ზღვარს. წერილობითი ძეგლები განეკუთვნება V—VII საუკუნებს. ტექსტების უმრავლესობა თარგმნილია სანსკრიტიდან, გვხვდება აგრეთვე ორიგინალური ტექსტებიც.

### გერმანიკული ტომები

ძველი გერმანიკული ენებისა და მათი კლასიფიკაციის საკითხი შეიძროდა დაკავშირებული გერმანიკული ტომების ისტორიისა და კლასიფიკაციის საკითხთან.

გერმანიკული ტომების სისტემატიზაციის პირველ ცდას ვხვდებით რომელ ისტორიკოს პლინიუს უფროსთან (23—79 წწ.). მან მრავალრიცხოვანი გერმანიკული ტომები დაყო ექვს ჯგუფად. შემდგომში ფ. ენგელსმა მცირეოდენი შესწორებები შეიტანა პლინიუსის კლასიფიკაციაში (ექვსი ჯგუფი ხუთზე დაიყვანა), რის შემდეგაც გერმანიკული ტომები ასე ჯგუფდება:

ვინდილები — ბურგუნდიელები, გუთები და სხვ., რომლებიც გერმანიკული ტომებით დასახლებული ტერიტორიის აღმოსავლეთით ცხოვრობდნენ;

ინგვეონები (ინგვეონები) — ტევტონები, ფრიზები, საქსები და სხვ., რომლებსაც ეკავათ გერმანიკული ტერიტორიის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი, ჩრდილოეთის ზღვის სანაპირო და იუტლანდიის ნახევარკუნძული;

ისტევეონები (ისტევეონები, ისკევეონები) — ფრანკული ტომები, რომლებიც რაინის გასწვრივ სახლობდნენ;

ჰერმინონები — ალემანები, ბავარიელები, ლანგობარდები და სხვ., რომლებსაც სამხრეთ-გერმანიკული მიწები ეკავათ;

ჰილევინონები — სკანდინავური ტომები.

ძველი გერმანიკული ენების კლასიფიკაცია შემუშავდა მრავალი საუკუნის შემდეგ წერილობითი ძეგლების შესწავლის საფუძველზე. თუ ამ ორ კლასიფიკაციას — ეთნიკურსა (პლინიუსი/ენგელსი) და ენობრივს — ერთმანეთს შევუდარებთ, დავინახავთ, რომ ისინი სრულ შესაბამისობაშია: ვინდილები ლაპარაკობდნენ აღმოსავლეთ-გერმანიკულ ენებზე, ინგვეონები, ისტევეონები და ჰერმინონები — დასავლეთ-გერმანიკულ ენებზე, ხოლო ჰილევინონები — ჩრდილო-გერმანიკულ ენებზე.



## რუნული ანბანი

გერმანიკული ტომების დამწერლობის უძველესი ძეგლები (III—VIII სს.) შესრულებულია რუნული (რუნიკული) ანბანით. ამ ანბანის წარმოშობაზე აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ერთი კი ცხადია: რუნული ნიშნები იმდენად ჩამოჰგავს ლათინურ და ბერძნულ ასოებს, რომ ეს ანბანი გერმანიკულ ტომებს ხმელთაშუა ზღვის რაიონის რომელიმე კულტურული ხალხისგან უნდა გადმოეღოთ. რუნული ანბანი 24 ასოგან შედგებოდა. პირველი ექვსი ნიშნის მიხედვით მას „ფუთარქი“ (futhorc) ეწოდა:

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24
ᚠ	ᚢ	ᚦ	ᚨ	ᚱ	ᚷ	ᚹ	ᚻ	ᚾ	ᚿ	ᚰ	ᚳ	ᚴ	ᚷ	ᚸ	ᚹ	ᚻ	ᚾ	ᚿ	ᚰ	ᚳ	ᚴ	ᚷ	ᚸ
f	u	þ	a	r	k	g	w	h	i	j	e	p	ð	z	t	b	e	m	l	n	g	d	o

რუნულ ანბანს გერმანიკული ტომები ხმარობდნენ მოკლე წარწერებისათვის: იარაღზე, ხის საგნებზე, საფლავის ქვებზე და ა. შ. რაკი ხის საგნებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია, არც რუნული წარწერები მოგვეპოვება დიდი რაოდენობით. ამასთან გერმანიკული ტომებით დასახლებულ ტერიტორიაზე ისინი არათანაბრად გვხვდება: გერმანიასა და ინგლისში ნაკლები, სკანდინავიის ქვეყნებში — შედარებით მეტი. წარწერები ძირითადად ცალკეული სიტყვებია (მეტწილად საკუთარი სახელები). ზოგჯერ საგანზე გამოსახულია მთელი ანბანი. სწორედ რუნული ანბანით არის შესრულებული ერთ-ერთი უძველესი წარწერა (420 წ.), რომელსაც ზოგი მკვლევარი (მაგალითად, პ. ფონ პოლენცი) „საერთოგერმანიკულს“ მიაკუთვნებს:

MC HMPEFXEFTY HXFTICZ Y HXRIF TFPIMZ  
*ak hlewagastiR holtungaR horna tawido*

„Ich, Hlewagast aus dem Geschlecht des Holt [aus dem Ort Holt?] machte das Horn“.

რუნებს ძველი გერმანიკული ტომები მაგიურ ძალას მიაწერდნენ და მათ საკრალური მიზნებისათვის იყენებდნენ. თვით სიტყვა „რუნა“-ც (გუთური „rūna“) „საიდუმლოს“ ნიშნავდა. იგი შემორჩა გერმანულ სიტყვაში „raunen“ — „საიდუმლოდ ჩურჩული“. განსაკუთრებით გავრცელებული იყო რუნებზე მკითხაობა: ხის ჯოხებს, რომლებზეც რუნული ნიშნები იყო ამოჭრილი, ქსოვილზე დალაგებდნენ; ქურუმი სათითაოდ იღებდა ჯოხებს და წინასწარმეტყველებდა. რუნების ცოდნა ქურუმთა პროფესიული საიდუმლოება იყო და თაობიდან თაობას გადაეცემოდა. მკითხაობის რიტუალს უკავშირებენ აგრეთვე სიტყვას „Buchstabe“. როგორც ჩანს, იგი თავდაპირველად აღნიშნავდა წიფლის ჯოხს, რომელზეც რუნული ნიშანი იყო ამოჭრილი. სიტყვა „lesen“ („კითხვა“) კი იხმარებოდა თავდაპირველი მნიშვნელობით — „მოკრეფა“, „ამოკრეფა“.

გაქრისტიანების პროცესში გერმანიკული ტომები გაეცნენ ბერძნულ და ლათინურ ანბანს, რომელმაც XI საუკუნის დასაწყისისთვის მთლიანად განდევნა რუნული დამწერლობა. შედარებით მეტხანს შემორჩა იგი ლათინურის გვერდით სკანდინავიის ქვეყნებში (შვედეთში, მაგალითად, რუნებით XVI—XVII საუკუნეებამდე სარგებლობდნენ).

დავალება 2. ქვემოთ ჩამოთვლილია მსოფლიოს რამდენიმე ენა. თქვენი ამოცანაა, გაანაწილოთ ეს ენები ტაბულის ცარიელ უჯრეტში მათი გერმანულთან ნათესაური სიახლოვის მიხედვით:

	ენები, რომლებსაც გერმანულთან უახლოესი ნათესაობა აკავშირებთ	ენები, რომლებსაც გერმანულთან ახლო ნათესაობა აკავშირებთ	ენები, რომლებსაც გერმანულთან შედარებით შორეული ნათესაობა აკავშირებთ	არამონათესავე ენები
გერმანული				

შვედური; ლათინური; ქართული; სანსკრიტი; ჰოლანდიური; რუსული; გუთური; ინგლისური; ბერძნული; დანიური; ფრანგული; ირლანდიური; ებრაული; ისლანდიური; სომხური.

დავალება 3. ქვემოთ მოცემულია ნაწყვეტი სახარებიდან (ლუკა, 2, 4—6) ძველ და ახალ გერმანიკულ ენებზე<sup>1</sup>. შეადარეთ ეს ნიმუშები ერთმანეთს და დაადგინეთ ლექსიკური პარალელიზმები, რომლებიც ავლენენ გერმანიკული ენების ნათესაობას:

1. Gotisch (um 350):

Urrann þan jah Iosef us Galeilaia, us baurg Nɛzaraip, in Iudaiān, in baurg Daweidis sei haitada Beplahaim, duþe ei was us garda jadreinaiš Daweidis, anameljan miþ Mariin sei in fragiftim was imma qeins, wisandein inkilþon, warþ þan, miþþanei þo wesun ja'inar, usfullnodedun dagos du bairan izai.

2. Althochdeutsch (um 830):

Fuor thō Ioseph son Galileu son thero burgi thiu hiez Nazareth in Iudeno lant inti in Dauides burg, thiu uuas ginemnit Behtleem, bithiu uuanta her uuas son huse inti son hiiuiske Dauides, thazher giiahi saman mit Mariun imo gimahallero gimahhun sō scaffaneru. Thō sie thar uuarun, vvurđun taga gifulte, thaz siu bari.

3. Neuhochdeutsch (1963):

So zog auch Josef von der Stadt Nazaret in Galiläa hinauf nach Judäa in die Stadt Davids, die Betlehem heißt; denn er war aus dem Haus und Geschlecht Davids. Er wollte sich eintragen lassen mit Maria, seiner Verlobten, die ein Kind erwartete. Als sie dort waren, kam für Maria die Zeit ihrer Niederkunft.

4. Niederländisch (1968):

Ook Jozef trok op van Galilea, uit de stad Nɛzaret, naar Judea, naar de stad van David, die Betlehem heet, omdat hij uit het huis en het geslacht van David was, om zich te laten inschrijven met Maria, zijn ondertrouwde vrouw, welke zwanger was. En het geschiedde, toen zij daar waren, dat de dagen vervult werden, dat zij baren zou.

5. Afrikaans (1967):

En Josef het ook opgegaan van Galilea, uit die stad Nasaret, na Judea, na die stad van David, wat Betlehem genoem word,

---

<sup>1</sup> ნიმუშები აღებულია წიგნიდან: Paul von Polenz. Geschichte der deutschen Sprache. Berlin—New York, 1978.

omdat hy uit die huis en geslag van Dawid was, on hom te taat in-krywe saam met Maria, die vrou aan wie hy hom verloof het, wat swanger was. En terwyl hulle daar was, is die dae vervul dat sy moes baar.

#### 6. Englisch (1816):

And Joseph also went up from Galilee, out of the city of Nazareth, into Judea, unto the city of David, which is called Bethlehem, (because he was of the house and lineage of David). To be taxed with Mary his espoused wife, being great with child. And so it was, that, while they were there, the days were accomplished that she could be delivered.

დავალება 4. შეავსეთ შემდეგი ინფორმაციით საპროგრამო თემა „გერმანიკული ენები და მათი ზოგადი დახასიათება“!

#### გერმანიკული ენების საერთო ტიპოლოგიური ნიშნები

როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, გერმანიკული ენები ინდო-ევროპული ფუძე-ენის ერთ-ერთი დიალექტური ჯგუფიდან განვითარდა. ამიტომ ბუნებრივია, რომ გერმანიკული ენების ფონოლოგიურ სისტემაში, გრამატიკულ წყობასა და ლექსიკაში ბევრი მოვლენა ინდოევროპულიდან გადმოვიდა. ამასთან ბუნებრივია ისიც, რომ მრავალი სტრუქტურული ნიშან-თვისება თვით გერმანიკულ ნიადაგზე განვითარდა. ქვემოთ ვილაპარაკებთ მხოლოდ იმ მოვლენებზე, რომლებიც გერმანიკული ენების უმნიშვნელოვანეს ტიპოლოგიურ მახასიათებლად ითვლება.

1. მახვილი. მახვილი ინდოევროპულში ორი თავისებურებით გამოირჩეოდა:

ა) მას ახასიათებდა ხმის (ტონის) აწვევა ერთ-ერთ მარცვალზე (ასეთ მახვილს ტონური ანუ მუსიკალური ეწოდება);

ბ) იგი იყო თავისუფალი (მოძრავი) — ნებისმიერი მარცვალი შეიძლება მახვილიანი ყოფილიყო:

ბერძნული: τόμος („წილი“) — tomós („მკრელი“).

როგორც მეცნიერები ასკვნიან, თავდაპირველად გერმანიკულსაც მოძრავი მახვილი ჰქონია. შემდეგ კი მოხდა მისი ფიქსირება პირველ (ძირულ) მარცვალზე. ამასთან ტონური მახვილი შეიცვალა დინამიკურით ანუ ექსპირატორულით.

ძლიერი დინამიკური მახვილის ფიქსირება პირველ (ძირულ) მარცვალზე გერმანიკულის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თავისებურებად ითვლება. ეს თავისებურება დაკავშირებულია, თავის მხრივ, ორ მნიშვნელოვან მოვლენასთან. პირველია ბოლოკიდური ხმოვნების შესუსტება, ხოლო მეორე — ალიტერაცია.

1) მახვილის ფიქსირებას, როგორც ვთქვით, ძირული მარცვლის აქცენტირება მოჰყვა. ჰაერნაკადის ძირითადი ძალაც სწორედ ამ მარცვლის წარმოთქმაზე იხარჯებოდა, ხოლო უმახვილო მარცვლებში ბგერის არტიკულაცია საგრძნობლად სუსტდებოდა, რასაც შედეგად მოჰყვა უმახვილო ბოლოკიდური ხმოვნების სრული ან ნაწილობრივი რედუქცია (შესუსტება). ამ ფონეტიკურ პროცესს ზოგ შემთხვევებში თან სდევდა აგრეთვე თანხმოვნების ცვლილებებიც:

ლათ. hostis	გუთ. gasts
iugum	juk
ბერძნ. oida	wait

რედუქციის ტენდენცია გერმანიკული ენების განვითარების შემდგომ ეტაპებზეც გამოვლინდა.

2) ალიტერაცია (Alliteration, Stabreim) ეწოდება ფუძისეული მარცვლის საწყისი ბგერების (თანხმოვნების) ერთნაირ ქლერადობას. იგი სიტყვის პირველი მარცვლის აქცენტირების უშუალო შედეგია. სწორედ ამით აიხსნება ალიტერაციის ფართო გავრცელება სწორედ გერმანიკულ ენებში. გერმანულში, მაგალითად, იგი გვხვდება არა მარტო პოეზიაში. არამედ პროზაში, შესიტყვებებსა და საკუთარსახელებში:

„Hiltibrant enti Hadubrant untar herium tuêm“ („სიმღერა პილდებრანდზე“)

(Hildebrand und Hadubrand zwischen Heeren zweien).

„Weh, weh Windchen“ (ხალხური პოეზიიდან).

„Lieber Jäger, laß mich leben“ (ძმები გრიშები).

„Es treibt der Wind in Winterwalde  
die Flockenherde wie ein Hirt“ (რ. მ. რილკე).

„Riechst du das Graublau der verführenden Nacht, das alkoholige, sternentaube, das die verdorbenen der Marseiller Mädchen zu Madonnen macht, wenn es sich unter ihren Lidern, in ihren Locken und auf ihren Lippen verfängt?“ (ე. ბორჰერტი).

Gibicho—Gunther—Gernot—Giselher (ეპოსის „სიმღერა ნიბელუნგებზე“ გმირების სახელები).

Mann und Maus; Haus und Hof; Feuer und Flamme; drauf und dran და სხვ.

2. თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ თ ა ს ი ს ტ ე მ ა . გერმანიკულმა თანხმოვანთა სისტემამ ინდოევროპულთან შედარებით მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. ამ ცვლილებათა ტრადიციული და უახლესი ინტერპრეტაცია („გრიმის კანონი“ და თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის „გლოტალური თეორია“) წინამდებარე სახელმძღვანელოს პირველი ნაწილის მეორე თემის შინაარსს შეადგენს (იხ. გვ. 79—86, 88—93).

3. ს ი ტ ყ ვ ი ს მ ო რ ფ ო ლ ო გ ი უ რ ი ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა . უმ. მნიშვნელოვანესი ტენდენცია, რომელმაც გერმანიკული ენების მორფოლოგიურ სისტემაში იჩინა თავი, იყო სიტყვის სტრუქტურის ფუნდამენტური მოდიფიკაცია: ინდოევროპული სამმორფემიანი სტრუქტურა (ძირი + ფუძესაწარმოებელი სუფიქსი + დაბოლოება) გერმანიკულში ორმორფემიანით (ფუძე + დაბოლოება) შეიცვალა. ამასთან უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ძველ გერმანიკულ ენებში ეს პროცესი სანახევროდაა განხორციელებული: ორმორფემიანი სტრუქტურის გვერდით, სადაც დაკარგულია ფუძესაწარმოებელი სუფიქსი, გვხვდება სამმორფემიანი ფორმებიც ანუ ფორმები, რომლებშიც ფუძესაწარმოებელი სუფიქსის გამოყოფა კიდევ შესაძლებელია. ამასთან ზმნის სისტემაში ძველი ფორმები უფრო სრულადაა შემონახული, ვიდრე არსებითი სახელის მორფოლოგიურ პარადიგმებში:

შდრ.:

ლათ.: am-ā-re (lieben)  
 გუთ.: salb-ō-m (wir salben)  
 ძვგ.: salb-ō-m (ich salbe)

ბერძ.: lŷk-o-s (Wolf);  
 გუთ.: gib-ō-m (den Gaben),  
 ძვგ.: geb-ō-m (den Gaben).

მაგრამ:

გუთ.  
 wáurd („Wort“)

ძვგ.  
 wort [„Wort“)

მრ. რ. N. wáurd-a  
 G. wáurd-ē  
 D. wáurd-a-m  
 A. wáurd-a

wort  
 wort-o  
 wort-um  
 wort

ფუძესაწარმოებელი სუფიქსი გერმანიკულში სამგვარ ცვალებადობას განიცდის: ერწყმის დაბოლოებას, ერწყმის ფუძეს ან თვით იქცევა დაბოლოებად. ამ პროცესების შედეგად მიღებულ ორმორფემიან სტრუქტურაში გამოიყოფა ფუძე (რომელიც უმრავლეს შემთხვევაში ძირს ემთხვევა), როგორც ლექსიკური მნიშვნელობის მატარებელი და დაბოლოება, როგორც გრამატიკული მნიშვნელობის მაჩვენებელი.

შემდგომში აღნიშნული ტენდენცია გაღრმავდა. ეს თვალნათლივ ჩანს გერმანული ენის მაგალითზე, სადაც თანდათანობით მთლიანად გაქრა სიტყვაფორმის სამმორფემიანი სტრუქტურის გაღმონაშთები:

შღრ.:

ძზგ.:	თან. გერმ.
geb-ბ-m	den Gab-en
dank-ბ-n	dank-en
gib-i-t	gib-t

4. ზ მ ნ ი ს უ ლ ლ ე ბ ა. ზმნის მორფოლოგიურ პარადიგმაში, ინდოევროპულთან შედარებით, ორი უმნიშვნელოვანესი მოვლენა მოხდა. ესაა აბლაუტის ფორმასაწარმოებელი პოტენციალის სრული გამოვლენა და სუსტი უღლების ჩამოყალიბება.

აბლაუტი გერმანიკულში ინდოევროპულიდან გაღმოვიდა. მაგრამ ინდოევროპული აბლაუტის ცალკეულმა მოვლენებმა გერმანიკულში შემდგომი ფორმალიზაცია და სისტემატიზაცია განიცადა. ეს უპირველესად ზმნის მორფოლოგიას ეხება: ზმნები, რომლებიც ფორმებს ფუძისეული ხმოვნის მონაცვლეობით აწარმოებდნენ (ე. წ. „ძლიერი ზმნები“), გერმანიკულში მწყობრ სისტემად ჩამოყალიბდნენ. მაგალითად:

	Inf.	Prät. S.	Prät. Pl	Part. II
გუთ.:	faran	för	förum	farans
ძვ. ინგლ.:	faran	för	föron	faren
ძზგ.:	faran	fuor	fuorum	gifaran
ძვ. ისლ.:	fara	för	förum	farinn

აბლაუტთან კავშირში უნდა შევეხოთ კიდევ ერთ მორფოლოგიურ საშუალებას — რედუპლიკაციას. რედუპლიკაცია ანუ ძირეული მორფემის საწყისი თანხმოვნის გაორმაგება მორფოლოგიური ფორმების

წარმოებისას დამახასიათებელი იყო ინდოევროპულისათვის, იგი უმთავრესად აბლაუტთან ურთიერთკავშირში მოქმედებდა: ბერძ. *leipo* (*ich lasse*)—*léloipa* (*Perf.*); *dérkomai* (*ich sehe*)—*dédorka* (*Perf.*). იგივე ვითარება გვაქვს წინარევერმანიკულშიც, რასაც უპირატესად გუთური ძეგლები ადასტურებენ: *haita* (*ich heisse*)—*haihait* (*ich hieß*); *slépa* (*ich schlafe*)—*saislêp* (*ich schlief*); *lêta* (*ich lasse*)—*lailôt* (*ich ließ*). თუმცა ეს მოვლენა შემდგომში აღარ განვითარებულა, მაგრამ მან თავისი გავლენა იქონია ძლიერი ზმნების აბლაუტის რიგების ჩამოყალიბებაზე. კერძოდ, მე-7 რიგი სწორედ იმ ზმნებისაგან შედგება, რომლებიც ისტორიულად რედუპლიკაციურებს განეკუთვნება.

გერმანიკული ზმნური სისტემის შემდგომი უმნიშვნელოვანესი ნიშანია ე. წ. „სუსტი ზმნების“ წარმოშობა. ამ ბორფოლოგიური კლასის ზმნები ძირითადად ნაწარმოებია სახელებისა და სხვა ზმნებისაგან. მათი დამახასიათებელი ნიშანია დენტალური სუფიქსი *d/t* პრეტერიტუმში:

გუთ.: <i>haban-habaida-habaiþs</i> ;	<i>fiskôn-fiskōda-þiskops</i> ;
ძვგ.: <i>habên-habêta-gihabêt</i> ;	<i>dankôn-dankôta-gidankôt</i> .

ამ სუფიქსის ეტიმოლოგია ბოლომდე გარკვეული არ არის.


ძლიერი ზმნებისაგან განსხვავებით, სუსტი ზმნების კლასი თავიდანვე პროდუქტიულობით გამოირჩეოდა.

5. სა ხ ე ლ ის ბ რ უ ნ ე ბ ა. ძველ გერმანიკულ ენებში სახელს სამი ბორფოლოგიური კატეგორია — სქესი, რიცხვი და ბრუნება — განსაზღვრავდა. ამასთან რიცხვს საკუთარი ნიშანი/არ ჰქონია — რიცხვისა და ბრუნების გრამატიკულ მნიშვნელობებს ბრუნვის ფლექსია აერთიანებდა. (მაგალითად, სიტყვაში „*waúrda*“—„*die Worte*“ „*a*“ ერთსა და იმავე დროს გამოხატავს ბრუნვასაც და რიცხვსაც).

არსებით სახელებს სამი გრამატიკული სქესი ჰქონდა: მამრობითი, მდედრობითი, საშუალო. რაც შეეხება ბრუნების ტიპებს, ძველ გერმანიკულში ჭერ კიდევ ძალაშია ინდოევროპულის ნიშანდობლივი პრინციპი: პარადიგმების დიფერენციაცია ფუძეების (ფუძესაწარმოებელი სუფიქსების) მიხედვით. ფუძესაწარმოებელი სუფიქსები ინდოევროპული ფორმაწარმოების უმნიშვნელოვანესი მახასიათებლებია. ისინი



წარმოადგენენ მორფოლოგიურ ელემენტებს, რომლებიც აფორმებენ არსებითი სახელის ფუძეს:



იმ ელემენტის მიხედვით, რომელზეც ბოლოვდებოდა ფუძე, ინდოევროპულში განასხვავებენ ხმოვან და თანხმოვან ფუძეებს.

ძველ გერმანიკულში, როგორც ვთქვით, ეს პრინციპი ჯერ კიდევ „მუშაობს“, თუმცა ფუძის რაგვარობის დადგენა ბევრ შემთხვევაში მხოლოდ რეკონსტრუქციის მეთოდითაა შესაძლებელი. აშკარაა, რომ ფუძეთა სისტემა გერმანიკულში დაშლის სტადიაშია. და აი სწორედ ამ პერიოდში იწყებს გამოკვეთას გერმანიკული ენების უმნიშვნელოვანესი ტენდენცია — ბრუნების კლასების გაერთიანება სქესის მიხედვით. ამ ტენდენციის გაღრმავებას შემდგომში არსებითი სახელის ბრუნების სისტემის სრული რეორგანიზაცია მოჰყვა.

მნიშვნელოვან სიახლეს ინდოევროპულთან შედარებით წარმოადგენს აგრეთვე ზედსართავი სახელის ბრუნების დიფერენციაცია გერმანიკულ ენებში. ინდოევროპულში ზედსართავ სახელს თავდაპირველად არ ჰქონია არსებითი სახელისაგან განსხვავებული ბრუნების ტიპი: ეს ორი მეტყველების ნაწილი სახელის ერთიან კატეგორიას შეადგენდა და ზედსართავის ფუძეები ემთხვეოდა არსებითი სახელის ფუძეებს. ამიტომ ბრუნების პარადიგმაც მათ საერთო ჰქონდათ. გერმანიკულში შენარჩუნდა ბრუნების აღნიშნული ტიპი, რომელსაც შემდგომში „ძლიერი ბრუნება“ ეწოდა, მაგრამ ჩამოყალიბდა პარალელურად ე. წ. „სუსტი ბრუნება“ — უმნიშვნელოვანესი გერმანიკული ინოვაცია. სუსტი ბრუნების პარადიგმა შეიქმნა ი-ფუძიანი სახელების პარადიგმის სრული ანალოგიით.

სუსტი ბრუნების გაჩენას მეცნიერები უკავშირებენ ი-ფუძიანი ზედსართავი სახელების სემანტიკას. ეს სახელები ჩვეულებრივ აღნიშნავდნენ მყარ ნიშან-თვისებას და ამიტომ გამოდიოდნენ განკერძო-

ების როლში: ძვ. ისლ.: „Sigurdr ungi“ — „სიგურდ ჰაბუი“. ხშირად მათ სემანტიკას აძლიერებდა ჩვენებითი ნაცვალსახელი: ძვ.გ.: „Ludewig der snello“ (სიტყვასიტყვით: „ლუდვიგ იგი მამაცი“). ნაცვალსახელის წყალობით ამ მოვლენამ პრეპოზიციური გადაინაცვლა: ძვ.გ. „der mahtigo khuninc“ (სიტყვასიტყვით: იგი მძლავრი მეფე). ამრიგად ძველ გერმანიკულში გამოიკვეთა ზედსართავი სახელის „სუსტი“ ფორმები, რომლებიც დაუპირისპირდა „ძლიერ“ ფორმებს განსაზღვრულობის ნიშნის მიხედვით.

ზედსართავი სახელების დიდ უმრავლესობას ჰქონდა როგორც სუსტი, ისე ძლიერი პარადიგმა. ორივე პარადიგმა ჰქონდა აგრეთვე მიმღეობა II-ს. ზედსართავი სახელი ხარისხში კი თითქმის მუდამ სუსტი ბრუნებით ფორმდებოდა. მხოლოდ სუსტი ბრუნების მიხედვით იცვლებოდა რიგობითი რიცხვითი სახელი და მიმღეობა I.

6. ზ მ ნ ის ა ნ ა ლ ი ტ ი კ უ რ ი ( ა ნ ა ლ ი ზ უ რ ი ) ფ ო რ მ ე - ბ ის ს ა წ ყ ის ე ბ ი. ძველ გერმანიკულ ენებში დროის ფორმების სისტემა ორი ოპოზიციური წევრისაგან შედგებოდა. ეს იყო პრეზენსი და პრეტერიტუმი. ეს ოპოზიცია გულისხმობდა წარსულში მომხდარი ან მიმდინარე პროცესის (პრეტერიტუმი) დაპირისპირებას იმ პროცესისადმი, რომელსაც ეს ნიშანი არ ახასიათებდა (პრეზენსი). ამასთან ძველ გერმანიკულ ენებში იკვეთება — თუმცა ინტენსივობის განსხვავებული ხარისხით — ამ ორწევრიანი პარადიგმის გამდიდრების ტენდენცია ბივერბალური შესიტყვებების (დამხმარე ზმნა + სრულმნიშვნელოვანი ზმნა) ხარჯზე. ასეთი შესიტყვებები ძირითადად ორი სახის იყო.

როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, უძველეს ფაქტებს წარმოადგენენ ის შესიტყვებები, რომლებიც ავიწროვებდნენ პრეზენსის აზრობრივ სტრუქტურას, გამოხატავდნენ რა მომავლის მნიშვნელობას. მინიშნებას მომავალზე შეიცავდნენ ამ შესიტყვებებში მოქმედების დაწყების აღმნიშვნელი ზმნები და მოდალური ზმნები. ეს ორი ვარიანტი დაედო შემდგომში საფუძვლად ფუტურალური ფორმების განვითარებას ყველა გერმანიკულ ენაში: სკანდინავური ენები ორივე ვარიანტს მიმართავდნენ, გერმანულში — განვითარების სხვადასხვა ეტაპზე და ცალკეულ დიალექტებში — ეს ვარიანტები ერთმანეთს ეცილებოდა, ხოლო ინგლისურში მოდალური ზმნების ხმარება დაკანონდა.

შესიტყვებები, რომლებმაც მოგვიანებით პერფექტისა და პლუს-ქვამპერფექტის ჩამოყალიბება განაპირობა, გერმანიკულ ენებში სტრუქტურული სიახლოვით გამოირჩეოდა: მათი უცვლელი კომპონენტი იყო მიმღობა II, დამხმარე ზმნებს კი მეტი ნაირფეროვნება ახასიათებდა. ძირითადად დამხმარე ზმნების ფუნქციით გამოიყენებოდა „ყოფნა“ (ძვ. *wesan*, სკანდ. *vera* და ა. შ.) და „ქონა“ (ძვ. *habên*, სკანდ. *hafa* და ა. შ.). ამ შესიტყვებების მნიშვნელობა ქართული ეკვივალენტური ფორმებიდანაც კარგად ჩანს: „იყო მოსული“, „ჰქონდა წაკითხული“. ამ ზმნების გარდა ამავე ფუნქციით სხვა ზმნებიც გვხვდება (მაგალითად, ძველ ზემოგერმანულში ესაა *werdan* — გახდომა და *eigan* — ფლობა).

ძველ გერმანიკულ პერიოდში ეს შესიტყვებები წარმოადგენდნენ სინტაქსურ ერთეულებს, რომლებიც გარკვეული ხარისხით შეიცავდნენ დროის სემანტიკას. მათ ამ პერიოდისათვის, ცხადია, გრამატიკულ ფორმებად ვერ მივიჩნევთ. მაგრამ ეს არ ამცირებს მათ მნიშვნელობას გერმანიკული ენების შემდგომი განვითარების თვალსაზრისით. საქმე ის არის, რომ სწორედ ამ ფორმებმა მისცა დასაბამი გერმანიკული ენების ერთ-ერთ უმთავრეს ტენდენციას: გრამატიკული მნიშვნელობის სინთეზური წესიდან (გრამატიკული მნიშვნელობა გამოხატულია სინთეზურად, თუ იგი მოქცეულია ერთ სიტყვა-ფორმაში: *er sali*) ანალიზურზე გადასვლას (გრამატიკული მნიშვნელობა გამოხატულია ანალიზურად, თუ იგი დანაწევრებულია ორ ან მეტ სიტყვა-ფორმაში: *er hat gesehen*). ამ ტენდენციის გაშლა-გაღრმავებას შემდგომში მოჰყვა ზმნის ანალიზური (ანალიტიკური) ფორმების ჩამოყალიბება და მათი ჩართვა დროის პარადიგმაში, რაც თავის მხრივ გერმანიკული ენების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ტიპოლოგიური ნიშანია.

#### ი ნ დ ი ვ ი დ უ ა ლ უ რ ი დ ა ვ ა ლ ე ბ ა :

1. გერმანიკული ენობრივი ერთობლიობის ტიპოლოგიური ასპექტის უკეთ შესწავლის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ შემდეგ ნაშრომებს:

1) Введение в германскую филологию. М., 1980.

2) Сравнительная грамматика германских языков (т. I—IV), М., 1962—1966.

3) Meiß A. Основные особенности германской группы языков. М., 1952.

4) Жирмунский В. М. Введение в сравнительно-историческое изучение германских языков. М.—Л., 1964.

2. დაწვრილებითი ცნობები გერმანიკული ტომებისა და გერმანიკული ენების შესახებ შეგიძლიათ მოიძიოთ წიგნებში;

1) კოეგლერი კ. გერმანული ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1964, 1989.

2) Введение в германскую филологию. М., 1980.

### თემა მესამე

#### ს ა ლ ე ქ ც ი ო მ ა ს ა ლ ა

1. თანამედროვე გერმანული ენის არსებობის ფორმები;
2. თანამედროვე გერმანული ენის ეროვნული ვარიანტები;
3. გერმანული ენის ისტორიის ქრონოლოგიური მიჯნები.

#### დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ ი ს ა მ უ შ ა ო

1. თანამედროვე გერმანული ენის დიალექტები;
2. „Hochdeutsch“ — ტერმინის შესახებ;
3. პრაქტიკული დავალებები.

#### ს ა ლ ე ქ ც ი ო მ ა ს ა ლ ა

1. თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე გ ე რ მ ა ნ უ ლ ი ე ნ ი ს ა რ ს ე ბ ო ბ ი ს. ფ ო რ მ ე ბ ი. თანამედროვე გერმანული ენა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის (ერთიანი გერმანიის), ავსტრიისა და ლინტენშტაინის სახელმწიფო ენაა. ერთ-ერთ სახელმწიფო ენად ითვლება იგი აგრეთვე შვეიცარიასა და ლუქსემბურგში.

გერმანულ ენაზე მოლაპარაკეთა საერთო რიცხვი ას მილიონს აღწევს.

გერმანული ენა, ისევე როგორც ყოველი ენა, გარკვეული ფორმით არსებობს. ენის არსებობის ფორმები (Existenzformen) — ესაა ისტორიულად ჩამოყალიბებული, ერმთანეთისგან მეტ-ნაკლებად გასხვავებული ცალკეული სისტემები, რომლებსაც სხვადასხვა საკომუნიკაციო სტატუსი აქვთ. ენას შეიძლება ერთი არსებობის ფორმა ჰქონდეს, შეიძლება — რამდენიმე. ისტორიული განვითარების პროცესში ენის არსებობის ფორმები, როგორც წესი, იცვლება: არ-

სებობის ერთი ფორმა ენაცვლება მეორეს ან ერთი ფორმის გვერდით მეორეც მკვიდრდება.

გერმანული ენის შემთხვევაში განასხვავებენ სამ ამგვარ ფორმას: სალიტერატურო ენას (Literatursprache, Nationalsprache, Gemeinsprache, Hochsprache, Hochdeutsch, Standardsprache), ტერიტორიულ დიალექტებს (Territorialdialekte, Lokalmundarten) და სასაუბრო ენას (Umgangssprache, städtische Halbmundarten).

გერმანული ენა კონკრეტულად მუდამ ერთი რომელიმე ფორმით ვლინდება.

სალიტერატურო ენა თანამედროვე გერმანული ენის არსებობის ძირითადი და უმნიშვნელოვანესი ფორმაა. გერმანულენოვან ქვეყნებში იგი მხატვრული ლიტერატურის და კულტურის, მეცნიერების, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის, სკოლის, უმაღლესი სასწავლებლების, დაწესებულებების და სხვ. ენაა. ამგვარ პოლიფუნქციურობასთან ერთად მას ახასიათებს უმაღლესი ენობრივი სტატუსიც — იგი დიალექტებსა და სოციალურ ჯარგონებზე ზემდგომი ფორმაა. ამ გაგებით მას მაღალი საზოგადოებრივი დანიშნულება აქვს.

სალიტერატურო გერმანული ენა (როგორც წერილობითი, ისე ზეპირი) შეგნებული მოწესრიგების შედეგია. ეს არის სისტემა, რომლის კანონზომიერებებიც ახასილია ხმარების გარკვეულ (ფონეტიკურ, გრამატიკულ, სტილისტურ და ა. შ.) წესებში და კოდინფიცირებულია შესაბამის სპეციალურ საცნობარო ლიტერატურაში. ამ წესების დადგენას, მათ საყოველთაო ნორმად ქცევას წინ უძღვოდა ენათმეცნიერთა, მწერალთა, სასულიერო პირთა, საზოგადო მოღვაწეთა მრავალსაუკუნოვანი გააზრებული შრომა. ცხადია, ამ ნორმების დაცვა წერითი მეტყველებისას უფრო ადვილია (ეს ვლინდება თუნდაც იმაში, რომ წერითი მეტყველება ბევრით უფრო მეტადაა უნიფიცირებული, ვიდრე ზეპირი). ამიტომ ზოგიერთ ავტორი გამოყოფს ცალკე ე. წ. სალიტერატურო სასაუბრო ენას (literarische Umgangssprache; Alltagsliteratursprache) როგორც სალიტერატურო ენის სპეციფიკურ სახესხვაობას.

ტერიტორიული დიალექტები გერმანული ენის არსებობის უძველესი ფორმაა. დღევანდელი დიალექტები ყალიბდებოდა ისტორიულად ფეოდალურ საგრაფოთა და სათავადოთა ფარგლებში და ამიტომ მათი საზღვრები უმთავრესად იმ ხანის პოლიტიკურ საზღვრებს ემთხვევა. გერმანიის ფეოდალურმა დანაწევრებამ განაპირობა ერთი მხრივ, დიალექტების დაქუცმაცება, ხოლო მეორე მხრივ —

მათი თავისთავადობა, რაც უპირველესად მათ შორის არსებულ მნიშვნელოვან ენობრივ განსხვავებებში გამოიხატება.

ტერიტორიული დიალექტების საკომუნიკაციო ღირებულება სალიტერატურო ენასთან შედარებით ბევრად ნაკლებია: ჯერ ერთი, დიალექტი (მცირე გამონაკლისების გარდა) ენის არსებობის მხოლოდ ზეპირი ფორმაა, მეორეც — იგი მცირე (როგორც რიცხობრივად, ისე სოციალურად) ენობრივი კოლექტივების საურთიერთო საშუალებაა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მას არა აქვს სრულიადეროვნული ფუნქცია. ამასთან სალიტერატურო ენის გავლენის ზრდა და შესაბამისად დიალექტის მნიშვნელობის დაქვეითება უწყვეტი პროცესია. გერმანულენოვან ქვეყნებში ამ პროცესმა მაქსიმალურ ინტენსივობას უკანასკნელი სამი ათეული წლის მანძილზე მიიღწია. დღეს ძალზე იშვიათია ადამიანი, რომელიც მხოლოდ დიალექტზე ლაპარაკობდეს. და საერთოდაც, დიალექტებს ძირითადად სოფლის უფროსი თაობა მიმართავს, ისიც უმეტესად არაოფიციალური ზეპირი ურთიერთობისას — ოჯახში და ნაცნობ-მეგობრებთან. ამ სოციალურ-საკომუნიკაციო ფენის წარმომადგენლები დიალექტის მეშვეობით უკეთესად ამყარებენ კონტაქტს მოსახურესთან. სწორედ კონტაქტის გადვილების მიზნით დიალექტს ზოგჯერ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიც იყენებენ.

დიალექტის საკომუნიკაციო ფუნქციის შეზღუდვას, სალიტერატურო ენის გარდა, ხელი შეუწყო აგრეთვე სასაუბრო ენის — გერმანული ენის არსებობის მესამე ფორმის — გამოკვეთა-ჩამოყალიბებამ. ეს ორი ფორმა კონკურირებს ზეპირი მეტყველების, ძირითადად არაოფიციალური კომუნიკაციის, სფეროში. ამასთან უპირატესობა აშკარად სასაუბრო ენის მხარეზეა: იგი სადღეისოდ ფართოდ გავრცელებული ენობრივი ფორმაა.

სასაუბრო ენა დიალექტის დიდ გავლენას განიცდის. ჯერ ერთი, იგი ე. წ. ქალაქური ნახევარდიალექტების (städtische Halbmundarten) საფუძველზე აღმოცენდა. ქალაქური ნახევარდიალექტები კი, თავის მხრივ, იქმნებოდა დიდ ქალაქებში დიალექტების შერევა-ნიველირების გზით. მეორეც, სასაუბრო ენის ვარიანტები განსხვავდებიან ერთმანეთისგან იმის მიხედვით, თუ რომელი დიალექტის ფორმებია შესული მათში. ამჟამად განასხვავებენ სასაუბრო ენის სამ უმნიშვნელოვანეს ვარიანტს. ესაა ზემოსაქსონური (Obersächsisch), ბერლინური (Berlinisch) და მეკლენბურგული (Mecklenburgisch).

სასაუბრო ენას მიმართავენ უმთავრესად ისინი, რომლებიც თავს არიდებენ დიალექტს, რათა „უკეთესად“ ილაპარაკონ, მაგრამ სალი-

ტერატურო ენის დონეს კი ვერ აღწევენ, ურევენ რა ერთმანეთში სალიტერატურო ენისა და დიალექტის ნორმებს.

სასაუბრო ენა, რეგიონალური შეფერილობის გარდა, სოციალური დიფერენციაციითაც გამოირჩევა: მას, როგორც წესი, უკეთესად ფლობს ქალაქელი ახალგაზრდობა.

აღწერილი სამი ფორმის თანაარსებობა წარმოშობს ისეთ ხაინტყარეს სოციოლინგვისტურ მოვლენას, რომელსაც პირობითად „სამენოვნება“ შეიძლება ვუწოდოთ: ოჯახურ წრეში დიალექტი ისმის, სამუშაოზე — სასაუბრო ენა, მაღალ ოფიციალურ დონეზე ურთიერთობისას — სალიტერატურო ენა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ენობრივი კოლექტივის წევრისათვის სხვადასხვა სოციალური როლი (ოჯახის წევრის, მეგობრის, დაწესებულების ხელმძღვანელის, მასწავლებლის და ა. შ.) დაკავშირებულია ენის არსებობის სხვადასხვა ფორმის არჩევასთან. ერთი როლიდან მეორეზე გადართვას ხშირად ენის ფორმის ცვლაც მოსდევს.

ენის არსებობის ფორმათა ურთიერთზეგავლენა მათ შინაგან სტრუქტურაშიც აისახება. ასე, მაგალითად, სასაუბრო ენა ორიენტაციას იღებს სალიტერატუროზე, რათა დაიცვას ფონეტიკური და გრამატიკული ფორმების სისწორე, ამავე დროს ამდიდრებს მას ლექსიკური ერთეულებით. სწორედ ამ პროცესის შედეგად წარმოიშობა სალიტერატურო ენაში ტერიტორიული წყვილები (დუბლეტები): Junge—Bube, Treppe—Stiege, legen—kehren და მისთ.

2. თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე გ ე რ მ ა ნ უ ლ ი ე ნ ი ს ე რ ო ვ ნ უ ლ ი ვ ა რ ი ა ნ ტ ე ბ ი. გერმანულ ენას სულ ცოტა სამი ეროვნული ვარიანტი აქვს: საკუთრივ გერმანული (ე. წ. Binnendeutsch — ერთიან გერმანიაში), ავსტრიული და შვეიცარული. ვარიანტულობას განაპირობებს ის ცალკეული განსხვავებები, რომლებიც თავს იჩენს შესაბამის გერმანულენოვან ქვეყნებში სალიტერატურო ენის ხმარებისას. ეს განსხვავებები ძირითადად ლექსიკურ ფონდს ეხება, მაგრამ გვხვდება აგრეთვე წარმოთქმასა და ფორმაწარმოებაში. ავსტრიელი ამბობს:

ნაცვლად „in diesem Jahr“ — „heuer“-ს;

ნაცვლად „Januar“ — „Jänner“-ს;

ნაცვლად „der Keks“ — „das Keks“-ს;

ნაცვლად „ich habe gegessen“ — „ich bin gegessen“-ს;

„ich habe gelegen“ — „ich bin gelegen“-ს;

ნაცვლად ich habe gestanden“—„ich bin gestanden“-ს;  
ნაცვლად „wenig“ [veniç]—[venik]-ს და ა. შ.

შვეიცარიელისთვის:

„Rundspruch“ ნიშნავს „Rundfunk“-ს;  
„anläuten“—telephonisch anrufen“-ს;  
„der Achtel“—„des Achtel“-ს;  
„die Photo“—„das Photos“-ს;  
„beidseits“—„beiderseits“—ს;  
„ins Auge gehen“—„ins Auge kommen“-ს;  
„du ladest“—„du lädst“-ს და ა. შ.

ენობრივი სიტუაცია ავსტრიაში — მხედველობაში გვაქვს სალიტერატურო ენის, სასაუბრო ენისა და დიალექტების ურთიერთმიმართება — ახლოსაა საკუთრივ გერმანულ ენობრივ სიტუაციასთან. უნდა აღინიშნოს მხოლოდ ვენური სასაუბრო ენის საყოველთაო ხასიათი, მისი მკვიდრო კავშირი სალიტერატურო ენის ზეპირ ფორმასთან.

ავსტრიელები დიდი ყურადღებით ეპყრობიან ავსტრიულ ვარიანტულ თავისებურებებს. თითოეული სიტყვისა თუ ფორმის განსხვავებული ხმარება დაფიქსირებულია როგორც ავსტრიული სალიტერატურო ნორმა სპეციალურ ლექსიკოგრაფიულ ცნობარებში, ასეთია, მაგალითად, „Österreichisches Wörterbuch“, რომელიც ავსტრიაში უკვე მრავალჯერ გამოიცა. ამჟამად გამოსაცემად მზადდება სრული ავსტრიული ლექსიკონი.

რაც შეეხება შვეიცარიას, აქ გერმანულ სალიტერატურო ენას უმთავრესად სამწერლო ფუნქცია აქვს. ზეპირი ხმარება თითქმის არ სცილდება ოფიციალურ სფეროს. არაოფიციალური ურთიერთობისას იხმარება ე. წ. შვეიცარიული გერმანული („das Schwyzertütsch“— „das Schweizerdeutsch“). მას როგორც დამხმარე ენას რამდენადმე ოფიციალურ სფეროშიც მიმართავენ (სამეცნიერო დისკუსიებისას, ადმინისტრაციულ დაწესებულებებში, სკოლებში და ა. შ.).

აღსანიშნავია, რომ შვეიცარიელები დიალექტს რამდენადმე სხვაგვარად აფასებენ, ვიდრე გერმანელები. შვეიცარიაში დიალექტი არასოდეს ყოფილა გაუნათლებლობის ნიშანი. იგი აქ მუდამ ეროვნულ თვითშეგნებას უკავშირდებოდა. ეს აიხსნება უპირველესად შვეიცარიის ისტორიული პირობებით, სწრაფვით მისი თავისთავადობის და-



სამკვიდრებლად. ამდენად Schwyzertütsch შვეიცარიელების პატრიოტიზმის ერთ-ერთი გამოვლენაა. ამითვე აიხსნება ლიტერატურის, განსაკუთრებით კი პატრიოტული შინაარსის პოეზიის (Heimatlidung), არსებობა დიალექტზე. შვეიცარელ მწერლებსაც სხვადასხვა დამოკიდებულება აქვთ სალიტერატურო ენისა და დიალექტის მიმართ: ზოგი მათგანი წერს სალიტერატურო ენაზე (მათ შორის გამოჩენილი თანამედროვე მწერლები მ. ფრიში და ფ. დიურენმატი), ზოგი კი (მათ შორის ახალგაზრდებიც) დიალექტზე წერას ამჯობინებენ. დიალექტზე იქმნება უმთავრესად პიესები, სიმღერები, ლექსები, სატირული ნაწარმოებები.

ლუქსემბურგში ისტორიულად ორი სახელმწიფო ენა არსებობდა: ფრანგული და გერმანული. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მესამე სახელმწიფო ენად აღიარეს ლუქსემბურგული (das Letzeburgisch, das Letzebursch). ესაა გერმანული ენის მოზელის ფრანკულის დიალექტის საფუძველზე შექმნილი საერთო სალაპარაკო ენა, რომელზეც იწერება მხატვრული ნაწარმოებები, გამოდის გაზეთები. იგი ისწავლება საშუალო სკოლაშიც.

3. გერმანული ენის ისტორიის ქრონოლოგიური მიჯნები. ენობრივი განვითარება ნელი უწყვეტი პროცესია. ახალ ხარისხზე გადასვლა ენობრივ სინამდვილეში ნახტომისებურად არ ხდება. მეტ-ნაკლებად არსებითი სტრუქტურული ცვლილების გამოკვეთას საუკუნეები სჭირდება, და ამდენად ენის ისტორიის ცალკეული პერიოდების გამოყოფა მრავალ სიძნელესთანაა დაკავშირებული. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ენის ისტორიის პერიოდიზაციის ყოველი ცდა რამდენადმე პირობითია: შეუძლებელია გავაელოთ პერიოდებს შორის ზუსტი ქრონოლოგიური ზღვარი, რაგინდ ჰემმარიტ კრიტიკიუმსაც არ უნდა ემყარებოდეს მათი გამიჯვნა.

გერმანული ენის ისტორიის პერიოდიზაციისას იშველიებენ ჩვეულებრივ ორ ძირითად საფუძველს:

1) ენობრივი სისტემის მნიშვნელოვან გარდაქმნას, რაც საუკუნეების მანძილზე ფონეტიკური, ლექსიკური, გრამატიკული ცვლილებების დაგროვების შედეგად ხდება;

2) ენის არსებობის ფორმათა ურთიერთმიმართებას (არსებობს ენა მხოლოდ ზეპირი სახით თუ აქვს მას დამწერლობა; რა ხვედრითი წონა მოდის დიალექტებზე; გამოკვეთილია თუ არა ერთიანი ეროვნული ენა და ა. შ.).

ქვემოთ ვიძლევიტ გერმანული ენის ისტორის პერიოდიზაციის ტრადიციულ სქემას, რომელიც გამოიყუშავებულია სწორედ ამ ორი კრიტერიუმის გათვალისწინებით:

V საუკუნის მე-2 ნახევარი — 770 წ. — დამწერლობის წინა პერიოდი;

770—1050 წწ. — ძველი ზემოგერმანული (Althochdeutsch);

1050—1350 წწ. — საშუალო ზემოგერმანული (Mittelhochdeutsch);

1350—1650 წწ. — ადრეული ახალი ზემოგერმანული (Frühneuhochdeutsch);

1650 წ. — დღემდე — ახალი ზემოგერმანული (Neuhochdeutsch).

პერიოდების დასახელებათა ხმაზებას ღიდიხნის ტრადიცია აქვს. ისინი საყოველთაოდ დამკვიდრდენ სპეციალურ ლიტერატურაში, თუმცა მათი შინაგანი მოტივაცია მუდამ როდი შეესაბამება საქმის ვითარებას. ასე, მაგალითად, კონპონენტი „ზემოგერმანული“ (Hochdeutsch) მხოლოდ ტერმინ „ძველ ზემოგერმანულში“ ბოლომდე გამართლებული — აქ იგი აღნიშნავს სამხრეთგერმანიის დიალექტთა ერთობლიობას იმ პერიოდში, როდესაც ამ ერთობლიობით შემოიფარგლებოდა საკუთრივ გერმანული ენობრივი სამყარო. ამას ველარ კიტყვით საშუალ ზემოგერმანულზე: ამ პერიოდისათვის გერმანული ენობრივი გარემო მოიცავდა უკვე როგორც ზემო, ისე ქვემოგერმანულ დიალექტებს (ქვემოგერმანული განვითარდა ამ დროისათვის ძველი საქსონურისაგან, რომელიც ძველი ზემოგერმანულის ხანაში დამოუკიდებელ ენას წარმოადგენდა). რაც შეეხება ახალ ზემოგერმანულს, „ზემოგერმანული“ ამ ტერმინის შემადგენლობაში აშკარად უადგილოა, ვინაიდან საქმე ებება უკვე არა სამხრეთ გერმანიის დიალექტთა განვითარების ახალ ეტაპს, არამედ გერმანულ სალიტერატურო ენას. თვით გერმანულში აღნიშნული ტერმინოლოგიური უხერხულობა ნაწილობრივ იხსნება იმით, რომ სიტყვა „Hochdeutsch“ სალიტერატურო ენასაც აღნიშნავს და „Hochdeutsch“ ტერმინის აღქმისას ქვეცნობიერად მოქმედებს ეს მეორე მნიშვნელობაც. ამ ტერმინების ქართულად გადმოტანისას კი აღნიშნული ტერმინოლოგიური უხერხულობა უფრო ძლიერდება. ამიტომ ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მათი გადმოქართულებისას რამდენაღმე ვუღალატოთ ტრადიციას ტერმინოლოგიური სინუსტის სასარკებლოდ და ვინმართ დასახელებები:

Althochdeutsch — ძველი ზემოგერმანული;

Mittelhochdeutsch — საშუალო გერმანული;

Frühneuhochdeutsch — ადრეული ახალი გერმანული;  
Neuhochdeutsch — ახალი ანუ თანამედროვე გერმანული.

### დამოუკიდებელი სამუშაო

დავალება 1. შეაესეთ სალექციო მასალა შემდეგი ინფორმაციით:

#### თანამედროვე გერმანული ენის დიალექტები

გერმანული ენის ტერიტორიული დიალექტები ორ დიდ ჯგუფად იყოფა:

1) ქვემოგერმანული დიალექტები (Niederdeutsch, Plattdeutsch), რომლებიც გავრცელებულია გერმანიის ჩრდილოეთ (დაბლობ) ნაწილში;

2) ზემოგერმანული ანუ შუა და სამხრეთ გერმანიის მთაგორიანი მხარის დიალექტები (Hochdeutsch). ამ ჯგუფს შეადგენს შუაგერმანული (Mitteldeutsch) და საკუთრივ ზემოგერმანული (Oberdeutsch) დიალექტები.

ქვემოგერმანულისა და ზემოგერმანულის საზღვარი იწყება აახენის ჩრდილოეთით, კვეთს რაინს დიუსელდორფთან (უფრო ზუსტად — ბენრატთან), გადის მაგდებურგის სამხრეთით და მთავრდება ოდერის ფრანკფურტთან. მას „ბენრატის ხაზი“ ეწოდება. ქვემოთ მოცემულია თანამედროვე გერმანული დიალექტების რუკა. მას წინ უძღვის პირობითი ნიშნები:

☐☐☐ — ქვემოგერმანული

□□□ — შუაგერმანული

☐☐☐ — საკუთრივ ზემოგერმანული

☐☐☐ — უცხოური


☐☐☐ — სოკოლო

☐☐☐ — ჯენაუციხე ხაზი

☐☐☐ — ჰილდენბახის საზღვარი

☐☐☐ — სახელმწიფოთა საზღვარი

თანამედროვე გერმანული ენის დიალექტები



- |                             |                               |
|-----------------------------|-------------------------------|
| 1. შეკლენბურგული            | 10. თიურიზიული                |
| 2. ბრანდენბურგული           | 11. ზემოსაქსონური და მიდინური |
| 3. ჩრდილოქვემოსაქსონური     | 12. ლუზიციური                 |
| 4. ქვემოფრანკული            | 13. აღმოსავლეთფრანკული        |
| 5. ვესტფალური               | 14. სამხრეთფრანკული           |
| 6. ოსტფალური                | 15. ბავარიული                 |
| 7. რიპუარული                | 16. შვაბური                   |
| 8. მოზელის ფრანკული         | 17. ალემანური                 |
| 9. რინის ფრანკული და ჰესური |                               |

როგორც რუკიდანაც ჩანს, ქვემოგერმანული და ზემოგერმანული იყოფა რამდენიმე მსხვილ დიალექტად:

### ქვემოგერმანული დიალექტებია:

1. ქვემოფრანკული (Niederfränkisch);
2. ქვემოსაქსონური (Niedersächsisch): ვესტფალური (Westfälisch), ოსტფალური (Ostfälisch), ჩრდილო-ქვემოსაქსონური (Nordniedersächsisch);
3. ბრანდენბურგული (Märkisch-Brandenburgisch); ბრანდერბურგული, პომერანგული (Pommersch), ბერლინური (Berlinisch);
4. მეკლენბურგული (Meklenburgisch).

### შუაგერმანული დიალექტებია:

1. რაინის ფრანკული და ჰესური (Rheinfränkisch und Hessisch);
2. შუაფრანკული (Mittelfränkisch): მოზელის ფრანკული (Moselfränkisch) და რიპუარული (Ripuarisch);
3. თიურინგიული (Thüringisch);
4. ზემოსაქსონური და მაისენური (Obersächsisch und Meissnisch);
5. ლაუზიცური (Lausitzisch).

### საკუთრივე ზემოგერმანული დიალექტებია:

1. შვაბური (Schwäbisch);
2. ალემანური (Alemannisch);
3. ბავარიული (Bairisch);
4. აღმოსავლეთფრანკული (Ostfränkisch);
5. სამხრეთფრანკული (Südfränkisch).

ჩამოთვლილი დიალექტები სრული ერთიანობით არ გამოირჩევა. ასე, მაგალითად, რაინისპირა მხარეში ყოველი 40—50 კილომეტრის შემდეგ დიალექტური საზღვარი გადის. მიჯნები უფრო მცირე დიალექტებს შორის ლამის ყოველ 10—15 კილომეტრზე გვხვდება, ზოგჯერ — ორ სოფელს შუა კი. ამასთან დიალექტები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. განსაკუთრებით დიდია ეს სხვაობა ქვემო და ზემოგერმანულ დიალექტებს შორის: როდესაც ჩრდილო და სამხრეთგერმანელები თავ-თავის დიალექტებზე ლაპარაკობენ, მათ

ერთმანეთისა არ ესმით. ასევე გაუგებარია დიალექტთა დიდი ნაწილი მათთვის, ვინც მხოლოდ სალიტერატურო ენას ფლობს. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მაგალითს თ. მანის რომანიდან „ბუდენბროკები“. ამ რომანის გმირებს უხდებათ ცხოვრება როგორც ჩრდილო, ისე სამხრეთ გერმანიაში და ამდენად შეხება აქვთ როგორც ქვემოგერმანულ, ისე ზემოგერმანულ ენობრივ გარემოსთან:

ქვემოგერმანულის ნიმუშები

ზემოგერმანულის (ბავარიულის) ნიმუშები

„Krischan, freet mi nich tau veel!“ (Christian, iß nicht zu viel!).

„'n Aap is hei!“ (Ein Affe ist er!).

„Diederich Schwattkopp, dat is'n ganz passablen ollen Kier!“

„(Diederich Schwarzkopf, der ist ein ganz annehmbarer alter Ker!“).

„Tonerl, mir war's gnuu. Mehr brauchen mer nimmer. I hab'ni allweil g'schunden“ (Tony, für mich genügt es. Mehr werden wir niemals brauchen. Ich habe immer schwer gearbeitet).

„A geh, sei stad! (Ei, hör auf, sei vernünftig!)

„Wir san alle a wenig schwarz“ (Wir sind alle ein wenig angeheitert).

როდესაც ტონი, რომანის ერთ-ერთი გმირი, ჩრდილოეთ გერმანიიდან მიუნხენში გადადის საცხოვრებლად, მას თავდაპირველად უჭირს მზარეულ ქალთან ლაპარაკი: „Und wenn ich 'Frikadellen' sage, so begreift sie es nicht, denn es heisst hier 'Pflanzerl', und wenn sie 'Karliol' sagt, so findet sich wohl nicht so leicht ein Christenmensch, der darauf verfällt, dass sie Blumenkohl meint; und wenn ich sage 'Bratkartoffeln', so schreit sie so lange 'Wahs!', bis ich 'Geröhste Kartoffeln' sage, denn so heisst es hier, und mit 'Wahs' meint sie 'Wie beliebt'“.

დიალექტებზე დღეს არაერთი ავტორი წერს. დიალექტებზე იქმნება პროზაული და პოეტური ნაწარმოებები, რომლებიც განსაკუთრებით მკიდროდ უკავშირდება კუთხურ ტრადიციებს, ხალხური ზეპირსიტყვიერების ქანრებს. ნიმუშად მოვიყვანთ ლაიფციგელი მწერ-

ლის ლენე ფოიგტის (Lene Voigt, 1891—1962) სახუმარო ლექსი,  
რომელიც საქსონურ დიალექტზეა დაწერილი:

### Dr Wäcker

Ä Wäcker is ä Deifel,  
Dadriewer gibbts geen Zweifel.  
Mer schläfl so sanft un schtille,  
Da machtr ä Gebrille,  
Erschreckt äs ganze Haus,  
Un mitn Schlaf is aus.  
Mer sacktn wuterfillt  
Vom Dische, doch där brillt  
Noch uffm Boden weitr.  
Wie ä Verrickter schreitr.  
Was will er Mänsch da machen?  
Mer fährt ähmd in de Sachen.  
Dr Wäcker, där Bärärker,  
Grinst: Häh, ich bin doch  
schtärker!

### Der Wecker

Ein Wecker ist ein Teufel,  
Darüber gibt es keinen Zweifel.  
Man schläft so sanft und still,  
Da macht er ein Gebrüll,  
Erschreckt das ganze Haus,  
Und mit dem Schlaf ist es aus.  
Man wirft ihn wuterfillt  
Vom Tisch, doch er brüllt  
Noch auf dem Fußboden weiter,  
Wie ein Verrickter schreit er.  
Was will der Mensch da machen?  
Man fährt eben in die Sachen.  
Der Wecker, der Berserker,  
Grinst: He, ich bin doch  
Stärker!

## „Hochdeutsch“ — ტერმინის შესახებ

ტერმინი „Hochdeutsch“ სპეციალურ ლიტერატურაში ორი თითქმის ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობით იხმარება:

- Hochdeutsch— 1. გერმანული სალიტერატურო ენა;  
2. სამხრეთგერმანული დიალექტები.

ამგვარი ვითარება დაკავშირებულია, როგორც ჩანს, ამ კომპოზიტის შემადგენლობაში „hoch“ კომპონენტის ორგვარ გააზრებასთან: პირველ შემთხვევაში იგი აღნიშნავს „მაღალს“ მაღალი დონის გაგებით (Er spricht Hochdeutsch — იგი სალიტერატურო გერმანულზე მეტყველებს, დახვეწილ გერმანულს ლაპარაკობს), ხოლო მეორეში — „მაღალს“ მაღალი (მთაგორიანი) მხარის გაგებით. ცხადია, არ არის გამორიცხული ამ ორი მნიშვნელობის ერთმანეთში არევა. ამიტომ გარკვეული სიფრთხილე გვმართებს: ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დავუკვირდეთ კონტექსტს და გავარკვიოთ, თუ რაზეა ლაპარაკი — ნორმალისებულ სალიტერატურო ენაზე თუ დიალექტთა ერთობლიობაზე.

დავალება 2. მონახეთ დასახელებულ წინადადებებში ავსტრიულისა და შვეიცარიულისთვის დამახასიათებელი სიტყვათა ხმარების შემთხვევები და შეუდარეთ ისინი საკუთრივ გერმანულ ნორმას:

### ავსტრიული:

1. Nach einer Stunde waren wir einwaggoniert (G. Meyrink).
2. Die Züge transportierten färbig bemalte riesige Metallplatten (G. Meyrink).
3. „Wie ich vergessig bin — das Buch hab ich auf dem Tisch liegen lassen“ (St. Zweig).
4. Ich habe mich mit ihm oft beim Wein und Brettspiel unterhalten (O. Jellinek).
5. Er war mit ihnen, während die Mutter das Mittagessen richtete, spazierengegangen (H. Friedl).
6. Eine Zeitlang hat er den Alten mit seinem Grant und seiner Ärger des Kindes wegen ertragen (H. Friedl).



## შვეიცარიული:

1. Der Wächter horchte auf und sagte: „Hör! ihr ihn da drunter, den Menschenmetzger“. (J. Bosshart)
2. Morgens hat er sich einen Liter Milch gekauft. (J. Bühner)
3. Er lehrte sie Znacht kochen und Zmorgen kochen und Zmit-tag kochen (E. Y. Meyer)
4. Ich ging als ein Fremdling (A. Zollinger).
5. Innert drei Tagen haben sich die Eltern beim Lehrer schriftlich zu entschuldigen (H. Wiesner).

დავალება 3. ქვემოთ მოცემული ერთი და იმავე ტექსტის ნიმუშები (ლუკას სახარება, 2, 4—6) განეკუთვნება გერმანული ენის განკითარების სხვადასხვა პერიოდს<sup>1</sup>. შეუდარეთ ეს ნიმუშები ერთმანეთს და იმსჯელეთ, თუ რამდენად შეესაბამება შიდაენობრივი სურათი გერმანული ენის ტრადიციულ პერიოდიზაციას:

### 1. Althochdeutsch (um 830):

Fuor thō Ioseph fon Galileu fon thero burgi thiu hiez Nazareth in Iudeno Iant inti in Dauides burg, thiu uuas ginemnit Bethleem, bithiu uuanta her uuas fon huse inti fon hiuuiske Dauides, thaz her giiahi saman mit Mariun imo gimahaltero gimahhun sō scaffaneru. Thō sie thar uuarun, vvurdun taga gifulte, thaz siu bari.

### 2. Mittelhochdeutsch (1343):

Aber Jōsēph gīng ouch ūf von Galilēa von der stat Nazarēth in Judēam in di stat Dāvidis, di geheizen ist Bēthlehēm, darumme daz her was von dem hūse und von dem gesinde Dāvidis, ūf daz her vorjehe mit Marien ime vortruwit zu einer husvrowin swangir. Und geschen ist, dō si dā waren, dō sint irfullit ire tage, daz si gebēre.

### 3. Frühneuhochdeutsch (1522):

Da macht sich auff, auch Joseph von Galilea, aus der stadt Nazareth ynn das Judisch land, zur stad David, die da heyst Bethlehem.

<sup>1</sup> ნიმუშები აღებულია წიგნიდან: Paul von Polenz. Geschichte der deutschen Sprache. Berlin—New York. 1978.

darumb, das er von dem hauße vnd geschlecht David war, auff das er sich schetzen ließe mit Maria seynem vertraweten weybe, die gieng schwanger. Vnnd es begab sich, ynn dem sie daselbst waren, kam die zeyt das sie geperen sollte.

#### 4. Neuhochdeutsch (1739):

Da machte sich aber auch Joseph auf, von Galiläa, aus der stadt Nazareth, in Judäa, in die stadt Davids, die Bethlehem heisset, weil er aus dem hause und familie Davids war, auf daß er sich aufschreiben liesse mit seiner braut Maria, die empfangen hatte. Und als sie daselbst waren, kam die zeit, daß sie gebären sollte.

## პირველი ნაწილი

### ძველი ზემოგერმანული

#### თემა პირველი

#### სალექციო მასალა

1. გერმანული ენის წარმოშობის ისტორიული პირობები;
2. ძველი ზემოგერმანული დიალექტები;
3. ძველი ზემოგერმანულის უმნიშვნელოვანესი წერილობითი ძეგლები.

#### დამოუკიდებელი სამუშაო

1. ძველი ზემოგერმანული ძეგლების ნიმუშების გაცნობა (გლოზები, „სიმღერა ჰილდებრანდზე“, „ტატინი“);
2. „deutsch“ სიტყვის ეტიმოლოგია.

#### სალექციო მასალა

1. გერმანული ენის წარმოშობის ისტორიული პირობები. გერმანული ეროვნული ერთობლიობა იქმნებოდა V/VI—XI საუკუნეებში დასავლეთგერმანიკული ტომების (ფრანკების, ბავარების (ბავარიელების), ალემანების, თიურინგებისა და საქსების<sup>1</sup>) შეკავშირების საფუძველზე. ამ ტომებს შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ფრანკები, რომლებმაც 486 წელს დააარსეს მძლავრი სახელმწიფო. ათი წლის შემდეგ ფრანკთა მეფემ ხლოდვიგმა ქრისტიანობა მიიღო და რომის ეკლესიის მხარდაჭერა მოიპოვა. სა-

---

<sup>1</sup> ტომების დასახელებას ვიძლევიტ „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ მიწოდებით (იხ. ტ. 3, გვ. 101, 125).

ხელმწიფო ენად დამკვიდრდა ლათინური — კათოლიკური ლეთისმსახურების ენა.

ფრანკთა სახელმწიფოს სიძლიერემ კულმინაციას კარლოს დიდის (742—814) მეფობისას მიღწია. IX საუკუნის დასაწყისისთვის მან შემოიერთა თიურინგია, ბავარია და საქსონია. იმპერიაში შედიოდა აგრეთვე ევროპის არაერთი ქვეყნის მიწა-წყალი. მისი საზღვრები დღეისა პირინეის ნახევარკუნძულამდე და ჩრდილოეთის ზღვიდან აპენინებამდე გაფართოვდა.

ფრანკების, ალემანების, თიურინგების, ბავარებისა და საქსების გაერთიანება ერთი ქრისტიანული სახელმწიფოს ფარგლებში გერმანული ეროვნული ერთობლიობის ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანესი წინაპირობა იყო.

ფრანკთა სახელმწიფოში დაიწყო ორი ენის — გერმანულისა და ფრანგულის — განვითარება. ორივე ენა არსებობდა თავდაპირველად ზეპირი დიალექტების სახით ლათინურის გვერდით, რომელიც ფრანკთა სახელმწიფოში ენობრივ სიტუაციას განსაზღვრავდა: იგი ეკლესიისა და სახელმწიფო საქმისწარმოების ენა იყო.

გერმანული ეროვნული ერთობლიობის საბოლოო გამოკვეთას დიდად შეუწყო ხელი ფრანკთა იმპერიის დაყოფამ, რომელიც კარლოს დიდის შვილიშვილებმა განახორციელეს. ვერდენის ხელშეკრულების თანახმად (843) შეიქმნა სამი სახელმწიფო. ერთ-ერთმა მათგანმა — აღმოსავლეთ ფრანკთა სახელმწიფომ — შემდგომ გერმანიის ტერიტორიის დიდი ნაწილი შეადგინა.

გერმანელთა ეროვნულ გაერთიანებას თან სდევდა ტერიტორიული დიალექტების შეკავშირებაც. ტერიტორიული დიალექტები ამ დროისათვის ენის არსებობის ერთადერთ ფორმას წარმოადგენდა. დამწერლობის განვითარებას (გერმანული ტექსტების წერილობითი დაფიქსირება VIII საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო) ეს ვითარება არ შეუცვლია, მაგრამ მან ერთგვარი გავლენა იქონია დიალექტების სტილისტურ დიფერენციაციაცზე. უწინარეს ყოვლისა, გამოიკვეთა ე. წ. წიგნური სტილი, რომელიც უპირისპირდებოდა ყოველდღიური ურთიერთობის ენას. ამ ფაქტს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გერმანული ენის განვითარებისათვის. მეორე მხრივ, დაიწყო სასულიერო პროზის ჩამოყალიბება. გერმანული ენა თანდათან იმკვიდრებდა ადგილს ლათინურის გვერდით როგორც ეკლესიისა და სახელმწიფო მმართველობის ენა. ამ პროცესს განსაკუთრებით შეუწყო ხელი კარლოს დიდის მოღვაწეობამ. მისი განკარგულებით ითარგმნა გერმანულად რელიგიური

ტექსტები, რათა გაადვილებულიყო ხალხში ქრისტიანობის გავრცელება. მისი ბრძანება აიძულებდა ყველა ქვეშევრდომს, ზეპირად ესწავლა „მამაო ჩვენო“. მანვე შემოიღო სამონასტრო სკოლებში ღვთისმეტყველება დედაენაზე. იგი იყო ჰეროიკული შინაარსის ფოლკლორული ნაწარმოებების შეგროვების მოთავეც.

როგორც კარლოს დიდის იმპერიაში, ისე მისი დაშლის შემდეგ შექმნილ აღმოსავლეთ ფრანკთა სახელმწიფოში განსაკუთრებული ადგილი ქვეყნის პოლიტიკურ, კულტურულ და რელიგიურ ცხოვრებაში ეკავათ ფრანკებს. ამიტომ ეროვნული თვითშეგნების (და შესაბამისად — ენობრივი თვითშეგნების) საწყისები სწორედ ფრანკებს უკავშირდება. ამას მოწმობს თუნდაც ვაისენბურგის ბერის ოტფრიდის სიტყვები. მან 863—871 წლებში გალექსა სახარება სამხრეთფრანკულ დიალექტზე. წინათქმაში იგი ასაბუთებს, თუ რამ განაპირობა ნაწარმოების დაწერა „ხალხურ ენაზე“ — „theotisce“. (ამ სიტყვისგან განვითარდა შემდგომში „deutsch“). უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ოტფრიდი „theotisce“-ს და „frenkisgon“-ს (fränkisch — ფრანკული) მნიშვნელობით ერთმანეთს უთანაბრებს:

Nu es filu manno inthihit, in sina zu.igûn scribit,  
joh îlit, er gigâhe, thaz sînaz io gihâhe:

Wanana sculun Frankon einôn thaz biwankôn,  
ni sie in frenkisgon beginnen, sie gotes lob singen.

Da es viele Menschen unternehmen, in ihrer Sprache zu schreiben,  
und sich beeilen daranzugehen, das Ihrige stets zu erhöhen,  
weshalb sollen die Franken allein es entbehren,  
daß sie auf fränkisch beginnen, Gottes Lob zu singen?

2. ძველი ზემოგერმანული დიალექტები ი. ძველი ზემოგერმანული დიალექტები ტერიტორიული დიალექტებია. მათი საზღვრები ძირითადად საპერცოგოების საზღვრებს ემთხვევა.

ძველ ზემოგერმანულ დიალექტებს განეკუთვნება:

სამხრეთგერმანული დიალექტები (Oberdeutsch):

1. ბავარიული (Bairisch);
2. ალემანური (Alemannisch);
3. სამხრეთფრანკული (Südfränkisch);
4. აღმოსავლეთფრანკული (Ostfränkisch).

შუაგერმანული დიალექტები (Mitteldeutsch):

1. რაინის ფრანკული (Rheinfränkisch);
2. შუაფრანკული (Mittelfränkisch): რიპუარული (Ripuarisch) და მოზელის ფრანკული (Moselfränkisch);
3. თიურინგიული (Thüringisch).

ძველი ზემოგერმანულის პარალელურად ახლანდელი ჩრდილო-გერმანიის ტერიტორიაზე გავრცელებული იყო ძველი საქსონური, რომელიც ამ დროისათვის დამოუკიდებელ ენას წარმოადგენდა. X საუკუნიდან მოყოლებული კი საქსონური კარგავს დამოუკიდებლობას და საფუძვლად ედება ქვემოგერმანულ დიალექტებს.

ძველი ზემოგერმანული დიალექტების გავრცელების თაობაზე ერთგვარ შთაბეჭდილებას შეგვიქმნის თანამედროვე გერმანული დიალექტების რუკა (იხ. გვ. 52), ვინაიდან ყველა ეს დიალექტი შენარჩუნებულია დღემდე და ამასთან შენარჩუნებულია დაახლოებით იმ ტერიტორიაზე, რომელზედაც საუკუთუნების წინ ჩამოყალიბდა.

ალემანური დამწერლობის ძირითადი ცენტრებია რაიხენაუ (Reichenau), მურბახი (Murbach) და სანკტ-გალენი (St. Gallen). სანკტ-გალენში მოღვაწეობდა ფილოსოფიურ ნაწარმოებთა გამოჩენილი მთარგმნელი ნოტკერ გერმანელი (Notker der Deutsche).

ძირითად სასულიერო ცენტრებს, სადაც ბავარიული წერილობითი ძეგლები იქმნებოდა, მიეკუთვნება: ზალცბურგი (Salzburg), ფრაიზინგი (Freising), რეგენსბურგი (Regensburg), ვესობრუნი (Wessobrunn), ტეგერნზე (Tegernsee) და მონდზე (Mondsee).

აღმოსავლეთფრანკული წერილობითი ძეგლები უკავშირდება ვურცბურგის (W. rzburg), ბამბერგისა (Bamberg) და ფულდის (Fulda) სასულიერო ცენტრებს. მართალია, ფულდას მონასტერი რაინის ფრანკულის ტერიტორიაზე მდებარეობს, მაგრამ უმნიშვნელოვანესი ძეგლები სწორედ აღმოსავლეთფრანკულზე დაიწერა.

რაინის ფრანკულის უდიდესი ცენტრია მაინცი (Mainz).

სამხრეთფრანკული წერილობითი ძეგლები თავს იყრის უმთავრესად ვაისენბურგის (Weißenburg) მონასტერში. სწორედ აქ მოღვაწეობდა ბერი ოტფრიდი (Otfried) — პირველი გერმანელი პოეტი.

შუაფრანკულის უმთავრესი სასულიერო ცენტრია ტრიერი (Trier). აქ ძირითადად ითარგმნებოდა რელიგიური ლიტერატურა.

ძველ ზემოგერმანულ პერიოდში წერილობითი ძეგლი ერთ-ერთ დიალექტზე იქმნებოდა. ამიტომ თითოეულ ძეგლს ახლავს მითითება,

თუ რომელ დიალექტს მიეკუთვნება. დიალექტებს შორის სხვაობა საკმაოდ დიდი იყო, თუმცა აშკარად იკვეთებოდა ერთიანი ენობრივი საფუძველიც. ამაში დავრწმუნდებით, თუ ერთმანეთს შევეუდარებთ „მამაო ჩვენო“-ს რამდენიმე დიალექტურ ტექსტს:

ალმოსავლეთფრანკული (ფულდა, დაახლოებით 830 წ.)

Fater unser, thû thâr bist in himile, si giheilagôt thîn namo, queme thîn rîhhi, si thîn uuillo, sô her in himile ist, sô sî her in erdu. unsar brôt tagalihhaz gib uns hiutu, inti furlâz uns unsara sculdi, sô uuir furlazemês unsarên sculdigôn; inti ni gileitêst ûnsih in costunga, ûzouh arlôsi unsih fon ubile.

ალემანური (სანკტ-გალენი, VIII საუკუნის დასასრული):

Fater unseer, thû pist in himile, uuihi namun dînan, qhueue rihhi dîn, uuerde uuillo dîin, sô in himile sîsa in erdu. prooth unseer emezzihic kip uns hiutu, oblâz uns sculdi unseero, sô uuir oblâzêm uns sculdikêm, enti ni unsih firleiti in khorunka, ûzzer lôsi unsih fona ubile.

რაინის ფრანკული (ვაინენბურგი, IX საუკუნის დასაწყისი):

Fater unsêr, thû in himilom bist, giuuihit sî namo thîn, queme richi thîn, uuerdhe uuilleo thîn, sama sô in himile endi in erthu. Broot unsaraz emezzigaz gib uns hiutu, endi farlâz uns sculldhi unsero, sama sô uuir farlâzzêm scolôm unserêm, endi ni gileidi unsih in costunga, auh arlôsi unsih fona ubile.

ბავარიული (ფრაიზინგი, IX ს.):

Fater unsêr, dû pist in himilum. Kauuihit sî namo dîn. Piqueme rihhi dîn. Uuêsa dîn uuillo, sama sô in himile est, sama in erdu. Pilipi unsraz emizzigaz kip uns eogawanna. Enti flâz uns unsro sculdi, sama sô uuir flâzzamês unsrêm scolôm. Enti ni princ unsih in chorunka., Czzan kaneri unsih fona allêm suntôn. Ameri.

„Unser Vater in dem Himmell  
Dein Name werde geheiligt.  
Dein Reich komme.  
Dein Willè geschehe auf Erden wie im Himmel.  
Unser täglich Brot gib uns heut:.

Und vergib uns unsere Schuld, wie wir vergeben  
unsern Schuldigern.

Und führe uns nicht in Versuchung, sondern erlöse  
uns von dem Übel.

Denn dein ist das Reich und die Kraft und die Herrlich-  
keit in Ewigkeit. Amen.

(მარტინ ლუთერის თარგმანი)

3. ძველი ზემოგერმანული უმნიშვნელოვანე-  
ნესი წერილობითი ძეგლები. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ  
თითოეული წერილობითი ძეგლი ძველი ზემოგერმანულის რომელიმე  
დიალექტზე იქმნებოდა, ამიტომ მათს ჩამოთვლას დიალექტების მი-  
ხედვით ვარჩევთ.

აღმანურ დიალექტზე:

1. შედგა გლოსების კრებული (VIII ს.);

2. ითარგმნა საგალობლები, რომლებსაც „Murbacher Hymnen“  
(„მურბახის ჰიმნები“) ეწოდა (XI ს.);

3. ითარგმნა ლათინურიდან ფილოსოფიური და რელიგიური ლი-  
ტერატურა. ამ საქმეს სათავეში ედგა გამოჩენილი მთარგმნელი და მეც-  
ნიერი, სანკტ-გალენის მონასტრის ბერი ნოტკერ გერმანელი (952—  
1022). თარგმანებს შორის არის რომაელი ფილოსოფოსის ბოეციუსის  
ცნობილი წიგნი „De Consolatione philosophiae“ („Vom Trost der  
Philosophie“, XI ს.).

ბავარიულ დიალექტზე:

1. შედგა ლათინურ-გერმანული ლექსიკონი — უძველესი გერმა-  
ნული წერილობითი ძეგლი, რომელსაც პირველი ლათინური სიტყვის  
მიხედვით „Abrogans“ ეწოდა (დაახლოებით 770 წ.);

2. დაიწერა ორი პოეტური ნაწარმოები საშინელ სამსჯავროზე  
(IX ს.). „Das Wessobrunner Gebet“ („ვესობრუნული ლოცვა“), და  
„Muspilli“ („მუსპილი“). [სიტყვა „Muspilli“ იხმარება ამავე პოემაში  
„ქვეყნის დასასრულის“ მნიშვნელობით].

აღმოსავლეთგერმანულ დიალექტზე ითარგმნა ოთხ-  
თავის ერთიანი ტექსტი ლათინურიდან, რომელსაც სირიული პირველ-



წყაროს ავტორის მიხედვით „Tatian“ („ტატიანი“) ეწოდება. (დაახლოებით 830 წ.).

### რ ა ი ნ ი ს ფ რ ა ნ კ უ ლ დ ი ა ლ ე ქ ტ ზ ე :

1. დაიწერა „სტრასბურგის ფიცი“ („Die Straßburger Eide“, 842 წ.), რომელიც ლუდვიგ გერმანელმა და მისმა ძმამ შარლ მელოტმა მესამე ძმის — ლოთარის — წინააღმდეგ დადეს. იგი შედგება ორი ნაწილისაგან: მეფეთა ფიცისა და ჯარის ფიცისაგან. შარლმა ფიცი ძველზემო-გერმანულად წარმოთქვა, ლუდვიგმა — ძველ ფრანგულად, ორივე ჯარმა კი — თავ-თავის ენაზე.

2. შეიქმნა „Ludwigslied“ („სიმღერა ლუდვიგზე“) — სახოტბო ნაწარმოები, რომელიც ასახავს ფრანკების გამარჯვებას ნორმანებზე (IX ს.);

3. ითარგმნა სევილიელი ეპისკოპოსის ისიდორის თეოლოგიური ტრაქტატის ნაწილი (ე. წ. „Der althochdeutsche Isidor“, VIII საუკუნის მეორე ნახევარი).

### ს ა მ ხ რ ე თ ფ რ ა ნ კ უ ლ დ ი ა ლ ე ქ ტ ზ ე :

1. შეიქმნა „Der Weissenburger Katechismus“ („ვაისენბურგული კატეხიზმო“, IX საუკუნის დასაწყისი);

2. ბერმა ოტფრიდმა გალექსა სახარება (863—871 წლები).

როგორც ვხედავთ, ძველ ზემოგერმანულ წერილობით ძეგლებში აშკარად ქარბობს რელიგიური ლიტერატურა. თვით ამ ლიტერატურაში განსაკუთრებული ადგილი თარგმანებს უკავია: თარგმანების საშუალებით სწავლობდნენ გერმანელები ქრისტიანული მოძღვრების საფუძვლებს, ეწეოდნენ ღვთისმსახურებას, ეცნობოდნენ ძველ და თანადროულ ფილოსოფიურ აზროვნებას. თარგმნის პროცესში იქმნებოდა გერმანული რელიგიური და ფილოსოფიური ტერმინოლოგია, მუშავდებოდა ორთოგრაფიული ნორმები, იხვეწებოდა გრამატიკული წესები, ყალიბდებოდა ენის წიგნური სტილი. მთარგმნელობით საქმიანობას თან სდევდა აგრეთვე გლოსათა კრებულების — ამ პირველი ორენოვანი ლექსიკონების — შედგენაც.

ორიგინალური ლიტერატურაც ამ პერიოდში ძირითადად სასულიერო შინაარსისაა. საერო ნაწარმოებები რაოდენობრივად რამდენადმე ნაკლებია. მაგრამ მათი მნიშვნელობა გერმანული ლიტერატურისა და გერმანელი ხალხის ისტორიისათვის განუზომლად დიდია.

## დამოუკიდებელი სამუშაო

დავალება 1. გაეცანით ძველი ზემოგერმანული ძეგლების ნიმუშებს!

### გ ლ ო ს ე ბ ი

უძველეს წერილობით ძეგლებს წარმოადგენენ ე. წ. გლოსები (ლათ. glossa — გაუგებარ სიტყვებთან და გამოთქმათა ახსნა-განმარტება) ესაა ცალკეული ლათინური სიტყვებისა და წინადადებების გერმანული შესიტყვებები, რომლებიც იწერებოდა, ჩვეულებრივ, ლათინური ხელნაწერების კიდეზე ან სტრიქონებს შუა. შემდგომში გლოსები გაერთიანდა კრებულებად.

ქვემოთ მოცემულია ცალკეული ნიმუშები სანკტ-გალენის გლოსების კრებულიდან, რომელიც შესრულებულია VIII საუკუნეში ალემანურ დიალექტზე. ლათინურ სიტყვას მოსდევს თარგმანი:

celus — himil	nix — sneo
sol — sunna	gelus — frost
luna — mano	nebola — nebul
stellas — sterron	terra — erda
ęra — luft	erba — gras

### სიმღერა ჰილდებრანდზე — Das Hildebrandslied

„სიმღერა ჰილდებრანდზე“ გერმანული საგმირო ეპოსის უძველესი ლიტერატურული ძეგლია. იგი დაიწერა XI საუკუნის პირველ ნახევარში.

„სიმღერაში“ მოთხრობილია ჰილდებრანდისა და მისი ვაჟის — ჰადუბრანდის — შეხვედრის შესახებ. ჰილდებრანდი დიტრიხ ბერნელთან ერთად ოდესღაც გაექცა ოთოახრის რისხვას და აი, 30 წლის შემდეგ იგი ჯართან ერთად სამშობლოში ბრუნდება. ჰადუბრანდი, რომელსაც მამა არ ახსოვს, მას მტრულად ხვდება. მამა და შვილი ერთაბრძოლისთვის ემზადებიან. ამასობაში ჰადუბრანდი გამოკითხავს თავის მოწინააღმდეგეს ვინაობას და შეიტყობს, რომ მის წინაშე საკუთარი ვაჟია. მაგრამ ჰადუბრანდს არ სჯერა მისი. იწყება მამა-შვილის ორთაბრძოლა. აქ „სიმღერის“ ტექსტი წყდება.

„სიმღერის“ ერთ-ერთი ძირითადი თავისებურებაა მასში ზემოდა ქვემოგერმანული ენობრივი მოვლენების აღრევა. ეს ფაქტი დღემდე აუხსნელი რჩება.

ქვემოთ წარმოდგენილია „სიმღერის“ დასაწყისი:

Ik gihôrta dat seggen,

(Ich hörte das sagen,)

dat sih urhettun ænon muotin,

(dass sich Herausforder einzeln trafen,)

Hiltibrant enti Hædubrant untar heriun tuem.

(Hildebrand und Hadubrand, zwischen Heeren zwein.)

sunufatarungo iro saro rihtun,

(Vater und Sohn sahn nach ihrer Rüstung,)

garutun se iro gudhamun, gurlun sih iro suert ana,

(bereiteten ihre Brünnen, banden sich ihre Schwerter um,)

helidos, ubar hringa, dô sie to dero hiltiu ritun.

(die Helden, über die Ringe, als sie ritten zu diesem Kampfe.)

Hiltibrant gimahalta Heribrantes sunu: her uuas heroro man,

(Hildebrand anhub, Heribrants Sohn — er war der ältere Mann,)

ferahes frotoro; her fragen gistuont

(des Lebens erfahrener; — zu fragen bagann er)

fohem uurtum, hwer sin fater wari

(mit wenig Worten, wer gewesen sein Vater)

fireo in folche, „ed do hwelihhes cnuosles du sis.

(in der Schar der Menschen, „und wes Geschlechtes du seiest;)

ibu du mi ãnan sages, ik mi de odre uuet,

(Wenn du einen mir sagst, die andern weiß ich,)

chind. in chunincriche: chud ist mir al irmindeot“.

(Jüngling, im Königreiche: kund ist mir alles Großvolk“.)

Hadubrant gimahalta, Hiltibrantes sunu:

(Hadubrand anhub, Hildebrands Sohn:)

dat sagetun mi usere liuti,

(Das sagen mir unsere Leute,)

alte anti frote, dea erhina warun,

(alte und kluge, die eherhin waren,)

dat Hiltibrant hætti min fater: ih heittu Hadubrant.

(dass Hildebrand geheissen mein Väter; ich heiße Hadubrand.)

forn her ostar giweit, floh her Otachres nid,  
(Einstens er ostwärts ritt, floh er Otachers Hass,)  
hina mit Theotrihhe...  
(dahin mit Dietrich...)

ძველი ზემოგერმანული ტატიანი —  
Der althochdeutsche Tatian

II საუკუნეში სირიელმა მწერალმა ტატიანმა შეადგინა ე. წ. „ოხთაის ჰარმონია“ (ოხხივე სახარების ერთიანი ტექსტი). შემდეგ ეს ჰარმონია ითარგმნა ბერძნულად, ლათინურად და არაბულად. დაახლოებით 830 წელს უცნობმა მთარგმნელმა ლათინური ტექსტი აღმოსავლეთფრანკულ დიალექტზე გადმოიტანა. თარგმანი შესრულდა, როგორც ვარაუდობენ, ფულდას მონასტერში.

ქვემოთ მოცემულია ნაწყვეტი „ტატიანიდან“ და მისი შესაბამისი ტექსტი ბიბლიის ლუთერისეული თარგმანიდან:

2.1. Uuas in tagun Herodes thes cuninges Iudeno sumer biscof namen Zacharias fon themo uuehsale Abiases inti quena imo fon Aaronas tohterun inti ira namo uuas Elisabeth.

Zu der Zeit des Herodes, des Königs von Judäa, war ein Priester von der Ordnung Abia, mit Namen Zacharias, und sein Weib war von den Töchtern Aarons, die hieß Elisabeth.

2.2. Siu uuarun rehtiu beidu fora gote, gangenti in allem bi-botun inti in gotes rehfestin uzzan lastar, inti ni uuard in sun, bihtiu uuanta Elisabeth uuas unberenti inti beidu framgigiengun in ira tagun.

Sie waren aber alle beide fromm vor Gott und wandelten in allen Geboten und Satzungen des Herrn untadelig. Und sie hatten kein Kind; denn Elisabeth war unfruchtbar, und beide waren wohlbetagt.

2-3. Uuard thô, mit thiu her in biscofheite giordinot uuas in antreitu sines uuehsales fora gote, after giuunu thes biscofheites, in iözze framgieng, thaz her uuihrouh branti ingangenti in gotes tempal, inti al thiu menigi uuas thes folkes úzze betonti in thero ziti thes rouhennes.

Und es begab sich, da er des Pries:eramts waltete vor Gott, als seine Ordnung an der Reihe war, traf ihn nach dem Brauch der

Priesterschaft das Los, zu räuchern; und er ging in den Tempel des Herrn. Und die ganze Menge des Volks war draußen und betete zur Stunde des Räucherns.

2.4. Aræugta sih imo goles engil, stantenti in zeso thes altares thero uuithrouhbrunsti. Thanan tho Zacharias uuard gitruobit thaz sehenti, inti forhta anafiel uber inan.

Es erschien ihm aber ein Engel des Herrn und stand zur rechten Hand am Räucheraltar. Und als Zacharias ihn sah, erschrak er, und es kam ihm eine Furcht an.

2.5. Quad thô zi imo thie engil; ni forhti thu thir, Zacharias, uuanta gihorit ist thin gibet, in ti thin qura Elisabeth gibirit thir sun, inti nemnis thû sinan namon Iohannem.

Aber der Engel sprach zu ihm: Fürchte dich nicht. Zacharias, denn dein Gebet ist erhört, und dein Weib Elisabeth wird dir einen Sohn gebären, des Namen sollst du Johannes heißen.

ქველ ზემოგერმანულ ძეგლებს უფრო დაწვრილებით შეგიძლიათ გაეცნოთ წიგნებში:

1. Хрестоматия по истории немецкого языка. Составитель Н. С. Чемоданов. М., 1978.

2. გრ. ხავთასი. გერმანული ლიტერატურის ქრესტომათია. თბ., 1962.

3. Älteste deutsche Dichtung und Prosa. Hrsg. von H. Mettke. Leipzig, 1982.

დავ აღება 2. გაეცანით „deutsch“ სიტყვის ეტიმოლოგიას!

სიტყვა „deutsch“ დაფიქსირებულია პირველად 786 წელს ფორმით „theodiscus“ ლათინურ ტექსტში. იგი აღნიშნავდა „ხალხურ ენას“ (Volkssprache) ლათინურის საპირისპიროდ. ამავე მნიშვნელობით გვხვდება 843 წელს „Theudisca liugua“.

„Theodiscus“ ეტიმოლოგიურად უკავშირდება გუთურ „þiuda“-სა და ქველ ზემოგერმანულ „diot“-ს — „ხალხი“.

X საუკუნის მიწურულში, ქველ ზემოგერმანულ ტექსტებში იხმარება უკვე „in diutiscun“ (პირველად გვხვდება ნოტკერთან), „due diutisca zunga“, ხოლო XI საუკუნის დამლეჯს — „diutisciu/diutischiu liute — diutsch man“ (Angehörige der deutschen Nationalität), „diutis-

ciu/diutschiu lant“ (Deutschland). თვით კომპოზიტი „Teuschland/Deutschland“ კი ფხვს იკიდებს მხოლოდ XV—XVI საუკუნეებიდან.

როგორც ვხედავთ, სიტყვა „deutsch“ უკავშირდებოდა თავდაპირველად ენას, შემდეგ — შესაბამის ხალხსა და სახელმწიფოს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ იგი თავდაპირველად გვხვდება ლათინურ ტექსტებში, ხოლო ბევრად მოგვიანებით — გერმანულ ძეგლებში.

#### თეზა მეორე

#### ს ა ლ ე ქ ც ი ო მ ა ს ა ლ ა

1. ძველი ზემოგერმანულის თანხმოვანთა სისტემა. პირველი ანუ გერმანიკული ბგერათგადაწევა. „გრიმის კანონი“;
2. „ვერნერის კანონი“.

#### დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ ი ს ა მ უ შ ა ო

1. თანხმოვანთა კლასიფიკაციის პრინციპების გამეორება;
2. პრაქტიკული დავალებები;
3. თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის თვალსაზრისი ინდოევროპული და გერმანიკული ფონოლოგიური სისტემების ურთიერთმიმართების შესახებ;
4. ინდივიდუალური დავალება.

#### ს ა ლ ე ქ ც ი ო მ ა ს ა ლ ა

1. ძველი ზემოგერმანულის თანხმოვანთა სისტემა. პირველი ანუ გერმანიკული ბგერათგადაწევა. „გრიმის კანონი“. ძველი ზემოგერმანულის თანხმოვანთა სისტემა ჩამოყალიბდა იმ ერთიანი ფონეტიკური პროცესის ზეგავლენით, რომელიც ჯერ კიდევ წინარეგერმანიკულში დაიწყო და საკუთრივ ძველ ზემოგერმანულ პერიოდამდე მოაღწია. ეს პროცესი წარმოადგენს არტიკულაციის კანონზომიერ შეცვლას და განიხილება როგორც საერთოგერმანიკულისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური განვითარების ტენდენცია. განასხვავებენ ამ პროცესის ორ ეტაპს: პირველ (გერმანიკულ) და მეორე (ძველ ზემოგერმანულ) ბგერათგადაწევას (die erste oder germanische und die zweite oder hochdeutsche Lautverschiebung). თანხმოვანთა პირველი ვადაწევა განხორციელდა, როგორც ვარაუდობენ, წინარეგერმანიკულ პერიოდში—დაახლოებით მეორე ათასწლეულში ჩვენს წელთაღრიცხვამდე. მან განსაზღვრა საერთოგერმა-

ნიკულის თანხმობანთა სისტემის სახე ყველა დანარჩენი ინდოევროპული ენებისაგან განსხვავებით.

პირველი ბგერათგადაწევის კანონზომიერებანი აისახება ხშულ თანხმობანთა რეგულარულ შესატყვისობაში, რომელიც ინდოევროპულ და გერმანიკულ ენებს შორის დგინდება. ეს შესაბამისობა სპეციალური კვლევის საგნად პირველად დანიელმა ენათმეცნიერმა რ. რასკმა აქცია. მისი გამოკვლევა შემდგომში სრულყო ი. გრიმმა და საერთო თვალსაზრისი წარმოადგინა თავისი „გერმანული გრამატიკის“ მე-2 გამოცემაში (1822). მანვე გაიაზრა ფონეტიკური გადასვლების ერთობლიობა როგორც არტიკულაციური გადაწევა და შემოიტანა შესაბამისი ტერმინი. ი. გრიმის მიერ შემუშავებულ ფონეტიკურ კანონს შემდგომში მისი სახელი ეწოდა.

პირველი ბგერათგადაწევის არსი მდგომარეობს შემდეგში:


ინდოევროპულის ხშულ თანხმობანთა რეკონსტრუირებულ ტრადიციულ (კლასიკურ) სისტემას ამგვარი სახე აქვს:

I. მჟღერი ხშულები  $b, d, g, g^h$ ;


II. ფშვინვიერი მჟღერი ხშულები  $bh, dh, gh, g^h h$ ;

III. ყრუ ხშულები  $p, t, k, k^h$ .

შემდგომი მსჯელობისას ჩვენ არ მივმართავთ „ $g^h$ “, „ $g^h h$ “ და „ $k^h$ “ ფონემებს, ვინაიდან მათი შესატყვისები გერმანიკულში ძირითადად ემთხვევა „ $g$ “, „ $gh$ “ და „ $k$ “ ფონემების შესატყვისებს. საკითხის გამარტივებისათვის ჩვენ გამოვტოვებთ თანხმობანთა ცვლის იმ შუალედურ ეტაპებს, რომლებიც მხოლოდ წინარეგერმანიკულში ივარაუდება და რომლებმაც არ პოვეს ასახვა ცალკეულ გერმანიკულ ენებში. ამავე მოსაზრებით ჩვენ ვცვლით კლასიკური სისტემის სერიათა თანამიმდევრობას და, მაშასადამე, ამოვდევართ ამ სისტემის რამდენადმე გამარტივებული და მოდიფიცირებული ვარიანტიდან:



პირველი ბგერათგადაწევის შინაარსია ინდოევროპული ხშულების სერიების „გადაწევა“ გერმანიკულში თითო საფეხურით, ხოლო უკანასკნელი ანუ ყრუ ხშულების სერიიდან ნაპარალოვნებს (სპირანტების) მიღება:



ქვემოთ თითოეულ გადასვლას ცალცალკე განვიხილავთ. ბგერათ-შესატყვისობის ნათელსაყოფად მოვიყვანთ, ერთი მხრივ, იმ ინდოევროპულ ენას, რომელშიც შესაბამისი თანხმოვნები ყველაზე სისტემურადაა წარმოდგენილი, ხოლო მეორე მხრივ — ერთ-ერთ გერმანიკულ ენას, ძირითადად გუთურს<sup>2</sup>. ამ ეტაპზე ძველი ზემოგერმანული საილუსტრაციოდ არ გამოგვადგება, ვინაიდან მისი ფონეტიკური სისტემა ჩამოყალიბდა უკვე მეორე ბგერათგადაწვევის შედეგად.

1. ინდოევროპულ ფშვინვიერ ხშულებს „bh, dh, gh“-ს შეესაბამება გერმანიკულში მკლერი ხშულები „b, d, g“. ფშვინვიერი ხშულები სრული სახით შემორჩენილია მხოლოდ სანსკრიტში. მათ ადგილას ბერძნულში გვხვდება [ph, th, kh], ხოლო ლათინურში „f, f, h“. ეს თანხმოვნები წარმოდგენილია აგრეთვე საერთოინდოევროპულ რეკონსტრუირებულ ფორმებში. ასეთი ფორმები ვარსკვლავით (\*) აღინიშნება. ამრიგად, ინდოევროპულ ენათა სვეტში მოგვაქვს მხოლოდ სანსკრიტის მაგალითები და რეკონსტრუირებული ფორმები:

ი. ე.

გერმანიკული

	bh→b		
სანსკრიტი — bhrātṛ	—	brōþar	— გუთური (ძმა)
სანსკრიტი — bharāmi	—	baira	— გუთური (მომამკეს)
	dh→d		
*dhur	—	daur	— გუთური (კარი)
სანსკრიტი — rudhiras	—	rōd	— ძვ. ნაქსონური (წითელი)
	gh→g		
სანსკრიტი — stighnōmi	—	steigan	— გუთური (ვხტები—ავდივარ)
*ghostis	—	gasts	— გუთური (მტერი — სტუმარი)

<sup>2</sup> გუთური სიტყვების წაკითხვისას ვისარგებლებთ მეორე მეცადინეობაში მოცემული წესებით.



2. „b, d, g“ ინდოევროპული მედერი ხშულების შესატყვისებია გერმანიკულში ყრუ ხშულები „p, t, k“:

ი. ე.		გერმანიკული
	b → p	
ბერძნული — baitē	—	paida — გუთური (ტანსაცმელი)
სლავური — янъко	—	appul — ძვ. საქსონური (ვაშლი)
	d → t	
ლათინური — duo }	—	twai — გუთური (ორი)
რუსული — два }		
ლათინური — edo	—	ittan — გუთური (ცვამ — ქამა)
	g → k	
ლათინური — genu	—	kniu — გუთური (მუხლი)
ლათინური — ego	—	ik — გუთური (მე)

3. ინდოევროპული ყრუ ხშულები „p, t, k“ გადავიდა გერმანიკულში თვისობრივად ახალ თანხმოვნებში — ნაპრალოვნებში (სპირანტებში). ეს თანხმოვნებია „f, þ, h“:

ი. ე.		გერმანიკული
	p → f	
ლათინური — pater	—	fadar — გუთური (მამა)
ბერძნული — pella	—	fill გუთური (ტყავი)
	t → þ	
ლათინური — trēs }	—	þreis — გუთური (სამი)
რუსული — три }		
ლათინური — tu }	—	þu გუთური ( <del>ამი</del> ) (წინ)
რუსული — ты }		
	k → h	
ლათინური — caput <sup>1</sup>	—	aubip — გუთური (თავი)
ბერძნული — kardia	—	hairto — გუთური (გული)

<sup>1</sup> სპირანტი „þ“ წარმოიქმნის დაახლოებით ისე, როგორც ინგლისური ყრუ „th“ და გრაფიკულადაც ხშირად ასევე აღინიშნება.

<sup>4</sup> „k“ თანხმოვანს ინდოევროპულ ენებში ორი გრაფიკული ნიშანი აქვს: „k“ და „c“.

პირველი ბგერათგადაწევა არ შეეხო „sk, st, sp“ კომპლექსებს:

ლათ. piscis — გუთ. fisks (თევზი)

ლათ. stella — გუთ. stairno (ვარსკვლავი)

ლათ. spuere — გუთ. speiwan (გადაფურთხება)

„pt, kt“ კომპლექსებში გადაიწია მხოლოდ პირველმა ელემენტმა:

ლათ. captus — ძვ. საქსონური haft (დაჭერა — დაჭერილი)

ლათ. octō — გუთ. ahtau (რვა)

გარდა ამ გამონაკლისებისა, ემპირიული მასალა ავლენდა აგრეთვე გარკვეულ რეგულარულ გადახრებს „გრიმის კანონიდან“. ეს მოვლენები შეისწავლა და ახსნა დანიელმა ენათმეცნიერმა კარლ ვერნერმა (1877).

2. „ვერნერის კანონი“ ეხება პირველი ბგერათგადაწევის შედეგად მიღებულ ყრუ სპირანტთა სერიას („f, þ, h). კ. ვერნერმა დაასაბუთა, რომ ეს სპირანტები გარკვეულ პოზიციაში შემდგომ ცვლილებებს განიცდიან. კერძოდ, სიტყვის შუაში ისინი ზოგ შემთხვევაში „b, d, g“ მქდერ სპირანტებში გადადიან, რომლებიც თავის მხრივ შემდეგ „h, d, g“ მქდერ ხშულებს იძლევიან.

ავიღოთ ორი ბერძნული სიტყვა:

phratōr

patēr

ორივე სიტყვის შუა პოზიციაში გვაქვს ყრუ ხშული „t“, მათ გუთურ შესატყვისებში კი — ორი სხვადასხვა თახმოვანი „þ“ და „d“:

ბერძნული      გუთური

phratōr      —      brōþar

patēr      —      fadar

კ. ვერნერის ვარაუდის მიხედვით, პირველი ბგერათგადაწევის ხანაში გერმანიკულს ჰქონდა მოძრავი მახვილი — ინდოევროპულის მსგავსად, მახვილიანი შეიძლება ყოფილიყო როგორც სიტყვის ფუძე, ისე დაბოლოება. ამგვარი მახვილის ადგილი დამოკიდებული იყო ძირითადად გრამატიკულ კატეგორიაზე. ზემოთ მოყვანილ ბერძნულ სიტყვებსაც მახვილი განსხვავებულად მოუდის: პირველ სიტყვაში მახვილიანია ფუძე, ხოლო მეორეში — დაბოლოება (phratōr, მაგრამ patēr). „ვერნერის კანონიც“ სწორედ მახვილის ბუნებას უკავშირდე-

ბა. ამ კანონის თანახმად, გერმანიკული „f, þ, h“ შენარჩუნებულია სიტყვის შუაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მახვილი უშუალოდ ამ სპირანტების წინ მდგომ ხმოვანს მოუდის (phrátōr—brōþar). მაგრამ, თუ მახვილიანია ამ სპირანტების შემდეგ ან ორი მარცვლით მათ წინ მდგომი ხმოვანი, მაშინ გერმანიკულ ენებში ამ სპირანტების ნაცვლად გვაქვს მჟღერი ხშულები „b, d, g“ (fatēr — fadar).

კ. ვერნერის შემდეგ მისი ვარაუდის დაზუსტება ბევრმა ენათმეცნიერმა სცადა. ერთ-ერთი ასეთი ცდა შ. შაბურიშვილს ეკუთვნის. მისი თვალსაზრისი შემდეგში მდგომარეობს:

ბგერის ფონეტიკური მდგომარეობა, როგორც წესი, მუდამ გულისხმობს ორი მომენტის ერთობლიობას. პირველი მომენტია ის საერთო პირობები („გარეპირობები“), რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ბგერაზე (პოზიცია, მახვილის რაგვარობა და სხვ.), ხოლო მეორე — თვით ბგერის იმანენტური ნიშან-თვისებები, მისი ხარისხი. ფონეტიკური ცვლილებების შესწავლისას აუცილებელია ამ ორივე მომენტის ერთდროული გათვალისწინება.

შევხედოთ ამ კუთხით „ვერნერის კანონს“. ფონეტიკური ცვლებადობის კანონზომიერებათა ახსნა აქ მთლიანად ემყარება „გარეპირობებს“ — ერთი მხრივ, მახვილის ადგილსა და ხარისხს, ხოლო მეორე მხრივ — ბგერის პოზიციას. მსჯელობის მიღმა რჩება ფონეტიკურ პროცესში მონაწილე ბგერების იმანენტური თვისებები და მათი ურთიერთმიმართება.

„ვერნერის კანონი“, როგორც ვიცი, ეხება p, t, k ყრუ ხშულებს ინტერვოკალურ პოზიციაში. ეს პოზიცია ამ თანხმოვანთა გამჟღერების ყველაზე ხელსაყრელი პოზიციაა. მაგრამ თვით გამჟღერების შესაძლებლობა დიდადაა დამოკიდებული თანხმოვნის გარემომცველი ხმოვნების ხარისხზე, კერძოდ, მათ სიგრძე-სიმოკლეზე. ხმოვნის სიგრძე-სიმოკლის კონკრეტულ რელიზაციას კი, თავის მხრივ, მახვილი განსაზღვრავს: ხმოვნის აბსოლუტური სიგრძე უმახვილო პოზიციაში უფრო ნაკლებია, ვიდრე მახვილიანში. მახვილის გაძლიერებასთან ერთად იზრდება ხმოვნის სიგრძეც, ხოლო ხმოვანი, რომლის სიგრძეც მატულობს ძლიერი მახვილის შედეგად, ჟღერადობის ნაწილს თანხმოვნის დამართვას გადასცემს, რითაც მის გამჟღერებას იწვევს: fadār. ეს პროცესი ბევრად ძლიერდება, თუ მჟღერ ხშულს „ნახევრადსიმჟღერე“ ახასიათებს.

ამრიგად, „ვერნერის კანონის“ არსის სრული გაგება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იმ ფონეტიკურ პირობებს, რომ-

ლებსაც ეს კანონი ითვალისწინებს (მახვილის ბუნება, თანხმობის ინტერვოკალური პოზიცია), დაუკავშირებთ ამ პროცესში მონაწილე ბგერების ისეთ ნიშან-თვისებებს, როგორცაა ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლე და თანხმობანთა „ნახევრადსიმულერე“.

„ვერნერის კანონის“ განხორციელების ყველაზე ხელსაყრელი პირობები გერმანიკულ ენებში შეიქმნა. საქმე ის არის, რომ მჟღერი ხშულების „ნახევრადსიმულერე“ სწორედ გერმანიკულისათვის იყო დამახასიათებელი (ა. შეიე, ჟ. ვანდრიესი). ამასთან, სხვა ინდოევროპული ენებისაგან განსხვავებით, ხმოვანთა დაპირისპირება სიგრძე-სიმოკლის მიხედვით მთელი სისრულით აგრეთვე საერთოგერმანიკულს შემორჩა.

„ვერნერის კანონის“ საილუსტრაციოდ განსაკუთრებით მოსახერხებელია ერთი ფუძისაგან ნაწარმოები სიტყვათა წყვილები. ასეთ სიტყვებს ინდოევროპულში ჩვეულებრივ ერთი და იგივე თანხმობანი აქვთ, გერმანიკულში კი — სხვადასხვა (ყრუ სპირანტი — მჟღერი ხშული):

ბერძნული	გუთური
dèka (ათი)	— taihun (ათი)
dekàs (დეკადა)	— tigus (ათეული)

მოყვანილი მაგალითი ცხადყოფს, რომ „ვერნერის კანონით“ შეიძლება აგრეთვე გერმანიკულში თანხმობანთა მონაცვლეობის იმ შემთხვევების ახსნა, რომლებიც პირველ გადაწევას უკავშირდებიან. ახსნას შემდეგი ფორმულირება ექნება: ერთი ფუძის სიტყვებში გვაქვს იმ თანხმობანთა მონაცვლეობა, რომლებიც ისტორიულად ერთი და იმავე ინდოევროპული თანხმობნიდან. მომდინარეობენ:


ი. ე. გერმ.

$\begin{matrix} \nearrow f \\ P \searrow b \end{matrix}$  — აქედან „f—b“ მონაცვლეობა გერმანიკულში

$\begin{matrix} \nearrow p \\ t \searrow d \end{matrix}$  — აქედან „p—d“ მონაცვლეობა გერმანიკულში

$\begin{matrix} \nearrow h \\ k \searrow g \end{matrix}$  — აქედან „h—g“ მონაცვლეობა გერმანიკულში

თუ თანხმობანთა პირველი გადაწევის სქემაში „ვერნერის კანონის“ ასახვასაც შევეცდებით, ამგვარ სურათს მივიღებთ:



სქემა გვიჩვენებს, რომ, თუ საბოლოო შედეგის მიხედვით ვიმსჯელებთ, საქმე გვაქვს გადაწევის ერთგვარ უკუპროცესთან. ერთ შემთხვევაში ინდოევროპულმა ყრუ ხშულებმა „p, t, k“-მ გადაიწია გერმანიკულში „გრიმის კანონის“ საერთო მიმართულების შესაბამისად (მარცხნიდან მარჯვნივ: p, t, k → f, p, h), ხოლო მეორე შემთხვევაში — „გრიმის კანონის“ საპირისპირო მიმართულებით (მარჯვნიდან მარცხნივ: p, t, k → b, d, g). ამასთან, როგორც სქემიდან ჩანს, ამ უკუპროცესის შედეგად მიღებული მეორე ხშულები „b, d, g“ თვისობრივად დაემთხვა „b, d, g“ მეორე ხშულებს, რომლებიც ისტორიულად ინდოევროპულ ფშვინვიერ ხშულებს „bh, dh, gh“-ს უკავშირდებიან.

როგორც ვხედავთ, ი. გრიმისა და კ. ვერნერის თვალსაზრისები ერთი და იმავე პროცესის ორ ასპექტს ასახავენ და ამდენად ერთმანეთს ავსებენ: „გრიმის კანონი“ აღგენს საერთოგერმანიკულის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფონეტიკურ ტენდენციას — სპირანტიზაციის ტენდენციას (სპირანტთა რიცხვის სისტემურად განპირობებული ზრდა გერმანიკულში ინდოევროპულთან შედარებით ხშულების საერთო რიცხვის შემცირების ხარჯზე), ხოლო „ვერნერის კანონი“ ავლენს იმ პირობებს, რომლებმაც დააბრკოლეს სპირანტიზაციის პროცესის განხორციელება შესაძლო სისრულით.

### დამოუკიდებელი სამუშაო

დავალება 1. გაიმეორეთ თანხმომანათა კლასიფიკაციის პრინციპები და ცალკეული ტიპების დამახასიათებელი ნიშნები!

დავალება 2. ქვემოთ მოცემულია ერთმანეთთან ეტიმოლოგიურად დაკავშირებული ინდოევროპული და გერმანიკული სიტყვების შერეული რიგები. პირველი ბგერათგადაწევის კანონზომიერებებზე დაყრდნობით თითოეულ ინდოევროპულ სიტყვას მოუძებნეთ გერმა-

ნიკული შესატყვისი. მიუთითეთ თანხმოდანთა შესაბამისობა. ცალკე გამოიტანეთ „ვერნერის კანონის“ მიხედვით შეცვლილი სიტყვები:

ი. ე.	გერმანიკული
1. discus	hana
2. pro	sibun
3. ager	fôtus
4. cano	halm
5. jugum	akrs
6. septem	tisc
7. verto	flödus
8. pedis	faihu
9. sedere	alpeis
10. plötós	furi
11. calamus	rapjō
12. voda	winds
13. ratio	juk
14. pecu	hafjan
15. altus	wairþan
16. dantis	sitan
17. ventus	watō
18. nepās	tupus
19. oculus	neffo
20. capio	augdō

ნ ი მ უ შ ი:

ი. ე. გერმანიკული

1. discus — tisc (d→t; „sc“ კომპლექსს გადაწევა არ შეხებია).

დავალება 3. „ვერნერის კანონიდან“ გამომდინარე, დასვით მახვილი ინდოევროპულ სიტყვაში და ახსენით ფონეტიკური გადასვლა:

ი. ე.	გერმანიკული	
1. pangere	—	fahan
2. *swekuros	—	swaihra
3. *swekrū	—	swēger
4. mētēr	—	moder

} შდრ. რუსული „свѣр—свекровь“

დავალება 4. გაეცანით თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის თვალსაზრისს ინდოევროპული და გერმანიკული ფონოლოგიური სისტემების ურთიერთმიმართების შესახებ!

ჩვენ უკვე არაერთხელ მივმართეთ თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის ფუნდამენტურ ნაშრომს „ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები“. ვთქვით, რომ ამ ნაშრომში სინქრონიული ტიპოლოგიის მონაცემებზე დაყრდნობით ახლებურადაა წარმოდგენილი შედარებით-ისტორიული ენათმეცნიერების მრავალი საკვანძო საკითხი. ერთ-ერთი ასეთი საკითხია ინდოევროპული ფონოლოგიური სისტემის რეკონსტრუქცია. ჩვენ ვიცით, რომ ინდოევროპული ხშული თანხმოვნების „კლასიკური“ სისტემა, რომელიც გასულ საუკუნეში შემუშავდა, საფუძვლად დაედო „გრამის კანონს“. თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი ახდენენ ამ ამოსავალი სისტემის რეინტერპრეტაციას, რაც სხვა მრავალ პრობლემასთან ერთად გერმანიკული ფონოლოგიური სისტემის ჩამოყალიბების საკითხსაც უკავშირდება.

შევეცდებით მოკლედ გადმოვცეთ ეს თვალსაზრისი.

ინდოევროპულ ხშულ თანხმოვანთა ტრადიციული („კლასიკური“) სისტემა, რომელიც შედარებით-ისტორიული ენათმეცნიერების განვითარების ადრეულ ეტაპებზე იქმნებოდა, ორიენტირებული იყო უძველესი ლიტერატურული ტრადიციის მქონე ენებზე (ძველი ინდური, ძველი ბერძნული, ლათინური). ამიტომ რეკონსტრუირებული სისტემა ფაქტიურად ამ ენების სისტემებს დაემთხვა. ხოლო ის ფონოლოგიური სისტემები, რომლებიც ხსენებული „პრესტიჟული“ ენების სისტემებისაგან განსხვავდებოდნენ, განიხილებოდნენ როგორც ამოსავალი სისტემის გარდაქმნის შედეგი. იგივე ითქმის ი. გრიშუეც — მისთვის გერმანიკულ თანხმოვანთა სისტემა წარმოადგენდა ინდოევროპული ფონემების შეცვლის, „გადაწევის“ შედეგს.

ავტორებს მიაჩნიათ, რომ, თუმცა ინდოევროპულ ხშულ თანხმოვანთა ტრადიციული სისტემა არ არის მოკლებული დიაქრონიული გადასვლების წარმოჩენის უნარს, იგი არ შეესაბამება სინქრონიული ტიპოლოგიის უახლეს მონაცემებს. ეს შეუსაბამობა ძირითადად მისი შინაგანი სტრუქტურის ორ მომენტს უკავშირდება:

1) პირველი სერიის მეღერი ლაბიალური ფონემა „ხ“ გამოირჩევა ხმარების უაღრესად დაბალი სიხშირით, რაც საექვოს ხლის მის არსებობას საერთოდ:

I	II	III
(b)	bh	p
d	dh	t
g	gh	k

2) მეღერი ფშვინვიერების (bh, dh, gh) გვერდით სისტემაში არ შედის ყრუ ფშვინვიერების სერია (ph, th, kh), რაც ეწინააღმდეგება რეალური ენების მდგომარეობას.

ეს ორი ფაქტი მნიშვნელოვნად არღვევს, ავტორთა აზრით, ტრადიციული სქემის შინაგან სისტემურობას. სწორედ ამ მომენტზე დაყრდნობით აყენებენ ისინი ინდოევროპული ტრადიციული სისტემის რეინტერპრეტაციის საკითხს.

შეუსაბამობა, რომელიც ეხება ფშვინვიერების ნაკლულ სერიას, შეიძლება მოიხსნას იმ შემთხვევაში, თუ ყრუ ხშულების სერიას (p, t, k) მივიჩნევთ ყრუ ფშვინვიერების სერიად (ph, th, kh). ასეთი რეინტერპრეტაცია შეესაბამება როგორც სინქრონიული ტიპოლოგიის უახლეს მონაცემებს, ისე ძველი ენების რეალურ მდგომარეობას. ამის შედეგად ხშული თანხმოვნების სისტემაში მეორე-მესამე სერიებს მეღერი და ყრუ ფშვინვიერები შეავსებენ:

II	III
bh	ph
dh	th
gh	kh

რაც შეეხება ტრადიციული სისტემის პირველ სერიას, რომელსაც ლაბიალური „ხ“ აკლია, კანონზომიერია მისი მიჩნევა არამეღერი ხშულების სერიად, ვინაიდან მხოლოდ ამ სერიაშია შესაძლებელი ლაბიალური წვერის ნაკლულობა. ამასთან არამეღერი ხშულებიდანაც ეს ნიშანი უპირატესად ე. წ. გ ლ ო ტ ა ლ ი ზ ე ბ უ ლ (ხშულ-ხორხისმიერ) ფონემებს ახასიათებს. უფრო მეტიც, ეს მათი უნივერსალური თავისებურებაა. პირველი სერიის მეღერი ხშულებით შევსების წინააღმდეგ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ეს სერია გამოირჩევა ხმარების მინიმალური სიხშირით, რაც კვლავ ზოგადფონეტიკური კანონზომიერების დარღვევაა: მეღერ და მეღერ ფშვინვიერებს შორის არსებული ფონოლოგიური მიმართებიდან გამომდინარე შეუძლებელია, რომ მეღერები სიხშირით შესაბამის ფშვინვიერებს ჩამოუვარდებოდნენ. ყოვე-



ლივე ეს კი იძლევა ტრადიციული სისტემის როგორც გლოტალური ფონემების რეინტერპრეტაციის საფუძველს. ასეთ შემთხვევაში ინდოევროპული ხშულების პოსტულირებული სისტემა ასეთ სახეს იღებს:

I	II	III
(p')	bh	ph
t'	dh	th
K'	Gh	Kh

ავტორთა აზრით, ამოსავალი სისტემის სინქრონიულ ტიპოლოგიასთან შესაბამისობაში მოყვანა სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ შემცირდეს ამ სისტემიდან რეალური ინდოევროპული ენების თანხმობანთა სისტემის გამოყვანის შესაძლებლობა.

ერთ-ერთი ფონოლოგიური სისტემა, სადაც ყველაზე უკეთაა შენარჩუნებული პოსტულირებული სისტემა, სწორედ გერმანიკულია.

ამოსავალი სისტემის ტრანსფორმირებისას გერმანიკულ სისტემაში მოხდა შემდეგი ფონეტიკური ცვლილებები:

1. პირველი სერია — გლოტალიზებულ თანხმობანთა სერია — აისახა გერმანიკულში როგორც არამჟღერი. არ არის გამორიცხული, რომ ამ სერიას წინარეგერმანიკულში გლოტალური არტიკულაცია ჰქონოდა:

ი. ე.	გერმანიკული
(p')	(p)
t'	t
K'	k

### ნიმუშები:

საერთო ინდო-ევროპული	გერმანიკული ენები	ინდოევროპული ენები
*t'		
*set' — (=**sed—)	გუთ. satjan ძვ. ისლ. sit ძვ. საქს. sittiu	ლათ. sedeō ძვ. ინდ. 'āsadat' (ჯღომა)
*et'—(=**ed—)	გუთ. itan ძვ. ისლ. eta ძვ. ინგლ. etan	ლათ. edō ძვ. ინდ. ádanam (კამა—აქმელი)

\*k'

\*ek' — (= \*eġ-) გუთ. ik ლათ. egō (მე)

ძვ. ისლ. ek

\*ak'r (= \*aġr-) გუთ. akrs ლათ. ager (მინდორი)

2. მეორე სერიის მქლერი ფშვინვიერები (bh, gh, dh) გერმანიკულში სპირანტიზაციას განიცდიან. ისინი გადადიან მქლერ სპირანტებში, რომლებიც მოგვიანებით მქლერი ფონემების ორი ვარიანტით წარმოგვიდგებიან: სიტყვის დასაწყისში როგორც მქლერი ზშულები „b, d, g“, ხოლო სიტყვის შუა პოზიციაში — როგორც მქლერი სპირანტები „þ, ð, ġ“:

საერთო ინდო-ევროპული

გერმანიკული ენები

ინდოევროპული ენები

\*bh

\*bher- გუთ. bairan ძვ. ინდ. bhāranti (ტარება — მომაქვს)  
ძვ. ისლ. bera ლათ. ferō

ძვ. ინგლ. beran

\*bhrather- გუთ. brōþar ძვ. ინდ. bhrātā (ძმა)

ძვ. ისლ. brodir ბერძნ. fráter

\*dh

\*dh̥er-/\*dhur- გუთ. daúr ლათ. forēs (ჭიშკარი)

ძვ. ინგლ. dor

\*ǵerdh-/\*ǵordh- გუთ. waúrd ლათ. verbum (სიტყვა)

Gh

\*Gherdh- გუთ. gards ძვ. ინდ. grhā- (სახლი — ეზო)

ძვ. ისლ. gardr

ძვ. საქს. gard

ძვ. ინგლ. geard

\*dhe/oġGh- გუთ. daigs ძვ. ინდ. dehí (ცომი —

ძვ. ისლ. deig ლათ. fingō კედელი —

ძვ. ინგლ. dāg ვქერწავ)

3. ინდოევროპული ზშულების მესამე სერია აისახება გერმანიკულში მეორე სერიის ანალოგიურად: ყრუ ფშვინვიერებს (ph, th, Kh) შეესაბამება ყრუ სპირანტები (f, þ, h). ეს მოვლენა ნათლად ავლენს ამ ორი ერთმანეთთან თვისებრივად ახლო მდგომი სერიის ფონეტიკური განვითარების პარალელიზმს. ამას გარდა, იკვეთება მეორე ნიშა-

ნიც — კერძოდ ის, რომ სპირანტიზაციის ტენდენციას სწორედ ფშვი-  
ნიერები ავლენენ.

ნ ი მ უ შ ე ბ ი :

საერთო ინდო-  
ევროპული

გერმანიკული  
ენები

ინდოევროპული  
ენები

\*ph

\*phother

გუთ. fadar  
ძვ. ისლ. fadir  
ძვ. საქს. fadar

ძვ. ინდ. pitár-  
ბერძნ. pater (მამა)

\*upher

გუთ. ufar  
ძვ. ისლ. yfir

ძვ. ინდ. upári  
(-ზე, მაღლა)

\*th

\*then-

გუთ. uf-þanjan  
ძვ. ისლ. þenja  
ძვ. ინგლ. ðennan

ძვ. ინდ. tanóti (გალაქი-  
მულია —  
ლათ. tendō გაჭიმვა —  
ვეწვევი)

\*bhrāther (იხ. ზემოთ).

\*Kh

\*Kher-

გუთ. hairtō  
ძვ. ისლ. hjarta  
ძვ. ინგლ. heorte

ლათ. cor  
ბერძნ. kardia (გული)

\*l'eKhun (= \*deŕn) გუთ. taihun

ლათ. decem  
ბერძნ. dēca (ათი)

ამ ცვლილებების შედეგად ხდება გერმანიკული ფონეტიკური სისტემის გარდაქმნა:

საერთოინდოევროპულის  
რეკონსტრუირებული სისტემა

გერმანიკული სისტემა

I	II	III		I	II	III
(p')	bh	ph		(p)	b/b	f
t'	dh	th	→	t	d/d	þ
K'	Gh	Kh		k	g/g	h

„ვერნერის კანონის“ თანახმად, სიტყვის შუა პოზიციაში ხდება  
ყრუ სპირანტების (l, þ, h) გამჟღავნება (b, d, g): გუთ. fadar — ძვ.  
ისლ. fadir. ამ პოზიციაში მეორე სერიის ფონემათა მეფერ-სპირანტ-

ტული ვარიანტები და აღნიშნული გამჟღერებული სპირანტები ერთ-მანეთს ემთხვევა (b, d, g).

როგორც ვხედავთ, ამოსავალი ინდოევროპული სისტემის ფონოლოგიური ტრანსფორმაციები გერმანიკულში ძირითადად მეორე და მესამე სერიის ფონემათა სპირანტიზაციით შემოიფარგლა. თუმცა ამ ტრანსფორმაციებს მოჰყვა გერმანიკული ენების თანხმოვანთა სისტემის ცვლა, მაგრამ, ავტორთა აზრით, ეს არ არის „გადაწევა“. ამ თვალსაზრისს ასაბუთებს თუნდაც ის ფაქტი, რომ გერმანიკულმა სისტემამ შეინარჩუნა პოსტულირებული სისტემის სტრუქტურა სერიათა „სიმჟღერე — „სიყრუის“ თვალსაზრისით:

ინდოევროპული სისტემა			გერმანიკული სისტემა		
I	II	III	I	II	III
ყრუ	მჟღერი	ყრუ	ყრუ	მჟღერი	ყრუ

ეს კი იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ გერმანიკული ფონოლოგიური სისტემა შესაძლოა უფრო არქაულიცაა, ვიდრე სხვა (და მათ შორის კლასიკური) ინდოევროპული ენების სისტემები.

თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის თვალსაზრისს, რომელიც ინდოევროპეისტიკაში „გლოტალური თეორიის“ სახელწოდებით შევიდა, თავიდანვე მხარი დაუჭირა არაერთმა გამოჩენილმა ენათმეცნიერმა (პ. ჰოპერმა, მ. მაირჰოფერმა, ე. პოლომემ, ვ. პ. ლემანმა, ა. მარტინემ და სხვ.). ამასთან დაიწყო ცალკეული ინდოევროპული დიალექტების ფონეტიკური განვითარების შესწავლა ახალი პარადიგმის გამოყენებით, რამაც დაადასტურა, რომ ეს კონცეფცია შემდგომი შედარებით-ემპირიული კვლევის მნიშვნელოვან იმპულსებსაც შეიცავს.

#### ი ნ დ ი ვ ი დ უ ა ლ უ რ ი დ ა ვ ა ლ ე ბ ა :

წარმოდგენილი საკითხის უფრო ღრმად გაცნობის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ შემდეგ ნაშრომებს:

1. Гамкрелидзе Т. В., Иванов Вяч. Вс. Индоевропейский язык и индоевропейцы. Изд-во ТГУ, Тбилиси, 1984.

2. Гамкрелидзе Т. В. Глоттальная теория: новая парадигма в индоевропейском сравнительном языкознании. Вопросы языкознания. № 4, 1987, с 26—34.

## ს ა ლ ე ქ ც ი ო მ ა ს ა ლ ა

1. ძველი ზემოგერმანულის თანხმოვანთა სისტემა. მეორე ანუ ზემოგერმანული ბგერათგადაწევა. თანხმოვანთა მონაცვლეობა თანამედროვე გერმანულ ენაში.

### დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ ი ს ა მ უ შ ა ო

1. ძველ ზემოგერმანულ თანხმოვანთა გრაფიკული აღნიშვნა;
2. პრაქტიკული დავალებები.

## ს ა ლ ე ქ ც ი ო მ ა ს ა ლ ა

1. ძველი ზემოგერმანულის თანხმოვანთა სისტემა. მეორე ანუ ზემოგერმანული ბგერათგადაწევა. მეორე ბგერათგადაწევა (die zweite oder hochdeutsche Lautverschiebung) საკუთრივ ზემოგერმანული მოვლენაა. ამ ფონეტიკურმა პროცესმა საბოლოო სახით ჩამოაყალიბა ძველი ზემოგერმანული დიალექტების კონსონანტიზმი. მანვე გამოიწვნა, ერთი მხრივ, ზემოგერმანულის, ხოლო, მეორე მხრივ, ქვემოგერმანულისა და სხვა გერმანიკული ენების თანხმოვანთა სისტემები.

თანხმოვანთა მეორე გადაწევა ძველ ზემოგერმანულ დიალექტებს არათანაბრად შეეხო. იგი სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ გავრცელდა და სრულად გამოვლინდა მხოლოდ ბავარიულსა და ალემანურში. რაც შეეხება ფრანკულ დიალექტებს, აქ გადაწევა სხვადასხვაგვარად განხორციელდა. გადაწევის ინტენსიობამ ჩრდილოეთისკენ საგრძნობლად იკლო, და, ბუნებრივია, მან უფრო თანამიმდევრულად აღმოსავლეთ და სამხრეთ ფრანკულში გაიარა, ვიდრე შუაფრანკულში. ამ უკანასკნელში ერთი დიალექტის ფარგლებშიც კი ცალკეული ფონემები გადაუწეველი დარჩა. კონკრეტული გადასვლების არარეგულარობა რამდენადმე ართულებს ფრანკულ დიალექტებში გადაწევის ზუსტი სურათის გამოკვეთას. ამიტომ, მასალის ნათლად წარმოდგენის მიზნით, მხოლოდ აღმოსავლეთ ფრანკულს მივმართავთ, ვინაიდან მასში, სხვა ფრანკულ დიალექტებთან შედარებით, ფონემატურ ტრანსფორმაციებს უფრო სისტემური სახე აქვს. ამასთან ეს ტრანსფორმაციები ასახულია ყველა დანარჩენ ფრანკულ დიალექტშიც. ამას გარდა, გადაწევის აღმოსავლეთფრანკული ვარიანტი საფუძვლად დაედო შემდგომ

ში სალიტერატურო ენის ფონეტიკური სისტემის ჩამოყალიბებას, რაც საკითხის გაშლისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია.

მეორე ბგერათგადაწვევა ქრონოლოგიურადაც არათანაბრად განხორციელდა: ბავარიულსა და ალემანურში იგი მიმდინარეობდა V—VI საუკუნეებში, ხოლო ფრანკულში — IX—XIII საუკუნეებში.

მეორე ბგერათგადაწვევის საერთო მიმართულება პირველის ანალოგიურია. ესაა სპირანტიზაციის საერთო ტენდენციის შემდგომი რეალიზაცია. ხშულების რიცხვი ზემოგერმანულშიც განაგრძობს შემცირებას, მათ ხარჯზე იზრდება სპირანტების რიცხვი და წარმოიშობა თანხმოვანთა ახალი სერია — აფრიკატების სერია. ეს უკანასკნელი ძველი ზემოგერმანულის უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია.


ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ იმაზე, რომ პირველი და მეორე ბგერათგადაწვევები ფონეტიკური ტრანსფორმაციების ერთ მთლიან კომპლექსს შოიცივენ. ამიტომ ვფიქრობთ, რომ მსჯელობა მეორე ბგერათგადაწვევაზე უნდა წარიმართოს პირველის ფონზე, ისტორიულ-ეტიმოლოგიური კონტექსტის სრული გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია მეორე გადაწვევის ფონეტიკური ტრანსფორმაციების ჩართვა ჩვენთვის უკვე ნაცნობ სქემაში. ამასთან, ძველი ზემოგერმანულის ვითარების გადმოსაცემად საჭიროა სულ ცოტა ორი სქემა: პირველმა მათგანმა უნდა ასახოს გადაწვევის სრული სურათი — ისე, როგორც იგი გამოიკვეთა ბავარიულსა და ალემანურში, ხოლო მეორემ — აღმოსავლეთ ფრანკულის ვითარება გადაწვევიდან რეგულარული გადახრებით:

ი. ე.

გერმანიკული

ზემოგერმანული

(ბავარიული და ალემანური)



როგორც სქემიდან ჩანს, ხშულმა თანხმოვნებმა (ამჟერად გერმანიკულმა) კვლავ ერთი საფეხურით გადაიწიეს (ამჟერად ძველ ზემოგერმანულში), რის შედეგადაც წარმოიქმნა ახალი საფეხური — აფრიკატების საფეხური. რაც შეეხება ძველი ზემოგერმანულის სპირანტების სერიას, იგი რამდენადმე განსხვავდება გერმანიკულის სპირანტთა სერიისაგან. განსხვავება ეხება უპირველესად „p“ ფონემას. მის ადგილზე ძველ ზემოგერმანულ რიგში დგას უკვე ფონემა „ʒ“

[s]. ხოლო ყრუ სპირანტი „h“ გერმანული „h“-სგან თვისებრივად განსხვავდება — ეს, არის უკვე ფონემა [x, ç]. ამას გარდა, მეორე გადაწევის შედეგად მიღებულ სპირანტებს აქვთ გრძელი ვარიანტიც, რომელიც გრაფიკულად თანხმოვნის გაორმაგებით გდმოიცემა (ff, 33, hh).


აღმოსავლეთფრანკულში გადაწევა არ შეეხო სამ ფონემას. ესენია: „b“, რომელიც არ გადავიდა „p“-ში; „g“, რომელიც არ გადავიდა „k“-ში; „k“, რომელიც არ გადავიდა „kch“-ში. ამ გამონაკლისების გათვალისწინებით, გადაწევის „აღმოსავლეთფრანკული ვარიანტი“ სქემატურად ასეთ სახეს იღებს:

ი. ე.

გერმანიკული

ძველი ზემოგერმანული

(აღმოსავლეთფრანკული)



ნიმუშების წარმოდგენისას ამოსავალია გადაწევის სრული სურათი ანუ ბაკარიულ-ალემანური დიალექტები, ხოლო აღნიშნული ფონემების გადაუწევლობის შემთხვევაში ფრჩხილებში მოცემულია ფრანკული ვარიანტი.

1. გერმანიკული მკდერი ხშულები „b, d, g“ გადავიდა ძველ ზემოგერმანულში „p, t, k“ ყრუ ხშულებში. როგორც ვთქვით, სრულიად გამოვლინდა ეს გადაწევა მხოლოდ ბაკარიულსა და ალემანურში. აღმოსავლეთფრანკულში განხორციელდა მხოლოდ „d → t“ გადაწევა:

გერმანიკული

ძვ. ზემოგერმანული

d → t

გუთ. drigkan }  
ძვ. საქს. drinkan }

trinkan „trinken“

b → p

გუთ. baúrgs |  
ძვ. საქს. burg !

purg (burg) „Burg“

გუთ. balþaba

pald (bald) „bald“

g → k

გუთ. gasts  
გუთ. giban }  
ძვ. საქს. geban }

kast (gast) „Gast“  
kepan (gebān) „geben“

2. გერმანიული „p, t, k“ ყრუ ხშულების გადაწევა პოზიციურად განპირობებულია შემდეგი მომენტებით:

ა) ხმოვნის შემდეგ სიტყვის ბოლოსა და შუაში ეს თანხმოვნები გადადიან ყრუ სპირანტებში, რომლებიც შეიძლება იყოს როგორც მოკლე (f, ʒ, h), ისე გრძელი (ff, ʒʒ, hh):

გერმანიული	ძვ. ზემოგერმანული	
	p → f (ff)	
გუთ. slāpan ძვ. საქს. slāpan } გუთ. საქს. opan	slāfan offan	„schlafen“ „offen“
	t → ʒ (ʒʒ)	
გუთ. itan ძვ. საქს. etan } გუთ. sat ძვ. საქს. sat }	eʒʒan saʒ	„essen“ „saß“
	k → h (hh)	
გუთ. brikan ძვ. საქს. brekan } გუთ. ik ძვ. საქს. ik }	brehhan ih	„brechen“ „ich“

ბ) სიტყვის თავში, თანხმოვნის შემდეგ სიტყვის ბოლოსა და შუაში, აგრეთვე ორმაგი თანხმოვნის ადგილას ყრუ ხშულები გადადიან აფრიკატებში: pf(pf, ph), ts(z, zz), kch(kch, ch)<sup>5</sup>:

გერმანიული	ძვ. ზემოგერმანული	
	p → pf	
ძვ. საქს. appul გუთ. pund	apful pfunt	„Apfel“ „Pfund“

<sup>5</sup> ფრჩხილებში მოცემულია ფონემების გრაფიკული ვარიანტები.



t → z

გუთ. twai } ძვ. საქს. twē }	zwei	„zwei“
ძვ. საქს. holt	holz	„Holz“

k → kch

ძვ. საქს. korn	kchorn (korn)	„Korn“
ანგლ. საქს. macian	makchen (mahhon)	„machen“

როგორც ნიმუშებიდან ჩანს, შემდეგი დიალექტური ფორმები გაემიჯნენ ერთმანეთს გადაწევის სრული და ნაწილობრივი განხორციელების შედეგად:

ბავარიული } ალემანური }		ფრანკული
purg	—	burg
pald	—	bald
kast	—	gast
kepan	—	gebän
kchorn	—	korn
makchen	—	mahhon


მეორე ბგერათგადაწევაში არ მონაწილეობს თანხმოვანთა კომპლექსები „sp, st, sk, tr, ht, ft“:

გუთური	ძვ. ზემოგერმანული	
stains	—	stein „Stein“
spinnan	—	spinnan „spinnen“
skeinan	—	skinan „scheinen“
fisks	—	fisc „Fisch“
triggws	—	triuwi „treu“
nahts	—	naht „Nacht“
luftus	—	luft „Luft“

მეორე ბგერათგადაწევის ფონმატურ ტრანსფორმაციათა კომპლექსს მიაკუთვნებენ აგრეთვე „þ“-ს გადასვლას „d“-ში:

გუთური	ძვ. ზემოგერმანული	
þreis	—	drī „drei“
airþa	—	erda „Erde“

თუ ჩვენ შევეცდებით, ზემოთ აღწერილი ფონეტიკური პროცესები წარმოვადგინოთ სქემით, რომელშიც გათვალისწინებული იქნება „ვერნერის კანონი“, მივიღებთ პირველი და მეორე ბგერათგადაწვევების ერთიან და რამდენადმე სრულ სურათს. ამავე სქემაში შესაძლებელია ვაჩვენოთ გადაწვევის ასახვა სალიტერატურო ენაშიც — იგი, როგორც ვთქვით, ემთხვევა აღმოსავლეთფრანკულ ვითარებას:




იგივე ფონემატური ტრანსფორმაციები შეგვიძლია გამოვხატოთ მეორე სქემითაც, რომელიც უფრო ნათლად ასახავს ყოველი ცალკეული ფონემის ცვლას ინდოევროპულიდან მოყოლებული თანამედროვე გერმანულ სალიტერატურო ენამდე. იგი საშუალებას გვაძლევს გაკითვალისწინოთ აგრეთვე სხვადასხვა წარმოშობის ფონემათა დამთხვევა:

ე. ი.	გერმანიკული	ძვ. ზემოგერმანული	სალიტერატურო ენა
$p, t, k$	$\rightarrow f, \beta, h$	$\rightarrow f, d, h$	$= f, d, h$
$p, t, k$	$\rightarrow b, d, g,$	$\rightarrow p, t, k$	$= b, t, g$
$bh, dh, gh$	$\rightarrow b, d, g,$	$(b) (g)$	
$b, d, g$	$\rightarrow p, t, k$	$f, \beta, h$	$= f, s, ch [x, \zeta, \iota]$
		$pf, ts, kch$	$= pf, z, k$
		(k)	

ორივე სქემაზე ჩანს აგრეთვე ინდოევროპული ყრუ ხშულების („p, t, k“) ცვლა ჯერ გერმანიკულში, ხოლო შემდეგ ძველ ზემოგერმანულში სხვადასხვა მიმართულებით (გრიმისა და ვერნერის კანონების თანახმად), და ბოლოს — მათი ასახვა გერმანულ სალიტერატურო ენაში:

ა. გ.	გერმანიკული	ძვ. ზემოგერმანული	სალიტერატურო ენა
p, t, k	f, þ, h	→ f, d, h	= f, d, h
	b, d, g,	→ p, t, k	= b, t, g
		(b) (g)	

ფონემატური გარდაქმნების მოყვანილი ფრაგმენტი იძლევა თანამედროვე გერმანული სალიტერატურო ენის თანხმონათა მონაცვლეობის ეტიმოლოგიურ ახსნას. საქმე ის არის, რომ ერთი და იგივე ამოსავალი თანხმოვანი სალიტერატურო ენაში ორგვარად აისახება:



ამიტომ ერთი ძირის სიტყვებში მონაცვლეობენ:

- f — b:  
 schreiben — Schrift  
 geben — Gift
- d — t:  
 leiden — litt  
 schneiden — schnitt
- h — g:  
 ziehen — zog

თუ დასახელებულ შემთხვევებს დავუმატებთ ე. წ. „როტაციზმს“, შივილებთ თანხმოვანთა მონაცვლეობის სრულ სურათს თანამედროვე გერმანულ ენაში. როტაციზმის მოვლენა შემდეგში მდგომარეობს:

იმავე პირობებში, რომლებშიც მოქმედებდა „ვერნერის კანონი“, გერმანიკულში მოხდა ინდოევროპული „s“-ს გამქლეობა: [s] — [z]. ამასთან, ეს ფონემა შემორჩა მხოლოდ გუთურს, დანარჩენ გერმანიკულ ენებში კი გადავიდა „r“-ში:

გუთური	ძვ. ზემოგერმანული	
maiza	mêra	„mehr“
batiza	bezzer	„besser“

თანამედროვე ენაში როტაციზმს შემდეგი მაგალითები ასახავენ:  
 verlieren — Verlust  
 war — gewesen  
 erkiesen — erkor — erkoren

ასეთია მეორე ბგერათგადაწევის ძირითადი შინაარსი და შედეგები. დავუმატებთ მხოლოდ, რომ ძველ ზემოგერმანულ დიალექტებში განხორციელებული სპირანტიზაციის ფონეტიკური პროცესი დამახასიათებელია როგორც თანამედროვე ზემოგერმანული დიალექტებისათვის, ისე სალიტერატურო ენისათვის. რაც შეეხება ქვემოგერმანულს, მასში, როგორც ვთქვით, მეორე გადაწევა არ მომხდარა. იგი ამ თვალსაზრისით უპირისპირდება სალიტერატურო ენას: სალიტერატურო ენის გადაწეულ ფონემებს (+) შეესაბამება ქვემოგერმანულში გადაუწეველი ფონემები (—). დამთხვევას ადგილი აქვს მხოლოდ იმ თანხმოვანთა შემთხვევაში, რომლებიც სალიტერატურო ენაშიც გადაუწეველი დარჩნენ (b, g, ნაწილობრივ k):

სალიტერატურო ენა		ქვემოგერმანული
(+) Dorf	—	(—) dorp
(+) machen	—	(—) maken
(+) Apfel	—	(—) appel
(+) das	—	(—) dat
(—) Gast	=	(—) gast

მეორე ბგერათგადაწევის არათანაბარი გავრცელება მნიშვნელოვნად ართულებს ძველი ზემოგერმანულის თანხმოვანთა ერთიანი სისტემის აგებას. სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე, ჩვენ წარმოვადგენთ ამ სისტემის მხოლოდ ერთ — აღმოსავლეთფრანკულ — ვარიანტს, რომელიც ყველაზე ახლოს დგას სალიტერატურო ენასთან:

ყრუ ხშულები	p t k k <sup>w</sup>
მჟღერი ხშულები	b d g
ყრუ სპირანტები	f(ff) ʒʒ, s hh(ch) h <sup>w</sup>
მჟღერი სპირანტები	th(dh)
აფრიკატები	pf z [ts]
ფარინგალურები	h
ნარნარები	l r

ცხვირისმიერები	m n
ნახევარხმოვნები	w j

### დამოუკიდებელი სამუშაო

დავალება 1. გაეცანით ძველ ზემოგერმანულ თანხმოვანთა გრაფიკული აღნიშვნის ძირითად წესებს!

ძველ ზემოგერმანულს საკმაოდ მოუწესრიგებელი ორთოგრაფია ჰქონდა: ზოგჯერ ერთსა და იმავე ფონემას სხვადასხვა გრაფემა აღნიშნავდა, ზოგჯერ ფონემის შესაბამისი გრაფიკული ნიშანი არ არსებობდა და იგი ასოთა განსხვავებული კომბინაციებით გადმოიცემოდა, ზოგჯერ კი ფონემის დაკავშირება გრაფემასთან თვით ძეგლის ფარგლებში დგინდებოდა. ყოველივე ეს გარკვეულ სიძნელეებს ქმნის ძველი ზემოგერმანული ტექსტების კითხვისას.

ქვემოთ წარმოდგენილი ორთოგრაფიული წესები თანხმოვანთა სწორ წარმოთქმაში დაგეხმარებათ.

1. ფონემა [f]-ის გრაფიკული ვარიანტებია f და v. ეს უკანასკნელი იხმარება უმთავრესად სიტყვის თავში და ხმოვნებს შუა (hof — hoves).

2. ფონემა [k] აღინიშნება ძირითადად ორი გრაფემით. ესენია k და c. იშვიათად, ისიც სიტყვის თავში, გვხვდება დამწერლობა kh, ch (მაგალითად, chunst, khuning).

3. [kʷ] ფონემის გრაფიკული ნიშანია qu.

4. ძველ ზემოგერმანულში განსაკუთრებული ადგილი უკავია [d] ფონემას: მისი ჩამოყალიბება გერმანიკული [p]-დან საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია. შესაბამისად წერილობით ძეგლებშიც გვხვდება d, dh, th, რაც იმაზე მეტყველებს, რომ აღნიშნული პროცესი დამთავრებული არ არის (danne/dhanne/thanne — „dann“). ვინაიდან დაუდგენელია, თუ რით განსხვავდებოდა ამ გრაფემების წარმოთქმა, სამივე ვარიანტი იკითხება როგორც [d].

5. აფრიკატი [pf] აღინიშნება ორგვარად: pf და ph.

6. [kch] აფრიკატს ბავარიულსა და ალემანურში სხვადასხვა გრაფიკული ნიშნები შეესაბამება: ch, cch, kh, ckh.

7. ფონემა [s]-ის აღნიშვნისას გათვალისწინებული იყო მისი ეტიმოლოგია: თუ იგი ინდოევროპული წარმოშობისა იყო, მას შეესაბამებოდა გრაფემა s (gras, stantan). მაგრამ თუ იგი მეორე ბგერათვა-

დაწევის შედეგი იყო, მაშინ აღინიშნებოდა როგორც z. სპეციალურ ნიშანი „ “ ამ თანხმონისთვის შემოღებულია მოგვიანებით. იგი ჩვეულებრივ გამოიყენება ლექსიკონებში, განმარტებებში, თეორიული მსჯელობისას. ორიგინალებში კი ყველგან გვხვდება z (dhaz, waz-zar). აქ თავს იჩენს ერთი სირთულე: გრაფემა z გამოიყენება [ts] აფრიკატის გადმოსაცემად (zit, zwei). ამ ასოს წარმოქმნისას უნდა დავეყრდნოთ თანამედროვე ნორმას — წარმოვთქვათ [s] იქ, სადაც დღეს გვაქვს s, ხოლო [ʃ] — იქ, სადაც გვაქვს z.

8. ძველი გერმანიული [h] აღინიშნება მუდამ როგორც h. მეორე გადაწევის შედეგად მიღებულ [x, ç]-ს კი რამდენიმე ნიშანი აქვს: h, hh, ch.

9. [w] ნახევარხმოვანს შეესაბამება გრაფემები w და uu(u). uuas წაიკითხება როგორც was, suert — როგორც swert, tuēm — როგორც twēm.

10. [h] ხმოვნებს შუა არ გამოითვება, ხოლო ბოლოკიდურში წარმოითქმის როგორც x/ç: stahal წაიკითხება როგორც sta-hal, sah — როგორც sach.

დავალება 2. მეორე ბგერათგადაწევაზე დაყრდნობით დაწვრილეთ ეტიმოლოგიურად ერთმანეთთან დაკავშირებული გერმანიკული და ძველი ზემოგერმანული სიტყვები! მიუთითეთ კონკრეტული ფონემატური ტრასფორმაცია!

გერმანიკული	ძველი ზემოგერმანული
þaurp	diota
tiuhan	zand
auk	hōren
þiuda	grifan
letan	toug
tunþus	ziohan
greipan	pfeit
giutan	dorf
tainsk	lāzgan
paida	ouh
daug	giozan
hausjan	zeichan

ნ ი მ უ შ ი :

þaurp — dorf (þ→d; p→f)

და ვ ა ლ ე ბ ა 3. ქვემოთ მოცემულია ეტიმოლოგიურად ერთმანეთთან დაკავშირებული ინდოევროპული, გერმანიკული და ძველი ზემოგერმანული სიტყვების შერეული რიგები. დაძებნეთ ეს სიტყვები პირველი და მეორე ბგერათგადაწვეების კანონზომიერებებზე დაყრდნობით!

ი. ე.	გერმანიკული	ძველი ზემოგერმანული
centum	ahtau	da3
poly	þata	fuoz
oktō	þrēo	filu
tad	hund	dri
pedis	fōtus	hunt
trēs	filu	ahito

და ვ ა ლ ე ბ ა 4. მეხუთე მეცადინეობაში თქვენ გაეცანით „მამაო ჩვენოს“ ტექსტს ოთხ ძველ ზემოგერმანულ დიალექტზე. დაადგინეთ ამ ტექსტებში შესაბამისი სიტყვები, რომლებსაც შეეხო მეორე ბგერათგადაწვეა. იმსჯელეთ ფონემატური ტრანსფორმაციების დამთხვევა-განსხვავებებზე!

და ვ ა ლ ე ბ ა 5. ძველ ზემოგერმანულ დიალექტთა რომელ ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ შემდეგი წინადადება და რის საფუძველზე?

Sō da3 Eliases pluot in erda kitriulit, sō inprinnant die pergā, poum ni kistentit.

„Wenn Elias Blut auf die Erde dann träufelt, so entbrennen die Berge, kein Baum mehr steht“.

და ვ ა ლ ე ბ ა 6. რა დიალექტურ განსხვავებებს ავლენენ სახარებიდან მოყვანილი ნაწყვეტები მეორე გადაწვეის თვალსაზრისით?

(1) Sliumo after arbeits thero tago sunna uuidit bifinstit, inti māno ni gibit sīn liōht, inti sterron fallent fon himile, inti megin himilo sint giruorit. Inti thanne erougit sih zeichan thes mannes sunes in himile, inti thanne uuofit sih allu erdcunnu, inti gisehent mannes sun comentan in himiles uuolkandōnmit mana-

gemo megine inti mihilnesse. Thanne sentit sine engila mit trumbun mit mihileru stemmu, inti giçamanont sine gicoranon fon fior uuinton, fon hohi himilo io unz iro enti.

- (2) Saar auh after dem arbeitum dero tago sunna ghifinstitr enti mano ni gibit siin leoht enti sternā fallant fona himile enti diu himilo meginsih hruorent, enti danne schinant zehhan mannes sunnes in himile. enti danne uuoffent elliu ærda folc enti kasehant mannes sunu quemantan in himiles uuolcuum mit mihhilu meginu enti almahtigin. Enti sentit sine angilā mit trumbom enti mihhileru slimnu enti kasamnōt sine kachorane fona feor uuintum enti fona himilo hohisin untaꝥ dero marcha.

მდრ. მარტინ ლუთერის თარგმანსი

Bald aber nach der Trübsal jener Zeit werden Sonne und Mond den Schein verlieren, und die Sterne werden vom Himmel fallen, und die Kräfte des Himmels werden ins Wanken kommen. Und alsdann wird erscheinen das Zeichen des Menschensonnens am Himmel. Und alsdann werden heulen alle Geschlechter auf Erden und werden kommen sehen des Menschen Sohn in den Wolken des Himmels mit großer Kraft und Herrlichkeit. Und er wird senden seine Engel mit hellen Posaunen und sie werden sammeln seine Auserwählten von den vier Winden, von einem Ende des Himmels bis zum anderen (Matthäus, 24, 29—31).

დავალება 7. დიალექტთა რომელ ჯგუფს მიეკუთვნება შემდეგი ნაწილები?

„Es wöör an enen Sündagmorgen tor Harvesttied, jüst as de Book. weiten bloihde. De Swinegel stünd vor siener Döhr...“

„Es war an einem Sonntagmorgen zur Herbstzeit, just als der Buchweizen blühte. Der Swinegel stand vor seiner Tür...“



დავალება 8. ქვემოთ მოცემულია ზემო და ქვემოგერმანული დიალექტების სიტყვები. განლაგეთ ისინი ცარიელ უჯრებში სალიტერატურო ენის მასალასთან შეფარდებით. იხელმძღვანელეთ მეორე გადაწევის ასახვით სალიტერატურო ენასა და დიალექტებში:

ზემო-გერმ.									
სალიტ. ენა	ich	Werk	essen	zwei	Gast	Blatt	Kopf	Holz	gehabt
ქვემო-გერმ.									

ik; werkch; eten; lwë; gast; kast; platt; kop; holt; k'habt.

დავალება 9. ქვემოთ მოცემულია ნაწყვეტი ლუკას სახარებიდან (2,4—6) ქვემოგერმანულზე (ქვემოსაქსონურზე). შეუდარეთ იგი ამავე ტექსტის განსხვავებულ ნიმუშებს (გვ. 35) და უპასუხეთ კითხვას: რომელ თანხმოვანთა სისტემას — გერმანულისას თუ დანარჩენი გერმანიკული ენებისას — უახლოვდებიან ამ ნაწყვეტში თავმოყრილი ხშული თანხმოვნები და რატომ?

Un ok Joseph reist' ut Galiläaland, ut dei Stadt Nazareth, nah Land Judäa nah David sin Stadt, nah Bethlehem. Denn hei stammt' jo her ut David sin Hus un Geslecht. Hei müßt sik ok ni upschriwen laten. Un sin Fru Maria nehm hei mit. Dei drög 'n Kind unner'n Harten, un as sei nu dor wiren, dunn wiren ok ehr Dag' dor.

თემა მეოთხე

ს ა ლ ე ქ ც ი ო მ ა ს ა ლ ა

1. ხმოვანთა მონაცვლეობა ძველ ზემოგერმანულში;
2. ძველი ზემოგერმანულის ხმოვანთა სისტემა საერთოგერმანიკულთან მიმართებაში.

## დამოუკიდებელი სამუშაო

1. ხმოვანთა კლასიფიკაციის პრინციპების გამეორება;
2. ძველი ზემოგერმანული ხმოვნების გრაფიკული აღნიშვნისა და წარმოთქმის ზოგიერთი წესი;
3. პრაქტიკული დავალებები.

### ხალექციო მახალა

1. ხმოვანთა მონაცვლეობა ძველ ზემოგერმანულში. ძველი ზემოგერმანული ვოკალიზმისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ხმოვანთა მონაცვლეობის სამ სახეს: აბლაუტს, უმლაუტსა და გარდატეხას.

აბლაუტი (der Ablaut) ინდოევროპულიდან მომდინარეობს. იგი წარმოადგენს ფუძისეულ ხმოვანთა კანონზომიერ მონაცვლეობას ერთი და იმავე ძირის სიტყვებში ან ერთი და იმავე სიტყვის გრამატიკულ ფორმებში (der Band—der Bund; binden—band—gebunden).

განასხვავებენ აბლაუტის ორ სახესხვაობას: ხარისხობრივს და რაოდენობრივს. ხარისხობრივი აბლაუტი გულისხმობს სხვადასხვა ხმოვნის მონაცვლეობას, ხოლო რაოდენობრივი — ხმოვნის სიგრძე-სიმოკლის ცვლას ან მის ამოვარდნას (ხმოვანი — ნულა).

ინდოევროპულისთვის ნიშანდობლივი იყო e—o მონაცვლეობა.

ხარისხობრივი აბლაუტია:

რუს.: несу — носить

везу — возить

რაოდენობრივი აბლაუტია:

ლათ. edo (ეჰამ)—ēdi (ეჰამდი) [მოკლე e—გრძელი ē]

რუს.: беру — брал (e—ნული)

ხარისხობრივი და რაოდენობრივი აბლაუტი ერთი სიტყვის ფორმებშიც გვხვდება: беру — сноп — брал.

გერმანიკულში ინდოევროპული აბლაუტი აისახა როგორც e—a მონაცვლეობა:

ძვ. ზემოგერმანული: werfan — warf (werfen — warf)

გუთური: bairan (დაბადება) — barn (ბავში)

რაოდენობრივი აბლაუტი გერმანიკულში შედარებით ნაკლებადაა გავრცელებული. ამასთან ნიშანდობლივია, რომ ნულის პოზიციას მუდამ რომელიმე ხმოვანი იკავებს: werfen — warf — geworfen.

აბლაუტის წარმოშობის მიზეზები ბოლომდე დაუდგენელია. ცხადია მხოლოდ, რომ ხმოვანთა მონაცვლეობა თავდაპირველად გა-


მოწვეული იყო გარკვეული ფონეტიკური პირობებით. შემდეგ ეს პირობები შეიცვალა, მონაცვლეობა კი დარჩა. შემდგომში იგი დაუკავშირდა სიტყვა- და ფორმაწარმოებას როგორც შინაგანი ფლექსია. თანამედროვე გერმანულ ენაშიც აბლაუტს სწორედ ეს ფუნქცია აკისრია.

უმლაუტი (der Umlaut) ასიმილაციური მოვლენაა. იგი წარმოადგენს ფუძისეული ხმოვნის პალატალიზაციას (შერბილებას) ბოლოკიდურის პალატალური ხმოვნის ზეგავლენით.

უმლაუტის არსში უკეთ გასარკვევად მივმართოთ ხმოვანთა სამკუთხედის გამარტივებულ სქემას — ერთგვარ ინვარიანტს, რომელიც შევსებულია მხოლოდ i, e, a, o, u ხმოვნებით მათი ფონემატური ნიშან-თვისებების გათვალისწინების გარეშე და რომელშიც აღნიშნულია მხოლოდ ერთი პარამეტრი — რიგი:

წინა რიგი

უკანა რიგი




სამკუთხედში მოცემული ხმოვნებიდან პალატალურია i და e. ეს ნიშნავს, რომ ისინი მიიღება შუაენის მაგარი სასის მიმართ მოქმედების შედეგად (ლათ. palatum — „სასა“). ყველა დანარჩენმა ხმოვანმა კი შეიძლება განიცადოს პალატალიზაცია.

ხმოვანი პალატალიზდება იმ შემთხვევაში, როდესაც მის პირველად არტიკულაციას ემატება მეორეული არტიკულაცია, რომელიც შუაენის მოქმედებას გულისხმობს. პალატალიზაცია როგორც ასიმილაციური მოვლენა ანუ უმლაუტი ზორციელდება გარკვეულ ფონეტიკურ პირობებში — როდესაც ბოლოკიდურის პალატალური ხმოვანი იმსგავსებს ფუძისეულ ხმოვანს იმით, რომ შემოაქვს მის წარმოქმნაში მეორეული (პალატალური) არტიკულაციის მომენტი. პალატალიზაციისას ხმოვანი იცვლის რიგს: უკანა რიგის ხმოვანი გადადის წინა რიგისაში.

საერთო-გერმანიკულს უმლაუტი არ ჰქონია. იგი განვითარდა გერმანიკულ ენებში მათი ისტორიის უფრო გვიანდელ ეტაპზე.

ძველ ზემოგერმანულში ხმოვანთა ასიმილაციური პალატალიზაციის პროცესი VIII საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება (ე. წ. პირველადი უმლაუტი). ამ პერიოდში იგი შემოიფარგლება ფუძისეული მოკლე *a*-სა და ბოლოკიდური *i*-ს ურთიერთმიმართებით. კერძოდ, ბოლოკიდური პალატალური *i* მოქმედებს ფუძისეულ *a*-ზე. შემოაქვს მის წარმოქმნაში პალატალური არტიკულაციის მომენტი და იმსგავსებს მას ამ თვალსაზრისით, მაგრამ არა ბოლომდე, არამედ ნაწილობრივ — *a* გადადის წინა რიგის პალატალურ *e* ხმოვანში  $a + i = e$ :



*gast* — *gesli* (*Gast* — *Gäste*)

*alt* — *eltiro* — *eltisto* (*alt* — *älter* — *am ältesten*)

ძველ ზემოგერმანულში უმლაუტი ორთოგრაფიულად აღინიშნებოდა როგორც *e*, ვინაიდან ლათინურ ანბანს არ ჰქონდა უმლაუტირებული ხმოვნების შესატყვისი გრაფემები. ამგვარი ვითარება აძნელებს აგრეთვე იმის დადგენას, დაიწყო თუ არა ძველ ზემოგერმანულში სხვა ხმოვნების უმლაუტირებაც. უმლაუტის გრაფიკული აღნიშვნა მხოლოდ საშუალო გერმანულიდან იწყება. სწორედ ეს პერიოდი იძლევა უმლაუტის გაშლა-განვითარების სრულ სურათს.

ძველ ზემოგერმანულში *a*-ს გაუმლაუტება ბოლომდე და რეგულარულად არ განხორციელებულა. აქ ჯერ კიდევ ბევრი გამონაკლისი გვხვდება:

ა) უმლაუტირებას აბრკოლებენ ბგერათკომპლექსები *ht*, *hs*, *hw*:

*maht* — *mahtig* (შდრ.: *Macht* — *mächtig*)

*wachsan* — *wahsit* (შდრ.: *wachsen* — *wächst*)

ბ) არათანაბრად ხდება პალატალიზაცია ორ შემთხვევაში: როდესაც უმლაუტის გამოძწევე *i* გრძელია და როდესაც ბოლოკიდურსა და ფუძეს შორის ჩართულია მარცვალი:


lang — lengi (lang — Länge)

მაგრამ: smal — smali (schmal — აბსტრაქტული არს. სახელი)

აგრეთვე: magad — magadi (Magd — Mägde).

ბ რ ე ხ უ ნ გ ი<sup>6</sup> (die Brechung — გარდატეხა) ანუ ველარული ასიმილაცია, ისევე, როგორც უმლაუტი, რეგრესულ ასიმილაციას წარმოადგენს. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ხმოვნის აწეულობის ცვლასთან. ეს ნიშანი, როგორც ვიცით, ახასიათებს ხმოვანს იმის მიხედვით, თუ რამდენად იწვევს წარმოთქმისას ენის ესა თუ ის ნაწილი სასის მიმართულებით.

მიემართოთ კვლავ ხმოვანთა სამკუთხედის განმარტებულ მოდელს, რომელშიც გამოკვეთილია უკვე მეორე პარამეტრი — აწეულობა:



i და u მაღალი აწეულობის ხმოვნებია. მათი წარმოთქმისას ენა ყველაზე მეტადაა აწეული. ამ ხმოვნებს ვიწრო ან დახურულ ხმოვნებსაც უწოდებენ.

e და o საშუალო აწეულობის ხმოვნებია. ამ ხმოვნების წარმოთქმისას ენას საშუალო მდგომარეობა უკავია სასისაკენ აწეულობის მიხედვით.

a დაბალი აწეულობის ხმოვანია. ამ ხმოვნის წარმოთქმისას ენა ყველაზე დაბლა მდებარეობს. მას აგრეთვე ფართო ან ღია ხმოვანს უწოდებენ.


ბრეხუნგის არსია ფუძისეული ხმოვნის აწეულობის მიახლოება ბოლოკიდური ხმოვნის აწეულობასთან (სრული ან ნაწილობრივი ასიმილაცია).

ძველ ზემოგერმანულში გამოიკვეთა ამ ფონეტიკური პროცესის განხორციელების რამდენიმე კერძო შემთხვევა:

<sup>6</sup> ამ ტერმინს ხმარობს გ. ახვლედიანი.

1. ბოლოკიდური მაღალი აწეულობის ხმოვანი i მოქმედებს საშუალო აწეულობის ფუძისეულ e-ზე, რის შედეგადაც ხდება სრული


ასიმილაცია —  $e + i = i:$



neman — nimis	(nehmen — du nimmst
nimit	er nimmt)
erda — irdisk	(Erde — irdisch)


2. ბოლოკიდური მაღალი აწეულობის ხმოვანი u მოქმედებს საშუალო აწეულობის ფუძისეულ e-ზე. ეს უკანასკნელი იცვლის აწეულობას, მაგრამ თავის რიგის მიხედვით (ნაწილობრივი ასიმილა-

ცია) —  $e + u = i:$




geban — gibu	(geben — ich gebe)
neman — nimu	(nehmen — ich nehme)

3. მაღალი აწეულობის ხმოვანი u მოქმედებს საშუალო აწეულობის o-ზე და იმსგავსებს მას სრულად —  $o/iu + u = u/iu:$




biogan — biugu (biegen — ich biege)

4. მაღალი აწეულობის ხმოვანი i მოქმედებს საშუალო აწეულობის o-ზე. ეს უკანასკნელი იცვლის აწეულობას საკუთარი რიგის მიხედვით (ნაწილობრივი ასიმილაცია) —  $io + i = iu$ :



biogan — biugit (biegen — er biegt)

5. დაბალი აწეულობის a მოქმედებს მაღალი აწეულობის u-ზე. u იქცევა საშუალო აწეულობის o ხმოვნად (ნაწილობრივი ასიმილაცია). წინა შემთხვევებთან შედარებით აქ საქმე გვაქვს უკვე აწეულობის ხარისხის დაქვეითებასთან: —  $u + a = o$ :



wurdum — wordan (wurden — geworden)

ბრეხუნგის შედეგად ძველ ზემოგერმანულში გამოიკვეთა ფუძისეული ხმოვნების მონაცვლეობის გარკვეული კანონზომიერებანი, რომლებიც უშუალო მიმართებაშია ბოლოკიდურ ხმოვნებთან:

ფუძეში მონაცვლეობენ:

$$\begin{array}{r} e - i \\ o - u \\ eo/io - iu \\ \hline \downarrow \quad \downarrow \end{array}$$

შესაბამისად ბოლოკიდურ პოზიციაში გვაქვს: a, e, o i, u

ამ კანონზომიერების ფორმულირება სხვაგვარადაც შეიძლება: ბრეხუნგის მიხედვით ზმოკანთა მონაცვლეობის შემთხვევაში ფუძისეული და ბოლოკიდური ხმოვნები აწეულობის მიხედვით ერთმანეთს ეფარდებიან: თუ ბოლოკიდურში გვაქვს a, e, o, მაშინ ფუძეშიც e, o, eo/io გვექნება (დაბალი აწეულობა / საშუალო აწეულობა — საშუალო აწეულობა). მაგრამ, თუ ბოლოკიდურში გაჩნდა i, u, მაშინ ფუძეშიც i, u-ს უნდა ველოდეთ (მაღალი აწეულობა — მაღალი აწეულობა).

ბრეხუნგს მიაკუთვნებენ აგრეთვე ერთ კერძო შემთხვევას, რომელიც არ არის გამოწვეული უშუალოდ ბოლოკიდური ხმოვნის ასიმილაციური ზეგავლენით. ესაა „e“-ს გადასვლა „i“-ში (საშუალო აწეულობის შეცვლა მაღალი აწეულობით) ბგერათკომპლექსის „n + თანხმოვანი“ წინ:

ლათ.; „ventus“ — თან. გერმ. „Wind“, ძვ. ზგ. „wint“.

ბრეხუნგი უფრო ადრეული მოვლენაა, ვიდრე უმლაუტი. იგი დამახასიათებელია საერთო-გერმანიკული ენობრივი ერთობლიობისათვის.

2. ძველი ზემოგერმანული ხმოვანთა სისტემა საერთო-გერმანიკულთან მიმართებაში. შველი ზემოგერმანული ხმოვანთა სისტემა ყალიბდებოდა საერთოგერმანიკულის საფუძველზე. ამ პროცესში გარკვეული როლი ითამაშა აგრეთვე ასიმილაციურმა მოვლენებმა (უმლაუტი, ბრეხუნგი).

ქვემოთ წარმოდგენილი სქემა ასახავს გერმანიკული და ძველი ზემოგერმანული ხმოვანთა სისტემების შესაბამისობის ძირითად მომენტებს:



	მოკლე ხმოვნები	ბრძანული ხმოვნები <sup>1</sup>	დიფთონგები
ბმკა.	i e a (o) u	i ē ě ǎ ō ū	ai au eu/ɔu
ქვზ.ბ	i e a o u	i ē ǎ ō ū	ei ia /ie iu /io ou uo

ცხადია, მოყვანილი სქემა მხოლოდ ზოგადად გადმოსცემს ძველ ზემოგერმანულში მომხდარ ცვლილებებს. მაგრამ იგი იძლევა წარმოდგენას იმის შესახებ, რომ გერმანულ ვოკალიზმს ადრეულ ეტაპებზევე ახასიათებდა გრძელი და მოკლე ხმოვნების მკვეთრი დაპირისპირება, რაც დღემდე რჩება გერმანული ენის ბევრითი სისტემის არსებით ნიშნად. ამასთან, სქემა დაგვეხმარება გავერკვიოთ ძველი ზემოგერმანულის ორ მნიშვნელოვან ფონეტიკურ პროცესში. ესაა, ერთი მხრივ, გერმანიკული დიფთონგების მონოფთონგიზაცია, ხოლო, მეორე მხრივ, — გერმანიკული გრძელი ხმოვნების დიფთონგიზაცია.

მოვიყვანოთ ნიმუშები:

- გერმ. ძველ ზემოგერმანული
- (1) a — a  
akrs — ackar (Acker)  
a — e (უმლაუტირება)  
gasts — gesti (Gäste)
- (2) e — e  
გუთ. airpa — erda (Erde)  
e — i  
გუთ. faihu — fihu (Vieh)
- (3) i — i  
fisks — fisc (Fisch)  
i — e (გარდატეხა)  
giban } — geban } (geben)  
gibip } gibit } (gibt)
- (4) u — u  
lustus — lust (Lust)  
u — o (გარდატეხა)

<sup>1</sup> გერმანიკულ ენებში განსხვავდებოდა ორი ē: ღია (ē<sub>1</sub>) და დახურული (ē<sub>2</sub>).

- |      |  |             |
|------|--|-------------|
|      | hulpum } — hulfum } (helfen)           |             |
|      | hulpans } giholfan } (geholfen)        |             |
| (5)  | o — o                                  |             |
|      | გუთ. haúrn <sup>7</sup> — horn         | (Horn)      |
| (6)  | ā — â                                  |             |
|      | brāhta — brāhta                        | (brachte)   |
| (7)  | i — î                                  |             |
|      | გუთ. steigan — stigan                  | (steigen)   |
| (8)  | ū — û                                  |             |
|      | hūs — hūs                              | (Haus)      |
| (9)  | ē <sub>1</sub> — â                     |             |
|      | slēpan — slēfan                        | (schlafen)  |
| (10) | ē <sub>2</sub> — ia/ie (დიფთონგიზაცია) |             |
|      | hēr — hiar (მოგვიანებით: hier)         | (hier)      |
| (11) | ö — uo (დიფთონგიზაცია)                 |             |
|      | fōtus — fuoƶ                           | (Fuß)       |
| (12) | ai — ê (მონოფთონგიზაცია)               |             |
|      | saiws — sēo                            | (See)       |
|      | ai — ei                                |             |
|      | haitan — heizan                        | (heißen)    |
| (13) | au — o (მონოფთონგიზაცია)               |             |
|      | háuhs — hōh                            | (hoch)      |
|      | au — ou                                |             |
|      | augō — ouga                            | (Auge)      |
| (14) | eu/iu — iu                             |             |
|      | გუთ. biuga — biugu                     | (ich biege) |
|      | eu/iu — io (გარდატეხა)                 |             |
|      | გუთ. liuhaþ — lioht                    | (Licht)     |

როგორც განხილული სქემა გვიჩვენებს, ძველი ზემოგერმანულის სმოვანთა სისტემას შემდეგი სახე ჰქონდა (მე-9 საუკუნის მდგომარეობის მიხედვით):

მოკლე ხმოვნები:<sup>8</sup> a, ē, e, i, o, u

გრძელი ხმოვნები: ā, ê, î, ô, û

დიფთონგები: ei, ia/ie, iu/io, ou, uo

<sup>7</sup> aú(=o)—ე. წ. „გუთური ბრეხუნგის“ შედეგია.

<sup>8</sup> ē—ძველი გერმანიული e, e—ეპლატირებული a.

## დამოუკიდებელი სამუშაო

დავალება 1. გაიმეორეთ, თუ რა პრინციპითაა აგებული ხმოვანთა სამკუთხედი!

დავალება 2. გაეცანით ხმოვანთა გრაფიკული აღნიშვნისა და წარმოთქმის ზოგიერთ წესს:

1. ხმოვანთა სიგრძე წერილობით ძეგლებში არათანაბრად აღინიშნება. ხმოვნის ამ ხარისხის გადმოცემას ემსახურება ან ცირკუმფლექსი (â, ô), ან ხმოვანთა ვარაზება (aa, oo).

2. ě და e გრაფიკულად ჩვეულებრივ არ განსხვავდებიან. როგორც ერთის, ისე მეორის აღსანიშნავად გამოიყენება გრაფემები e, é ან æ.

3. დიფთონგი ei, თანამედროვე გერმანულისგან განსხვავებით, წარმოითქმის როგორც [ei], ხოლო დიფთონგი ie — როგორც [ie].

დავალება 3. მოცემულ მაგალითებში ერთ გუთურ დიფთონგს ძველ ზემოგერმანულში ორი განსხვავებული შესატყვისი აქვს. ახსენით ეს მოვლენა!

გუთური	ძვ. ზემოგერმანული	
sair	sēr	(Schmerz)
dails	teil	(Teil)
aiz	ēr	(Erz)
wait	weiȝ	(ich wei?)
laus	lōs	(los)
auk	ouh	(auch)

დავალება 4. ახსენით ხმოვნის ცვლა ძველ ზემოგერმანულში გუთურთან შედარებით. რა ფონეტიკურ მოვლენასთან გვაქვს საქმე?

გუთური	ძვ. ზემოგერმანული	
badi	betti	(Bett)
nati	nezzi	(Netz)
sandjan	senden	(senden)
satjan	sezzen	(setzen)
aggilus	engil	(Engel)

დავალება 5. ახსენით ხმოვანთა მონაცვლეობა ძველ ზემო-გერმანულში:

sioh	—	siuchi	(krank	—	Krankheit)
kalb	—	kelbir	(Kalb	—	Kälber)
graban	—	grebit	(graben	—	er gräbt)
feld	—	gifildi	(Feld	—	Gefilde)
gold	—	guldin	(Gold	—	Guldin)
diot	—	diutisc	(ხალბი	—	ხალხური)

დავალება 6. ახსენით ხმოვანთა მონაცვლეობა თანამედროვე გერმანულ ენაში! მოიშველიეთ აგრეთვე ფრჩხილებში მოცემული სველი ზემოგერმანული ფორმები!

Berg	—	Gebirge	(berg	—	gibirgi)
recht	—	richtig			
Stadt	—	Städte	(stat	—	steti)
lang	—	länger	(lang	—	lengiro)
Narr	—	Närrin			
satt	—	sättigen			
nehmen	—	du nimmst	(neman	—	nimis)
ihr fahrt	—	er fährt	(faret	—	ferit)

### თავა მახუთი

### ს ა ლ ე ქ ც ი ო მ ა ს ა ლ ა

1. ძველი ზემოგერმანული ზმნის ძირითადი ფორმალური თავისებურება და მორფოლოგიური კლასები. 2. ძლიერი ზმნები. ძლიერი ზმნების კლასები. 3. სუსტი ზმნები. სუსტი ზმნების კლასები. 4. უწყესო ზმნები. 5. პრეტერიტულ-პრეზენსული ზმნები. 6. ინფინიტივი და მიმღეობა. 7. დროის კატეგორია და ზმნის ანალიზური ფორმების განვითარება.

### და მოუკიდებელი სამუშაო

1. ზმნის უღლება: პრეზენსისა და პრეტერიტუმის პარადიგმები. 2. კონიუნქტივის წარმოება. 3. იმპერატივის წარმოება. 4. პრაქტიკულ დავალებები.

## სალექციო მასალა

1. ძველი ზემოგერმანული ზმნის ძირითადი ფორმალური თავისებურება და მორფოლოგიური კლასები. ძველი ზემოგერმანული მკვეთრად გამოხატული ფლექსიური ენაა. თითოეულ გრამატიკულ ფორმას, როგორც წესი, უკავშირდება გარკვეული ფორმასაწარმოებელი მორფემა (მორფემები). ეს მორფემები ერთნიშნაა და ბევრად უფრო ინფორმაციული, ვიდრე თანამედროვე გერმანულში, ვინაიდან მათ ნაკლებად ახასიათებთ ომონიმია. ასე, მაგალითად, თანამედროვე ენის „ein“ მორფემას, რომელსაც სხვადასხვა გრამატიკული მნიშვნელობის გადმოცემა შეუძლია, ძველი გერმანული ზმნის სისტემაში რამდენიმე მორფემა შეესაბამება:

თანამედროვე გერმანული	ძველი ზემოგერმანული
fahr-en	fār-an
dank-en	dank-ôn
leb-en	leb-ên
wir fahr-en	fār-amês
sie fahr-en	fār-ant
wir fuhr-en	fur-um და ა. შ.

ფორმასაწარმოებელ ფლექსიათა დიდი ნაირფეროვნება ძველ ზემოგერმანულში რთულ მორფოლოგიურ სისტემას ქმნის. ეს პირველ რიგში ეხება ზმნას.

ამ პერიოდისათვის განასხვავებენ ზმნის შემდეგ მორფოლოგიურ ჯგუფებს:

- 1) ძლიერ ზმნებს (starke Verben);
- 2) სუსტ ზმნებს (schwache Verben);
- 3) ათემატურ (უწესო) ზმნებს (unregelmäßige Verben);
- 4) პრეტერიტულ-პრეზენტულ ზმნებს (die Verben Präterito-Präsensentien/die Verben Präteritopräsentia).

ამ ჯგუფებიდან უმნიშვნელოვანესია ძლიერი და სუსტი უღლების ზმნები.

2. ძლიერი ზმნები. ძლიერი ზმნების კლასები. ძველ ზემოგერმანულში ძლიერ ზმნებს ოთხი ძირითადი ფორმა აქვთ:

helfan — half — hulfum — giholfan

ძლიერი ზმნების ინფინიტივის სუფიქსია „an“. ეს სუფიქსი განასხვავებს ძლიერ ზმნებს სხვა უღლების ზმნებისაგან.

პრეტერიტუმს ძველ ზემოგერმანულში ორი ფუძე, და შესაბამისად ორი ფორმა აქვს: მხოლოდითი რიცხვის ფორმა და მრავლობითი რიცხვის ფორმა. ეს მნიშვნელოვანი მომენტი ბევრად განაპირობებს ძველი ზემოგერმანული ძლიერი ზმნების უღლების სისტემის თავისებურებას თანამედროვე სისტემასთან შედარებით.

მიმლეობა II-ის ფორმას აწარმოებს პრეფიქსი „gi“ და სუფიქსი „an“. ამასთან „gi“-პრეფიქსს ძველ ზემოგერმანულში პერფექტული მნიშვნელობა აქვს. ამიტომ ის ზმნები, რომლებიც თავისი სემანტიკით დასრულებულ მოქმედებას აღნიშნავენ, მიმლეობა II-ს, როგორც წესი, „gi“-ს გარეშე აწარმოებენ: findan — funtan (ნაცულად: gifuntan); werden — wortan (იშვიათად: giwortan).

ფუძისეული ხმოვნის მონაცვლეობის მიხედვით ძლიერი ზმნები კლასებად, ანუ აბლაუტის რიგებად, ჯგუფდება. ძველ ზემოგერმანულში განასხვავებენ აბლაუტის შვიდ რიგს. თითოეული რიგის დამახასიათებელი ნიშანია, როგორც ხმოვანთა მონაცვლეობის ტიპი, ისე ე. წ. კომბინატორული ელემენტი. ეს უკანასკნელი წარმოადგენს ხმოვანს, თანხმოვანს ან თანხმოვანთა კომპლექსს, რომელიც უშუალოდ მოსდევს ფუძისეულ ხმოვანს და განსაზღვრავს ხმოვანთა მონაცვლეობის სახეს.

გერმანიკული აბლაუტის ძირითადი ტიპია „e — a — ნული“ მონაცვლეობა, რომელმაც გერმანიკულშივე მოგვცა რამდენიმე ვარიანტი. კომბინატორულ ელემენტთან შერწყმის შედეგად. ამ ვარიანტებმა კი, თავის მხრივ, განიცადეს შემდგომი ცვლილება. ამ ფონეტიკური კანონების ზეგავლენით, რომლებიც აყალიბებდნენ ძველ ზემოგერმანულ ხმოვანთა სისტემას გერმანიკულთან მიმართებაში.

აბლაუტის პირველი რიგი

მონაცვლეობის სახეობა: e — a — ნული.

კომბინატორული ელემენტი: i

გერმ.: ei (=i) — ai — i — i  
 დვ. ზგ: 1. i — ci — i — i  
 2. i — ê — i — i

როგორც ვხედავთ, ამ რიგში აბლაუტის ორი ვარიანტი გვაქვს. ეს განაპირობა გერმანიკული „ai“ დიფთონგის ტრანსფორმაციის კანონზომიერებამ ძველ ზემოგერმანულში: ერთ შემთხვევაში მან მოგვცა „ei“, ხოლო მეორეში („h, r, w“-ს წინ) — „ê“:

1. scriban—screib—scribum—giscriban
2. lihan—lêh—lihum—gilihan

### აბლაუტის მეორე რიგი

მონაცვლეობის სახეობა: e — a — ნული

კომბინატორული ელემენტი: u

გერმ.: iu/eu — au — u — u  
 დვ. ზგ. 1. io — ou — u — (u →)o  
 2. io — ô — u — (u →)o

ამ რიგშიც მონაცვლეობის ორი ვარიანტი გვაქვს, რაც განპირობებულია „au“ დიფთონგის შემდგომი განვითარების თავისებურებით: ძველ ზემოგერმანულში მისგან შივილეთ როგორც დიფთონგი „io“, ისე მონოფთონგი „ô“ (დენტალებისა და „h“-ს წინ). ხოლო რაც შეეხება მიმღობა I-I-ის ფორმას, აქ ფუძისეული ხმოვნის ჩამოყალიბებაში თავისი როლი ითამაშა ბრეხუნგმა: მართალია „ნულის“ ადგილი დაიკავა „u“ კომბინატორულმა ელემენტმა, მაგრამ იგი ბოლო-

კიდურის გავლენით (u + a → o) გადავიდა „ô“-ში (ნაწილობრივი ასიმილაცია):

1. biogan — boug — bugum—gibogan
2. giōzan — gîz — guzzum — gigozzan

### აბლაუტის მესამე რიგი

მონაცვლეობის სახეობა: e — a — ნული.

ამ რიგს ორი ქვეკატეგორია აქვს — რამდენადმე განსხვავებული კომბინატორული ელემენტითა და შესაბამისად, განსხვავებული მონაცვლეობით.

## პ ი რ ვ ე ლ ი ქ ე ჯ გ უ ფ ი

კომბინატორული ელემენტი: 1) სონანტები „r, l“ + ჩქამიერი თანზმოვანი; 2) გაორმაგებული r, l“ სონანტები.

გერმ.: e — a — u — u  
           ↓   ↓   ↓   ↘  
 ძვ. ზგ. e — a — u — (u →) o

ნულის ადგილს ამ შემთხვევაშიც „u“ ხმოვანი იკავებს, რომელიც მიმღეობა II-ის ფორმაში ასევე განიცდის ბრეხუნგს (იხ. მეორე რიგი):

helfan — half — hulfum — giholfan  
 swellan — swal — swullum — giswollan

## მ ე ო რ ე ქ ე ე ჯ გ უ ფ ი

კომბინატორული ელემენტი: 1) სონანტები „m, n“ + ჩქამიერი თანზმოვანი; 2) გაორმაგებული „m, n“ სონანტები.

გერმ.: i — a — u — u  
           ↓   ↓   ↓   ↓  
 ძვ. ზგ.: i — a — u — u

ინფინიტივის ფორმაში საქმე გვაქვს ბრეხუნგის იმ შემთხვევასთან, როდესაც ბგერათკომპლექსის „n + თანზმოვანი“ ხმოვანი „e“ იცვლის აწეულობას და გადადის „i“-ში, მიმღეობა II-ის ფორმაში კი ბრეხუნგის განხორციელებას ხელს უშლის „m, n“ სონანტები:

bintan — bant — buntum — gibuntan  
 swimman — swam — swummum — giswumman

## აბლაუტის მეოთხე რიგი

მონაცვლეობის სახეობა: e — a — გაგრძელებული საფეხური — ნული; კომბინატორული ელემენტი: სონანტები „r, l, m, n“.

გერმ.: e — a — ê — u  
           ↓   ↓   ↓   ↓  
 ძვ. ზგ.: e — a — â — (u →) o

მესამე ძირითად ფორმაში ნულის ნაცვლად ჩნდება ე. წ. „გაგრძელებული საფეხური“ (die Dehnstufe): გერმ. ê → â, ხოლო მიმღეო-



ბა II-ის ფორმაში ნულის ადგილს კვლავ „ა“ ხმოვანი იკავებს, რომელიც ბოლოკიდურის გავლენით ბრეხუნგს განიცდის (ა → 0):

neman -- nam — nāmum — ginoman

ამავე კლასს მიეკუთვნება აგრეთვე ზმნები: brechan, sprechan, stechan, treffan და სხვ., მიუხედავად იმისა, რომ მათი ძირეული მორფემა არ ბოლოვდება სონანტზე.

### აბლაუტის მეხუთე რიგი

ჰონაცვლეობის სახეობა: e — a — გაგრძელებული საფეხური — ნული; კომპინატორული ელემენტი: ჩქამიერი თანხმოვანი

გერმ.: e(i) — a — ê — e

↓ ↓ ↓ ↓

ძვ. ზგ.: e — a — â — e

ამ რიგისათვის ნიშანდობლივია ერთი და იგივე ხმოვანი „ე“ ინფინიტივსა და მიმღეობა II-ში (ე. წ. სრული საფეხური):

geben — gab — gâbum — gigeban

ამავე კლასს მიეკუთვნება ძლიერი ზმნების ერთი ჯგუფი, რომლებსაც წინარეგერმანიკულში „j“-სუფიქსი ჰქონდათ (ე. წ. j-Präsens-tien). ამ სუფიქსმა გამოიწვია ინფინიტივის ფორმაში ფუძისეული „e“-ს გადასვლა „i“-ში) (ბრეხუნგი): გუთ, bidjan → ძვ. ზგ. bitten. დანარჩენ ძირითად ფორმებში ეს ზმნები იმეორებენ მეხუთე რიგის მონაცვლეობას. ამასთან მათთვის ნიშანდობლივია „ei“ სუფიქსი ინფინიტივში:

bitten — bat — bātum — gibelan

ამავე ტიპის ზმნებია liggen და sizzen.

### აბლაუტის მეექვსე რიგი

ჰონაცვლეობის სახეობა: ხარისხობრივი აბლაუტი.

გერმ.: a — o — o — a

↓ ↓ ↓ ↓

ძვ. ზგ.: a — uo — uo — a

ამ რიგისათვის დამახასიათებელია ერთი და იგივე ხმოვანი ინფინიტივსა და მიმღეობა II-ში და ასევე პრეტერიტუმის ორსავე რიცხვში:

faran — fuor — fuorum — gifaran

ამ კლასს მიეკუთვნება აგრეთვე „j“-სუფიქსიანი ზმნების ის ნაწილი, რომლებსაც, მეზუთე რიგის „j“-სუფიქსიანი ზმნებისაგან განსხვავებით, ინფინიტივის ფუძეში „a“ ხმოვანი ჰქონდათ. ეს ხმოვანი შემდგომში „j“-ის ზეგავლენით გაუმლაუტდა (a→e): გუთ. haijan → ძვ. ზგ. heffen. ინფინიტივში ამ ზმნებისათვის ნიშანდობლივია ასევე სუფიქსი „en“:

heffen—huob—huobum—gihaban  
skephen—skuof—skuofum—giskaffan

### აბლაუტის მეშვიდე რიგი

ამ რიგში თავმოყრილია ზმნები, რომლებიც გერმანიკულში ძირითად ფორმებს რედუპლიკაციის (ან რედუპლიკაციისა და აბლაუტის) საშუალებით აწარმოებდნენ: გუთ. háitan — haihait — haihaitum (heiffen). ფუძის გამარტივებისა და გარკვეული ფონეტიკური პროცესების შედეგად ამ ზმნებმა ძველ ზემოგერმანულში ორი ქვეჯგუფი შეადგინა: პირველისათვის დამახასიათებელია დიფთონგი „ia“ პრეტერიტუმში, ხოლო მეორისათვის — დიფთონგი „io“.

### პ ი რ ვ ე ლ ი ქ ვ ე ჯ გ უ ფ ი

მონაცვლეობის სახეობა: a(â)-ia-ia-a(â)

gangan-giang-giangum-gigangan  
slâfan-sliaf-sliafum-gislâfan

მონაცვლეობის სახეობა: ei-ia-ia-ei

heizan-hiaz-hiazum-giheizan

### მ ე ო რ ე ქ ვ ე ჯ გ უ ფ ი

მონაცვლეობის სახეობა: ou-io-io-ou

loufan-liof-liofum-giloufan

მონაცვლეობის სახეობა: ô-io-io-ô

stûzan-stioz-sliozum-đistûzan

მონაცვლეობის სახეობა: uo-io-io-uo

ruofan-riof-riofum-giruofan


ამ რიგის ზმნებს აქვთ ერთი და იგივე ხმოვანი (დიფთონგი) პირველ-მეოთხე და მეორე-მესამე ძირითად ფორმებში.

ასეთია ძლიერი ზმნების ძირითადი ფორმების წარმოების ზოგადი კანონზომიერებანი. გარკვეული ზმნები ავლენენ აგრეთვე კერძო თავისებურებებსაც. ამ თავისებურებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ფუძისეული თანხმოვნების მონაცვლეობა, რომელიც, თავის მხრივ, ვერნერის კანონსა და როტაციზმის მოვლენას უკავშირდება:

d- f: snidan-sneid-snitum-gisnitān  
 werdān-ward-wurtum-wortān  
 h-g: ziohan-zōh-zugum-gizogan  
 f -b: heffen-huob-huobum-giheban  
 s-r: farliosān-farlōs-farlurum-farlorān  
 wesān-was-wārum

ამ ზმნების ერთ ნაწილს აღნიშნული მონაცვლეობა დღემდე შემორჩა. ასეთებია: schneiden, leiden, sein, erkiesen, ziehen და სხვ. \_\_\_\_\_

3. ს უ ს ტ ი ზ მ ნ ე ბ ი. ს უ ს ტ ი ზ მ ნ ე ბ ი ს კ ლ ა ს ე ბ ი. სუსტ ზმნებს ძველ ზემოგერმანულში სამშემადგენლიანი სტრუქტურა აქვთ:




ძირი და ფუძესაწარმოებელი სუფიქსი ქმნიან ერთობლივად ფუძეს.

ძველ ზემოგერმანულში სამი ფუძესაწარმოებელი სუფიქსია: i, ð, ê. აქედან „i“ სუფიქსი ინფინიტივში ფორმდება როგორც „e“. შესაბამისად სუსტ ზმნებს ინფინიტივის სამგვარი ფორმა აქვთ:

1. „en“-სუფიქსიანი: leggen, hören, fullen, teilen;
2. „ðn“-სუფიქსიანი: mahhðn, dionðn, offanðn;
3. „ên“-სუფიქსიანი: lebênen, allênen, warmênen.

პრეტერიტუმში ყველა სუსტი ზმნა დაირთავს „t“ სუფიქსს. ამრიგად, მათ სტრუქტურას კიდევ ერთი კომპონენტი ემატება:



მიმღობა II-ში ყველა სუსტ ზმნას აქვს სუფიქსი „t“:  
gi-mahh-ô-t

ფუძესაწარმოებელი სუფიქსების მიხედვით სუსტი ზმნები იყოფა სამ კლასად:

1. პირველი კლასის ფუძესაწარმოებელი სუფიქსია „i“, რომელიც ისტორიულად გერმანიკულ „j“-ს უკავშირდება. იგი ძველ ზემოგერმანულში უკვე რამდენადმე რედუცირებულია, მაშინ როდესაც გუთურში ნათლად ჩანს:

გუთური	ძვ. ზემოგერმანული
dail-j-an	teil-en
full-j-an	full-en

„j“ („i“) სუფიქსმა ორგვარი გავლენა მოახდინა ძველი ზემოგერმანულის სუსტი ზმნების მორფოლოგიაზე:

1) გერმანიკული „j + an“ აისახა ძველი ზემოგერმანულის ინფინტივის ფორმაში როგორც „en“ — მოხდა ხმოვანთა ურთიერთზეგავლენით განპირობებული შერწყმა. სწორედ ამ შერწყმის შედეგია ის, რომ პრეზენსის ფუძეში „i“ ფუძესაწარმოებელი სუფიქსი დამოუკიდებელ მორფემად არ გამოიყოფა;

2) „j“ („i“) ფუძესაწარმოებელი სუფიქსი იწვევს ძველ ზემოგერმანულში ფუძისეული ხმოვნის უმლაუტს:

გუთური	ძვ. ზემოგერმანული
sand-j-an	send-en (a + j → e)

ამ ფონეტიკური ზეგავლენის შედეგად შეიქმნა ძველ ზემოგერმანულში სუსტი ზმნების განსაკუთრებული ჯგუფი, რომლებსაც „უკუუმლაუტიანი“ („პრეზენსუმლაუტიანი“) ზმნები ეწოდებათ (Verben mit dem Rückumlaut: Verben mit dem Präsensumlaut). ორივე ტერმინი გულისხმობს, რომ ამ ზმნებს გაუმლაუტებული ხმოვანი („e“ ნაცვლად „a“-სი) მხოლოდ პრეზენსის (აწუ საწყის) ფუძეში აქვთ.

ამ ჭგუფის რამდენიმე ზმნამ თანამედროვე გერმანულამდეც მო-  
აღწია.

ე ს ე ნ ი ა:

kennen (გუთ. kannjan)  
nennen (გუთ. namnjan)  
rennen (გუთ. urranjan)  
brennen (გუთ. brannjan)  
senden (გუთ. sandjan)  
wenden (გუთ. wandjan)

ამავე ტიპისაა ზმნა „denken“, (გუთ. „þagkjan“). ხოლო რაც შეე-  
ხება „bringen“ (გუთ. „briggan“) ზმნას, იგი თავიდანვე შერეული  
უფლებიდან იყო: მის ფორმებში ერთიანდებოდნენ აბლაუტი (i—â) და  
სუსტი ზმნების პრეტერიტუმის სუფიქსი „t“.

დამოუკიდებელ მორფემად „i“ სუფიქსი პრეტერიტუმში გამო-  
დიოდა — ისიც მოკლე ფუძისეული მარცვლის შემთხვევაში (მარცვა-  
ლი ითვლება მოკლედ, თუ იგი შეიცავს მოკლე ხმოვანსა და თანხმო-  
ვანს):

legg-en—leg-i-ta  
zell-en—zel-i-ta

გრძელი ფუძისეული მარცვლის შემთხვევაში კი ფუძესაწარმოე-  
ბელი სუფიქსი „i“ რედუცირებულია (მარცვალი გრძელია, თუ იგი  
შეიცავს გრძელ ხმოვანს ან დიფთონგს, ან კიდევ — მოკლე ხმოვანსა  
და თანხმოვანთა კომპლექსს):

hör-en—hör-ta  
teil-en—teil-ta

ამ ზმნებს მიეკუთვნებოდნენ აგრეთვე უკუშლაუტიანი ზმნები.  
პრეტერიტუმის წარმოების განხილულმა წესმა განაპირობა სწორედ  
ფუძისეული „a“-ს შენარჩუნება: senden—san -ta.

მიმღეობა II-ის ფორმებში „i“ სუფიქსს ინარჩუნებს ყველა ზმნა:  
gileg-i-t; gihör-i-t.

ამრიგად, პირველ კლასში მორფოლოგიური სტრუქტურის თვალ-  
საზრისით ორი ქვეჯგუფი გამოიყოფა:

1) მოკლემარცვლიანი ზმნები:

legg-en—leg-i-ta—gi-leg-i-t  
zell-en—zel-i-ta—gi-zel-i-t

2) გრძელმარცვლიანი ზმნები:

hîr-en—/hîr-ta—gi-hîr-i-t  
teil-en—/teil-ta—gi-teil-i-t

2. მეორე კლასის სუსტი ზმნების სტრუქტურული ნიშანია ფუძე-საწარმოებელი სუფიქსი „ი“, რომელიც სამივე ფუძეში ცალკე მორფემად გამოიყოფა:

offan-î-n—offan-î-ta—gi-offan-î-t  
dank-î-n—dank-î-ta—gi-dank-î-t

3. მესამე კლასს მიეკუთვნება „ê“-სუფიქსიანი ზმნები. ეს სუფიქსიც სამივე ფორმაში გამოიყოფა:

leb-ê-n—leb-ê-ta—gi-leb-ê-t  
folg-ê-n—folg-ê-ta—gi-folg-ê-t

ამრიგად, სუსტი ზმნების ძირითადი ფორმების სრული პარადიგმა სამივე კლასის ფორმებს მოიცავს:

- 1, legen-legita-gilegit  
hîren-hîrta-gihîrit
2. dankîn-dankîta-gidankît
3. lebên-lebêta-gilebêt

როგორც ვხედავთ, ძველ ზემოგერმანულში სუსტი ზმნები მორფოლოგიური ფორმების მეტი ნაირფეროვნებით გამოირჩეოდნენ.

4. უწესო ზმნები. ძველ ზემოგერმანულში უწესო ზმნების ჯგუფს მიეკუთვნება: wasan/sîn (sein), tuon (tun), gên (gehen), stên (stehen), wellen (wollen).

#### 1. wasan/sîn

ამ ზმნას ძველ ზემოგერმანულში ორი ინფინიტივი აქვს: wasan/sîn და ეს ორივე ინფინიტივი მონაწილეობს მისი მორფოლოგიური პარადიგმის შექმნაში.

„wasan“ მე-5 კლასის ძლიერი ზმნაა. ამის მიხედვით იწარმოება ძირითადი ფორმები და შესაბამისად — პრეტერიტუმის პარადიგმა:

ინფინიტივი მხ. რიცხვის მრ. რიცხვი<sup>ა</sup> მიმღობა II მიმღობა I  
პრეტერიტუმი პრეტერიტუმი

wesan — was — wârum — — — wesanti

პრეტერიტუმი: მხ. რიცხვი მრ. რიცხვი

- |         |       |
|---------|-------|
| 1. was  | wârum |
| 2. wâri | wârut |
| 3. was  | wârun |

მოგვიანებით ინფინიტივის ფორმა „wesant“ დაიკარგა, იგი შემორჩა თანამედროვე გერმანულში როგორც არსებითი სახელი („das Wesen“).

პრეზენსის პარადიგმის აგებაში ძირითადად არქაული (ინდოევროპული წარმოშობის) მორფემები მონაწილეობენ, კერძოდ:

- 1) ინდოევროპული ძირეული მორფემა „es/s“ (შდრ.: რუს. „есть“, „суть“; ლათ. „est“);
- 2) ინდოევროპული ძირეული მორფემა „bhu“ (შდრ.: რუს. „быть“);
- 3) არქაული პირის ნიშანი „m“ (შდრ.: „bim“ — რუს. „емь“, ლათ. „sum“);

მხ. რიცხვი მრ. რიცხვი

- |             |             |
|-------------|-------------|
| 1. bim (-n) | birum (-un) |
| 2. bist     | birut       |
| 3. ist      | sint        |

მოყვანილი პარადიგმები ცხადყოფს, რომ „ყოფნის“ გამომხატველი ზმნა არის ძველ ზემოგერმანულში ათემატური (მას არა აქვს თემატური ხმოვანი) და სუბლექტური (აწარმოებს ფორმებს სხვადასხვა ძირისაგან).

2. tuon

ამ ზმნას რამდენიმე თავისებურება ახასიათებს:

1) ხმოვნით დაბოლოებული ფუძე: tuo-n;

2) ძირითადი ფორმების განსხვავებული წარმოება: tuon — tela — tâlum—gitan

3) ათემატურობა — პირის ნიშნები უშუალოდ ძირეულ მორფემას დაერთვის. ამასთან, მხ. რიცხვის პირველ პირში გვაქვს არქაული დაბოლოება „m“:

პრეზენსი

პრეტერიტუმი

მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
1. tuo-m	tuo-més	teta	lâtum
2. tuo-s(t)	tuo-t	tâti	tâtut
3. tuo-t	tuo-nt	teta	tâtun

3. gën; slên

ეს ზმნები მთელ რიგ ფორმალურ თავისებურებებს ავლენენ:

1) მათ აქვთ პარალელური ფორმები „gân“ და „slân“;

2) როგორც „gën/slên“, ისე „gân/slân“ — შეკვეცილი (შეკუმშული) ფორმებია. მათ გვერდით ძველ ზემოგერმანულში არსებობს აგრეთვე სრული ინფინიტივი: „gangan“ და „slantan“. სრულინფინიტივიანი ზმნები მეშვიდე კლასს მიეკუთვნებიან და შესაბამისად აწარმოებენ ძირითად ფორმებს:

gangan- gieng-giengum-gigangan  
slantan-stuont-stuontum-gistantan.

3) პრეზენსის ფორმები იწარმოება შეკვეცილი ინფინიტივიდან თემატური ხმოვნის გარეშე, ვინაიდან ამ ფორმების ფუძე ხმოვნით ბოლოვდება „gê-n/gâ-n; slên/slân“. ამასთან, მხ. რიცხვის პირველ პირში ამ ზმნებსაც „m“ ათემატური ნიშანი აქვთ:

„gën“		„slên“	
მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
1. gë-m	gê-mês	stê-m	stê-mês
2. gë-s(t)	gê-t	stê-s(t)	stê-t
3. gë-t	gê-nt	stê-t	stê-nt

4) პრეტერიტუმის ფორმები სრული ინფინიტივიდან იწარმოება.

ჩამოთვლილი თავისებურებები ამ ზმნებს ძირითადად თანამედროვე გერმანულამდე შემორჩათ. მართალია, დღეს აღარა გვაქვს ფორმების ამგვარი ნაირფეროვნება (დაიკარგა, მაგალითად, ფორმები „gangan/slantan, gân/slân“), მაგრამ ძალაშია მათი პარადიგმის აგება სრული და შეკუმშული ფორმების მონაცვლეობით: „ich gehe“, მაგრამ „ich ging“, „gehen“, მაგრამ „gegangen“.



აქვე უნდა ითქვას, რომ ინფინიტივის შეკვეცის (შეკუმშვის) პრინციპი საშუალო გერმანულშიც მოქმედებს. ეს კარგად ჩანს ზმნა „haben“-ის მაგალითზე, რომელიც ძველ ზემოგერმანულში ულლების თავისებურებით არ გამოირჩეოდა: იგი იყო მესამე კლასის სუსტი ზმნა და შესაბამისად აწარმოებდა როგორც ძირითად ფორმებს (habên — habêta — gihabêt), ისე პრეზენსისა და პრეტერიტუმის პარადიგმებს. საშუალო გერმანულში კი ჩნდება შეკვეცილი ფორმა „hân“, რომელიც პრეზენსში იუღლება „gân/stân“ ტიპის მიხედვით: „hân, hâst, hât“ და ა. შ. ამასთან შეკვეცილ ფორმის დამკვიდრებას თან სდევს შეკვეცილი პრეტერიტუმის ჩამოყალიბებაც: „hâte“. შემდგომში კი ეს ორივე ფორმა — როგორც სრული, ისე შეკვეცილი — აისახა „haben“ ზმნის პარადიგმაში (შდრ.: „du hast“, მაგრამ „ihr habt“; „ich hatte“, მაგრამ „ich habe gehabt“).

#### 4. wellen

ამ ზმნის მხ. რიცხვის პრეზენსი წარმოადგენს ისტორიულად ოპტიკის (სურვილის გამომხატველი კილოს) ფორმებს, რომლებმაც აწმყო დროის მნიშვნელობა შეიძინეს [ანალოგიური მოვლენა თანამედროვე გერმანულში „ich möchte“ (=ich will) ფორმის ჩამოყალიბება]. მრ. რიცხვში კი იგი პირველი კლასის სუსტი ზმნების მსგავსად იუღლება:

მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
1. willu	wellemês
2. wili	wellet
3. wili	wellent

პრეტერიტუმი იწარმოება სუსტი ზმნების მოდელით: wolta.

საშუალო გერმანულიდან მოყოლებული „wellen“ ზმნა უღლების ტიპის მიხედვით პრეტერიტულ-პრეზენსულ ზმნებს უახლოვდება.

5. პ რ ე ტ ე რ ი ტ უ ლ - პ რ ე ზ ე ნ ს უ ლ ი ზ მ ნ ე ბ ი. ამ მორფოლოგიურ ჯგუფს ძველ ზემოგერმანულში შემდეგი ზმნები მიეკუთვნებოდა:

wizzan (wissen)	eigan (besitzen, haben)
kunnan (können)	unnan (gönnen)
durfan (dürfen)	tuog (es nützt)

sculan (sollen)	ginah (es' gen'igt)
mugan (mögen)	gitar (ich wage)
muozzan (müssen)	

ტერმინი „პრეტერიტულ-პრეზენსული“ გულისხმობს, რომ ამ ზმნების პრეზენსის პარადიგმა ისტორიულად პრეტერიტუმს უკავშირდება, უფრო ზუსტად კი — ძლიერი ზმნების პრეტერიტუმის გადააზრების შედეგია. საქმე ის არის, რომ ძველ გერმანიკულში პრეტერიტუმს ინდოევროპული პერფექტის ასპექტური მნიშვნელობაც ჰქონდა — იგი აღნიშნავდა წარსულს, რომლის შედეგიც აწმყოში გრძელდება (resultative Gegenwart) და გარკვეული მდგომარეობის სახით წარმოგვიდგება (მაგალითად, ლათ. „memini“ — „მახსოვს“ ფორმალურად პერფექტია: „დავიხსომე“). ამრიგად, წარსულის მოქმედების შედეგის განგრძობა აწმყოში, რასაც თავის მხრივ ასპექტური მნიშვნელობის დაკარგვა სდევდა, პერფექტიდან პრეზენსის წარმოშობის შესაძლებლობას შეიცავდა. ფორმალურად ეს აისახებოდა პირვანდელი პრეტერიტუმის ფორმების პრეზენსის ფორმებად გადააზრებაში. სწორედ ამიტომ ემთხვევა პრეტერიტულ-პრეზენსული ზმნების პრეზენსის პარადიგმის მხოლობითი და მრავლობითი რიცხვის ფორმათა ოპოზიცია ძლიერი ზმნების პრეტერიტუმის მხოლობითი და მრავლობითი რიცხვის ფორმათა ოპოზიციას შესაბამისი აბლაუტის რიგის მიხედვით:

scriban—	screib —	scribum —	giscriban
	weiz —	wizzum	
helfan —	half —	hulfum —	giholfan
	darf —	durfum	
	kann —	kunnum	
faran —	fuor —	fuorum —	gifaran
	muoz —	muozzum	

პრეტერიტულ-პრეზენსულ ზმნებს სუსტი პრეტერიტუმი აქვთ: scolta, dorfta, mohta, muosta, konda, wista და ა. შ.

თანამედროვე გერმანულში პრეტერიტულ-პრეზენსულ ჯგუფს შემდეგი ზმნები შემორჩა: sollen, können, wollen, müssen, dürfen, mögen, wissen. მათი უღლების უძველესი წესი ძირითადად შენარჩუნებულია: პრეზენსის მხოლობითი და მრავლობითი რიცხვის ფორმებ-

ში მათ განსხვავებული ხმოვანი აქეთ (გარდა „scilen“ ზმნისა) და მხ. რიცხვის პირველსა და მესამე პირში, ისევე როგორც ძველ ზემოგერმანულში, დაბოლოებას არ დაირთავენ.

## ბ. ინფინიტივი და მიმღეობა.

ინფინიტივი ზმნის სახელური ფორმაა. მისი ერთ-ერთი თავისებურება თანამედროვე გერმანულ ენაში ისაა, რომ ზღვარი. ინფინიტივსა და არსებით სახელს შორის ძალზე მერყევია: პრაქტიკულად ყველა ინფინიტივი შეიძლება გაარსებითდეს (schreiben—das Schreiben: gehen—das Gehen). ამასთან, ინფინიტივს შეუძლია დაიკავოს სახელისათვის დამახასიათებელი სინტაქსური პოზიცია — პირდაპირი დამატების პოზიცია (Ich kann lesen). ძველ ზემოგერმანულში კი ინფინიტივისა და არსებითი სახელის კავშირი უფრო მჭიდრო იყო — ინფინიტივს ორი ბრუნვა ჰქონდა: გენიტივი და დატივი (nemannes, suoehennes და nemanne, suoehenne). გენიტივის ხმარება, როგორც წესი, დამოკიდებული იყო ზმნის მართვაზე (Mag mich gelüsten weinönes — Es mag mich gelüsten + des Weinönes). დატივის ფორმა კი მხოლოდ წინდებულთან (უმთავრესად „zu“ წინდებულთან) იხმარებოდა: Giengut ir mih zi fâhanne (Ihr gingt, um mich zu fangen).

მიმღეობა 1 იწარმოება ძველ ზემოგერმანულში „ant/ent“ სუფიქსის საშუალებით: habenti, nemanti, farenti. ამ ფორმით იგი იხმარება ძირითადად „sîn“ და „wardan“ ზმნებთან.

„sîn + მიმღეობა I“ აღნიშნავს მოქმედების განგრძობადას: Uuas thaz folc beitönti Zahariam (სიტყვასიტყვით: Das Volk war wartend auf Zacharias). ამ ტიპის ფორმები არქაიზმების სახით XVIII საუკუნემდე შემორჩა: Ich bin alle Tage seine Antwort erwartend (ლესინგი). თანამედროვე გერმანულში ისინი საერთოდ აღარ იხმარება, ინგლისურისაგან განსხვავებით, სადაც მიმღეობა I-ის ფორმებმა დამპყარე ზმნებთან ერთად „განგრძობადობის“ კატეგორია შეადგინეს: I am reading.

„Werden + მიმღეობა I“ გადმოსცემს ინსოატურ მნიშვნელობას, გამოხატავს რა პროცესისა თუ მდგომარეობის დაწყებას: Inti nu uuirdist thû suigënti (Nun aber wirst du schweigend).

მიმღეობა I-ის უბრუნველი ფორმა აგრეთვე გერუნდივის (депричастие) ფორმითაც იხმარება: Thō antlingönti thie engil quad imo (სიტყვასიტყვით: Antwortend der Engel sagte ihm).

ამასთან, მიმღეობა I-ს ძველ ზემოგერმანულში ჰქონდა ფლექსიური ფორმებიც:

	მამრ.	მდედრ.	საშ.
ძლიერი ბრუნება	nemantër	nemantiu	nemantaz
სუსტი ბრუნება	nemanlo	nemanta	nemanta

მიმღეობა II იხმარება ძველ ზემოგერმანულში როგორც შედგენილი შემასმენლის ნაწილი. „habèn“ დამხმარე ზმნასთან ერთად იგი თავდაპირველად პირდაპირი ობიექტის მსაზღვრელად გამოდიოდა და შეესაბამებოდა მას მორფოლოგიური მახასიათებლების მიხედვით: Er habèt in thâr gizaltan drôst inanagfaltan (სიტყუასიტყუით: Er hat ihnen erzählt Trost mannigfaltigen), სადაც „gizaltan“ და „inanagfaltan“ ორივე ერთნაირად უთანხმდება „drôst“ არსებით სახელს. „wesant/sîn“ ზმნებთან ერთად მიმღეობა II პრედიკატივის როლს ასრულებდა და უთანხმდებოდა უკვე სუბიექტს: Der namo ist tannan chomener (სიტყუასიტყუით: Der Name ist davon gekommen); Diu marha ist farprunnan (Das Land ist verbrannt).

7. დროის კატეგორია და ზმნის ანალიზური ფორმების განვითარება. ძველ ზემოგერმანულს დროის მხოლოდ ორი ფორმა აქვს: პრეზენსი და პრეტერიტუმი.

პრეზენსი აღნიშნავს როგორც აწმყოში მომხდარ მოქმედებას, ისე პანქრონიულ პროცესებსა და მდგომარეობებს:

Einan kuning uueiz ih, heizsit her Hluduig. Ther gerno gode thionót (Einen Kōnig weiß ich, er heißt Ludwig, der gerne dem Gotte dient).

Uuanân uueiz ih thaz? (Woher weiß ich das?).

პრეზენსს მყოფადის გამოხატვის ფუნქციაც აკისრია:

Slumo after arbeits thero tago sunna uuiridit bifinstit, inti mâno ni gubit sin licht, inti sterron fallent son himile, inti megin himilo sint giruorit (Bald nach der Tribsal der Tage wird die Sonne verfinstert, und der Mond gibt sein Licht nicht mehr, und die Sterne werden vom Himmel fallen und die Kräfte der Himmel werden in Bewegung gebracht).

პრეტერიტუმი წამყოს განხატვის უნივერსალური ფორმაა:

Thô nam her godes irlub (Er bekam die Erlaubnis von Gott). Gueliche lande cumen ger? (Aus welchem Lande sind sie gekommen?).

ძველ ზემოგერმანულშივე იწყება პროცესი, რომელიც გერმანული ენის გრამატიკული წყობის განვითარების უმთავრესი ტენდენციის — სინთეზურიდან ანალიზურ ფორმებზე გადასვლის — ერთ-ერთი საწყისია: ზმნის ანალიზური ფორმების ჩამოყალიბება. ამ პროცესს საფუძვლად უდევს პრედიკატული შესიტყვების (ზმნა-კავშირისა და მიმღეობისაგან აგებული შედგენილი შემასმენლის) სრული ან ნაწილობრივი გრამატიზება, რის შედეგადაც ზმნა კარგავს ამა თუ იმ ხარისხით ლექსიკურ მნიშვნელობას და იქცევა დამხმარე კომპონენტად, ხოლო მიმღეობა კარგავს გრამატიკულ დამოუკიდებლობას და ლექსიკური შინაარსის გადმოცემით შემოიფარგლება.

რთული დროის ფორმების წარმოშობა ძველ ზემოგერმანულში პერფექტი იწყება. ადრეულ ძეგლებში ამგვარი ფორმები ნაკლებად გვხვდება, შემდეგ მათი რიცხვი სწრაფად იზრდება და X საუკუნეში უკვე საყოველთაოდ ვრცელდება.

პერფექტული კონსტრუქცია ვითარდება ორი პრედიკატული შეიტყვებისაგან. ესაა „habên/eigan + Partizip II“ და „sîn + Partizip II“.

პერფექტის ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე „habên“ ზმნასთან და მის სინონიმ „eigan“ — თან იხმარება მხოლოდ პასიური მნიშვნელობის მქონე გარდამავალი ზმნის მიმღეობა II. თავდაპირველად ზმნები „habên/eigan“ დამოუკიდებელ პრედიკატს წარმოადგენენ, აღნიშნავენ „ქონა/ფლობას“ და მართავენ პირდაპირ დამატებას. მიმღეობა II აგრეთვე დამოუკიდებელი წევრია. იგი, როგორც ზემოთაც ვთქვით, უთანხმდება არსებით სახელს — დამატებას სქესში, რიცხვსა და ბრუნვაში. ასე, მაგალითად, „Ich habe das Buch genommen“ თავდაპირველად აღნიშნავდა „Ich habe das Buch (als) genommenes“. ამგვარად, ამ კონსტრუქციაში პირდაპირი დამატება ობლიგატორული წევრია:

Ih habo iro bluômen iberuurtet

(სიტყვასიტყვით: „მე მაქვს მათი ყვავილები შენახული“).

Tar habet si imo geantuuurtet sînero frago

(სიტყვასიტყვით: „მას აქვს მისი შეკითხვები ნაპასუხები“).

როგორც ვხედავთ, გერმანული პერფექტის თავდაპირველი მნიშვნელობა ასპექტურია: იგი აღნიშნავს დასრულებულ მოქმედებას, რომლის შედეგიც აწმყოში გადმოდის (vollendete Gegenwart).

ამ შესიტყვების გრამატიზაცია, მისი გადაქცევა შედგენილ შემასმენლად დაკავშირებულია ზმნების „habên/eigan“ ლექსიკური

მნიშვნელობის გაუფერულებასთან რის შედეგადაც შესაძლებელი ხდება მათი ხმარება პირდაპირი დამატების გარეშეც, რაც, თავის მხრივ, ხსნის მიმღეობა II-ის დამატებასთან შეთანხმების საკითხს და მის უფლექსიო ხმარებას განაპირობებს. ყოველივე ეს მიმღეობა II-ისა და „habèn/eigan“ ზმნების თვისებრივად ახალ, უფრო მკვიდრო კავშირს გულისხმობს:

Also du nu vernomen habèst (Wie du nun vernommen hast...).  
Alsò wir gesagèt eigen (Wie wir gesagt haben...).

ამ კონსტრუქციის გრამატიზაციის პროცესი დასრულებულად ჩაითვლება მას შემდეგ, როდესაც იგი გარდაუვალ განგრძობადი მნიშვნელობის ზმნებზეც ვრცელდება. აქ „habèn/eigan“ ზმნებს შეიძლება მხოლოდ გრამატიკული მნიშვნელობა ჰქონდეს:

Wir eigan gisundòt (Wir haben gesündigt).  
Habe ik keweinòt (Ich habe geweint).

პერფექტი „sein“ დამხმარე ზმნით განვითარდა პრედიკატული შესიტყვებიდან, რომელშიც მიმღეობა II შემასმენლის სახელად ნაწილად გამოდიოდა: „er ist gestorben“ ნიშნავდა თავდაპირველად „er ist (ein) gestorbener“. ამგვარ შესიტყვებებში იხმარებოდა მხოლოდ გარდაუვალი რეზულტატური ზმნები: Arstorbana sint thie (Verstorbenen sind die). მიმღეობა II უთანხმდებოდა არსებით სახელსუბიექტს რიცხვში. ამასთან, სპეციალური ნიშანი მხოლოდ მრ. რიცხვის ფორმას ჰქონდა: Alliu geboraniu sint, მაგრამ: Heilant giboran ist. ამ კონსტრუქციის შედგენი გრამატიზაციის შედეგად ეს შეთანხმებაც მოიხსნა.

ამავე გზით ხდება ძველ ზემოგერმანულში პლუსკვაამპერფექტის ჩამოყალიბებაც. ამ ფორმის თავდაპირველი ნიმუშები ჩნდება იმ შემთხვევაში, როდესაც ზმნები „habèn/eigan“ პრეტერიტუმში დგას. ამასთან, თვით ფორმის მნიშვნელობაც პერფექტის მნიშვნელობის დროული, და არა შინაარსეული ვარიანტია: თუ პერფექტის შემთხვევაში რაიმე მოქმედების შედეგად მიღებული მდგომარეობა აწმყოს უკავშირდება, პლუსკვაამპერფექტის შემთხვევაში ეს მდგომარეობა (და შესაბამისად მთელი გამონათქვამი) წარსულს განეკუთვნება: Phigbounn habèla sum gillanzòtan in sinen:ò uuingarten (Ein gewisser (Mann) hatte einen Feigenbaum gepflanzt in seinem Weingarten) [შდრ.: „დაბგული ჰქონდა“ — „დაბგული აქვს“].

რაც შეეხება წინარე წარსულის მნიშვნელობას, რომელიც პლუს-ქვამპერფექტს თანამედროვე გერმანულში აქვს, იგი საკმაოდ გვიან — XII საუკუნის დასასრულს — გამოიკვეთა.

ანალიზური ფორმების განვითარების პროცესს განეკუთვნება ავრეთვე ძველ ზემოგერმანულში ვნებითი გვარის (პასივის) ჩამოყალიბება. ამ კონსტრუქციას საფუძვლად უდევს პრედიკატული შესიტყვება „*sin/wesan/werdan* + მიმღობა II“.

თავდაპირველად ვითარდება „*sin/wesan*“-იანი ფორმები:

*Bim gisenti zi thir* (Ich bin zu dir gesandt).

*Gihōrit ist thīn gibēt* (Dein Gebet ist erhört).

თუმცა ამ კონსტრუქციას ვნებითი მნიშვნელობა აქვს, მას ვერ მივიჩნევთ პასივის ქვეშარიტ ფორმად. პასივის ჩამოყალიბებისათვის გადამწყვეტია გარდამავალი ზმნის მიმღობა II-ის შეკავშირება „*werdan*“ ზმნასთან:

*Denne suirdit untar in uuic arhapan* (Dann wird ein Kampf zwischen ihnen begonnen).

ზოგ შემთხვევაში წინადადებაში ჩანს რეალური სუბიექტიც, რაც კიდევ უფრო უწყობს ხელს ამ ფორმის სრულ გრამატიზაციას:

*Thaz giscrib iz êrist uuard gilân in Syriu fon themio grâuen Cyrine* (Die Zählung wurde zuerst in Syrien von dem Statthalter Quirin durchgeführt.)

### დამოუკიდებელი სამუშაო

1. გაეცანით ზმნის უღლების პარადიგმებს ძველ ზემოგერმანულში!

ძლიერი ზმნების უღლება პრეზენსსა და პრეტერიტუმში

ძველ ზემოგერმანულში ძლიერ ზმნებს პრეზენსში სამმორფეშიანი სტრუქტურა აქვთ:

ძირეული მორფემა + თემატური ხმოვანი + პირის ნიშანი

bint + i + st

თემატური ხმოვანი ამთლიანებს პრეზენსის ფუძეს. ძველ ზემოგერმანულში, ისევე როგორც საერთოგერმანიკულში, თემატური ხმოვანია „i—a“. ზოგიერთ ფორმაში იგი ერწყმის ფლექსიას და ცალკე მორფემად არ გამოიყოფა.

პრეზენსის პირს ნიშნებია:

პირი	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
1.	-u	-mès
2.	-s(t)	-et
3.	-t	-nt

მხოლოდითის ფორმებს დაერთვის თემატური ხმოვანი „i“, მრავლობითისას — „a“:

მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
1. bint-u	bint-a-mès
2. bint-i-st	bint-et
3. bint-i-t	bint-a-nt

უძველეს წერილობით ძეგლებში მხოლოდითი რიცხვის მეორე პირის ნიშანი იყო „s“: bintis, nimis. დაბოლოება „-st“ გავრცელდა მე-9 საუკუნიდან. როგორც ვარაუდობენ, იგი წარმოადგენს ზმნის ფორმის შერწყმას შესაბამის პირის ნაცვალსახელთან ბოლოკიდურის ხმოვნის შემდგომი რედუქციით: bis + thu → bisu → bist.

თემატური ხმოვანი „i“ ძველ ზემოგერმანულში იწვევდა ორ უმნიშვნელოვანეს ფონეტიკურ მოვლენას: ფუძისეული ხმოვნის უმლაუტ-  
სა (a + i → e) და ბრეზუნგს (e + i → i; io + i → iu). ამასთან ბრეზუნგო  
დამატებით ხდებოდა აგრეთვე მხ. რიცხვის პირველი პირის ნიშნის (u)  
ზეგავლენით (e + u → i; io + u → iu) და ურცელდებოდა ამრიგად, უმ-  
ლაუტისაგან განსხვავებით, მხ. რიცხვის სამივე ფორმაზე. ყოველივე  
ზემოთქმული განსაზღვრავდა „a“, „e“ დ „io“ ფუძისეული ხმოვნია-  
ნი ძლიერი ზმნების უღლების პარადიგმას პრეზენსში:

„faran“

მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
1. far-u	far-a-mès
2. fer-i-s(t)	far-et
3. fer-i-t	far-a-nt



## „geban“

## „biogan“

მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
1. gib-u	geb-a-mês	biug-u	biog-a-mês
2. gib-i-s(t)	geb-et	biug-i-s(t)	biog-et
3. gib-i-t	geb-a-nt	biug-i-t	biog-a-nt

პრეტერიტუმში ძლიერ ზმნებს შემდეგი პირის ნიშნები აქვთ:

პირი	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
1.	—	—um
2.	—i	—ut
3.	—	—un

ამასთან, მრ. რიცხვის ფუძე ვრცელდება ძველ ზემოგერმანულში აგრეთვე მხ. რიცხვის მე-2 პირზე და პრეტერიტუმის პარადიგმა შემდეგ ფორმას იღებს:

## „bintan“

მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
1. bant	/bunt-um
2. bunt—i	—bunt-ut
3. bant	\bunt-un

სუსტი ზმნების უღლება პრეზენსსა და პრეტერიტუმში

სუსტ ზმნებს პრეზენსში — კლასების მიხედვით — რამდენადმე განსხვავებული პარადიგმები აქვთ.

პირველი კლასის ზმნები დაირთავენ ძლიერი ზმნებისათვის დამახასიათებელ პირის ნიშნებს. ამასთან მხოლოდით რიცხვში „i“ ფუძესა-წარმოებელი სუფიქსი ემთხვევა „i“ თემატურ ხმოვანს, ხოლო მრავლობითში იგი ასიმილაციურ ზეგავლენას ახდენს „a“-თემატურ ხმოვანზე, რის შედეგადაც ვიღებთ „e“-ს:

## „teilen“

მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
1. teil-u	teil-e-mês
2. teil-i-s(t)	teil-et
3. teil-i-t	teil-e-nt

ძლიერი ზმნებისაგან განსხვავებით მხოლოდითი რიცხვის ფორმებში არ ხდება ბრუნვა: (leggā — leggist — leggit ‘მღრ.: nimu — nimist — nimit), ვინაიდან „e“ ფუძისეულმა ხმოვანმა ისტორიულად უკვე განიცადა ასიმილაციური ცვლილება — უმლაუტი (გუთ. lagjan → ძვ. ზემოგერმანული leggen) და განმეორებით ფონეტიკურ ზეგავლენას არ ექვემდებარება.

მეორე და მესამე კლასის ზმნების პრეზენსის პარადიგმის განმასხვავებელი ნიშანია „m“ დაბოლოება მხოლოდითი რიცხვის პირველ პირში და სათანადო ფუძესაწარმოებელი სუფიქსის შენარჩუნება ყველა ფორმაში:

„dankôn“

lebên“

მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი.	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
1. dank-ô-m	dank-ô-mes	leb-ê-m	leb-ê-mes
2. dank-ô-s(t)	dank-ô-t	leb-ê-s(t)	leb-ê-t
3. dank-ô-t	dank-ô-nt	leb-ê-t	leb-ê-nt

პრეტერიტუმის პირის ნიშნები საერთოა სამივე კლასის ზმნებისათვის:

პირი	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
1.	—a	—um
2.	—ô-s(t)	—ut
3.	—a	—un

ამასთან ფუძესაწარმოებელი სუფიქსი შენარჩუნებულია ყველა ფორმაში, გარდა პირველი კლასის იმ ზმნებისა, რომლებიც პრეტერიტუმის ფორმებში მის გარეშე აწარმოებენ:

პირველი კლასი:

„leggen“

„teilen“

მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
1. leg-i-t-a	leg-i-t-um	teil-t-a	teil-t-um
2. leg-i-t-ô-s(t)	leg-i-t-ut	teil-t-ô-s(t)	teil-t-ut
3. leg-i-t-a	leg-i-t-un	teil-t-a	teil-t-un

მეორე და მესამე კლასები:

„dankîn“

„lebên“

მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
1. dank-î-t-a	dank-î-t-um	leb-ê-t-a	leb-ê-t-um
2. dank-î-t-os(t)	dank-î-t-ut	leb-ê-t-os(t)	leb-ê-t-ut
3. dank-î-t-a	dank-î-t-un	leb-ê-t-a	leb-ê-t-un

2. გაეცანით კონიუნქტივის ფორმების წარმოებას ძველ ზემო-გერმანულში!

კონიუნქტივის ფორმებს პრეზენსსა და პრეტერიტუმში ერთი და იგივე პირის ნიშნები დაერთვის:

პირი	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
1.	—	—m
2.	—s(t)	—t
3.	—	—n

ძლიერი ზმნებისა და სუსტი ზმნების პრეზენსული ფორმები იწარმოება „ê“ სუფიქსის მეშვეობით, ხოლო მეორე და მესამე კლასის სუსტი ზმნები ინარჩუნებენ შესაბამის ფუძესაწარმოებელ სუფიქსს (î, ê). ამასთან ჩამოთვლილი გრძელი ხმოვნები ბოლოკიდურში მოკლდება (e; o, e):

ძლიერი ზმნები		პირველი კლასის სუსტი ზმნები	
მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
1. bint-e	bint-ê-m	teil-e	teil-ê-m
2. bint-ê-s(t)	bint-ê-t	teil-ê-s(t)	teil-ê-t
3. bint-e	bint-ê-n	teil-e	teil-ê-n
მეორე კლასის სუსტი ზმნები		მესამე კლასის სუსტი ზმნები	
მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
1. offan-o	offan-î-m	folg-e	folg-ê-m
2. offan-î-s(t)	offan-î-t	folg-ê-s(t)	folg-ê-t
3. offan-o	offan-î-n	folg-ê	folg-ê-n

კონიუნქტივის პრეტერიტული ფორმები იწარმოება „i“ სუფიქსის საშუალებით, რომელიც ბოლოკიდურში ასევე მოკლდება („i“). ეს სუ-

ვიქსი პრეტერიტუმის ფუძეს დაერთვის. ამასთან ძლიერი ზმნებისათვის ამოსავალია მესამე ძირითადი ფორმა — მრ. რიცხვის პრეტერიტუმი:

ძლიერი ზმნები		პირველი კლასის სუსტი ზმნები	
მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
1. bunt-i	bunt-ი-ი	teil-t-i	teil-t-ი-m
2. bunt-ი-s(t)	bunt-ი-t	teil-t-ი-s(t)	teil-t-ი-t
3. bunt-i	bunt-ი-n	teil-t-i	teil-t-ი-n

მეორე კლასის სუსტი ზმნები		მესამე კლასის სუსტი ზმნები	
მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
1. offan-ბ-t-i	offan-ბ-t-ი-m	folg-ბ-t-i	folg-ბ-t-ი-m
2. offan-ბ-t-ი-s(l)	offan-ბ-t-ი-t	folg-ბ-t-ი-s(t)	folg-ბ-t-ი-t
3. offan-ბ-t-i	offan-ბ-t-ი-n	folg-ბ-t-i	folg-ბ-t-ი-n

3. გაეცანით იმპერატივის ფორმების წარმოებას ძველ ზემოაღმართულში!

იმპერატივის მხ. რიცხვის მეორე პირს დაბოლოება არა აქვს. ძლიერი ზმნების ფორმა უმთხვევა ძირეულ მორფემას, ამასთან ფუძისეული „ც“ და „იო“ ბრუნვებს განიცდის (e → i, io → iu). სუსტი ზმნები კი შესაბამის ფუძესწარმოებელ სუფიქსს ინარჩუნებენ.

მრ. რიცხვის მეორე პირის ფორმა პრეზენტის შესაბამის ფორმას ემთხვევა. პრეზენტის ფორმას ემთხვევა აგრეთვე მრ. რიცხვის პირველი პირიც:

„faran“	„neman“	„teilen“	„offanôn“	„folgên“
far!	nim!	teili!	offano!	folgel
fare!	nemet!	teilet!	offanôt!	folgêt!
faramês!	nemamês!	teilemês!	offanômês!	folgêmês!

## II. დ ა ვ ა ლ ე ბ ე ბ ი დ ა ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო ე ბ ი

1. გამოყავით შემდეგ ზმნებში კომბინატორული ელემენტები, განსაზღვრეთ აბლაუტის რიგი და აწარმოეთ ძირითადი ფორმები:

- |            |            |
|------------|------------|
| 1. queman  | 4. snidan  |
| 2. trinkan | 5. lesan   |
| 3. stelan  | 6. fliogan |

- |            |            |
|------------|------------|
| 7. ladan   | 10. geltan |
| 8. beran   | 11. stōzan |
| 9. riohhan | 12. ezzan  |

2. დაადგინეთ სუსტი ზმნების კლასი და აწარმოეთ ძირითადი ფორმები:

- |           |           |
|-----------|-----------|
| 1. redōn  | 5. lernēn |
| 2. luogēn | 6. altēn  |
| 3. retten | 7. zellen |
| 4. lonōn  | 8. minnōn |

3. ქვემოთ ჩამოთვლილია ზმნები სხვადასხვა მორფოლოგიური ფორმით:

wirdu; sihit; tregis; dionōm; girettit; quad; warun; batum;  
gislafan; habēta; dinōtoš; sint; tātun; gieng; muosta.

გაანალიზეთ ეს ზმნები შემდეგი ნიმუშის მიხედვით:

საანალიზო ზმნა	მორფოლოგიური ჯგუფი	აბლაუტის რიგი ან კლასი	ძირითადი ფორმები	დროის ფორმა, პირი, რიცხვი	დამატებითი ნიშანი
nimis	ძლიერი	IV რიგი	neman nam nānum ginoman	პრეზენსი მხ. რიცხვი II პირი	ბრეხუნგი

4. ახსენით თანამედროვე გერმანული ზმნის პრეზენსის პარადიგმის შემდეგი მომენტები:

sprechen; er spricht,	მაგრამ: reden; er redst
geben; du gibst,	მაგრამ: leben; du lebst
graben; er gräbt,	მაგრამ: malen; er malt
nehmen; er nimmt,	მაგრამ: ihr nehmt
fahren; du fährst,	მაგრამ: ihr fahrt

5. თანამედროვე გერმანულ ენაში ზმნები "können, wollen, sollen, müssen, dürfen, mögen" შედის ორ სხვადასხვა ჯგუფში. ესაა, ერთი მხრივ, მოდალური ზმნების, ხოლო მეორე მხრივ. — პრეტერიტულ-პრე-

ზენსული ზმნების ჯგუფი. რ. უღევს საფუძვლად ამ ჯგუფების გამო-  
ყოფას? რომელი ზმნები შედის კიდევ თითოეულ ამ ჯგუფში და რა  
ნიშნის მიხედვით?

6. შეაჯამეთ ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურის ძირითადი ნიშ-  
ნები ძველ ზემოგერმანულში თანამედროვე ენასთან მიმართებაში!

7. შეუთანადეთ ერთმანეთს ზმნის მორფოლოგიური ჯგუფები  
ძველ ზემოგერმანულსა და თანამედროვე გერმანულში!

8. თანამედროვე გერმანულს შემორჩა შემთხვევები, როდესაც  
ერთსა და იმავე ზმნასთან შესაძლებელია პერფექტში ორივე დამხმარე  
ზმნის („haben“-ისა და „sein“-ის) ხმარება:

Wir haben den ganzen Tag geschwommen—Er ist ans andere  
Ufer geschwommen.

Er hat viel gereist—Er ist nach Italien gereist.

რა განაპირობებს დამხმარე ზმნების ამგვარ არჩევანს და როგორ  
უკავშირდება ეს მოვლენა მათი ხმარების კანონზომიერებებს ძველ ზე-  
მოგერმანულში?

9. „სიმღერა ჰილდებრანდზე“ ასე იწყება:

Ik gihôrta dat seggen (Ich hörte das sagen).

აღწერეთ ფორმა „gihôrta“ მორფოლოგიური თვალსაზრისით! გაი-  
თვალისწინეთ, რომ ამ ზმნის ინფინიტივია „hören“!

10. დროის ფორმების სისტემის რა თავისებურებას ავლენს შემ-  
დეგი ნაწყვეტი:

Thô quad imo daz uuîb; „ih uueiz uuanta Messiass quimit, thê  
giquetan ist Cristi; thanna her quimit, her gisagêt uns alliu“. Thô  
quad iru der heilant; „ih bin the sprichu mit thir“.

Da sprach zu ihm die Frau; „Ich weiß, daß der Messias kommen  
wird, der Christus genannt ist; wenn er kommt, wird er uns alles  
sagen“. Da sprach zu ihr der Heiland; „Ich bin es, der ich mit dir  
spreche“ (Johannes, 4).

### თავა მეთხუთსა

### ს ა ლ ე ქ ც ი ო მ ა ს ა ლ ა

1. არსებითი სახელის ძირითადი/დამახასიათებელი ნიშნები ძველ  
ზემოგერმანულში. არსებითი სახელის ბრუნება. ბრუნვათა უმთავრესი  
ფუნქციები.

2. არტიკლის განვითარება. 3. ზედსართავი სახელი.


## და მოუკიდებელი სამუშაო

1. ნაცვალსახელური პარადიგმები. რიცხვითი სახელი.
2. პრაქტიკული დავალებები.

1. არსებითი სახელის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები ძველ ზემოგერმანულში. არსებითი სახელის ბრუნება. ბრუნვათა უმთავრესი ფუნქციები. ძველ ზემოგერმანულში არსებით სახელს სამი კატეგორია აქვს: ბრუნვის, რიცხვისა და სქესისა. ეს კატეგორიები მომდინარეობს გერმანიკულიდან, რომელმაც ისინი, თავის მხრივ, ინდოევროპულიდან მიიღო. ინდოევროპულსა და გერმანიკულს უკავშირდება აგრეთვე ძველი ზემოგერმანულის ბრუნების სისტემა.

ინდოევროპულ წინარე ენაში არსებითი სახელი სამი მორფემული ელემენტისაგან შედგებოდა. ესენი იყო: ძირი, ფუძესაწარმოებელი სუფიქსი და ბრუნვის ნიშანი. ძირი და ფუძესაწარმოებელი სუფიქსი ერთობლივად ქმნიდნენ ფუძეს, იგივე სტრუქტურა შეინარჩუნა არსებითმა სახელმა გერმანიკულშიც:

გუთ.:      dag-a-m (den Tāgen)  
             gast-i-m (den Gästen)  
             sun-u-m (den Söhnen)  
             stibn-ō-m (den Stimmen)



ფუძე

ძველი ზემოგერმანული არსებითი სახელი სტრუქტურისა და ბრუნების თვალსაზრისით გარდამავალ პერიოდს ასახავს: ერთი მხრივ, მასში ნათლად მოჩანს არსებითი სახელის ფუძეების ტიპებად დანაწევრების პრინციპი, და შესაბამისად — მისი სამშემადგენლიანი სტრუქტურა (ძირი + ფუძესაწარმოებელი სუფიქსი + ფლექსია), ხოლო, მეორე მხრივ, თავს იჩენს ფუძესაწარმოებელი სუფიქსის დაკარგვის, ფლექსიასთან შერწყმის ან სულაც მისი ფლექსიად გადააზრების პროცესი, რის შედეგადაც ყალიბდება არსებითი სახელის ორშემადგენ-

ლიანი სტრუქტურა: (1) ძირი-ფუძე + (2) ფლექსია. (შდრ.გუთ. dag-a-m და ძვ. ზემოგერმანული tag-um). ამიტომ ძველ ზემოგერმანულში არსებით სახელთა ბრუნების ტიპების დაყოფას ფუძეების მიხედვით რამდენადმე აკლია სიმწყობრე, იგი აშკარად გადმონაშთი სისტემის შთაბეჭდილებას ტოვებს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამგვარი დაყოფა მაინც გამართლებულია, ვინაიდან, ჯერ ერთი, სწორედ ფუძეების ნაირფეროვნებით აიხსნება არსებითი სახელის ბრუნების ტიპთა სიმრავლე ძველ ზემოგერმანულში, და მეორეც — თანამედროვე ბრუნების სისტემის წარმოქმნა და მრავლობითი რიცხვის წარმოების მრავალი თავისებურება მხოლოდ ფუძეთა ტიპოლოგიასთან მიმართებაში წარმოჩინდება.

ძველ ზემოგერმანულში განასხვავებენ არსებითი სახელის ფუძეების სამ ძირითად ტიპს. ესაა:

1. ხ მ ო ვ ა ნ ი ფ უ ძ ე ე ბ ი, რომლებიც შეადგენენ ბრუნებათა შემდეგ ტიპებს:

a-ბრუნებას. მასში გაერთიანებულია:

a-ფუძეები [მამრ. tag (Tag), kuning (König);  
საშ. wort (Wort), barn (Kind)];

ja-ფუძეები [მამრ. hirti (Hirt);  
საშ. kunni (Geschlecht)];

wa-ფუძეები [მამრ. snêo (Schnee);  
საშ. kniu (Knie)];

i-ბრუნებას. იგი წარმოდგენილია i-ფუძეებით:

[მამრ. gast (Gast), scrit (Schritt);  
მდედრ. kraft (Kraft), fart (Fahrt)];

o-ბრუნებას. მასში შედის:

o-ფუძეები [მდედრ. erda (Erde), zala (Zahl)];  
jñ-ფუძეები [მდედრ. reda (Rede)].

2. თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ ი ფ უ ძ ე ე ბ ი, რომლებიც შეადგენენ ბრუნებათა ტიპებს:

n-ბრუნებას. მასში შედის n-ფუძეები:

[მამრ. namo (Name), garto (Garten);  
საშ. herza (Herz), ouga (Auge);  
მდედრ. zunga (Zunge), sunna (Sonn)];



nt-ბრუნებას. იგი წარმოდგენილია nt-ფუძეებით, რომლებიც ისტორიულად გაარსებითებული მიმღობებია:

[მამრ. friunt (Freund), fiant (Feind)];

r-ბრუნებას. იგი შედგება r-ფუძეებისაგან:

[მამრ. bruoeder (Bruder), fater (Vater);

მდედრ. muoter (Mutter), tohter (Tochter)];

ir- ბრუნებას. იგი წარმოდგენილია ir-ფუძეებით;

[საშ. lamb (Lamm), blat (Blatt)].

3. ძ ი რ ე უ ლ ი ა რ ს ე ბ ი თ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი, რომლებსაც არა აქვთ ფუძესაწარმოებელი სუფიქსი:

[მამრ. man (Mann); )

მდედრ. burg (Burg); naht (Nacht)].

როგორც ვხედავთ, არსებითი სახელის ბრუნების სისტემა ძველ ზემოგერმანულში შინაგანად ძალზე დიფერენცირებულია. მაგრამ ეს დიფერენცირება ამ პერიოდისათვის უკვე ექვემდებარება ტენდენციას, რომელიც სულ უფრო და უფრო თვალსაჩინო ხდება — ესაა ცალკეული ბრუნების ტიპების დაახლოების ტენდენცია. გადამწყვეტი როლი ამ პროცესში ენიჭება ბრუნების ამა თუ იმ სახეობას, რომელიც მოიცავს არსებით სახელთა ვრცელ კლასებს და იმსგავსებს შედარებით მცირერიცხოვან სიტყვათა ჯგუფებს. აღნიშნულ პროცესს თან სდევს მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი ტენდენციაც — არსებითი სახელის ბრუნების ტიპის კავშირის გაძლიერება სქესის კატეგორიასთან.

ქვემოთ განვიხილავთ ძველი ზემოგერმანული არსებითი სახელის ბრუნების სისტემას ამ ორი ტენდენციის გათვალისწინებით.

### a-ბ რ უ ნ ე ბ ა

a-ბრუნება ხმოვან ფუძეებს შორის ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტული ტიპია. მისი ამოსავალი პარადიგმაა:

მამრ. სქესი		საშ. სქესი	
მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
N. —	-ā (a)	—	—
G. -es	-o	-es	-o
D. -e	-um(-om, -un, -on)	-e	-um(-om, -un, -on)
A. —	-ā (a)	—	—
I. -u(-o)			

.ნიმუში:

N. tag	tagâ (a)	wort	wort
G. tages	tago	wortes	worto
D. tage	tagum(-om, -un, -on)	worte	wortum (-om, -un, -on)
A. tag	tagâ (a)	wort	wort
I. tagu(-o)		wortu(o)	

ja- და wa-ფუძიანი ბრუნების პარადიგმა თითქმის იმეორებს მამრ. სქესის a-ფუძიანი სახელების პარადიგმას: განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ეს არსებითი სახელები ზოგ ფორმაში j და w ფუძესაწარმოებელ სუფიქსებს ინარჩუნებენ:

#### ja-ფუძეები

მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
N. hirti	hirte(-â, -a)
G. hirtes	hirteo (-o)
D. hirtie (-e)	hirtum (im, un, on, in)
A. hirti	hirte (-â, -a)
I. hirtiu (-u, -o)	

#### wa-ფუძეები

მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
N. sneô	snêwâ (-a)
G. snêwes	snêwo
D. snêwe	snêwum (-om, -un, -on)
A. snêo	snêwâ

მამრ. სქესის არსებით სახელთა a-ბრუნება იმგავსებს როგორც თანხმოვანფუძიან მცირერიცხოვან ჯგუფებს (nt-, r-ფუძეებს), ისე ძირეულ სიტყვებს:

#### nt-ფუძეები

მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
N. friunt	friuntâ (a)
G. friuntes	friunto
D. friunte	friuntum (-om, -un, -on)
A. friunt	friuntâ (-a)

რ-ფუძეები

მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
N. fater	faterâ (-a) `
G. fateres	fatero
D. fatere	faterum (-om, -un, -on)
A. fater	faterâ (-a)

ძირეული სახელები

მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
N. man	man
G. mannes	manno
D. manne	mannum (-om, -un, -on)
A. man	man

საშუალო სქესის a-ფუძეებს უახლოვდება ir-ფუძეები, რომლებიც ამავე სქესს განეკუთვნებიან. ეს არსებითი სახელები მრ. რიცხვში ნარჩუნებენ ir-ფუძესაწარმოებელ სუფიქსს, რომელიც ფუძისეული ხმოვნის უმლაუტს იწვევს. შემდგომში ეს სუფიქსი მრ. რიცხვის მაწარმოებლის ფუნქციას იძენს. ამ შემთხვევაშიც უმლაუტი მას თან სდევს, მაგრამ უკვე როგორც შინაგანი ფლექსია (das Blatt—die Blätter).

ნიმუში:

მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
N. lamb	lembir
G. lambes	lembiro
D. lambe	lembirum (-om, -un, -on)
A. lamb	lembir
I. lambu (-o)	

როგორც ვხედავთ, a-ფუძეებთან დამსგავსების შედეგად წარმოიშვა ბრუნების, საკმაოდ ვრცელი და ამავე დროს უნიფიცირებული სახეობა. ამასთან უნიფიცირება ორი მიმართულებით მოხდა: ეს იყო, ერთი მხრივ, პარადიგმულ ფორმათა გათანაბრება (a-ფუძეებმა ყველა დანარჩენ ჯგუფს „თავს მოახვიეს“ საკუთარი პარადიგმა), ხოლო მეორე მხრივ, ბრუნებაში შემავალ არსებით სახელთა შემოფარგვლა (ასევე a-ფუძეების ანალოგიით) მამრობითი და საშუალო სქესით.

## i-ბ რ უ ნ ე ბ ა

ბრუნების მეორე დამოუკიდებელ ტიპს მამრობითი და მდედრობითი სქესის i-ფუძეები შეადგენენ, ამ სახეობის თავისთავადობას სრულიად მხოლოდ მდედრობითი სქესის არსებითი სახელები წარმოაჩენენ: ფუძესაწარმოებელი სუფიქსი „i“ შედის მათ პარადიგმაში როგორც მხოლობით, ისე მრავლობით რიცხვში:

მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
N. kraft	krefti
G. krefti	krefteo (-io, -o)
D. krefti	kreftim (in, -en)
A. kraft	krefti

როგორც ნიმუში გვიჩვენებს, სუფიქსი „i“ ფუძისეული ხმოვნის უმლაუტს იწვევს.

რაც შეეხება მამრობითი სქესის i-ფუძეებს, მათი მხოლობითი რიცხვის პარადიგმა სრულად ემსგავსება a-ფუძეებს, ხოლო მრავლობითი რიცხვი ინარჩუნებს i-ბრუნებისათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს:

მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
N. gast	gesti
G. gastes	gesteo (-io, -o)
D. gaste	gestim (-in, -en)
A. gast	gesti
I. gastiu (-u)	

## ბ-ბ რ უ ნ ე ბ ა

ბ-ბრუნებას შეადგენენ ბ- და jბ-ფუძეები. როგორც ვიცით, მათ მხოლოდ მდედრობითი სქესის არსებითი სახელები მიეკუთვნება.

ბ-ბრუნების პარადიგმას შემდეგი სახე აქვს:

ბ-ფუძეები		jბ-ფუძეები	
მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
N. geba	gebâ	suntea (-e, -a)	sunteâ (-â, -e)
G. geba (-u, -o)	gebôno	suntea (-e, -a)	sunteôno (-ôno)
D. gebu (-o)	gebôm (-ôm, -on)	suntiu (u)	sunteôm (-ôm, ôm)
A. geba	gebâ	suntea (-e, -a)	sunteâ (â, -e)

## n- ბ რ უ ნ ე ბ ა

თანხმოვანი ფუძეებიდან ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიული ტიპი n-ბრუნებაა, რომლისგანაც შემდგომში „სუსტი ბრუნება“ განვითარდა. მას მიეკუთვნება სამივე სქესის n-ფუძიანი არსებითი სახელები.

როგორც ცნობილია, ტერმინები „სუსტი“ და „ძლიერი“ ბრუნება ი. გრიმმა შემოიღო. ამ ტერმინების შერჩევისას იგი ემყარებოდა იმ ფაქტს, რომ „სუსტი ბრუნების“ არსებითი სახელების ბრუნვის ნიშანთა სისტემა, „ძლიერი ბრუნების“ სახელების სისტემისაგან განსხვავებით, „სუსტი“, არამყარი გამოდგა და ჯერ კიდევ დამწერლობისწინა პერიოდში დაიშალა. ამ პროცესის შედეგად n-ფუძესაწარმოებელი სუფიქსი სიტყვის ბოლოკიდურში აღმოჩნდა და მას ბრუნვის ნიშნის ფუნქცია დაეკისრა. ძველ ზემოგერმანულში n-სუფიქსი მხოლოდითი და მრავლობითი რიცხვის ყველა ბრუნვას ერთვის, გარდა სამივე სქესის ნომინატივისა და საშუალო სქესის სახელთა აკუზატივისა:

### მხ. რიცხვი

	მამრ.	მდედრ.	საშ.
N.	namo	zunga	herza
G.	namen (-in)	zungin	herzen (-in)
D.	namen (-in)	zungin	herzen (-in)
A.	namon (-un)	zungin	herza

### მრ. რიცხვი

N.	namon (-un)	zungin	herzun (-on)
G.	namōno	zungōno	herzōno
D.	namōm (-ōn)	zungōm (-ōn)	herzōm (-ōn)
A.	namon (-un)	zungin	herzun (-on)

ამგვარად, ძველ ზემოგერმანულში არსებითი სახელის ბრუნების ოთხი ძირითადი ტიპი ჩამოყალიბდა: a-ბრუნება, i-ბრუნება, ō-ბრუნება და n-ბრუნება, რაც, თუ მხედველობაში მივიღებთ თვით ფუძეების რაოდენობას, უნიფიცირების ტენდენციის მკაფიო გამოვლინებაა. ამასთან, ბრუნების წარმოდგენილ სისტემაში ნათლად ჩანს სქესის მიხედვით არსებითი სახელების გადაჯგუფების პროცესიც: ასე, მაგალითად,

ა-ბრუნება მამრობითი და საშუალო სქესით შემოიფარგლა, მაშინ რო-  
დესაც ბ-ბრუნება მხოლოდ მდედრობითს მოიცავს და ა. შ.

ბ რ უ ნ ვ ა თ ა უ მ თ ა ვ რ ე ს ი ფ უ ნ ქ ც ი ე ბ ი. ძველ ზემო-  
გერმანულს ოთხი ბრუნვა აქვს: ნომინატივი (Nominativ), გენიტივი  
(Genitiv), დატივი (Dativ) და აკუსატივი (Akkusativ). ბრუნების ზო-  
გიერთ პარადიგმაში გადმონაშთის სახით გვხვდება ინსტრუმენტალისი  
(Instrumentalis).

ბრუნვათა ფუნქციები ძველ ზემოგერმანულში ემთხვევა ძირითა-  
დად მათ ფუნქციებს თანამედროვე ენაში. მაგრამ ძველ ზემოგერმა-  
ნულს ზოგიერთი თავისებურებაც ახასიათებს.

ნ ო მ ი ნ ა ტ ი ვ ი ს უ ბ ი ე ქ ტ ის, პრედიკატივისა და მიმართვის ბრუნ-  
ვაა:

Thin bruoder quam (Dein Bruder ist gekommen).  
In jugundi ward sie wituwa (In der Jugend wurde sie Witwe).  
Hludufg, kuning mîn! (Ludwig, mein König!).

გ ე ნ ი ტ ი ვ ი უ პ ი რ ვ ე ლ ს ა დ განსაზღვრების ბრუნვაა:  
Hultibrantes sunu (Hildebrands Sohn);  
thes heilantes muoter (die Mutter des Heilands).

თანამედროვე ენისაგან განსხვავებით, გენიტივით გაფორმებული  
მსაზღვრელი წინ უსწრებს საზღვრულს.

ძველ ზემოგერმანულში, თანამედროვე ენასთან შედარებით, ბევ-  
რად უფრო მეტია იმ ზმნების რიცხვი, რომლებიც გენიტივს მართა-  
ვენ:

thes wazzeres giholôn (Wasser holen);  
âhten dero fianto (Feinde verfolgen);  
folgên râtes (dem Rat folgen);  
bittan brôtes (um Brot bitten).

გენიტივს ზედსართავი სახელებიც მართავენ:  
wirdig tôdes (würdig des Todes);  
fol wîsduomes (voll Weisheit).

გენიტივი გარემოების როლშიც გვხვდება:  
thes tages (tags);  
thes selben jâres (im selben Jahr).

დატივი უმთავრესად ირიბი დამატების ბრუნვაა. ამ ფუნქციით იგი იხმარება:

1) ზმნებთან:

Quid mînemo bruoder! (Sag meinem Bruder!).

Hilf mînan liutin! (Hilf meinen Leuten!).

2) ზედსართავ სახელებთან:

Wis mir miltil (Sei mir gnädig!).

აკუზატივი პირდაპირი დამატების ბრუნვაა:

Huob her gundfanon ûf (Hob er die Kriegsfahne).

იგი იხმარება უპირო ზმნებთანაც:

Mih durstit (Mich durstet es).

აკუზატივი გვხვდება აგრეთვე გარემოების სინტაქსური ფუნქციით:

Er fiar jâr thâr wâri (Er war dort vier Jahre).

ინსტრუმენტალისი ძველ ზემოგერმანულში მხოლოდ მამრობითი და საშუალო სქესის ხმოვან ფუძეებს შემორჩა. მას „საშუალების“, „ინსტრუმენტის“ გამოხატვის ფუნქცია აქვს:

Wili mih dînu speru werpan (Du willst mich mit deinem Speer niederschlagen).

ხშირად ინსტრუმენტალისი „mit“ წინდებულთანაც იხმარება:

Fullet thi u faz mit wazzar u (Fullet die Fässer mit Wasser).

მაგრამ ამ ფორმას კონკურენციას უწევს კონსტრუქცია „mit+Dativ“, რომელიც შემდგომში აღნიშნული მნიშვნელობის გადმოცემის ერთადერთ საშუალებად იქცევა:

Spenis mih mit dînem wortun (Du betrügst mich mit deinen Worten).

2. არტიკლის განვითარება. სინთეზიზმიდან ანალიტიზმზე გადასვლის ტენდენცია არსებითი სახელის სფეროშიც აისახა მხედველობაში გვაქვს არტიკლის ჩამოყალიბება. როგორც ვიცით, არტიკლი არსებით სახელთან ერთად ერთიან ანალიზურ ფორმას შეადგენს — იგი აფორმებს არსებით სახელს, როგორც მეტყველების ნაწილს, და იტვირთება მისი გრამატიკული კატეგორიების გამოხატვის ფუნქციით.

არტიკლის ჩამოყალიბება ძველ ზემოგერმანულში მხოლოდ საწყის ეტაპზეა. თავდაპირველად ვითარდება განსაზღვრული არტიკლი ther, thiu, thaz. მას საფუძვლად ედება ჩვენებითი ნაცვალსახელი. იგი იხმარება მხოლოდ კონკრეტული არსებითი სახელის წინ, რათა ხაზი გაუსვას ერთი რომელიმე საგნის განსაზღვრულობას:

Sum man habêta zuuêne suni. Quad thô der iungôro fon then themo fater (Ein Mann hatte zwei Söhne. Da sagte der Jüngere von ihnen dem Vater).

მაგრამ, როდესაც საქმე განუსაზღვრელ, უცნობ საგანს ეხება, არსებითი სახელი უარტიკლოდ იხმარება:

Furfarenti gisah man blintan (Im Vorbeigehen sah er (einen) blinden Mann).

განსაზღვრული არტიკლის გამოყენების არე ფართოვდება მხოლოდ ძველი ზემოგერმანული პერიოდის დასასრულს, როდესაც მისი ხმარება ვრცელდება აბსტრაქტულ სახელებზე, ნივთიერებათა სახელებზე და სხვ.:

Uuir uuizzen, daz tia erda daz uuaizzer umbegât unde der fierdo teil nahôr obenân erbarôt ist (Wir wissen, daß die Erde von dem Wasser umgeben ist und daß etwa der vierte Teil davon oben nicht bedeckt ist).

რაც შეეხება განუსაზღვრელ არტიკლს, მისი ხმარება ძველ ზემოგერმანულში მხოლოდ ცალკეული შემთხვევებით შემოიფარგლება:

Einan kuning uueiz ih, heizsit her Hluduig (Ich weiß einen König, er heißt Ludwig).

როგორც ვხედავთ, ამ პერიოდისათვის ჯერ კიდევ ვერ გამოიკვეთა განსაზღვრული და განუსაზღვრელი არტიკლის რეგულარული ოპოზიცია და ამდენად არტიკლიც სრულფასოვან გრამატიკულ კატეგორიად ვერ ჩაითვლება.

3. ზ ე დ ს ა რ თ ა ვ ი ს ა ხ ე ლ ი. ძველ ზემოგერმანულში ზედსართავ სახელს ორი ბრუნება აქვს: ძლიერი და სუსტი. ბრუნების ეს ორივე ტიპი საერთოგერმანიკული მოვლენაა.

(ძლიერი ბრუნების ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა ნაცვალსახელურ ფლექსიათა სისტემამ) [შდრ.: ther (der) — guotêr (guter); thaz (das) — guotaz (gutes) და სხვ.]. ამიტომ ბრუნების ამ ტიპს „ნაცვალსახელურსაც“ უწოდებენ:



მამრ.		საშ.	
მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
N. blintêr/blint	blinte/(blint)	blintaჰ/blint	blintiu/(blint)
G. blintes	blintero	blintes	blintero
D. blintemu(-emo)	blintêm (ên)	blintemu(-emo)	blintêm(-ên)
A. blintan	blinte	blintaჰ/blint	blintiu
I. blintu(-o)	blintu(-o)		

მდედრ.

მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
N. blintiu/blint	blinto/(blint)
G. blintera	blintero
D. blinteru(-ero)	blintêm(-ên)
A. blinta	blinto

სუსტი ბრუნება ჩამოყალიბდა ზედსართავ სახელებზე არსებითი სახელების II-ბრუნების პარადიგმის გავრცელებით:

მამრ.		საშ.	
მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
N. blinto	blinton(-un)	blinta	blintun(-on)
G. blinten(-in)	blintôno	blinten(-in)	blintôno
D. blinten(-in)	blintôm(-în)	blinten(-in)	blintôm(-în)
A. blinton(-in)	blinton(-un)	blinta	blintun(-on)

მდედრ.

მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
N. blinta	blintûn
G. blintûn	blintôno
D. blintûn	blintôm(-în)
A. blintûn	blintûn

თავდაპირველად სუსტი ბრუნების ფორმები ძირითადად ზედსართავი სახელის გაარსებითებისას იხმარებოდა ან საკუთარ სახელებთან ეპითეტის როლში გამოდიოდა. არტიკლის ჩამოყალიბებისთანავე სუსტი ფორმები განსაზღვრულ არტიკლს დაუკავშირდა. ამით საფუძველი, მ. გენცაჟე, ც. ჭიჭინაძე

ლი ჩაეყარა ე. წ. „შექანიკური რეგულირების“ წესს, რომელიც თანამედროვე გერმანულ ენაში ზედსართავი სახელის სუსტი და ძლიერი ბრუნების არჩევანს განსაზღვრავს. ეს წესი ზოგადად შემდეგში მდგომარეობს: თუ ზედსართავ სახელს წინ უსწრებს არსებითი სახელის გრამატიკული კატეგორიების გამომხატველი სიტყვა (არტიკლი, ნაცვალ-სახელი), მაშინ ზედსართავი სახელი სუსტი ბრუნებით იბრუნვის, ხოლო თუ ზედსართავი სახელი ამგვარი სიტყვის გარეშე იხმარება, მაშინ იგი ძლიერ ბრუნებას განეკუთვნება და ამ ბრუნების დაბოლოებათა სისტემის მეშვეობით გამოხატავს არსებითი სახელის გრამატიკულ მახასიათებლებს.

( ზედსართავ სახელს ძველ ზემოგერმანულში ორი შედარების ხარისხი აქვს: კომპარატივი და სუპერლატივი. პირველი იწარმოება *ir/ôr*, ხოლო მეორე — *ist/ôst* სუფიქსების საშუალებით. „i“-ზე დაბოლოებული ზედსართავი სახელები მუდამ —*ir* და —*ist* სუფიქსებს დაირთავენ, ხოლო მრავალმარცვლიანები — მხოლოდ *ôr*-სა და *-ôst*-ს. დანარჩენ ზედსართავ სახელებთან პარალელურად გვხვდება სუფიქსთა ორივე წყვილი:

*scôni* — *skôniro* — *scônisto* (*schôn*)

*hôh* — *hôhiro/hôhîro* — *hôhîsto/hôhîdsto* (*hoch*)

-*ir* და -*ist* სუფიქსები ფუძისეული ხმოვნის უმლაუტს იწვევენ:

*alt* — *eltiro* — *eltisto* (*alt*)

*lang* — *lengiro* — *lengisto* (*lang*)

ზედსართავი სახელი ამა თუ იმ ხარისხში მუდამ სუსტად იბრუნვის — დაბოლოება „o“ სწორედ სუსტი ბრუნების მაჩვენებელია.

### დამოუკიდებელი სამუშაო

დავალება 1. გაეცანით ძველი ზემოგერმანულის ნაცვალსახელურ პარადიგმებს და გამოიყენეთ ისინი ტექსტზე მუშაობისას:

პირის ნაცვალსახელი

მხ. რიცხვი

	1 პირი	2 პირი	მამრ.	3 პირი	მდედრ.
N.	ih	du/dû	er/he/her	iʒ	siu/si/sî
G.	mîn	dîn	sîn	es/is	ira
D.	mir	dir	imu(-o)	imu(-o)	iru(-o)
A.	mih	dih	inan(-in)	iʒ	sia/sie

მრ. რიცხვი

	1 პირი	2 პირი	3 პირი		
			მამრ.	საშ.	მდედრ.
N.	wir	ir	sie	siu	sio
G.	unsêr	iuwêr	iro	iro	iro
D.	uns	iu	im	im	im
A.	unsih	iuwih	sie	siu	sio

კ უ თ ვ ნ ი ლ ე ბ ი თ ი ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ი

მხ. რიცხვი

	მამრ.	საშ.	მდედრ.
N.	mîn(er)	mîna(az)	mîniu
G.	mînes	mînes	mînera
D.	mînemu(-o)	mînemu(o)	mîneru(o)
A.	mînan	mîna(az)	mîna

მრ. რიცხვი

	მამრ.	საშ.	მდედრ.
N.	mîne	mîniu	mîno
G.	mînero	mînero	mînero
D.	mînem(-en)	mînem(-en)	mînem(-en)
A.	mîne	mîniu	mîno

ჩ ვ ე ნ ე ბ ი თ ი ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ი

ჩვენებითი ნაცვალსახელებია:

ther/der	(der)
desêr	(dieser)
jenêr	(jener)
sulîhêr/solîhêr	(solcher).

ყველა ამ ნაცვალსახელს ბრუნების ერთი საერთო წესი აქვს:

მხ. რიცხვი			მრ. რიცხვი		
მამრ.	საშ.	მდედრ.	მამრ.	საშ.	მდედრ.
der	daჲ	diu	dê/dea/dia/die	diu	deo/dio
i. des	des	dera(-u, -o)	dero	dero	dero
ჲ. demu(-o)	demu(-o)	deru(-o)	dêrn(-n)	dêrn(-n)	dêrn(-n)
ჲ. den	daჲ	dea/dia/die	dê/dea/dia/die	diu	deo/dio
.	diu				

გ ა ნ უ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ ი ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ე ბ ი ა :

sum (ein gewisser)

ander (ein anderer)

man/eoman/ioman (irgendeiner)

eowihht/iowihht (etwas)

eowelih/eogiwelih/iowelih/iogiwelih (jeder, ein beliebiger)

ein (ein gewisser/einer).

უ ა რ ყ ო ფ ი თ ი ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ე ბ ი ა :

nihein (keiner)

neoman/nioman (niemand)

neowihht/niowihht (nicht; nichts).

კითხვითი ნაცვალსახელებია: (h)wer (wer), (h)was (was), (h)wen-  
liih (welcher), (h)wedat (welcher von beiden).

N. (h)wer (h)waჲ

G. (h)wes (h)wes

D. (h)wemu(-o) (h)wemu(-o)

A. (h)wenan (h)waჲ

I. (h)wiu

უკუქცევითი ნაცვალსახელი „sih“ მხოლოდ აკუსატივის ფორმით იხმარება.

დავალეზა 2. გაეცანით რიცხვითი სახელის ძირითად ნიშან-  
თვისებებს ქველ ზემოგერმანულში:

ქველ ზემოგერმანულში, ისევე როგორც თანამედროვე ენაში, გაი-  
მიჯნება რიგობითი და რაოდენობითი რიცხვითი სახელები.

რაოდენობითი რიცხვითი სახელებია:

1 — ein (იბრუნვის როგორც ზედსართავი სახელი)

მამრ.      საშ.      მღერ.

2 — N. zwêne      zwei      zwâ/zwô

G. zweio      zweio      zweio

D. zweim      zweim      zweim

A. zwêne      zwei      zwâ/zwô

მამრ.      საშ.      მღერ.

3 — N. drî      driu      drîo

G. drîo      drîo      drîo

D. drim      drim      drim

A. drî      driu      drîo

4 — fior      7 — sibun      10 — zehan

5 — n      8 — ahto      11 — einlif

6 — sehs      9 — niun      12 — zwelif

რიცხვითი სახელები 13—19 იწარმოება „zehan“ (zehn) კომპონენტის დართვით:

13 — dr izehan      17 — sibunzehan

14 — fiorzehan      18 — ahtozehan

15 — finfzehan      19 — niunzehan

16 — sehszehan

ათეულები დაირთავენ „-zug“ (Zehner) კომპონენტს:

20 — zweinzug      60 — sehszug

30 — drîzug      70 — sibunzug

0 — fiorzug      80 — ahtozug

50 — in      90 — niunzug

100 აღინიშნება არსებითი სახელით „hunt“ (hundert), აქედან;  
200—zwei hunt, 300—driu hunt და ა. შ.

1000 აღინიშნება არსებითი სახელით „dûsunt/thûsunt“.

რიგობითი რიცხვითი სახელები იწარმოება რაოდენობითი რიცხვითი სახელებისაგან სუფიქსების დართვით.

რაოდენობითი რიცხვითი სახელები 3—19-მდე დაირთავენ „1“ სუფიქსს: dritto (dritter), fiorto (vierter), finfto (fünfter) და ა. შ.

ათეულებიდან, ასეულებიდან და ათასეულებიდან რიგობითი რიცხვითი სახელი -ბst სუპერლატივის სუფიქსის საშუალებით იწარმოება: zweinzugbsto (zwanzigster). ბristo (erster)—აგრეთვე სუპერლატივის ფორმა, ხოლო ander (zweiter) — ander ზედსართავი სახელის გადააზრებაა.

რიგობითი რიცხვითი სახელები იბრუნვის ზედსართავ სახელთა სუსტი ბრუნების შიხედვით.

დავალება 3. გაარკვეეთ, როგორ ვლინდება არსებითი სახელების მრავლობითი რიცხვის წარმოებაში მათი კავშირი უძველეს ფუძეებთან:

თანამედროვე გერმანული	ძველი ზემოგერმანული
der Arm	arm; a—ფუძე
der Bär	beroi; n—ფუძე
das Auge	ouga; n—ფუძე
der Schlag	slag; i—ფუძე
die Macht	maht; i—ფუძე
das Kalb	kalb; ir—ფუძე
das Jahr	jâr; a—ფუძე

დავალება 4. ახსენით, თუ რატომ გვაქვს თანამედროვე გერმანულში:

der Gast — die Gäste მაგრამ,	der Tag — die Tage
der Gast — die Gäste და:	die Kraft — die Kräfte
der Tag — die Tage და:	das Jahr — die Jahre
das Blatt — die Blätter მაგრამ,	das Wort — die Worte
და:	das Ohr — die Ohren

დავალება 5. დაადგინეთ რიცხვითი სახელების სქესი:  
thriu brôt; zwei jâr; thrio naht; dri taga; swester zwâ.

დავალება 6. განსაზღვრეთ ზედსართავი სახელების ბრუნების ტიპი და ბრუნვა:

in dhemu heilegin gheiste; der alemahtigo fater; zi wisemo man ne; biltero ziti.

ს ა ლ ე ქ ც ი ო მ ა ს ა ლ ა

1. ძველი ზემოგერმანულის ძირითადი სინტაქსური თავისებურებანი;
2. ძველი ზემოგერმანულის ლექსიკური ფონდის ეტიმოლოგიური ლიფერენციაცია.

დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ ი ს ა მ უ შ ა ო

1. პრაქტიკული დავალებები;
2. შემაჯამებელი დავალებები.

ს ა ლ ე ქ ც ი ო მ ა ს ა ლ ა

1. ძველი ზემოგერმანულის ძირითადი სინტაქსური თავისებურებანი. ძველი ზემოგერმანული წინადადების ძირითადი ნიშან-თვისებები მკაფიოდ ასახავს თანამედროვე გერმანული ენის უმნიშვნელოვანესი სინტაქსური ტენდენციების წარმოშობისა და შემდგომი განვითარების წინაპირობებს. ქვემოთ გამოვყოფთ რამდენიმე ასეთ ნიშან-თვისებას.

1. ძველი ზემოგერმანული წინადადების ერთ-ერთი არსებითი მახასიათებელია მისი ორშემადგენლიანობა:

Sum man habêta zuuênê suni  
(Ein Mann hatte zwei Söhne).

უსუბიექტო წინადადებები გვხვდება უმთავრესად თარგმანებში, რაც ლათინურის ზეგავლენით აიხსნება:

ლათ.: Respondit mulier et dixit: non habeo virum.

ძვ. Antuurtanti daz uuîb inti quad: ni habu gomman  
(Das Weib antwortete und sagte: “[Ich] habe keinen Mann“).

იგივე ითქმის განუსაზღვრელი სუბიექტის გამოტოვებაზეც:

ლათ.: Et adducunt ei surdum et mutum.

ძვ. Thô brâhtun zi imo touhan inti stumman  
(Und [man] brachte zu ihm einen Taubstummen).

მაგრამ სწრაფვა წინადადების ორშემადგენლიანი სტრუქტურისაკენ აქაც იჩენს თავს: პირველ შემთხვევაში გერმანულ თარგმანში, ლათინურისაგან განსხვავებით, აღადგენენ სუბიექტს, ხოლო მეორეში — მიმართავენ man (Mensch) არსებით სახელს, რომლისგანაც უკვე ამ პერიოდში ვითარდება განუსაზღვრელი ნაცვალსახელი man:

ლათ.; Interrogo vos...

ძზგ. Ih frâgên iuuih...

(Ich frage euch...).

ლათ. Petit et dabitur vobis.

ძზგ. Bitet inti iu gibit man

(Bittet und man wird euch geben).

ორშემადგენლიანობის პრინციპი ზოგ შემთხვევაში ბრძანებით წინადადებაზეც კი ვრცელდება:

Faret ir in mînan uuîngart

(Geht [ihr] in meinen Weingarten).

ფორმალურად ორშემადგენლიანია ძველ ზემოგერმანულში უპირო წინადადებებიც:

Ez âbendêt (Es wird Abend).

Ez ist kalt (Es ist kalt).

Ez ist spâti (Es ist spät).

(მდრ.: რუს. Бeyepeer; ლათ.: Pluit—Es regnet).

ერთშემადგენლიანია ძველ ზემოგერმანულში მხოლოდ შემდეგ ტიპის წინადადებები:

Mih hungrita inti ir gâbut mir ezzan

(Mich hungerte, und ihr gabt mir zu essen).

მოგვიანებით ამ კონსტრუქციის პარალელურად ჩამოყალიბდა აგრეთვე „es“ სუბიექტიანი სტრუქტურა.

როგორც ვხედავთ, თანამედროვე გერმანული ენის უმნიშვნელოვანესი სინტაქსური ნიშანი — წინადადების ორშემადგენლიანი (სუბიექტურ-პრედიკატული) სტრუქტურა — უკვე ძველ ზემოგერმანულში საკესებით მკაფიოდ გამოიკვეთა.

2. სიტყვათწყობა ძველ ზემოგერმანულში თანამედროვე ენასთან შედარებით რამდენადმე უფრო თავისუფალია. ეს განპირობებულია ძირითადად იმ გარემოებით, რომ ძველ ზემოგერმანულ თხრობით წინადადებაში ჯერ არ არის დაკანონებული შემასმენლის ხმარება მეორე სინტაქსურ პოზიციაში, თუმცა ამგვარი ტენდენცია უკვე რამდენადმე გამოხატულია.

ისევე როგორც თანამედროვე ენაში, ძველ ზემოგერმანულშიც დომინირებს სიტყვათა პირდაპირი წყობა: ქვემდებარე + შემასმენელი + ...:



Er flöh in thaz gibirgi  
(Er floh ins Gebirge).

მაგრამ ძალზე გავრცელებულია აგრეთვე მოვლენა, რომელიც სრულიად უცხოა თანამედროვე ენისათვის. მხედველობაში გვაქვს პრედიატის ხმარება პირველ პოზიციაში, რაც, ცხადია, სუბიექტის ინვერსიასაც იწვევს — სუბიექტი ასეთ შემთხვევაში მეორე ან მესამე ადგილზე გადადის. ეს თავისებურებაც უპირველესად ლათინურის ზეგავლენით აიხსნება:

ლათ.: Apparuit autem illi angelus domini.

ზგ.: Araugta sih imo gotas engil  
([Es] erschien ihm ein Engel Gottes).

აგრეთვე:

Brähtun imo man stumman  
(Man brachte zu ihm einen stummen Mann).

Uuas in tagun Hêrôdes thes cuninges Judeno sumêr biscof  
([Es] lebte in den Zeiten des jüdischen Königs Herodes ein Priester).

შემასმენლით წინადადების დაწყებას სტილისტური ფუნქციაც აქვს — იგი ანიჭებს თხრობას ეპიკურ მალალფარდოვნებას.

ბივერბალურ შესიტყვებაში სახელური კომპონენტი ხშირად უსწრებს ზმნურს:

Argangana uuârun ahtu daga  
(სიტყვასიტყვით: Vergangen waren acht Tage).

სუბიექტის ინვერსიისას შემასმენლის წინ ზოგ შემთხვევაში იხმარება ზმნიზედები „thâr“, „thô“ (da, dann). წინადადების ამგვარი სტრუქტურა უპირველესად სუბიექტის ხაზგასმას ემსახურება. მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ იგი შემასმენლის მეორე ადგილზე გადასაცვლებასაც გულისხმობდეს:

Thô quâdun zi imo sine bruoder  
(Da sagten ihm seine Brüder).

სუბიექტის ინვერსიისას პირველ ადგილზე დამატება და გარემოებაც გვხვდება:

In dagon eines kuninges was ein êwarto  
(In den Zeiten eines Königs lebte ein Priester).

ზოგ შემთხვევაში კი წინადადების ამ წევრთა გადანაცვლებას პირველ პოზიციაში მიზნად აქვს, ხაზი გაუსვას მათ საკომუნიკაციო ღირებულებას:

Einan kuning uueiz ih, heizsit her Hluduuif  
(Ich kenne einen Kōnig, er heißt Ludwig).

ძველ ზემოგერმანულში, ისევე როგორც თანამედროვე ენაში, ბრძანებით და არაკითხვითისტიყვიან კითხვით წინადადებაში შემასმენელი პირველ ადგილზეა:

Gib mir trinkan!

(Gib mir zu trinken!)

Habêt ir hier uuaz thaz man ezzan megî?

(Habt ihr hier etwas, was man essen könnte?)

ამ ვითარებაში დიდად შეუწყო ხელი თხრობით წინადადებაში — ბრძანებითისა და კითხვითის საპირისპიროდ — შემასმენლის მეორე ადგილზე დამკვიდრებას. მაგრამ ამ უმნიშვნელოვანესი ტენდენციის გამოკვეთის მიუხედავად, ძველ ზემოგერმანულში გვხვდება მრავალი მაგალითი, როდესაც თხრობით წინადადებაში შემასმენელი ბოლოსკენაა გადანაცვლებული:

In thritten tage brûtloufti gitano uu arun in thero steti thiuhiez Canan Galilee

(Und am dritten Tage war eine Hochzeit zu Kana in Galiläa).

რაც შეეხება დამოკიდებულ წინადადებას, ამ შემთხვევაშიც შემასმენლის ადგილი ჯერ დაკანონებული არ არის, თუმცა მისი წინადადების უკანასკნელ პოზიციაში დამკვიდრების ტენდენცია უკვე იკვეთება:

Thu weist, thaz ih thih minnô n

(Du weißt, daß ich dich liebe).

ამგვარი წყობის გვერდით გავრცელებულია აგრეთვე შემასმენლის ხმარება დამოკიდებული წინადადების სხვადასხვა პოზიციაში:

Inti sie ni forstuontun thaz suort, thaz her sprach zi in

(Sie verstanden nicht die Worte, die er zu ihnen sagte).

მიუხედავად შემასმენლის პოზიციის ცვალებადობისა, მისი მოთავსება უკანასკნელ პოზიციაში თანდათანობით დამოკიდებული წინადადების განმასხვავებელ ნიშნად იქცევა.

3. ძველ ზემოგერმანულში წერილობითი ძეგლები შეიცავენ რთული წინადადების სხვადასხვა სახეობას, რომელთა ჩამოყალიბებასა და

შემდგომ განვითარებას დიდად შეუწყო ხელი გერმანული ენის სამ-  
წერლო ტრადიციის დამკვიდრებამ.

რთული წინადადების მოდელების რიცხვი ძველ ზემოგერმანულ-  
ში ბევრად უფრო ნაკლებია, ვიდრე თანამედროვე ენაში. მათი სტრუ-  
ქტურაც ჭერ კიდევ დაუდგენელია. მაგრამ ისინი ძირითადად უკვე ავ-  
ლენენ იმ თავისებურებებს, რომლებიც მათ თანამედროვე ენაში ახა-  
სიათებთ. ამ თვალსაზრისით პირველ რიგში აღსანიშნავია რთული წი-  
ნადადების შემადგენელი ნაწილების მაკავშირებელი საშუალებები.

ისევე როგორც თანამედროვე ენაში, ძველზემოგერმანულ რთულ  
წინადადებაშიც დაკავშირების ორი ძირითადი საშუალება გამოიყოფა:  
უკავშირო და კავშირიანი. ეს უკანასკნელი ხორციელდება კავშირები-  
სა და მიმართებითი ნაცვალსახელების მეშვეობით.

ძველ ზემოგერმანულში ყველაზე გავრცელებული კავშირებია:

inti/anti/enti/endi/indi/unti/unta/un/in (und)

ouh (auch)

doh (doch)

abur (aber)

odo (oder)

thaz (daß)

thô/thâr/sô (da)

also/mit thiú (als—ტემპორალურ წინადადებაში)

after thiú (nachdem)

uuanta/bithiú uuanta (weil)

ob ouh (wenn auch)

ibu/oba (wenn)

thanne (als—შედარებისას)

êr (ehe)

.sôsô/sô sama sô/sô selp sô (wie—შედარებისას)

unzan (bis)

მიმართებითი ნაცვალსახელებია:

ther, thiú, thaz (der, die, das)

hwer/sô hwer sô/hwaz (wer/was)

huuelih (welcher)

4. ძველ ზემოგერმანულში უარყოფას „ni/ne“ ნაწილაკი გამოხა-  
ავს. იგი, როგორც წესი, წინ უსწრებს შემასმენელს:

Ni waniu ih

(Ich glaube nicht).

Ni forhti thû thir, Zacharias!

(Fürchte dich nicht, Zacharias!)

ხშირად უარყოფითი ნაწილაკი პირიან ზმნასაც ერწყმის:

Nist liut thaz es beginne

(Es gibt [ist]kein Volk, das damit beginnt).

თანამედროვე გერმანულისაგან განსხვავებით, გვხვდება ორმაგო  
უარყოფაც:

Nist man nihein in uuorolti

(Es gibt keinen Menschen auf der Welt).

2. ძველი ზემოგერმანულის ლექსიკური ფონ-  
დის ეტიმოლოგიური დიფერენციაცია. წერილობი-  
თი ძეგლებით დასტურდება ძველი ზემოგერმანულის საკმაოდ მდიდა-  
რი ლექსიკური შედგენილობა. ეს ძეგლები ავლენენ აგრეთვე ლექსი-  
კური ფონდის ზრდის პროცესს, რაც მკიდრო კავშირშია ფეოდალუ-  
რი კულტურისა და რელიგიური განათლების განვითარებასთან, სახელ-  
მწიფოებრივი ინსტიტუტების ზრდასა და თეოლოგიური და ფილოსო-  
ფიური ლიტერატურის თარგმნასთან.

ძველ ზემოგერმანულში ნათლად იკვეთება ლექსიკური ფენები,  
რომლებიც სხვადასხვა ისტორიულ პერიოდს განეკუთვნება.

ლექსიკური ფონდის უძველესი ფენაა საერთო-გერმანიკული  
ლექსიკა. ამ ფენის დიდი ნაწილი ინდოევროპულიდან მომდინარეობს  
და ძველი ზემოგერმანულის ძირითად ლექსიკურ ფონდს განეკუთვნე-  
ბა. მის ფარგლებში გამოიყოფა რამდენიმე თემატური ჯგუფი. მოვი-  
ყვანთ ნიმუშებს:

1) ნაცვალსახელები:

ძზგ	გუთური	ლათინური	რუსული
ih	ik	ego	
du	þu	tû	ты

2) რიცხვითი სახელები:

ძვგ.	გუთური	ლათინური	რუსული
ein	ains	ūnu	один
zwei	twai	duo	два
zehn	taihun	decem	десять

3) ნათესაობის აღმნიშვნელი არსებითი სახელები:

ძვგ.	გუთური	ლათინური	რუსული
muoter		māter	мать
fater	fadar	pater	
bruoder	brōþar	frāter	брат
wituwa	widuwō	vidua	вдова

4) ცხოველებისა და ფრინველების დასახელები:

ძვგ.	გუთური	ლათინური	რუსული
wolf	wulf	lupus	волк
mūs		mūs	мышь
gans	gōs		гусь

5) ბუნების მოვლენებისა და ბუნებრივი საგნების დასახელები:

ძვგ.	გუთური	ლათინური	რუსული
naht	nahts	nox	ночь
sterno		stella	
sunna	sunno	sōl	солнце
māno	mēna	mēnsis	месяц

6) სხეულის ნაწილთა დასახელებანი:

ძვგ.	გუთური	ლათინური	რუსული
rasa		nāsus	нос
herza	hairto	cor	сердце
fuoꝛ	fōtus	pēs	пядь
ouga	augō	oculus	око

7) ზედსართავი სახელები (ძირითადად საგანთა მატერიალური ნიშან-თვისებების დასახელებანი):

ძვგ.	გუთური	ლათინური
lang	laggs	longus
gelo		helvus

8) ზმნები, რომლებიც აღნიშნავენ ფიზიკურ და მექანიკურ მოქმედებებს, ფსიქიურ პროცესებს, ადამიანის საქმიანობას, ორგანიზმის თვისებებს:

ძ.ზ.	გუთური	ლათინური	რუსული
sizzan	sitan	sedere	сидеть
stên	standan	stare	стоять
liggen	ligan		лежать
e33an	itan	edo	есть
wi33an	witan	videre	ведать
flehtan	flaihtan	plectere	плести

უძველესი ფენის შემდგომ ნაწილში ერთიანდება საერთო-გერმანოკული სიტყვები, რომლებსაც ინდოევროპულში შესატყვისები არ ეძებნება. ეს სიტყვები წარმოიშვა წინარეგერმანიკულ პერიოდში და ასახავს უშთაურესად გერმანიკული ტომების ცხოვრების პირობებსა და გარემოს. შესაბამისად ისინი შემდეგ თემატურ ჯგუფებად ერთიანდება:

1) ნაოსნობა და მეთევზეობა:

ძ.ზ.	გუთური	ინგლისური	
sêo	saiws	sea	(See)
segal		sail	(Segel)
scif		ship	(Schiff)

2) მეცხოველეობა და ნადირობა:

ძ.ზ.	გუთური	ინგლისური	
scâf		sheep	(Schaf)
bero		bear	(Bär)
lamb	lamb	lamb	(Lamm)

3) მშენებლობა:

ძ.ზ.	გუთური	ინგლისური	
hûs	hûs	house	(Haus)
betti	badi	bed	(Bett)
want	vandus		(Wand)

4) სამხედრო საქმე:

ძზგ.	გუთური	ინგლისური	
swert		sword	(Schwert)
scilt	skildus	shield	(Schild)
helm	hilms		(Helm)

5) ქვეყნის მხარეები:

ძზგ.	ინგლისური	
ōstan	east	(Osten)
westan	west	(Westen)
sund	south	(Süden)
nord	north	(Norden)

წერილობითი ძეგლების შექმნას წინ უძღვის აგრეთვე იმ ლექსიკური ფენის წარმოშობა, რომელიც ლათინურიდან თავდაპირველი სესხების შედეგია. ეს ფენა ასახავს დასავლეთგერმანიკული ტომების ურთიერთობას რომაელებთან ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში. ამ ფენაშიც რამდენიმე სემანტიკური ჯგუფი იკვეთება. ესენია:

1) მებაღეობა-მევენახეობა:

ლათ.	ძზგ.	
vīnum	wīn	(Wein)
pirum	bira	(Birne)
caulis	lōlo	Kohl)

2) მშენებლობა:

ლათ.	ძზგ.	
mūrus	mūra	(Mauer)
camera	chamara	(Kammer)
fenestra	fenstar	(Fenster)

3) საყოფაცხოვრებო საგნები:

ლათ.	ძზგ.	
cista	kista	(Kiste)
speculum	spiagal	(Spiegel)
scutella	scuzvila	(Schüssel)

4) ვაჭრობა, სამხედრო საქმე, ადმინისტრაციული ინსტიტუტები:

ლათ.	ძზგ.	
caupo	koufen	(kaufen
monēta	munizza	(Münze)
pilum	pfil	(Pfeil)

5) თვეების დასახელება:

ლათ.	ძზგ.	
Martium	merzo	(März)
Augustus	a(u)gusto	(August)

დამწერლობის განვითარებასთან ერთად ძველი ზემოგერმანულს ლექსიკური ფონდი სწრაფი ტემპებით ვითარდება — იგი ემსახურება უკვე როგორც თეოლოგიური და ფილოსოფიური შინაარსის ლიტერატურის თარგმნას, ისე პოეტური ნიმუშების შექმნას. ყოველივე ეს იწვევს ლექსიკური კორპუსის არა მარტო რაოდენობრივ ზრდას, არამედ განაპირობებს მის თვისებრივ ცვლილებებსაც. ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მომენტია განყენებული შინაარსის ლექსიკის ჩამოყალიბება.

აბსტრაქტული ლექსიკის ფენა იქმნება უპირველესად ბიბლიის თარგმნისას: geist (Geist), gidank (Gedanke), lēra (Lehre), wistuom (Weisheit), wārniissi/wārheit (Wahrheit), kunst (Wissen), muot (Sinn, Gemüt), reinī/reinida (Reinheit).

არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე (ფილოსოფიური ტერმინოლოგიის შექმნას: einnissa (Einheit),) rehtunga (Gerechtigkeit), undarskeit (Unterschied).

აღნიშნულ პროცესში უდიდეს როლს სიტყვაწარმოება თამაშობს. სწორედ ამ პერიოდს განეკუთვნება აბსტრაქტული არსებითი სახელების მაწარმოებელი სუფიქსების ჩამოყალიბება: (-heit, -scaft, -luom, -ung და სხვ.); hōchheit (Hochheit), wirkunga (Wirkung), heilagnissa (Heiligkeit), bruderscaft (Bruderschaft), heilagtuum (Heiligtum).

ძველ ზემოგერმანულში ხდება აგრეთვე პირდაპირი სესხება ლათინურიდან. ეს პროცესი ძირითადად ეკლესიისა და სამონასტრო სკოლების საშუალებით ხორციელდება. შესაბამისი შინაარსისაა ამიტომ ნასესხები ლექსიკაც:



claustrum	—	klóstar (Kloster)
templum	—	tempal (Tempel)
monachus	—	munih (Mönch)
nonna	—	nunna (Nonne)
crucem	—	krúzi (Kreuz)
scribere	—	scriban (schreiben)

### დამოუკიდებელი სამუშაო

დავალება 1. დაადგინეთ მოცემულ ნიმუშში ძირითადი სინტაქსური თავისებურებანი:

In thritten tage brútloufti gitano uuarun in thero steli thi u hiêz Canan Galilee, thar uuas thes heilan'tes muoter. Gihalôt uuas ouh thara ther heilant inti sine iungiron zi thero brútlouti (Tatian).

„Und am dritten Tage war eine Hochzeit zu Kana in Galiläa, und die Mutter Jesu war da. Jesus aber und seine Jünger wurden auch auf die Hochzeit geladen“ (Übersetzung von Martin Luther).

დავალება 2. გაარკვიეთ, ძველი ზემოგერმანიკულის რა უმნიშვნელოვანეს სინტაქსურ მოვლენას ასახავს შემდეგი ნაწყვეტი:

Uuarun thô hirta in thero lantskeffi uuahnante inti bihaltante nahtuahta u'bar ero euuit. Quam thara gotes engil inti gistount nâh in, inti gotes berahtnessi bischein sie; giforhtun sie im thô in mihhilero forhtu (Tatian).

„In einer Gegend lagerten Hirten auf freiem Feld und hielten Nachtwache bei ihrer Herde. Da trat der Fngel des Herrn zu ihnen, und der Glanz des Herrn umstrahlte sie. Sie fürchteten sich sehr“ (1981).

დავალება 3. აღნიშნეთ უარყოფის გამოხატვის რა თავისებურება აისახება შემდეგ მაგალითებში:

Sie ni habent uuîn (Sie haben keinen Wein mehr).

Noh nû ni quam mîn zit (Meine Stunde ist noch nicht gekommen).

Oba Karl then Eid, then er sinemo brudher Ludhuuige gesuor, geleistit, indi Ludhuuig min herro, then er imo gesuor, forbrihchit, ob ih inan es irruenden ne mag, noh ih noh thero nohhein, then

ih es irruenden mag, uuidhar Karle imo ce follusti ne uuirhdhit (Wenn Karl den Eid, den er seinem Bruder Ludwig schwört, hält und Ludwig mein Herr ihn einerseits nicht hält, wenn ich ihn davon nicht abbringen kann, werde weder ich noch irgendeiner, den ich davon abbringen kann, ihm gegen Karl irgendwelchen Beistand geben).

Thû habêtos finf gomman, inti den thû nû habès, nist din gomman (Du hattest fünf Männer, und den du jetzt hast, ist nicht dein Mann).

დავალება 4. დაიწყეთ ძველი ზემოგერმანული ტექსტების კომპლექსური ლინგვისტური ანალიზი! გამოიყენეთ სახელმძღვანელო „Хрестоматия по истории немецкого языка. Составитель Н. С. Чемоданов. М., 1978...“ გამოიყენეთ, შემდეგი ნიმუში:

„In thritten tage brútloufti gitano uuarun in thero steti thiuhiez Canan Galilei; thar uuas thes heilantes muoter. Gihalót uuas ouh thara ther heilant inti sine iugiron zi thero brútloufti“ (Tatian).

in — დატივ-აკუზატივის წინდებული.

thritten — რიგობითი რიცხვითი სახელი, ნაწარმოები „drī“ (drei) რიცხვითი სახელისაგან; ინდოევროპული ძირი (შდრ.: ლათ. trēs; რუს. три); საწყისი თანხმოვანი შეცვლილია გრიმის კანონის მიხედვით: ლათ. trēs — გუთ. þreis — ძვ. drī.

tage — არს. სახელი; საწყისი ფორმა — tag (Tag); მამრ. სქესი; ა-ფუძე; გერმანიკული ძირი (შდრ.: გუთ. tags, ძვ. ისლ. dagr, ირგლ. day). მხ. რიცხვის დატივი, ბრუნვის ნიშანი „e“.

brútloufti — არს. სახელი; საწყისი ფორმა — brútlouft; როული სიტყვა: brūt + louft; მამრ. და მდ. სქესი; i-ფუძე; მრ. რიცხვის ნომინატივი — „ქორწილი“.

gitano — მიმღობა II; უწყისი ზმნა; ძირითადი ფორმები: tuon-tela-tatum-gitan; თანამ. „tun“; უთანხმდება არს. სახელს brutloufti რიცხვში.

uuarun — V კლასის ძლიერი ზმნა; ჰქონდა ინფინიტივის ორი პარალელური ფორმა: wasan და sin; თან. „sein“. გერმანიკული ძირი (შდრ.: გუთ. wisan); თანამდროვე გერმანულში შემორჩენილია ფორმებში „das Wesen“; „gewesen“, anwesend“ და სხვ.; ძირითადი ფორმები: wasan — was — warun; მრ. რიცხვის პრეტერიტუმი; მე-3 პირი.

thero — არტიკლი „der“.

steti — არს. სახელი; საწყისი ფორმა — stat („დასახლება, ადგილი“); მდღერ. სქესი; i-ფუძე; ინდოევროპული ძირი (შდრ.: რუს. *стопы*); მხ. რიცხვის დატივი, i-ბრუნვის ნიშანი.

thiu — ზიმართებითი ნაცალსახელი „die“.

hiêz — VII კლასის ძლიერი ზმნა; ძირითადი ფორმები: heizan-hiaz-hiazum-giheizan; თანამ. „heißen“; გერმანიკული ძირი (შდრ. გუთ. *haitan*; ძვ. ისლ. *heita*); მხ. რიცხვის პრეტერიტუმი, მე-3 პირი.

thar — ადგილს ზმნიზება „da“.

uvas — იხ. „uvarun“; მხ. რიცხვის პრეტერიტუმი, მე-3 პირი.

thes — არტიკლი „des“.

heilantes — არს. სახელი; საწყისი ფორმა — heilant (Heiland) — „მაცხოვარი“; გერმანიკული ფუძე (შდრ.: ძვ. საქს. *heliand*); მამრ. სქესი; nt-ფუძე; მხ. რიცხვის გენიტივი; ბრუნვის ნიშანი „e“.

muoter — არს. სახელი; მდ. სქესი; თანამ. „Mutter“; ინდოევროპული ძირი (შდრ.: ლათ. *māter*, რუს. *мать*).

gihalôt — მიზელობა II; მე-2 კლასის სუსტი ზმნა; ძირითადი ფორმები: halôn-halôta-gihalôt; თანამ. „holen“ (ტექსტში „დაპატიუებლს“ მნიშვნელობით); ინდოევროპული ძირი (შდრ.: ლათ. *calāre*); გაიარა პირველი ბგერათგადაწევა: k→h.

uvas — იხ. ზემოთ.

ouh — ზმნიზება „auch“.

thara — ზმნიზება „dort, dorthin“.

jinti — „und“.

sine — კუთვნილებითი ნაცალსახელი; მრ. რიცხვი (seine).

iungiron — გაარსებული ზედ, სახელი ინდარებით ჰარისხში; საწყისი ფორმა — jungiro; თანამ. „Jünger“ — „მოწაფე“, „ნიმდგვარი“; მრ. რიცხვის აკუსატივი, ბრუნვისა და რიცხვის ნიშანი „n“.

zi — წინდებული „zu“.

ნაწყვეტის სიტყვასიტყვითი თარგმანი:

„Am dritten Tag war eine Hochzeit (gelan) in der Stätte (Siadt), die Canan Galilee hie. Da war die Mutter des Heilands. Eingeladen waren auch der Heiland und seine Jünger zu dieser Hochzeit“.

(ამ ნაწყვეტის ლუთერისეული თარგმანი მოცემულია პირველდავალებაში).

მოყვანილ ნაწყვეტში შემდეგი თავისებურებები იკვეთება:

1. ო რ თ ო გ რ ა ფ ი უ ლ ი :

ა) „s“ სპირანტს ორგვარი დამწერლობა აქვს: „s“ და „z“ (შდრ.: thes და hiêz). წარმოთქმისას ვეყრდნობით თანამედროვე ნორმას;

ბ) „th“ ასოთშენაერთი „þ“ ფონემის ორთოგრაფიული ნიშანია. იგი გვხვდება მხოლოდ სიტყვის დასაწყისში. სიტყვის შუასა და ბოლოში ეს ბგერა უკვე გადასულია „d“-ში;

გ) „w“ ბგერა აღინიშნება როგორც „uu“.

2. ლ ე ქ ს ი კ უ რ ი :

ა) სიტყვა „trûnlouft“ თავდაპირველად აღნიშნავდა ძველ საქორწილო რიტუალს „Tanz des Bräutigams auf die Braut zu“. შემდეგ იგი გერმანული ენის ლექსიკური ფონდიდან გაქრა. შენარჩუნებულია მისი კომპონენტები: პირველი მთლიანად (trûnt — Braut), ხოლო მეორე—სახეცვლილი (louft — Lauf). ფორმა „Laufft“ გვხვდება თანამედროვე გერმანულში არქაიზმის სახით, ისიც მხოლოდ მრავლობით რიცხვში: Jahrresläufte; Kriegsläufte.

ბ) სიტყვა „stat“ ამ დროისათვის ნიშნავდა „დასახლებას, ადგილს“, შემდეგ კი მისი მნიშვნელობა გაფართოვდა (შდრ.: Stadt).

გ) სიტყვა „iungiro„ (Jünger) თავდაპირველად ნიშნავდა „მოწაფეს“, შემდეგ კი „მიმღევარს“. თანამედროვე გერმანულში იგი ამაღლებულ სტილს განეკუთვნება და ძირითადად ბიბლიური მნიშვნელობით იხმარება: die Jünger Jesu — ქრისტეს მოწაფეები.

3. მ ო რ ფ ო ლ ო გ ი უ რ ი :

ა) მიმღეობა II უთანხმდება დამხმარე ზმნას რიცხვში (gitano uuarun);

ბ) მხოლობითი რიცხვის დატივში დაბოლოება ობლიგატორულია: in thritten tage; in thero steli.

4. ს ი ნ ტ ა ქ ს უ რ ი :

ა) შემასმენლის სინტაქსური პოზიცია ჯერ კიდევ არ არის მკაცრად განსაზღვრული: იგი გვხვდება მესამე ადგილზეც (პირველი წინადადება) და წინადადების თავშიც (მეორე წინადადება);

ბ) განსაზღვრება გენიტივში წინ უსწრებს საზღვრულს: *thes heilantes muoter;*

გ) მიმღეობა წინ უსწრებს დამხმარე ზმნას: *gitano uurun; gihalót uuas.*

### შემაჯამებელი დავალებები

დავალება 1. რომელი მორფოლოგიური ფორმების წარმოებას ახლდა ძველ ზემოგერმანულში უძალადი და რა იყო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მისი გამომწვევი?

დავალება 2. ილაპარაკეთ გერმანული ენის განვითარების უმნიშვნელოვანესი ტენდენციის (სინთეზურიდან ანალიზურ ფორმებზე გადასვლა) საწყისებზე ზმნისა და არსებითი სახელის სფეროში!

დავალება 3. 68-ე გვერდზე მოცემულია ნაწყვეტი ძველი ზემოგერმანული წერილობითი ძეგლიდან „ტატიანი“. შეადარეთ იგი თარგმანს, დაადგინეთ ამ გზით ცალკეული სიტყვების მნიშვნელობა და გააანალიზეთ თქვენთვის ნაცნობი მეტყველების ნაწილები მორფოლოგიური თვალსაზრისით (ლექსიკონის გარეშე)!

დავალება 4. ქვემოთ მოყვანილ ნაწყვეტებში თ. მანი ხმარობს ფორმას „ward“. განმარტეთ ეს ფორმა ძველ ზემოგერმანულთან მიმართებაში! რით აიხსნება მისი ხმარება წარმოდგენილ შემთხვევებში?

1. Jedermann ward erdrückt durch das Übermaß seiner Sicherheit und Wohlanständigkeit. Er schritt — und niemand schritt wie er, elastisch, wogend, wiegend, königlich — auf die Herrin des Hauses zu, verbeugte sich und wartete, daß man ihm die Hand reiche (Th. Mann. Tonio Kröger).

2. ...Doktor Hinzpeter, der Hausarzt, bediente sich ihrer. Vollständige Ruhe wurde geboten, Eisstückchen wurden geschluckt, Morphium ward gegen den Hustenreiz verabfolgt und das Herz nach Möglichkeit beruhigt (Th. Mann. Tristan).

დავალება 5. მოყვანილ ნაწყვეტში ხაზგასმული გრამატიკული მოვლენის ერთ-ერთი კომპონენტია „worden“. როგორია ინტერპრეტირებული ეს კომპონენტი თანამედროვე გერმანული ენის გრამატიკაში და რით არის განპირობებული ისტორიულად მისი დღევანდელი ფორმა?

Ich fühlte mich unsicher, unruhig beinahe. Wie etwas Unbegreifliches erschien es mir plötzlich, daß man Dinge so völlig vergessen

‘kann. Denn nun merkte ich erst: an jene Stunde vor sieben Jahren hatte ich seit lange so wenig gedacht, als wäre sie nie erlebt worden (A. Schnitzler. Die Frau des Weisen).

დავალება 6. ქვემოთ წარმოდგენილი ნაწყვეტის რომელი ენობრივი ფორმის ხმარება აღარ შეესაბამება თანამედროვე გერმანული ენის ნორმებს? რა საფუძველი აქვს ამ ფორმის ხმარებას ისტორიულად?

In einer seltsamen, wehmütigen Schönheit steigt jenes ganze Jahr vor mir auf, und ich durchlebe alles aufs neue. Einzelheiten fallen mir wieder ein. Ich erinnere mich des Herbstmorgens, an dem ich, von meinem Vater begleitet, in der kleinen Stadt ankam, wo ich das letzte Gymnasialjahr zubringen sollte (A. Schnitzler. Die Frau des Weisen).

დავალება 7. ლუკას სახარების ერთ-ერთ წინადადებას ძველ ზემოგერმანულ „ტატიანში“ შემდეგი ფორმა აქვს:

Vvurbun thò thie hirta heimuuartes diurente inti got lobente in allem them thi u sie gihortun inti gisahun, soso zi im gisprochan uas.

იგივე წინადადება მარტინ ლუთერის თარგმანში კი ასეთნაირად ელერს:

Und die Hirten kehrten wieder um, priesen und lobten Gott um alles, was sie gehört und gesehen hatten, wie denn zu ihnen gesagt war.

ახსენით, თუ რამ განაპირობა ხაზგასმული ფორმების შესატყვისობა!

დავალება 8. ქვემოთ მოცემულია ნაწყვეტი სახარებიდან გუთურსა და გერმანულზე (მ. ლუთერის თარგმანი). როგორაა ასახული ამ ტექსტებში მეორე ბგერათგადაწევის ცალკეული მომენტები?

Ip Iesus witands alla  
þoei qemun ana ina,  
usgaggands ut qap im,  
hana sokeip?  
andhafjandans imma qepun:  
Iesu, þana Nazoraiu.  
þaruh qap im Iesus: ik im.

Da nun Jesus wusste alles,  
was ihm begegnen sollte,  
ging er hinaus und sprach zu ihnen:  
Wen suchet ihr?  
Sie antworteten ihm:  
Jesus von Nazareth.  
Jesus spricht zu ihnen: Ich bin's!  
(Johannes, 18)

## მეორე ნაწილი

### საშუალო გერმანული

#### თემა პირველი

#### სალექციო მასალა

1. საშუალო გერმანულის ზოგადი დახასიათება;
2. საშუალო გერმანულის ლიტერატურული ქანრები.

#### დამოუკიდებელი სამუშაო

1. ლექსიკური ფონდის განვითარება საშუალო გერმანულ პერიოდში.

#### სალექციო მასალა

1. საშუალო გერმანულის ზოგადი დახასიათება. საშუალო გერმანული, როგორც გერმანული ენის ისტორიის პერიოდიზაციაზე მსჯელობისას ვთქვით, დაახლოებით სამ საუკუნეს მოიცავს (1050—1350). გერმანიაში ესაა განვითარებული ფეოდალიზმის ხანა, რომელიც უპირველეს ყოვლისა, გამოირჩევა საერო რაინდული კულტურის აღმავლობით. ამ ეპოქისათვის ნიშანდობლივია აგრეთვე ქალაქების ზრდა, ვაჭრობის გაძლიერება, რაც დიდად უწყობდა ხელს ქვეყნის შიდა და გარე კონტაქტების გაფართოებას. პარალელურად მატულობდა აგრეთვე გერმანიის ადმინისტრაციული დაქუცმაცება — დანაწევრდა ძველი მსხვილი საპერცოგოები, საგრაფოები, სამარკგრაფოები და საეპისკოპოსოები, რომლებიც პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების რამდენადმე საკუთარ გზას ადგნენ. ყოველივე ამან კი შექმნა ძველ ზემოგერმანულ პერიოდთან შედარებით ახლებური სოციალურ-პოლიტიკური ვითარება. ამ ვითარებაში წარმოიშვა ახალი საკომუნიკაციო სფეროები და მათი შესაბამისი მოთხოვნილებები და, ცხადია, ახლებურად დადგა

ენის არსებობის ფორმათა საკითხიც. პირველად სწორედ ენის არსებობის ფორმათა ურთიერთმიმართებაზე შევჩერდებით.

1. ლოკალური (ტერიტორიული) დიალექტები საშუალ გერმანულშიც ენის არსებობის ძირითადი ფორმაა. მას მიმართავენ გლეხები, ხელოსნები, ვაჭრები და მალალი წრის შედარებით გაუნათლებელი ფენა.

ძველ ზემოგერმანულთან შედარებით საშუალო გერმანული რაოდენობრივად მეტ დიალექტს მოიცავს. ამ პერიოდისთვის ფართოვდება აგრეთვე დიალექტების გავრცელების ტერიტორია. ყოველივე ეს ძირითადად აღმოსავლური — სლავური და ბალტიური — მიწების დაპყრობის შედეგად ხდება.

გერმანელთა შეჭრა აღმოსავლეთში ჯერ კიდევ X საუკუნეში დაიწყო. მაშინ იგი დასავლეთსლავური ტომების მძაფრ წინააღმდეგობას წააწყდა. მაგრამ გერმანელებმა მაინც შეძლეს დაპყრობილი ტერიტორიის ერთი ნაწილის, კერძოდ სორბების მიწების, დაპატრონება და დააარსეს აქ ლაუზიცისა (Mark Lausitz) და მაისენის (Mark Meißen) მარკები. სორბები ლაუზიცში დღემდე ცხოვრობენ.

XII საუკუნეში ლაშქრობები სლავური ტომების წინააღმდეგ კვლავ განმეორდა. დაპყრობილ ტერიტორიაზე გერმანელებმა დააარსეს ბრანდენბურგის სამარკგრაფო (Markgrafschaft Brandenburg) და მეკლენბურგის, პომერანიისა და სილესიის საჰერცოგოები (Herzogtum Mecklenburg, Herzogtum Pommern, Herzogtum Schlesien). ამავე პერიოდში განხორციელდა გერმანელთა აგრესია ბალტიისპირეთის ხალხთა წინააღმდეგ. პოლიტიკური თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი აქცია იყო გერმანული ორდენის რაინდების შეჭრა ბალტიის ტერიტორიის ერთ-ერთ ნაწილში — პრუსიაში. მათ დაარბიეს ადგილობრივი მოსახლეობა, შემდეგ მიიღეს დამარცხებული ხალხის სახელი და დააარსეს გერმანული ორდენის სახელმწიფო — მოგვიანებით პრუსიის საჰერცოგო (Herzogtum Preußen).

გერმანელთა ექსპანსია ამავე პერიოდში ჩებეთსაც შეეხო. ეს პროცესი განსაკუთრებით გაძლიერდა მას შემდეგ, რაც ჩეხი მეფე კარლოს ლუქსემბურგი გერმანელ კაიზერად აირჩიეს (1346). თითქმის საუკუნენახევრით გერმანელ კაიზერთა რეზიდენციამ პრაღაში გადაინაცვლა. ამან დიდად შეუწყო ხელი ჩეხურ მიწაზე გერმანული ენის გავრცელებას. თვით პრაღაში გერმანული ხანგრძლივად უწყვედა კონკურენციას ჩეხულს.



გერმანიზაციის პოლიტიკას ვერ დააღწია თავი უნგრეთმაც, სადაც ამავე პერიოდში შეიქმნა მრავალი გერმანული დასახლება.

აღმოსავლეთის დაპყრობილ ტერიტორიებზე საფუძველი ჩაეყარა ახალ გერმანულ დიალექტებს. ამ დიალექტების აჩსებითი ნიშანი იყო ის, რომ ისინი წარმოადგენდნენ ძველი გერმანული დიალექტების აღრევის შედეგს, ვინაიდან დაპყრობილ ტერიტორიებზე სახლდებოდა გერმანიის სხვადასხვა კუთხის მოსახლეობა, რომელიც მეტწილად განსხვავებულ დიალექტზე მეტყველებდა. მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე მეზობელი ტერიტორიის დიალექტების ზეგავლენასაც.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ საქსონური, რომელიც ძველ ზემოგერმანულ პერიოდში დამოუყვადებელი ენა იყო, ამ დროისათვის ქვემოგერმანული დიალექტების ერთ-ერთ საფუძველად იქცა. ამრიგად საშუალ გერმანულს შეემატა დიალექტების დიდი და მნიშვნელოვანი ჯგუფი — ქვემოგერმანული<sup>1</sup>, რის შედეგადაც დიალექტების ერთობლიობამ შემდეგი სახე მიიღო:

#### 1. ქვემოგერმანული დიალექტები:

1. ქვემოფრანკული (Niederfränkisch)
2. ქვემოსაქსონური (Niedersächsisch)
3. აღმოსავლეთქვემოგერმანული (Ostniederdeutsch)  
მეკლენბურგული (Meklenburgisch)  
ბრანდენბურგული (Brandenburgisch/Märkisch)  
პომერანული (Pommersch)  
პრუსიული (Preussisch)

#### II. შუაგერმანული დიალექტები:

1. რაინის ფრანკული (Rheinfränkisch)
2. შუაფრანკული (Mittelfränkisch)  
მოზელის ფრანკული (Moselfränkisch)  
რიპუარული (Ripuarisch)
3. ჰესური (Hessisch)
4. აღმოსავლეთშუაგერმანული (Ostmitteldeutsch)  
მაისენური ანუ ზემოსაქსონური (Meißnisch oder Ober-sächsisch)  
თიურინგიული (Thüringisch)  
სილეზიური (Schlesisch)

---

<sup>1</sup> სწორედ ამიტომ არ მიგვაჩნია მართებულად ტრადიციული ტერმინი „საშუალო ზემოგერმანული“.

### III. ზემოგერმანული დიალექტები:

1. შვაბურ-ალემანური (Schwäbisch-Alemannisch)
2. ბავარიულ-ავსტრიული (Bairisch-Österreichisch)
3. სამხრეთფრანკული (Südfränkisch)
4. აღმოსავლეთფრანკული (Ostfränkisch)

საშუალო გერმანულის დიალექტებისათვის ნიშანდობლივია ორი რამდენადმე ერთმანეთის საწინააღმდეგო ტენდენცია: ერთი მხრივ, ტერიტორიულ დაქუცმაცებას მოჰყვა დიალექტების დაქუცმაცებაც, მათ შორის არსებული სხვაობების გაღრმავება, ხოლო, მეორე მხრივ, ქალაქებში დაიწყო დიალექტების ინტეგრაციის პროცესი, რაც უმთავრესად ქალაქური მოსახლეობის შერეულმა შემადგენლობამ და თვით ქალაქების გაცხოველებულმა კონტაქტებმა განაპირობა.

2. ენის არსებობის მეორე, რამდენადმე სპეციფიკური ფორმა — ე. წ. „კლასიკური საშუალო გერმანული“ (das klassische Mittelhochdeutsch) — მთლიანად დაკავშირებული იყო რაინდულ პოეზიასთან. რაინდულმა პოეზიამ გერმანიაში თავის მწვერვალს XIII საუკუნეში მიაღწია და ერთ-ერთ ყველაზე ცოცხალ საკომუნიკაციო სფეროს დაუკავშირდა. საქმე ის არის, რომ რაინდული წრის წარმომადგენლები მუდმივ ურთიერთობაში იყვნენ: ისინი ხედებოდნენ ერთმანეთს ტურნირებზე, დღესასწაულებზე, ჯვაროსნულ ლაშქრობებზე და ხშირად პოეტურ პაექრობებსაც აწყობდნენ. ამასთან, გამოჩენილი პოეტები მიილტვოდნენ იმდროინდელი მნიშვნელოვანი კულტურული ცენტრებისაკენ და ხანგრძლივად რჩებოდნენ რომელიმე ჰერცოგისა თუ მორკგრაფის კარზე. ამგვარი ლიტერატურული ურთიერთობისათვის მათ, ცხადია, შესაბამისი ენაც სჭირდებოდათ. ამიტომ ისინი ისწრაფოდნენ ერთიანი მხატვრული სტილის გამომხატველი ენისაკენ, არიდებდნენ რა თავს განსაკუთრებით მკვეთარ დიალექტიზმებს, რომლებსაც შეეძლოთ პოეტურის ნაცვლად კომიკური ეფექტი გამოეწვიათ, ცდილობდნენ გამოეყენებინათ დახვეწილი ლექსიკა, უარყოფდნენ გამონათქვამის უხეშ საშუალებებს. ყოველივე ამის შედეგად წარმოქმნილი პოეტური ენა ერთგვარ ელიტარულ სოციოლექტს წარმოადგენდა.

კლასიკურ საშუალო გერმანულს, როგორც ვთქვით, მკვეთრად გამონათქვამი ზედიალექტური ხასიათი ჰქონდა. და მაინც იგი ერთიან სალიტერატურო ენად ვერ ჩაითვლება: ჯერ ერთი, ამ პერიოდის პოეტურ ნაწარმოებებში ნათლად ჩანს პოეტის მშობლიური დიალექტის

თავისებურებანი — მათი გადალახვა მთელი სისრულით სრულიად შეუძლებელი იყო. მეორეც, კლასიკური საშუალო გერმანული ერთიან გერმანულ ენობრივ ფორმად ვერ გამოდგებოდა თუნდაც იმიტომ, რომ მას მეტად შეზღუდული სოციალური ბაზისი ჰქონდა — იგი ფაქტობრივ ერთ სოციალურ ფენას ენსახურებოდა. სწორედ ამგვარმა ვითარებამ განაპირობა კლასიკური საშუალო გერმანულის არსებობის ხანმოკლეობა: XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო რაინდული პოეზიის და მასთან ერთად კლასიკური პოეტური ენის სწრაფი დამასვლა. მაგრამ კლასიკური საშუალო გერმანულის მნიშვნელობა ეროვნული ენის ჩამოყალიბების ისტორიაში მაინც ძალზე დიდია — ეს იყო არა მარტო დიალექტებზე ზემდგომი ენის შექმნის პირველი ცდა, არამედ აგრეთვე დახვეწილი, სალიტერატურო, „ამაღლებული“ ენის (Hochdeutsch) ფორმირების საწყისი საფეხური.

3. საშუალო გერმანულის არსებობის მესამე ფორმად ზოგიერთი მკვლევარი (მაგალითად, ო. მოსკალსკაია) მიიჩნევს ე. წ. რეგიონალურ სალიტერატურო ფორმებს. ეს ფორმები წარმოადგენს ამა თუ იმ დიალექტის შეგნებული ლიტერატურული დამუშავების შედეგს. ამ დამუშავებას იგივე მიზანი აქვს, რაც მას კლასიკური საშუალო გერმანულისათვის ჰქონდა — განსაკუთრებით მკვეთრი დიალექტიზმების თავიდან აცილება და ამის შედეგად ცალკეულ დიალექტებზე მალლა მდგომი ენობრივი ფორმის სტატუსის დამკვიდრება.

რეგიონალური სალიტერატურო ფორმები ემსახურებოდა არა მარტო პოეტური ნაწარმოებების შექმნას, არამედ სხვადასხვა პროზაული ჟანრის ჩამოყალიბებასაც. ისინი გამოიყენებოდა აგრეთვე ზეპირ მეტყველებაში, ძირითადად ოფიციალური კომუნიკაციის სფეროში (ღვთისმსახურების ცერემონიალისას, სასამართლო და სხვა ადმინისტრაციულ დაწესებულებებში და ა. შ.). ამრიგად, მათი სოციალური ბაზისი კლასიკურ საშუალო გერმანულთან შედარებით ბევრად უფრო სოლიდური იყო. მათი ცხოვრებისუნარიანობის საფუძველიც სწორედ ამაში უნდა ვეძიოთ.

ასეთია ენის არსებობის ძირითადი ფორმები საშუალო გერმანულში. ძველ ზემოგერმანულთან შედარებით მათ ერთობლიობას შემდეგი ნიშნები ახასიათებს:

ა) ტერიტორიული დიალექტების რაოდენობრივი ზრდა და შემდგომი დაქუცმაცება;

ბ) ახალი ენობრივი ფორმების ჩამოყალიბება, რომლებმაც, მართალია, ვერ მოიპოვეს საერთო-ეროვნული სტატუსი, მაგრამ ნათელ-

ყვეს ერთიანი, დიალექტებზე ამალეებული ენის შექმნის როგორც აუცილებლობა, ისე რეალური შესაძლებლობა.

2. საშუალო გერმანულის ლიტერატურული ქანრები. საშუალო გერმანულის სოციალურ-ფუნქციური სტრუქტურა, რომელზედაც ზემოთ ვილაპარაკეთ, უშუალოდ უკავშირდება ენის წერილობითი ფორმის ხვედრითი წონის ზრდას (მიუხედავად იმისა, რომ ლათინური ამ პერიოდში წერილობითი კომუნიკაციის მნიშვნელოვან საშუალებად რჩებოდა) და მისი გამოყენების სფეროების გაფართოებას, რაც, თავის მხრივ, განუყოფელია პოეტური და პროზაული ქანრების ჩამოყალიბებისაგან.

(საშუალო გერმანულის ძირითადი პოეტური ქანრებია სატრფიალო ლირიკა (Minnesang) და ეპოსი.

საშუალო გერმანული სატრფიალო ლირიკის ჭეშმარიტი აყვავების ხანაა. ამ პერიოდში ქმნიან თავის ნაწარმოებებს ისეთი პოეტები, როგორცაა: ჰარტმან ფონ აუე (Hartmann von Aue), ვოლფრამ ფონ ეშენბახი (Wolfram von Eschenbach), რაინმარ ფონ ჰაგენაუ (Reinmar von Hagenau), ჰაინრიხ ფონ ფელდეკე (Heinrich von Veldeke) და შუა საუკუნეების უდიდესი პოეტი ვალტერ ფონ დერ ფოგელვაიდე (Walter von der Vogelweide) (დაახლოებით 1160—1227). ამავე პერიოდში იქმნება მრავალი ჭეშმარიტად ხალხური ლექსი და სიმღერა.)

მოვიყვანთ რამდენიმე ნიმუშს.

XII საუკუნეს განეკუთვნება სიმღერა (ავტორი უცნობია), რომელიც გერმანული პოეზიის დასაწყისის ნამდვილ სიმბოლოდ იქცა:

Dû bist mîn, ich bin dîn:  
des solt dû gewis sîn.  
du bist beslozzen  
in mînem herzen:  
verlorn ist das sluzzelîn:  
dû muost immer drinne sîn.

ვალტერ ფონ დერ ფოგელვაიდეს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სატრფიალო სიმღერა კი ასე იწყება:

Under der linden  
an der heide.  
dâ unser zweier bette was,  
Dâ muget ir vinden

Schöne beide  
 gebrochen bluomen unde gras.  
 Vor dem walde in einem tal  
 tandaradei!  
 schöne sanc diu nahtegal.

ხალხურ ყაიდახეა დაწერილი აგრეთვე ცნობილი მინეზინგერის ფრიდრიხ ფონ ჰაუზენის (Friedrich von Hausen) სიმღერა:

In minem trôme ich sach  
 ein harle schöne wip  
 Die naht unz an den tach:  
 do erwachte min lip.  
 Dô wart sie leider mir benomen  
 daz ichn weiz wâ sie si  
 von der mir vroude solte komen  
 daz tâten mir die ougen min:  
 der wollte ich âne sîn.

საშუალო გერმანულის მეორე მნიშვნელოვან პოეტურ ეპოსს — ეპოსს — ორი საწყისი ჰქონდა: ძველი ხალხური საგმირო ეპოსი და ფრანგული ეპიკური ლიტერატურა. სწორედ ფრანგულ მოტივებზე შეიქმნა კონრადის (Pfaffe Konrad) „Rolandslied“, ლამბრეხტის (Pfaffe Lamprecht) „Alexanderlied“, გოტფრიდ სტრასბურგელს (Gottfried von Straßburg) „Tristan“, ვოლფრამ ფონ ეშენბახის „Parzival“, ჰარტმან ფონ აუს „Erek“ და „Iwein“ და სხვა თხზულებები.

ამ ხაწარმოებთა პარალელურად იქმნებოდა საგმირო ეპოსები, რომლებიც ძველგერმანიკულ თქმულებებს უკავშირდებიან. ასეთია, უბირველესად, „სიმღერა ნიბელუნგებზე“ („Das Nibelungenlied“) — შუასაუკუნეების უმნიშვნელოვანესი გერმანული ეპოსი, რომელშიც გაერთიანებულია ძველი გერმანიკული მითოლოგიური თქმულება ზიგფრიდზე და ბურგუნდიელთა სახელმწიფოს დაცემის ისტორიული ფაქტი. ძალზე მნიშვნელოვანია აგრეთვე ეპიკური ციკლი ღიტრიხ ბერნელზე (გუთების მეფე თეოდორიხზე) და „გუდრუნი“ („Gudrun“), რომელიც ვიკინგთა შესახებ თქმულებებს უკავშირდება<sup>2</sup>.

<sup>2</sup> სამივე ეპოსის ნიმუშები კომენტარებით მოცემულია გრ. ხაუთასის მიერ შედგენილ „გერმანული ლიტერატურის ქრესტომათიაში“ (თბ., 1962).

ამ ეპიკურ ნაწარმოებთა ავტორები უცნობია. ;

ნიმუშად მოვიყვანთ „ნიბელუნგების“ დასაწყისს. აქვე ვიძლევით შესაბამისი სტროფების პოეტურ დამუშავებას თანამედროვე გერმანულზე, რომელიც ეკუთვნის ჰელმუტ დე ბოორს:

1. Uns ist in allen mæren wunders vil geseit  
von helden lobebaeren, von grözer arebeit,  
von fröuden, höchgeziten, von weinen und von klagen,  
von küener recken striten muget ir nu wunder hoeren sagen.

Viel Wundersames melden uns Mären aller Zeit  
Von preisenswerten Helden, von Kampfsmüh und-leid,  
Von frohen Festeszeiten, von Weinen und von Klagen,  
Von kühner Recken Streiten könnt ihr hier Wunder hören sagen.

2. Ez wuohs in Bürgonden ein vil édel magedin,  
daz in allen landen niht schoeneres mohte sîn,  
Kriemhilt geheizen: si wart ein scoene wîp.  
dar umbe muosen degene vil verliesén den lîp.

Eine edle Jungfrau wuchs im Burgundenland,  
So schön, daß man auf Erden nicht ihresgleichen fand.  
Zur schönsten aller Frauen blühte sie empor.  
Kriemhild war sie geheizen: manch Held sein Leben drum verlor.

3. Der minneclîchen meide triuten wol gezam.  
ir muoten küene recken, niemen was ir gram.  
âne mâzen schoene sô was ir adel lîp.  
der juncvrouwen tugende zierten ándériu wîp.

Verlangen zu erwecken war wohl die Jungfrau wert,  
Manch kühner Recke hätte sie gern zum Weib begehrt,  
Der Liebreiz ihres Leibes wurde noch verschönt  
Durch ihrer Seele Adel. In ihr war ihr Geschlecht gekrönt.

საშუალო გერმანულში იღებს სათავეს აგრეთვე ქალაქური ანუ ბიურგერული ლიტერატურა, რომელიც XIII საუკუნიდან მოყოლებული თანდათანობით წამყვან ადგილს იკავებს. ამ პერიოდისათვის მისი ძირითადი ჟანრებია ე. წ. შვანკები (სატარული შინაარსის მოკლე ამბები), დიდაქტიკური აფორიზმები და გალექსილი ნოველები.

საშუალ გერმანულში მრავალფეროვნდება აგრეთვე არამხატვრული პროზაული ჟანრები, ფართოვდება მათი გამოყენების სფერო. თუ ძველ ზემოგერმანულში ნათარგმნი სასულიერო პროზა ქარბობდა, საშუალ გერმანულში მნიშვნელოვნად იზრდება ორიგინალური პროზის ხვედრითი წონა. სწორედ ამ პერიოდში იკვეთება არამხატვრული პროზის ისეთი სახეობები, როგორცაა: სასულიერო პროზა, ისტორიული პროზა, საქმიანი პროზა, და საფუძველი ეყრება მეცნიერულ პროზას.)

(სასულიერო პროზა საშუალ გერმანულში წარმოდგენილია ფსალმუნებით, ბიბლიის თარგმანებით, ლოცვანებით, ქადაგებათა კრებულებით, ენის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მისტიკოსთა თეოლოგიურ ნაწარმოებებს.) ვინაიდან მათი ავტორები, ცდილობდნენ რა გადმოეცათ რელიგიური ექსტაზი, თხზავდნენ ხატოვან გამოთქმებს, მიმართავდნენ აბსტრაქტული სიტყვებისა და ფილოსოფიური ტერმინების გადააზრებას, სიტყვაწარმოებითი მოდელების შესაძლებლობათა გაფართოებას.

ამ პერიოდის ისტორიული პროზა ძირითადად მატიანეებისაგან შედგებოდა. პირველი ასეთი ნაწარმოები იყო დაახლოებით 1225 წელს ქვემოგერმანულზე დაწერილი „Sächsische Weltchronik“ (ავტორი Eike von Repgow), რომელსაც მოჰყვა ქალაქების (ციოლნის, სტრასბურგის, მიუნხენისა და სხვ.) მრავალრიცხოვანი ქრონიკები.

(საქმიანი პროზის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ სამართლებრივი დოკუმენტები.) უპირველესად ქალაქური თვითმმართველობის საკანონმდებლო კრებულები. მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი ნაწილია საკანცელარიო პროზა. XIII საუკუნემდე საკანცელარიო საქმიანობა ლათინურზე ხორციელდებოდა. XII საუკუნის მიწურულიდან ბაზელის, ციურიხის, ფრაიბურგის, სტრასბურგის, მაინცის, ვენისა და ზოგიერთი სხვა ქალაქის კანცელარიაში ფესვს იკიდებს გერმანული, XIII საუკუნეში კი გერმანულზე გადადიან სამეფო და მსხვილ სათავადოთა კანცელარიაები. ამრიგად საშუალ გერმანულში საფუძველი ეყრება გერმანული ენის ერთ-ერთ ფუნქციურ ნაირსახეობას — ე. წ. კანცელარიულ (საკანცელარიო) სტილს.

სამეცნიერო სფეროში პირველობა კვლავ ლათინურს ეკუთვნის, მაგრამ პარალელურად იწყება გერმანული სამეცნიერო პროზის განვითარებაც: იწერება სამკურნალო წიგნები, იქმნება საბუნებისმეტყველო ლიტერატურა. აქ პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ ე. წ. გერმა-

ნული „Lucidarius“, რომელიც შეიცავდა გეოგრაფიულ, კოსმოგრაფიულ, ასტრონომიულ და ფიზიოლოგიურ ცნობებს.

### დამოუკიდებელი სამუშაო

დავალება 1. შეავსეთ სალექციო მასალა შემდეგი ინფორმაციით:

ლექსიკური ფონდის განვითარება საშუალებერმანულ პერიოდში

გერმანული ენის ფუნქციონირების სფეროთა გაფართოებამ საშუალებერმანულში, ახალი სალიტერატურო ქანრების ჩამოყალიბებამ, არამხატვრული პროზის განვითარებამ მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია ლექსიკური ფონდის შემადგენლობაში და განსაზღვრა მის ცვლასთან დაკავშირებული პროცესები. ამ პროცესებში ნათლად ჩანს, თუ როგორ მისდევდა ფეხდაფეხ მზარდ საკომუნიკაციო მოთხოვნებს ენის ლექსიკური სისტემა.

განვიხილავთ განსაკუთრებით მნიშვნელოვან ლექსიკურ-სემანტიკურ ცვლილებებს.

1. ცვლილებები ლექსიკურ შედგენილობაში. საშუალო გერმანულის მანძილზე, ისევე როგორც ნებისმიერ ეპოქაში, მოძველებულ ლექსებებს ახალი სიტყვები ცვლიდა. ეს პროცესი რამდენადმე ძირითადი ლექსიკური ფონდის ერთეულებსაც შეეხო. ასე, მაგალითად, საშუალო გერმანულის დასასრულისთვის უკვე აღარ იხმარებოდა ძველი ზემოგერმანული „gomo“, „dial“, „sum“, „barn“ — ისინი შესაბამისად შეცვალეს სიტყვებმა „man“, „volc“, „ein“, „kint“.

2. სიტყვის მნიშვნელობის ცვლა. მრავალ სიტყვას საშუალებერმანულში მნიშვნელობა შეეცვალა. ცალკეული სიტყვის მნიშვნელობის ცვლამ რიგ შემთხვევაში გამოიწვია თემატური ჯგუფების სემანტიკური მოდიფიკაციები. მაგალითისათვის მოვიყვანო „ქალის“ აღმნიშვნელ თემატურ რიგს:

ძველი ზემოგერმანული

საშუალო გერმანული

wib — მღ. სქესის წარმომადგენელი

wib — დედაქალი (უარყოფითი სოციალურ-ეთიკური შეფერილობით)

frouwa — კეიილშობილი მანდილოსანი

vrouwe — ქალი (მე-14 საუკუნიდან მოყოლებული)

jungfrouwa — ახალგაზრდა მანდილოსანი

jungfrouwe — ქალწული, გასაიხობი ქალი

magad — ახალგაზრდა ქალი, გოგონა

maget — მოსამსახურე ქალი



3. აბსტრაქტული ლექსიკის განვითარება. საშუალო გერმანულში კიდევ უფრო გაფართოვდა აბსტრაქტული ლექსიკის ფენა — განუწყვეტლივ იქმნებოდა მრავალრიცხოვანი ფილოსოფიური ტერმინები, მატულობდა მეცნიერული ცნებების აღმნიშვნელი სიტყვები. როგორც უკვე ვთქვით, ამ მხრივ განსაკუთრებით დიდია მისტიკოსთა დამსახურება. მათი შრომები შეიცავდა სულიერი განცდების აღწერას, მედიტაციის პროცესის გადმოცემას. ყოველივე ამის გამოსახატავად მათ პირველ რიგში აბსტრაქტული ლექსიკა სჭირდებოდათ. სწორედ მისტიკოსებმა შემოიტანეს ისეთი სიტყვები, როგორცაა: *Verständnis, Eindruck, Einbildung, Eigenschaft, begreifen, einsehen* და სხვ. მათვე გააქტიურეს გარკვეული სუფიქსები (-heit, -nis, -ung) და შესაბამისი სიტყვაწარმოებითი წოდებები.

4. მხატვრულ მეტყველებასთან დაკავშირებული ლექსიკის განვითარება. საშუალოგერმანული პოეზია და ეპოსი სპეციფიკური ლექსიკით გამოირჩეოდა. პირველ რიგში ეს იყო საგმირო თავგადასავლების აუცილებელი ატრიბუტების, ტიპური სიტუაციებისა და შეფასებათა აღმნიშვნელი სიტყვები, რომელთა ნაწილი ჯერ კიდევ ძველგერმანიკულ ეპიკურ პოეზიაში იხმარებოდა, შემდეგ კი დაეწიყებას მიეცა:

recke — „Recke“	wine — „Freund“, „Geliebter“
bouc — „Ring“	gêr — „Wurfspeer“
wic — „Kampf“	küene — „kühn“

რაინდული პოეზია კი ამგვარ სიტყვებს თავს არიდებდა და უპირატესობას ფრანგულ ნასესხებებს ანიჭებდა:

turnei — „Turnier“	âventiure — „Abenteuer“
palas — „Saalbau“	parlieren — „sprechen“
fîn — „fein“	vloite — „Flöte“
schanzûn — „Lied“	melodie — „Melodie“
amûr — „Liebe“	amie — „Geliebte“
adê — „adieu“, „lebe wohl“	granmerzi — „vielen Dank“

ამგვარი ნასესხობანი, ცხადია, მხოლოდ მაღალ საზოგადოებაში იხმარებოდა. მრავალი მათგანი რაინდული კულტურის დაცემასთან ერთად გაქრა. მაგრამ ერთი ნაწილი მაინც შემორჩა გერმანულ ენას და მისი ლექსიკური ფონდის ორგანულ ნაწილად იქცა: *Note, Melodie, Pastorale, Palast, Banner, preisen, falsch, tanzen, Stiefel* და სხვ.

ამავე პერიოდისაა რამდენიმე სიტყვაწარმოებითი მოდელის სესხებაც. მათ შორის ზმნის სფეროში ყველაზე მნიშვნელოვანია -*iet* სუფიქსი (*loschieren* „wohnen“, *parlieren* „sprechen“), ხოლო არსებითი სახელის სფეროში — *-ie* სუფიქსი (*melodie* „Melodie“). შემდგომში ორივე სუფიქსი გერმანულ სიტყვებზეც გადმოვიდა: *buchstabieren*, *hausieren*, *Zauberei* (*zouberie*).

5. ტერმინოლოგიის განვითარება. საშუალო გერმანულში საფუძველი ჩაეყარა აგრეთვე ტერმინოლოგიურ ლექსიკას. ეს დაკავშირებული იყო უპირატესად ე. წ. „საქმიანი პროზის“ განვითარებასთან, რომელიც ემსახურებოდა საკანცელარიო, იურიდიულ, სავაჭრო და სხვა კომუნიკაციებს. სწორედ ამ სახის დოკუმენტებში გამოჩნდა პირველად ისეთი სიტყვები, როგორცაა: *urkunde*, *brief* (*Dokument*), *rat* (*Rat*), *burger* (*Bürger*), *erbe* (*das Erbe*), *notar* (*Notar*), *rihten*, *urteilen* (*richten*), *kunt tun* (*kund machen*), *echt* (*gesetzlich*), *mittels* (*mittels*).

საკუთარი ტერმინოლოგიის შექმნას შეუდგა აგრეთვე მეცნიერება და ხელოვნება: *grammatica* (*Grammatik*), *arimetica* (*Arithmetik*), *rhetorica* (*Rethorik*), *musica* (*Musik*), *hospitâl* (*Spital*) და სხვ.

თანდათანობით იკვეთებოდა პროფესიული ლექსიკაც: *schucster* (*Schuster*), *arzat* (*Arzt*), *antwerker* (*Handwerker*), *beker* (*Bäker*), *goldschmiede* (*Goldschmied*), *bank* (*Bank*), *netto* (*netto*), *koufmanschaz* (*Ware*), *bôt* (*Boot*) და სხვ.

## თემა მეორე

### ს ა ლ ე ქ ც ი ო მ ა ს ა ლ ა

1. უმახვილო ხმოვანთა რედუქცია როგორც საშუალო გერმანულის უმნიშვნელოვანესი ფონეტიკური მოვლენა და მისი ასახვა ენობრივი სისტემის მორფოლოგიურ დონეზე;

2. ახალი ფონემების განვითარება.

### და მოუკიდებელი სამუშაო

1. გერმანული ენის განვითარების ძირითადი სინტაქსურ-მორფოლოგიური ტენდენციების შემდგომი განმტკიცება;

2. პრაქტიკული დავალებები.

## საღებუცო მასალა

1. უმახვილო ხმოვანთა რედუქცია როგორც საშუალო გერმანულის უმნიშვნელოვანესი ფონეტიკური მოვლენა და მისი ასახვა ენობრივი სისტემის მორფოლოგიურ დონეზე. უმახვილო ხმოვანთა რედუქცია (შესუსტება) უშუალოდ უკავშირდება სიტყვის მახვილის ბუნებას. როგორც უკვე ვიცით, ინდოევროპულს მოძრავი მახვილისაგან განსხვავებით გერმანიკულში მყარი მახვილი განვითარდა: იგი დაფიქსირდა ძირეულ მარცვალზე, რის შედეგადაც სიტყვის დანარჩენი მარცვლები (და შესაბამისად — ხმოვნები) უმახვილო პოზიციაში აღმოჩნდნენ. ეს კი მათი შესუსტების ობიექტური წინაპირობა იყო.

ხმოვანთა დასუსტება ხდებოდა გერმანული ენის განვითარების ყველა ეტაპზე. მაგრამ ძველი ზემოგერმანულის დასასრულამდე ეს პროცესი ცალკეული შემთხვევებით შემოიფარგლებოდა. მხოლოდ საშუალო გერმანულის დასაწყისში მიიღო მან სისტემური და საყოველთაო სახე.

ხმოვანთა რედუქციის პროცესი ძველ ზემოგერმანულში ორ მოვლენას აერთიანებს: პირველია უმახვილო გრძელი და მოკლე ხმოვნების (â, ô, û, ê, î; a, o, u, e, i,) გადასვლა e [ə]-ში, ხოლო მეორე — მათი სრული დაკარგვა.

ძვ. ზემოგერმანული საშუალო გერმანული

(1)	tagâ	—	tage
	gesti	—	geste
	nimu	—	nime
	lebên	—	leben
	tago	—	tage
	gibirgi	—	gebirge
	ginoman	—	genomen
(2)	eltiro	—	elter
	dionômês	—	dienen
	ginâda	—	gnâde

ვინაიდან უმახვილო ძირითადად ბოლოკიდური ხმოვნები იყო, რედუქციაც უმთავრესად მათ შეეხო, რამაც მორფოლოგიურ ფორმათა სისტემაში უმნიშვნელოვანესი ცვლილებები გამოიწვია: გამარტივდა

და შედგენილობით ერთმანეთს დაუახლოვდა ან დაემთხვა ცალკეულ მეტყველების ნაწილთა ფორმასაწარმოებელი მორფემები. ამან კი, თავის მხრივ, ბრუნებისა და უღლების პარადიგმების ძირეული შეცვლა გამოიწვია. ქვემოთ ვილაპარაკებთ იმაზე, თუ როგორ აისახა ხმოვანთა რედუქცია მორფოლოგიურ დონეზე.

I. ზ მ ნ ი ს მორფოლოგიურ სისტემაში ხმოვანთა დასუსტებამ არაერთი მნიშვნელოვანი სიახლე შეიტანა. შევეხებით რამდენიმე მომენტს.

1. რედუქციამ გამოიწვია ს უ ს ტ ი ზ მ ნ ე ბ ი ს ფორმათა უნიფიცირება — სამივე ფუძესაწარმოებელი სუფიქსი გადავიდა [ჟ]-ში, რის შედეგადაც წაიშალა განსხვავება სუსტი ზმნების კლასებს შორის. ეს შეეხო როგორც ძირითად ფორმებს, ისე უღლების პარადიგმებს:

ძვ. ზემოგერმანული

საშუალი გერმანული

I კლასი; teilen-teilta-giteilit

→ teilen-teilte-geteilet

II კლასი; dionōn-dionōta-gidionōt

→ dienen-dienete-gedienet

III კლასი: folgēn-folgēta-gifolgēt

→ folgen-folgete-gefolget

უღლების პარადიგმის შეცვლაზე, სუფიქსების გაერთიანებების გარდა, იმოქმედა აგრეთვე პირის ნიშნების გამარტივებამ, რის შედეგადაც შემდეგი სურათი მივიღეთ:

ძვ. ზემოგერმანული

საშუალი გერმანული

პრეზენსი

I კლასი:

1. Sg. teil-u

teil-e

2. teil-i-s(t)

teil-e-st

3. teil-i-t

teil-e-t

1. Pl. teil-e-mēs

teil-en

2. teil-et

teil-et

3. teil-e-nt

teil-ent

II კლასი:

1. Sg. dion-ō-m

diene

2. dion-ō-s(t)

dien-e-st

3. dion-ō-t

dien-e-t

1. Pl. dion-ō-mēs

dien-en

2. dion-ō-t

dien-et

3. dion-ō-nt

dien-ent

III კლასი:	1. Sg. folg-ê-m	folg-e
	2. folg-ê-s(t)	folg-e-st
	3. folg-ê-t	folg-e-t
	1. Pl. folg-ê-mês	folg-en
	2. folg-ê-t	folg-et
	3. folg-ê-nt	folg-ent

2. ძლიერი ზმნების ძირითადმა ფორმებმა ცვლილება განიცადეს მხოლოდ ფორმასაწარმოებელი სუფიქსების თვალსაზრისით, აბლაუტის რიგები უცვლელი დარჩა:

ძვ. ზემოგერმანული: helfan — half — hulfum — giholfan

საშუალო გერმანული: helfen — half — hulfen — geholfen

ძვ. ზემოგერმანული: faran — fuor — fuorum — gifaran

საშუალო გერმანული: faren — fuor — fuoren — gefaren

როგორც ვხედავთ, რედუქციის შედეგად წაიშალა ზღვარი ძლიერი და სუსტი ზმნების ინფინიტივებს შორის და „en“-სუფიქსი იქცა საწყისი ფორმის უნივერსალურ ფორმანტად.

რაც შეეხება უღლების პარადიგმას, აქ მნიშვნელოვანია პირველ რიგში თემატური ხმოვნის რედუქცირება:

ძვ. ზემოგერმანული      საშუალო გერმანული

Sg. 1. nimu	nime
2. nimis(t)	nimest
3. nimit	nimet
Pl. 1. nemamês	nemen
2. nemet	nemet
3. nemant	nement

როგორც რედუქცირებული თემატური ხმოვანი, ისე რედუქცირებული ფუძესაწარმოებელი სუფიქსები ცალკეულ მორფემებად მხოლოდ საშუალო გერმანულში გამოდიოდნენ, შემდეგ კი მათაც განიცადეს სრული რედუქცია (ჩავარდნა), რის შედეგადაც ჩამოყალიბდა პრეზენსისა და პრეტერიტუმის პირის ნიშანთა თანამედროვე სისტემა:

## პრეზენსი

Sg.	Pl.
1. -e	-en
2. -(e)st	-(e)t
3. -(e)t	-en

## პრეტერიტუმი

Sg.	Pl.
1.	-en
2. -(e)st	-(e)t
3.	-en

3. რედუქციამ თავისი გავლენა იქონია აგრეთვე კონიუნქტივის ფორმების დადგენაზე.

ცნობილია, რომ ძველ ზემოგერმანულში სუსტი ზმნების როგორც პრეზენსული, ისე პრეტერიტული ფორმების წარმოებაში შესაბამისი კლასის ფუძესაწარმოებელი სუფიქსი (i, ð, ê) მონაწილეობდა. საშუალ გერმანულში ყველა ეს სუფიქსი e, [ə]-ში გადავიდა, რის შედეგადაც მოხდა სუსტი ზმნების კონიუნქტივის პარადიგმის სრული უნიფიცირება. ქვემოთ მოცემული სქემა ასახავს ყველა კლასის სუსტი ზმნების უღლებას:

	პრეზენს-კონიუნქტივი	პრეტერიტუმ-კონიუნქტივი
მხ. რ.	1. lôn-e	lôn-(e)-te
	2. lôn-e-st	lôn-(e)-te-st
	3. lôn-e	lôn-(e)-te
მრ. რ.	1. lôn-e-n	lôn-(e)-te-n
	2. lôn-e-t	lôn-(e)-te-t
	3. lôn-e-n	lôn-(e)-te-n

რაც შეეხება ძლიერ ზმნებს, მათ ძველ ზემოგერმანულში, როგორც ვიცით, პრეზენს-კონიუნქტივში „e“ სუფიქსი ჰქონდათ, ხოლო პრეტერიტუმში — „i“. რედუქციის შედეგად ეს სუფიქსები ერთმანეთს დაემთხვა, მაგრამ „i“ სუფიქსმა ასიმილაციური ზეგავლენა მაინც მოახდინა და პრეტერიტულ ფორმებში, პრეზენსული ფორმებისაგან განსხვავებით, განხორციელდა გაუმლაუტება. საშუალ გერმანულში უმლაუტის ეს კონკრეტული შემთხვევაც, ცხადია, გრამატიზებულია:

	პრეზენს-კონიუნქტივი		პრეტერიტუმ-კონიუნქტივი	
	ძვ. ზემოგერმანული	საშუალო გერმანული	ძვ. ზემოგერმანული	საშუალო გერმანული
მხ. რ.	1. far-e	far-e	hulf-i	hülf-e
	2. far-ê-st	far-e-st	hulf-i-st	hülf-e-st
	3. far-e	far-e	hulf-i	hülf-e

მრ. რ.	1. far-ê-m	far-e-n	hulf-î-m	hülf-e-n
	2. far-ê-t	far-e-t	hulf-î-t	hülf-e-t
	3. far-ê-n	far-e-n	hulf-i-n	hülf-e-n

II. საშუალ გერმანულში მნიშვნელოვნად გამარტივდა აგრეთვე ბრუნვის ნიშანთა სისტემა, რომელიც რედუქციის შედეგად ოთხ ფლექსიაზე დავიდა. ეს ფლექსიებია: -e, -es, -en, -er, რომლებიც ბრუნების თითქმის ყველა ტიპში გვხვდება. ფლექსიათა გამარტივებას თვით ბრუნების ტიპების გამარტივება მოჰყვა. პარალელურად გაძლიერდა ბრუნების სისტემაში მორფოლოგიური სქესის მომენტის მნიშვნელობა, რის შედეგადაც ნათლად გამოიკვეთა სამი სქესის არსებითი სახელებისათვის დამახასიათებელი ბრუნების პარადიგმები:

მამრობითი სქესი

საშუალო სქესი

Sg.	N.	tag	gast	name	wort	lamb	herze
	G.	tages	gastes	namen	wortes	lambes	herzen
	D.	tage	gaste	namen	worte	lambe	herzen
	A.	tag	gast	namen	wort	lamb	herze
Pl.	N.	tage	geste	namen	wort	lember	herzen
	G.	tage	geste	namen	worte	lember	herzen
	D.	tagen	gesten	namen	worten	lembern	herzen
	A.	tage	geste	namen	wort	lember	herzen

მდედრობითი სქესი

Sg.	N.	kraft	zal	gebe	zunge
	G.	krefte, kraft	zal	gebe	zungen
	D.	krefte, kraft	zal	gebe	zungen
	A.	kraft	zal	gebe	zungen
Pl.	N.	krefte	zal	gebe	zungen
	G.	krefte	zaln	geben	zungen
	D.	kreften	zaln	geben	zungen
	A.	krefte	zal	gebe	zungen

როგორც ვხედავთ, მამრობითი და საშუალო სქესის არსებითი სახელების ბრუნების პარადიგმების ერთი ნაწილი დღევანდელი ძლიერი ბრუნების ერთობლივ საფუძველს ქმნის (tag; gast; wort; lamp),

ხოლო მეორე ნაწილი (name; herze) აშკარად ავლენს სუსტი ბრუნებმბ არსებით ნიშნებს. მდებდრობითი სქესის არსებით სახელთა ბრუნებაში კი ამოსავალ ფორმანტად გამოდის ის ძირითადი მახასიათებელი (ნულოვანი ფლექსია მხ. რიცხვში), რომელიც მოგვიანებით მდებდრობითი ბრუნების მადიფერენცირებელ ელემენტად იქცევა.

III. რედუქციის პროცესი და მორფემათა სტრუქტურის გამარტივება ზ ე დ ს ა რ თ ა ვ ი ს ა ხ ე ლ ი ს ფლექსიათა სისტემასაც შეეხო:

ძვ. ზემოგერმანული		საშუალო გერმანული
blintaz	—	blindez
blintan	—	blinden
blinta	—	blinde
snelli	—	snelle

შესაბამისი ცვლილებები განიცადა აგრეთვე ზ ე დ ა რ ე ბ ი ს ხ ა რ ი ს ხ თ ა საწარმოებელმა საშუალებებმა. უპირველესად ერთმანეთს დაემთხვა ძველი ზემოგერმანულის შედარებითი და აღმატებითი ხარისხების სუფიქსთა ვარიანტები:

ძვ. ზემოგერმანული		საშუალო გერმანული
-ir/-ôr	—	-er
-ist/-ôst	—	-est

ამას გარდა, მოხდა ბოლოკიდურ ხმოვანთა შეკვეცა. ყოველივე ამის შედეგად შედარების ხარისხების წარმოების საბოლოო მოდელმა ასეთი სახე მიიღო:

ძვ. ზემოგერმანული		საშუალო გერმანული
alt—eltiro—eltisto		alt—elter—eltest
lang—lengiro—lengisto		lang—lenger—lengest

IV. რედუქციამ მკვეთრად შეცვალა აგრეთვე უმლაუტის ბუნება. რთვორცივით, უმლაუტი ძველ ზემოგერმანულში ცოცხალი ფონეტიკური მოვლენა იყო: ბოლოკიდური „i“ ასიმილაციის პროცესს იწვევდა. საშუალო გერმანულში კი ეს ხმოვანი e [ə]-ში გადავიდა, რამაც ასიმილაციური ზეგავლენის პირობები წაშალა (მდრ.: ძვ. ზემოგერმანული gast—gesti და საშუალო გერმანული gast—geste). ამის შედეგად კი უმლაუტმა ფონეტიკური ხასიათი დაკარგა და შეიძინა ახა-



ლი — მორფოლოგიური — შინაარსი: იგი, დაუკავშირდა რა ფორმა-წარმოებასა და სიტყვაწარმოებას, შინაგან ფლექსიად იქცა.

საშუალ გერმანულში მორფოლოგიური უმლაუტი მონაწილეობდა რამდენიმე პარადიგმაში:

- 1) მრ. რიცხვის პარადიგმაში: kraft-krefte; lamb-lember;
- 2) ძლიერი ზმნების პრეზენსის პარადიგმაში: ferest; feret;
- 3) შედარების ფორმათა პარადიგმაში: alt-elter-eltest;
- 4) პრეტერიტუმ-კონიუნქტივის პარადიგმაში: helfen-hülfe;
- 5) სიტყვაწარმოებით პარადიგმებში: kraft-kreftic; fallen-fellen.

ამრიგად, უმლაუტი როგორც შინაგანი ფლექსია გარკვეულ მორფოლოგიურ კატეგორიებს დაუკავშირდა და ამ კატეგორიების ფარგლებში შესაბამისი რეგულარულობა და სისტემურობა შეიძინა. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ უმლაუტი ანალოგიით ისეთი სიტყვების მორფოლოგიურ ფორმებზეც გავრცელდა, რომლებსაც ეტიმოლოგიურად უმლაუტის გამომწვევი „i“ არ ჰქონიათ (Vater—Väter; Bruder—Brüder). ამიტომ განასხვავებენ ისტორიულ და მორფოლოგიურ უმლაუტს: ისტორიული უმლაუტი ეტიმოლოგიურად „i“-ს ასიმილაციურ ზეგავლენას უკავშირდება, ხოლო მორფოლოგიური — უმლაუტის როგორც შინაგანი ფლექსიის გავრცელებას ანალოგიის პრინციპის მიხედვით.

დაახლოებით იგივე ითქმის ბრეხუნგზეც: რედუქციის შედეგად ბრეხუნგი, ისევე როგორც უმლაუტი, ასიმილაციური კონტექსტიდან ამოვარდა და სიტყვის შინაგან ფლექსიად იქცა (შდრ.: ძვ. ზემოგერმანული nimit და საშუალი გერმანული nimet). შემდეგ, უმლაუტისაგან განსხვავებით, მისი გავრცელების სფერო შევიწროვდა: დღეს იგი შემოიფარგლება ძლიერი ზმნების მხ. რიცხვის II და III პირით, მხ. რიცხვის იმპერატივითა და სიტყვაწარმოების ზოგიერთი მოდელით (du nimmst, er nimmt; nimm! Erde—irdisch, Berg—Gebirge და სხვ.).

2. ახალი ფონემების განვითარება. საშუალ გერმანულში ჩამოყალიბდა რამდენიმე ახალი ხმოვანი და თანხმოვანი ფონემები.

I. ხმოვან ფუძეებს ძირითადად პალატალიზებული (გაუმლაუტებული) ფონემები შეემატა. საქმე ის არის, რომ სწორედ საშუალ გერმანულში წარიმართა პალატალიზაციის პროცესი მთელი სისრულით: შემდგომ გაუმლაუტება განიცადა არა მარტო მოკლე „i“-მ, რაც ძვე-

ლი ზემოგერმანულის პალატალიზაციის გავრძელება და გავრცობა იყო (ე. წ. მეორადი უმლაუტი — Sekundärumlaut). არამედ ყველი და ნარჩენმა ხმოვანმა ფონემამ და რამდენიმე დიფთონგმა:

1) მოკლე ხმოვნები:

ā—mähtec—(ძზგ. mahtig); megelîn (ძზგ. magatîn);

ō—öl (ძზგ. oli); möchte (ძზგ. mohti)

û—künc (ძზგ. kuning); gürtel (ძზგ. gurtil).

2) გრძელი ხმოვნები:

æ—mære (ძზგ. mari); kæse (ძზგ. case);

œ—schœene (ძზგ. sköni), hœhe (ძზგ. hōhi).

3) დიფთონგები:

öu, eu—trumen (ძზგ. troumen); vröude (ძზგ. frawida);

ïe—güete (ძზგ. guoti); süeze (ძზგ. suozı).

რაც შეეხება ü [y:] -ს, იგი ორგვარი წარმოშობისაა: პირველი წყაროა გრძელი u-ს გაუმლაუტება, რომელიც უკვე მე-X საუკუნის დასაწყისიდან ორთოგრაფიულად აღინიშნებოდა როგორც „iu“ (ძვ. ზგ. hūs-husir, შემდეგ: hiusir), ხოლო მეორეა „iu“-დიფთონგი: hiutu[y:]; friunt [y:].

როგორც ვხედავთ, საშუალო გერმანულში ფართოდ გაიშალა პალატალიზაციის ის საერთო ტენდენცია, რომელიც გერმანული ენის ხმოვანთა სისტემის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშანთვისებაა.

2. საშუალო გერმანულში განვითარდა აგრეთვე დიფთონგი „ie“. იგი ia/io დიფთონგების მეორე კომპონენტის შესუსტების შედეგია:

ძვ. ზემოგერმანული	საშუალო გერმანული
hiar	— hier
hiaz	— hiez
tiof	— tief
biogan	— biegen

3. როგორც ცნობილია, ძველი ზემოგერმანულის თანხმოვანთა სისტემაში არ გვექონდა ფონემა [ʃ]. მისი განვითარება იწყება მე-XI საუკუნეში „sk“ ბგერათკომპლექსისაგან. შესაბამისად ჩნდება ორთოგრაფიული ნიშანი „sch“-ც, რომელიც მე-XII საუკუნეში უკვე საყოველთაოდ ვრცელდება:

ძვ. ზემოგერმანული      საშუალო გერმანული

skīnan	—	schīnen
skōni	--	schōene
skuld	—	schuld

XIII საუკუნიდან მოყოლებული [s] გადადის [ʃ] ფონემაში „l, m, n, w“ თანხმოვნების წინ:

ძვ. ზემოგერმანული საშუალო გერმანული თანამედროვე გერმანული

slāfan	—	slāfen	—	schlafen
:smerzo	—	smerze	—	Schmerz
:snêo	—	snê	—	Schnee
swarz	—	swarz	—	Schwarz

ზოგ შემთხვევაში [ʃ]-ში გადადის „rs“-კომპლექსის [s]-იც:

ძვ. ზემოგერმანული საშუალო გერმანული თანამედროვე გერმანული

kirsa	—	kirse	—	Kirsche
hêrisôn	--	hêrsen	—	herrschen

მოგვიანებით ფონემა [ʃ] ვითარდება აგრეთვე „p“ და „t“ თანხმოვნების წინ, თუმცა დაწერილობა უცვლელი რჩება:

ძვ. ზემოგერმანული საშუალო გერმანული თანამედროვე გერმანული

spâti	—	spæte	—	spät
starc	—	starc	—	stark

4. XIII საუკუნეში ხდება „s“-ის გადასვლა [z]-ში სიტყვის თავსა და შუაში ხმოვნების წინ, თუმცა ორთოგრაფია უცვლელი რჩება:

ძვ. ზემოგერმანული საშუალო გერმანული თანამედროვე გერმანული

ēn	—	sīn	--	sein
lesan	—	lesen	—	lesen

დავალება 1. შეავსეთ სალექციო მასალა შემდეგი ინფორმაციით:

გერმანული ენის განვითარების ძირითადი სინტაქსურ-მორფოლოგიური ტენდენციების შემდგომი განმტკიცება.

საშუალ გერმანულში კიდევ უფრო გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი სინტაქსურ-მორფოლოგიური მოვლენა, რომლებიც ძველ ზემოგერმანულში ჩაისახა. ეს მოვლენებია:

1. საშუალ გერმანულში საბოლოოდ ჩამოყალიბდა განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის გრამატიკული კატეგორია. ამ პროცესს ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ ოპოზიციამ „არსებითი სახელი განსაზღვრული არტიკლით — არსებითი სახელი განუსაზღვრელი არტიკლით“ სისტემური ხასიათი მიიღო. ეს კი, თავის მხრივ, განაპირობა ორივე სახის არტიკლის გამოყენების სფეროს გაფართოვებამ და ხმარების რეგულარობამ.

2. საშუალ გერმანულში ზმნის ანალიზური ფორმები — პერფექტი და პლუსქვამპერფექტი — უკვე სავსებით ჩამოყალიბებულია. მათი შემომატებით დროის ფორმათა სისტემა, ძველ ზემოგერმანულთან შედარებით, საგრძნობლად შეიცვალა. ამიტომ ამ პერიოდში ხდება ძირითადად შიდასისტემურ მიმართებათა განსაზღვრა: ზუსტდება ცალკეული დროის ფორმების მნიშვნელობა, იმიჯნება მათი ხმარების სფეროები, საფუძველი ეყრება მათ ურთიერთგანპირობებულ ხმარებას.

1) საშუალ გერმანულში გამოიკვეთა პერფექტისა და პრეტერიტუმის ისეთი მნიშვნელოვანი საკომუნიკაციო ფუნქცია, როგორიცაა მათი დაკავშირება მეტყველების სახეობებთან: უკვე ამ პერიოდში პრეტერიტუმი რეგულარულად იხმარება თხრობისას, ხოლო პერფექტი — საუბრისას:

„Dô diu küneginne sine rede vernam, der spile bat sie gâhen, als ir daz gezam“ (Als die Königin seine Rede vernahm, bat sie, das Wettspiel zu beginnen, wie es ihr geziemte).

მაგრამ:

„Sun des Sigemundes ich hie gesehen hân: Sîfriden den starken hân ich hie bekant“ (Ich habe hier den Sohn Sigmundes gesehen, ich habe den kühnen Siegfried erkannt).

2) ამავე პერიოდში იწყება დროის ფორმების რელატიური (ურთიერთგანპირობებული) ხმარების ძირითად კანონზომიერებათა ჩამოყალიბება; წინ იწევს ორი მომენტი:

პლუსქვამპერფექტი სულ უფრო ხშირად იხმარება პრეტერიტუმთან ერთად წინარე მოქმედების აღსანიშნავად:

„...balde er reit genuoc. Und sagte die mære, was hie was geschehen“ (Er ritt sehr schnell und berichtete davon, was hier geschehen war).

პერფექტი კი ამავე მნიშვნელობის გადმოსაცემად პრეზენსს უკავშირდება:

„Von boten mîner vînde ich daz vernomen hân daz si mich wellen suochen mit herverten hie“ (Von den Boten meiner Feinde habe ich vernommen, daß sie einen Kriegszug gegen mich beabsichtigen).

პერფექტის ამგვარი ხმარება ხელს უწყობს მის შინაარსობრივ სტრუქტურაში წარსულისა და აწმყოს მაკავშირებელი სემანტიკის ჩამოყალიბებას, რაც თანამედროვე პერფექტის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია.

დროის ფორმების ამგვარმა ურთიერთდაკავშირებამ განაპირობა დროის კატეგორიის ფარგლებში ახალი გრამატიკული მნიშვნელობის, ე. წ. შეფარდებითი დროის მნიშვნელობის, ჩამოყალიბება.

3. საშუალი გერმანულის სინტაქსში თანაარსებობენ ძველი და ახალი სინტაქსური მოვლენები. ამასთან ძველი ზემოგერმანულიდან მომდინარე თავისებურებების ერთი ნაწილი არ ასახავს გერმანული ენის განვითარების საერთო ტენდენციებს და შემდგომ ეს თავისებურებები თანდათანობით ქრება. ასეთებია:

1) ზედსართავი სახელის უფლექსიო ხმარება:

ein vil edel magedîn (ein sehr edles Mädchen); ein edel ritter guot (ein guter edler Ritter).

2) შემასმენლის სინტაქსური ადგილის არასტაბილურობა:

„Den troum si dô sagete ir muoter Uoten“ (Den Traum erzählte sie ihrer Mutter Ute).

„An dem vierden morgen ze hove si dô rîten“ (Am vierten Morgen ritten sie zum Hof).

ახალი ტენდენციებიდან აღსანიშნავია პირველ რიგში შემდეგი:

1) ძლიერდება წინადადების ორშემადგენლიანობის მოთხოვნა. უსუბიექტო წინადადებები თითქმის აღარ იხმარება, შესაბამისად აქტიურდება ფორმალური სუბიექტი „es“;

2) აღარ ვცხვდება პირველ პოზიციაში შემასმენელი — ინვენტირებული სუბიექტის ადგილს ამ შემთხვევაში იკავებენ „dō“, „nū“, „es“ და სხვა ნაწილაკები

„Dō sprach der hêrre Sifrit“ (Da sagte der Herr Siegfried).

„Ez wuohs in Burgonden ein vil edel magedîn“ (Es wuchs in Burgunden ein sehr edles Mädchen auf).

3) ბოლომდე არ არის ჩამოყალიბებული პრედიკატული ჩარჩო:

„Sifrit was geheizen der selbe degen guot“ (Siegfried war dieser gute Recke geheizen).

„Ir muget hie vol verliesen die êre une ouch den lîp“ (Ihr könnt hier leicht Ehre und Leben verlieren).

მაგრამ მისი დადგენის ტენდენცია ნათელია:

„Eâ wart von schoenen frouwen michel weinen getan“ (Da begannen die schönen Frauen bitterlich zu weinen).

დავალება 2. 172-ე გვერდზე მოცემულია ვ. ფონ დერ ფოგელვაიდესა და ფ. ფონ ჰაუზენის სიმღერების ტექსტი. მონახეთ ამ ტექსტებში საშუალებად მანულის ახალი ფონემა და განმარტეთ მისი ჩამოყალიბება! დაახასიათეთ მორფოლოგიური თვალსაზრისით შემდეგი ფორმები:

was; erwachte; wart; ichn weiz; tâten.

დავალება 3. ჰაინრიხ ფონ რუგეს ლექსის ტექსტის მიხედვით უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

1) რომელ ახალ ფონემებს ვცხვდებით ტექსტში და რა პროცესს ასახავენ ისინი?

2) რომელ თეორიულ მოსაზრებას ასაბუთებთ განსაზღვრული და განუსაზღვრელი არტიკლის ხმარება ტექსტში?

3) რა ტიპის ფორმების ანალოგიით ჩამოყალიბდა საშუალ გერმანულში ფორმა „hân“ (ძვ. „habên“)?

Heinrich von Rugge

Ich hôte gerne ein vogellîn  
daz hêbe wunneclîchen sanc.  
der winte kan niht anders sîn  
wan swære und âne mâze lanc.

mir wære liep, wolt er zergân.  
waz vröide ich ûf den sumer hân!  
dar stuont nie hôher mir der muot:  
daz ist ein zît diu mir wil sanfte tuot.

დავალება 4. ქვემოთ მოცემული ხალხური სიმღერის ტექსტის მიხედვით უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

- 1) რა კანონზომიერებებს ავლენს დროის ფორმების ხმარება?
- 2) რის მაჩვენებელია „sich verwandelôt“ და „gelônet“ (ძვ. „lônôn“) ფორმების პარალელური ხმარება?

„Mir hât ein rittler“ sprach ein wip  
„gedienet nâch dem willen mîn.  
ê sich verwandelôt diu zît  
so muoz im doch gelônet sîn.  
mich dünket winter unde snê  
schœne bluomen unde klê  
swenn ich in umbevangen hân.  
uud wærez al der welte leit,  
sô muoz sîn wille an mir ergân“.

დავალება 5. განსაზღვრეთ, თუ რა მორფოლოგიური ცვლილებები გამოიწვია ხმოვანთა დასუსტებამ ხაზგასმულ სიტყვებში! სინუსტისთვის მიმართეთ ძველ ზემოგერმანულ ფორმებს:

Er sündet sich swer des niht geloubet,  
ich möhte geleben mangen lieben tac,  
ob joch niemer krône kæme ûf mîn houbit.  
ძვ. sunton; gilouben; mohti; gelebên.

დავალება 6. ახსენით, თუ რით არის განპირობებული ისტორიულად ხმოვნების მონაცვლეობა შემდეგ ფორმებში:

er fährt — er fahre — er fuhr — er führe;  
er gibt — er gebe — er gab — er gäbe.

დავალება 7. რას უკავშირდება ისტორიულად თანამედროვე გერმანულში „hälfe — hülfе“-ს ტიპის ვარიანტული ფორმები?

## მესამე ნაწილი

### თანამედროვე გერმანული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბება

თეზა პირველი

#### სალექციო მასალა

1. ადრეული ახალი გერმანულის ზოგადი დახასიათება;
2. ძირითადი ცვლილებები ენის ფონოლოგიურ სისტემაში;
3. უმნიშვნელოვანესი მორფოლოგიური ტენდენციების შემდგომი განვითარება.

#### დამოუკიდებელი სამუშაო

1. ლექსიკური ფონდის გამდიდრება ადრეულ ახალგერმანულ პერიოდში;
2. ადრეული ახალი გერმანულის ორთოგრაფიის შესახებ;
3. ძირითადი სინტაქსური ტენდენციების შემდგომი გამოკვეთა;
4. პრაქტიკული დავალებები;
5. ინდივიდუალური დავალება.

#### სალექციო მასალა

1. ადრეული ახალი გერმანულის ზოგადი დახასიათება. ადრეული ახალი გერმანული (დაახლოებით 1350—1650 წწ.) ერთგვარი გარდამავალი საფეხური იყო შუა საუკუნეების გერმანულიდან თანამედროვე ენისაკენ: სწორედ ადრეული ახალი გერმანულით ჩაეყარა საფუძველი ერთიან სალიტერატურო ენას.

ენობრივი სიტუაცია ამ პერიოდში ძალზე რთული იყო. ამ სირთულეს რამდენადმე მაშინდელი გერმანიის პოლიტიკური ვითარებაც განაპირობებდა. თუ ინგლისსა და საფრანგეთში XIV—XVI საუკუნეებში ეკონომიკური და პოლიტიკური კონცენტრაცია ხდებოდა, რასაც შე-



დეგად მოჰყვა ახალი ტიპის ეროვნული სახელმწიფოს შექმნა, გერმანიაში საპირისპირო პროცესი მიმდინარეობდა: XIII საუკუნიდან იწყება ცენტრალიზებული ხელისუფლების შესუსტება და მის ადგილს იკავებს მცირე მასშტაბის აბსოლუტური მონარქიები — ცალკეული სათავადოები, რომლებიც ეცილებიან ერთმანეთს პოლიტიკური პრიორიტეტის მოპოვებაში. პარალელურად კი ელვის სისწრაფით იზრდება ქალაქების რიცხვი, სადაც იქმნება შემდგომი კაპიტალისტური განვითარების წინაპირობები. კაპიტალისტური წარმოების პირველი ელემენტები თარიღდება გერმანიაში XIV—XV საუკუნეებით. წარმოების ახალი წესი სწრაფად ვრცელდება მსუბუქ მრეწველობაში, წიგნის ბეჭდვასა და სამთო საქმეში. მალე იგი სოფლის მეურნეობასაც მოიცავს. კაპიტალისტური წარმოების გაშლას, თავის მხრივ, მოსდევს ვაჭრობის სწრაფი განვითარება. უდიდეს აღმავლობას განიცდიან სავაჭრო ქალაქები. ყოველივე ეს კი იწვევს საზოგადოების სოციალური სტრუქტურის შეცვლას: განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ქალაქის მოსახლეობის მოთხოვნილებები (მათ შორის სულიერიც) და შესაბამისად — ბიურგერული კულტურა. ქალაქს განათლებული ადამიანები სჭირდება — მათ უნდა შეეძლოთ ოფიციალურ, ადმინისტრაციულ, სავაჭრო, სამართლებრივ, საწარმოო და სხვა საქმიანობათა თანმხლებ ენობრივ კომუნიკაციაში მონაწილეობა. ამიტომ სწრაფად იზრდება სხვადასხვა ტიპის სკოლების რიცხვი, ხოლო 1348 წელს პრალაში იხსნება პირველი უნივერსიტეტი. მას მოსდევს შემდეგი უნივერსიტეტები ვენაში, ჰაიდელბერგში, კიოლნში. ერფურტში, ლაიფციგსა რა როსტოკში. განათლების განვითარებას დიდად შეუწყობ ხელი წიგნის ბეჭდვის გამოგონებამ (იოჰან გუტენბერგი, 1436 წ.), რაც სწრაფად დაინერგა პრაქტიკაში; მე-XV საუკუნის დასასრულამდე შეიქმნა დიდი სტამბები სტრასბურგში, ბაზელში, მაინცში, აუგსბურგში, ნიურნბერგში, ლაიფციგში, კიოლნსა და ლიუბეკში. წიგნები გერმანულ და ლათინურ ენაზე იბეჭდებოდა ათასიანი ტირაჟებით და მთელ გერმანიაში ვრცელდებოდა.

ახალი ადრეული გერმანოლის პერიოდი ემთხვევა ისეთ უმნიშვნელოვანეს ისტორიულ მოვლენებს, როგორცაა რეფორმაცია (Reformation, 1517—1525), გლეხთა ომი (der Große Bauernkrieg, 1524—1525) და ოცდაათწლიანი ომი (der Dreißigjährige Krieg, 1618—1648).

რეფორმაციას გერმანიაში ფ. ენგელსმა „ევროპის პირველი ბურჟუაზიული რევოლუცია“ უწოდა. ეს იყო მოძრაობა, რომელმაც დასაბამი მისცა ახალ ეპოქას ეკლესიისა და სახელმწიფოს ისტორიაში. იგი

მიმართული იყო უპირველესად რომის კათოლიკური ეკლესიის დიქტატის წინააღმდეგ, მიზნად ისახავდა მისგან გამიჯვნას და ესწრაფვოდა ეკლესიის ძირეულ რეფორმაციას.

რეფორმაციის ცენტრი საქსონია და თიურინგია იყო. მარტინ ლუთერი, გერმანული რეფორმაციის უშუალო სულისჩამდგმელი, წარმოშობით თიურინგიელი, იყო თეოლოგიის პროფესორი ვიტენბერგის უნივერსიტეტში (საქსონია). მას მხარს უჭერდა საქსონიის კურფიურსტი ფრიდრიხი, რომელიც მეთაურობდა ოპოზიციას იმპერატორ კარლ V-ის წინააღმდეგ. მ. ლუთერის პროტესტანტული მოძღვრება საქსონიიდან სწრაფად გავრცელდა როგორც ჩრდილო- და დასავლეთ გერმანიაში, ისე სამხრეთგერმანულ ქალაქებში, რასაც დიდად შეუწყო ხელი წიგნის ბეჭდვის უჩვეულო აღმავლობამ: რეფორმაციის პერიოდში ბევრად მეტი წიგნი დაიბეჭდა, ვიდრე წინა 50 წლის მანძილზე, რაც გადამწყვეტი აღმოჩნდა იდეოლოგიური ბრძოლის გაშლისა და რელიგიურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ხალხის მასების ჩაბმისათვის. მთელ გერმანიას მოედო პოლიტიკური პამფლეტები, სააგიტაციო ფურცლები, მოწოდებები. გერმანული ენა პირველად გამოვიდა მასობრივი პროპაგანდის საშუალების როლში, რის გამოც მისმა პრესტიჟმა ერთბაშად აიწია. გადაუდებელი გახდა სამწერლო ენის დახვეწა-ნორმალიზაცია. ენობრივი უნიფიცირების პრობლემა საზოგადოებრივ პრობლემად იქცა. ამ პრობლემის გადაჭრაში გადამწყვეტი იყო მარტინ ლუთერის საქმიანობა: მოზღვავებულ ლიტერატურაში უპირველესი ღირებულება მაინც მის მიერ თარგმნილ ბიბლიას ენიჭებოდა — იგი ქვეშაბრტად სახალხო წიგნი იყო. გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ მას სრულიად გერმანია კითხულობდა. მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე ლუთერის კატეხიზმო და საეკლესიო სიმღერები, რომლებსაც ხალხი ზეპირად სწავლობდა.

რეფორმაციამ თავისი უმაღლესი გამოვლინება გლახთა ომში პოვა. როგორც ცნობილია, იგი რევოლუციური მასების დამარცხებით დამთავრდა. სახელმწიფო კიდევ უფრო დასუსტდა, მისი პოლიტიკური დანაწევრება გაღრმავდა. გერმანიის ეროვნული გაერთიანება არ მოხდა. არ მოხდა იგი ერთი საუკუნის შემდეგაც, როდესაც ოცდაათწლიანი ომის შემდეგ გერმანია ეკონომიკური და პოლიტიკური კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა.

ამრიგად, ადრეული ახალი გერმანულის პერიოდში ვერ მოხერხდა გერმანიის ეროვნული კონსოლიდაცია და გერმანელი ერის ჩამოყალიბება კვლავ საუკუნეებით გადაიდო. შესაბამისად გადაიდო ერთიანი

ეროვნული ენის ჩამოყალიბებაც. მაგრამ ამავე დროს, როგორც ვთქვით, სწორედ ამ პერიოდში ჩაეყარა საფუძველი ეროვნულ ენას. ეს კი შესაძლებელი გახდა ე. წ. ტერიტორიული სალიტერატურო ენების გამოკვეთის შედეგად.

გერმანული ენის ისტორიის მკვლევრები განასხვავებენ რეგიონალური სალიტერატურო ენის რამდენიმე ვარიანტს. ესენია:

1) შუაქვემოგერმანული (Mittelniederdeutsch). აღნიშნული ვარიანტი განვითარდა XIV საუკუნეში ჩრდილოეთ გერმანიაში ჰანზის კავშირის ფარგლებში ჩამოყალიბებული სავაჭრო ენის საფუძველზე, რომელიც, თავის მხრივ, ქვემოსაქსონურს ემყარებოდა შუაქვემოგერმანული ჩრდილოეთ გერმანიის კანცელარიის ოფიციალურ ენად იქცა. მასზე შეიქმნა მრავალი ადმინისტრაციული და იურიდიული დოკუმენტი, დაიწერა მხატვრული ნაწარმოებები. XVI საუკუნიდან მოყოლებული კი, ჰანზის კავშირის დაცემის შედეგად, მისი მნიშვნელობა მკვეთრად შემცირდა.

2) აღმოსავლეთშუაგერმანული (Ostmitteldeutsch). რეგიონალური სალიტერატურო ენის აღმოსავლეთშუაგერმანულმა ვარიანტმა ჩამოყალიბება დაიწყო XIV საუკუნეში ზემოსაქსონიის (მაისენი, თიუჩინგია, სილესია) ტერიტორიაზე. ზემოსაქსონიის პოლიტიკურმა პრესტიჟმა და მარტინ ლუთერის მოღვაწეობამ განაპირობა ამ ვარიანტის გავრცელება აგრეთვე ჩრდილოეთ, სამხრეთ და აღმოსავლეთ გერმანიაში (დაპყრობილი ტერიტორიების ჩათვლით). აღნიშნულ ვარიანტზე შეიქმნა სასულიერო და დიდაქტიკური პროზა, საკანცელარიო და სამართლებრივი დოკუმენტები, რეფორმაციის სააგიტაციო-პროპაგანდისტული ლიტერატურა.

აღმოსავლეთშუაგერმანული რეგიონალური ვარიანტი შემდგომში საფუძვლად დაედო გერმანულ ეროვნულ ენას.

3) საერთოგერმანული (das Gemeine Deutsch). აღნიშნული ვარიანტი ჩამოყალიბდა და გავრცელდა გერმანიის სამხრეთ-აღმოსავლურ — ბავარიულ-ავსტრიულ — რეგიონში, რომლის საკანცელარიო ენასაც იგი ეყრდნობოდა. მასზე შეიქმნა მდიდარი სასულიერო და საერო ლიტერატურა. ამ ვარიანტს მიმართავდნენ ისეთი გამოჩენილი მწერ-

---

1 სალიტერატურო ენა — ესაა ენის ზეპირი და წერილობითი ფორმა, რომელსაც ახასიათებს დამუშავება, გარკვეული რეგლამენტირება, პოლიფუნქციურობა და სტილიზირების დიფერენცია (მ. გუხმანი). იგი შეიძლება არსებობდეს ეროვნული ენის შექმნამდეც. მაგრამ სწორედ ენის არსებობის ეროვნულ პერიოდში ხდება მთელი სისრულით ზემოჩამოთვლილი ნიშნების წარმოჩენა.

ლები, როგორებიც იყვნენ ჰანს საქსი (Hans Sachs) და სებასტიან ფრანკი (Sebastian Franck). მასზე იბეჭდებოდა წიგნები აუგსბურგსა და ნიურნბერგში — ქალაქებში, სადაც ბეჭდვითი საქმე ძალზე ადრე განვითარდა. ყოველივე ამან განაპირობა საერთოგერმანულის პრესტიჟი და ის გარემოებაც, რომ იგი XVIII საუკუნემდე სერიოზულ კონკურენციას უწევდა აღმოსავლეთშუაგერმანულ სალიტერატურო ენას.

სალიტერატურო ენის ყველა დასახელებული რეგიონალური ვარიანტი უპირისპირდებოდა ტერიტორიულ დიალექტებს ლიტერატურული დამუშავების მაღალი ხარისხით და ენობრივი ნიველირების ძლიერი ტენდენციით.

მოკლედ ვიტყვით ამ ეპოქის ძირითად ლიტერატურულ ჟანრებზე. ეგენია:

1) ქალაქური ლიტერატურა. იგი წარმოდგენილია სიმღერების, კრებულების, პიესების, სატირული ნაწარმოებებისა და ხალხური წიგნების (Volksbücher) სახით და ასახავს ქალაქის მოსახლეობის განსხვავებული სოციალური ფენების იდეოლოგიასა და ინტერესებს. ამ ჟანრის მრავალრიცხოვანი ნაწარმოებებიდან გერმანელი ხალხის სულიერ ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრეს ეპოსმა „Reineke der Fuchs“, ხალხურმა წიგნებმა „Till Eulenspiegel“ და „Historia von D. Johann Fausten“;

2) საქმიანი პროზა;

3) ქალაქური ქრონიკები;

4) დიდაქტიკური ლიტერატურა. ამ პერიოდში იქმნება პირველი სახელმძღვანელოები, მათ შორის გრამატიკები, ორთოგრაფიული ცნობები, არითმეტიკები და სხვ.;

5) მეცნიერული პროზა. ლათინური შრომების გვერდით აღნიშნულ ეპოქაში გამოდის პირველი სამეცნიერო ტრაქტატები გერმანულ ენაზე გეომეტრიის, სტერეომეტრიის, ლოგიკის, ფილოსოფიის, მედიცინის დარგში.

2. ძირითადი ცვლილებები ენის ფონოლოგიურ სისტემაში. ფონოლოგიური ცვლილებები, რომლებიც ადრეული ახალი გერმანულის პერიოდში განხორციელდა, ძირითადად ხმოვანთა სისტემას შეეხო. მხედველობაში გვაქვს პირველ რიგში სამი უმნიშვნელოვანესი პროცესი: გრძელი ხმოვნების დიფთონგიზაცია, ძველი დიფთონგების მონოფთონგიზაცია და დიფთონგების გაფართოება. სამივე ეს პროცესი მოგვიანებით სალიტერატურო ენაშიც

აისახა და თანამედროვე გერმანულის არსებით ფონოლოგიურ ნიშნად იქცა.

განვიხილავთ დასახელებულ პროცესებს.

1) გრძელი ხმოვნების დიფთონგიზაციაში მონაწილეობენ მაღალი აწეულობის ხმოვნები i, u, iu [y:]:

საშუალი გერმანული      ადრეული ახალი გერმანული

i → ei[ae]

mîn	—	mein
drî	—	drei
îs	—	eis

u → au

ûf	—	auf
hûs	—	haus
brûchen	—	brauchen

iu[y:] → eu

diutsch	—	deutsch
hiute	—	heute
liute	—	leute

ეს პროცესი დაიწყო ჯერ კიდევ XII—XIII საუკუნეებში ბავარიულ-აესტრიულ რეგიონში და XIV—XVI საუკუნეებში გავრცელდა ზემოგერმანულის მთელ ტერიტორიაზე. ძველი ხმოვნები შემორჩა მხოლოდ შვეიცარიასა და ელზასში. ამ პროცესის მიღმა დარჩა აგრეთვე ქვემოგერმანული და მისი მოსაზღვრე ზოგიერთი შუაგერმანული დიალექტი.

2) დიფთონგიზაციის პარალელურად შუაზემოგერმანულ დიალექტებში განხორციელდა ie, uo, ûe დიფთონგების მონოფთონგიზაცია:

საშუალი გერმანული      ადრეული ახალი გერმანული

ie → ie[i:]

hier	—	hier
fliegen	—	fliegen

uo → u

guot	—	gut
bucch	—	buch

üe→ü

güete	—	güte
süeze	—	süß

ზემოგერმანული ტერიტორიული დიალექტებიდან მონოფთონგი-ზაცია მხოლოდ სამხრეთგერანკულს შეეხო, დანარჩენებმა კი (ბავარიულ-ავსტრიულმა, შვაბურ-ალემანურმა და აღმოსავლეთგერანკულმა) დიფთონგები შეინარჩუნეს. შდრ.:

ბავარიულ-ავსტრიული შვაბურ-ალემანური სალიტერატურო ენა

Bueb	—	Buab	—	Bube
guet	—	guat	—	gut
lieb[ie]	—	liab	—	lieb

3) გაფართოება ei, ou დიფთონგებს შეეხო:

საშუალო გერმანული ადრეული ახალი გერმანული

ei → ei[ae]

ein	—	ein[ae]
teil	—	teil[tae]

ou → au

cuge	—	auge
boum	—	baum

ეს მოვლენა თავდაპირველად მხოლოდ ბავარიულ-ალემანურს ახასიათებდა, შემდგომ შვაბურ-ალემანურზეც გავრცელდა, ხოლო მოგვიანებით სალიტერატურო ენის ნორმადაც იქცა.

გარდა განხილული სამი პროცესისა, ადრეული ახალი გერმანულის ფონოლოგიურმა სისტემამ განიცადა აგრეთვე ხმოვანთა სიგრძესიმოკლის პოზიციურად განპირობებული ცვლა. ამ პერიოდში საბოლოოდ გამოიკვეთა ჭერ კიდევ საშუალო გერმანულში შესამჩნევი ურთიერთდამოკიდებულება ხმოვნის ხანგრძლივობასა და მარცვლის ბუნებას შორის, რაც შემდგომში გამოვლინდა:

1) ხმოვანი გაგრძელდა; ა) ღია მარცვალში; ბ) მარცვალში, რომელიც ღიაა გარკვეულ პოზიციებში; გ) ზოგ შემთხვევაში „r + კბილის-

შიერი თანხმომავანი“ კომპლექსის წინ; დ) ერთმარცვლიან სიტყვებში სონანტების წინ:

საშუალო გერმანული		ახალი გერმანული
nemen	—	nehmen
faren	—	fahren
tag	—	Tag-Tages
wec	—	Weg-Weges
fart	—	Fahrt
erda	—	Erde
er	—	er
im	—	ihm

2) ხმოვანი დამოკლდა შესაბამისად დახურულ მარცვალში:

საშუალო გერმანული		ახალი გერმანული
brährte	—	brachte
lährzen	—	lassen

ცვლილებები თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ თ ა ს ი ს ტ ე მ ა შ ი ორიოდ კერძო შემთხვევით შემოიფარგლება. ესაა:

1) **z** და **s** ფონემებს შორის განსხვავების მოშლა, რაც თავის მხრივ ორთოგრაფიაშიც აისახა;

2) ფარინგალური **h**-ს ჩავარდნა ინტერვოკალურ პოზიციაში. როგორც ვიცით, ძველ და საშუალო გერმანულში **h** ხმოვნებს შორის წარმოითქმებოდა: *sehan/sehen[-h-]*; *hñhi/hñche[-h-]*. ადრეული ახალი გერმანულიდან მოყოლებული იგი აღარ წარმოითქმის და მხოლოდ ხმოვნის სიგრძეზე მიუთითებს.

3. უ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ა ნ ე ს ი მ ო რ ფ ო ლ ო გ ი უ რ ი ტ ე ნ - დ ე ნ ც ი ე ბ ი ს შ ე მ დ გ ო მ ი გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა. ადრეულ ახალ გერმანულში კიდევ უფრო გამოიკვეთა ის უმნიშვნელოვანესი მორფოლოგიური ტენდენციები, რომლებიც ძველ და საშუალო გერმანულ პერიოდებში ყალიბდებოდა. ესაა ზმნის მორფოლოგიის გამარტივების, არსებითი სახელის ბრუნების პრინციპების შეცვლისა და სინთეზურიდან ანალიზურ ფორმებზე გადასვლის ტენდენციები.

I. საშუალო გერმანულში, როგორც ვიცით, საგრძნობლად გამარტივდა როგორც ზ მ ნ ის მორფოლოგიური სტრუქტურა, ისე მისი პა-

რადიგმები. ადრეულ ახალ გერმანულში კი ცვლილებები უმთავრესად აბლაუტის რიგების სისტემას შეეხო. ამ ცვლილებებს ძირითადად ორი სახის მოვლენა განაპირობებდა:

1) ამ პერიოდში მომხდარი ფონოლოგიური პროცესები (დიფთონგიზაცია, მონოფთონგიზაცია, დიფთონგების გაფართოება, ხმოვანთა ხანგრძლივობის შეცვლა). შდრ.:

საშუალი გერმანული		ადრეული ახალი გერმანული:
lîhen	—	leihen (î → ei)
biegen	—	biegen (ie → i:)
fuor	--	fuhr (uo → u)
nam	—	nahm (a → ai)

ამასთან, ხმოვანთა მონაცვლეობა სიგრძე-სიმოკლის მიხედვით საფუძვლად დაედო აბლაუტის რიგების შიგნით ახალი ტიპის ქვეჯგუფების ჩამოყალიბებას — ქვეჯგუფებისა, რომელთაც განასხვავებდა არა ხარისხობრივი, არამედ რაოდენობრივი აბლაუტი. შევადაროთ ამ თვალსაზრისით აბლაუტის პირველი რიგის ქვეჯგუფები ადრეულ ახალ გერმანულსა და წინა პერიოდებში:

ძველი ზემო გერმანული:

I ქვეჯგუფი: scrîban—screib—scribum—giscriban (î-ei-i-i)

II ქვეჯგუფი: lîhan—lêh—lihum—gilihan (î-ê-i-i)

საშუალი გერმანული:

I ქვეჯგუფი: schrîben—schreip—schriben—geschriben (î-ei-i-i)

II ქვეჯგუფი: lîhen—lêch—lihen—gelihen (î-ê-i-i)

ადრეული ახალი გერმანული:

I ქვეჯგუფი: schreiben—schrieb—geschrieben (ei-i-i-i)

II ქვეჯგუფი: reiten—ritt—geritten (ei-i-i)

2) პრეტერიტუმის მხოლობითი და მრავლობითი რიცხვის ფორმების გათანაბრება.

პრეტერიტუმის მხოლობითი და მრავლობითი რიცხვის ფორმების გათანაბრება აბლაუტის სხვადასხვა რიგში სხვადასხვაგვარად მიმდინარეობდა: ზოგ შემთხვევაში მხოლობითი რიცხვის ფორმა იმსგავსებდა მრავლობითისას, ზოგ შემთხვევაში — პირიქით. შედეგად კი ანალოგიური იყო — ოთხი ძირითადი ფორმა ყველა შემთხვევაში სამით შეიცვალა.



განვიხილავთ აბლაუტის რიგების შიგნით მომხდარ ცვლილებებს. გრაფიკულად (მართკუთხედის საშუალებით) აღვნიშნავთ პრეტერიტუმის ფორმებს, რომელთა მიხედვითაც განხორციელდა მორფოლოგიური ნიველირების პროცესი. ვინაიდან აბლაუტის რიგებში რამდენადმე მნიშვნელოვანი ცვლილებები ადრეული ახალი გერმანულის შემდეგ აღარ მომხდარა, ვილაპარაკებთ საერთოდ ახალ გერმანულზე.

### ა ბ ლ ა უ ტ ი ს პ ი რ ვ ე ლ ი რ ი გ ი

ს ა შ უ ა ლ ი გ ე რ მ ა ნ უ ლ ი :

I ქვეჯგუფი: scriben—schreip—scriben—geschriben

II ქვეჯგუფი: lihen—lêch—lihen—gelihen

ახალი გერმანული: schreiben—schrieb—geschrieben  
leihen—lieh—geliehen

ცვლილებები:

1) დიფთონგიზაცია პრეზენსის (ინფინიტივის) ფუძეში; 2) ქვეჯგუფებს შორის განსხვავების წაშლა.

ამ რიგში აღსანიშნავია ახალი ქვეჯგუფების ჩამოყალიბება განსხვავებული ხანგრძლივობის ხმოვანთა მონაცვლეობის საფუძველზე:

(1) ei—i—i: schreiben—schrieb—geschrieben

(2) ei—i—i reiten—ritt—geritten

### ა ბ ლ ა უ ტ ი ს მ ე ო რ ე რ ი გ ი

ს ა შ უ ა ლ ი გ ე რ მ ა ნ უ ლ ი :

I ქვეჯგუფი: biegen—bouc—bugen — gebogen

II ქვეჯგუფი: giezen—gîz—guzzen—gegizzen

ახალი გერმანული: biegen—bog—gebogen  
gießen—gîß—gegossen

ცვლილებები:

1) მონოფთონგიზაცია პრეზენსის (ინფინიტივის) ფუძეში;

2) ქვეჯგუფებს შორის განსხვავების წაშლა;

3) ახალი ქვეჯგუფების ჩამოყალიბება განსხვავებული ხანგრძლივობის ხმოვანთა მონაცვლეობის საფუძველზე:

(1) i: — o: — o:      biegen — bog — gebogen

(2) i: — o — o      gießen — goß — gegossen

აბლაუტის მესამე რიგი

საშუალო გერმანული:

I ქვეგუფი: helfen — half — hulfen — geholfen

II ქვეგუფი: binden — band — bunden — gebunden

ახალი გერმანული:

I ქვეგუფი: helfen — half — geholfen

II ქვეგუფი: binden — band — gebunden

ამ ქვეგუფების გარდა ახალ გერმანულში კიდევ ორი ქვეგუფი წარმოიქმნება:

III ქვეგუფი i—a—o (nn, mm-ს წინ):  
beginnen — begann — begonnen

IV ქვეგუფი e(i)—o—o (ll, l+ჩქამიერის წინ):  
schwellen — schwoll — geschwollen

აბლაუტის მეოთხე რიგი

საშუალო გერმანული: nemen — nam — namen — genommen

ახალი გერმანული: nehmen — nahm — genommen

რაოდენობრივი აბლაუტის განვითარების შედეგად ახალ გერმანულში შემდეგი ქვეგუფები ჩამოყალიბდა:

1. e:—a:—o nehmen — nahm — genommen

2. e:—a:—o stehlen — stahl — gestohlen

3. e—a:—o brechen — brach — gebrochen

აბლაუტის მეხუთე რიგი

საშუალო გერმანული: geben — gap — gaben — gegeben

ახალი გერმანული: geben — gab — gegeben

სმოვნების ხანგრძლივობის შეცვლის შედეგად ახალ გერმანულში წარმოიქმნა:

1. e:—a:—e: geben — gab — gegeben

2. e—a:—e essen — aß — gegessen.

## აბლაუტის მეექვსე რიგი

საშუალო გერმანული: faren—fuor—fuoren—gefaren

ახალი გერმანული: fahren—fuhr—gefahren

პრეტერიტუმში მოხდა მონოფთონგიზაცია (uo—u), ხოლო რაოდენობრივი აბლაუტის განვითარებამ წარმოშვა:

1. a—u—ai fahren—fuhr—gefahren

2. a—u—a wachsen—wuchs—gewachsen

## აბლაუტის მეშვიდე რიგი

საშუალო გერმანული: heiẏzen—hieẏ—hieẏzen—geheiẏzen

loufen—lief—liefen—geloufen

ახალი გერმანული: heißen—hieẏ—geheiẏen

laufen—lief—gelaufen

ამ რიგის ზმნების უმრავლესობამ პრეზენტის (ინფინიტივის) ფუძეში განიცადა დიფთონგების გაფართოება, ხოლო პრეტერიტუმში — მონოფთონგიზაცია.

II. ადრეულ ახალ გერმანულში ძირითადად დასრულდა არსებით სახელთა ბრუნების სისტემის ჩამოყალიბება. ეს პროცესი განხორციელდა იმ ტენდენციის შესაბამისად, რომელზედაც უკვე ვილაპარაკეთ. მხედველობაში გვაქვს არსებით სახელთა ბრუნების ტიპების გადაჯგუფება გრამატიკული სქესის ნიშნით და ფუძეების უნიფიცირება ერთი გარკვეული — წამყვანი — სახეობის მიხედვით.

როგორც ცნობილია, უძველესმა a-ფუძეებმა მიიმსგავსეს რამდენიმე თანხმოვანი და ჰმოვანი ფუძეები და ძლიერ ბრუნებად ჩამოყალიბდნენ. ადრეულ ახალ გერმანულში ეს პროცესი უკვე სავსებით დასრულებულია: დადგენილია როგორც ძლიერი ბრუნების პარადიგმა, ისე მასში შემავალი სახელები.

ბრუნების მეორე ტიპი — მდედრობითი ბრუნება — ადრეულ ახალგერმანულ პერიოდში საბოლოო გამოკვეთის სტადიაშია: მიმდინარეობს მდედრობითი სქესის ო-ფუძეებისა და ი-ფუძეების დაახლოება. აღნიშნულ პროცესში თავს იჩენს შემდეგი კანონზომიერება: მხოლოდით რიცხვში უპირატესობა ენიჭება ო-ფუძეების (ანუ ნულოვანფლექსიანი), ხოლო მრავლობითში — ი-ფუძეების პარადიგმას. ასეთ ვითარებაში ი-სუსტი ბრუნების ნიშანი მრავლობითი რიცხვის სუფიქსის ფუნქციას იძენს.

სუსტმა ბრუნებამ საანალიზო პერიოდში რაოდენობრივი თვალსაზრისით მკვეთრი შემცირება განიცადა: მას ჩამოსცილდა ყველა მდე-

დროებითი და საშუალო სქესის სახელი. ძლიერ ბრუნებაში გადავიდა აგრეთვე მამრობითი სქესის სახელთა ერთი ნაწილი. ეს ძირითადად ის სახელებია, რომლებმაც II-დაბოლოება მხოლოდობითი რიცხვის ნომინატივის ფორმაშიც მიიღეს (როგორც ჩანს, დანარჩენი ბრუნვების ანალოგიით), რაც მათი ახალ ფუძედ გააზრების და ძლიერ ბრუნებაში გადასვლის წინაპირობას წარმოადგენდა:

საშუალო გერმანული                                    ახალი გერმანული  
 მხ. რიცხვი

N.	brunne	Brunnen
G.	brunnen	Brunnens
D.	brunnen	Brunnen
A.	brunnen	Brunnen

ამ რიგის არსებითი სახელებია: der Balken, der Bogen, der Braten; der Garten, der Daumen, der Graben, der Hacken, der Knochen და სხვ.

ამავე გზით მიემართება არსებითი სახელების der Name, der Wille და მისთ. განვითარება. განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ მათ პარალელური ფორმები დღემდის შეინარჩუნეს (der Name-der Namen, der Wille—der Willen, der Friede-der Frieden, der Same-der Samen და ა. შ.). ამ საფუძველზე მათ ე. წ. „გარდამავალ ჯგუფს“ მიაკუთვნებენ. ამავე ჯგუფში შედის ერთადერთი საშუალო სქესის არსებითი სახელი das Herz (საშუალო გერმანული herze).

ძლიერ ბრუნებაში გადავიდა აგრეთვე ის მამრობითი სქესის არსებითი სახელები, რომლებმაც მხოლოდობითი რიცხვის ნომინატივში „მ“ დაკარგეს:

	საშუალო გერმანული	ახალი გერმანული
N.	han(e)	Hahn
G.	hanen	Hahnes
D.	hanen	Hahn
A.	hanen	Hahn

ამ რიგის სახელებს მიეკუთვნება აგრეთვე: der Adler, der Bräutigam, der Herzog, der Lenz, der Schmerz და სხვ.

ბრუნების სისტემის საბოლოო ჩამოყალიბებასთან მჭიდრო კავშირშია მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი ს სუფიქსების განვითარებაც.

გერმანულ ენას განვითარების ადრეულ ეტაპებზე, ისევე როგორც საერთოდ გერმანიკულ ენებს, ფლექსიათა სინთეტიზმი ახასიათებდა — ერთი და იგივე მორფემა აღნიშნავდა არსებითი სახელის ბრუნვასაც და რიცხვსაც. ასე, მაგალითად, „tag-ი“ — ფორმა გამოხატავდა არა მარტო გენტივის, არამედ მრავლობით რიცხვსაც.

მრავლობითი რიცხვის სუფიქსების გამოყოფა ცალკე მორფემად განაპირობა ჯერ კიდევ საშუალი გერმანულის უმნიშვნელოვანესმა ფონოლოგიურმა მოვლენამ — რედუქციამ. როგორც ვიცით, რედუქციის შედეგად ყველა ბოლოკიდური ხმოვანი გადავიდა უმახვილო „e“-ში, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მრავლობითი რიცხვისათვის, სადაც ბრუნვის ფლექსიაში, ჩვეულებრივ, თითო ხმოვანი მაინც შედიოდა:

ძვ. ზემოგერმანული                      საშუალი გერმანული  
 მრ. რიცხვი

N.	tag-â	tag-e
G.	tag-î	tag-e
D.	tag-um	tag-e-n
A.	tag-â	tag-c

ცხადია, „e“, რომელიც ყველა ბრუნვის ნიშანში შედიოდა, ბრუნვათა განმასხვავებელ ფუნქციას ვეღარ შეასრულებდა. მეორე მხრივ კი, სწორედ იმიტომ, რომ იგი ყველა ბრუნვაში იკვეთებოდა, მრავლობითობის გრამატიკულ მნიშვნელობას დაუკავშირდა და მრავლობითი რიცხვის გამომხატველ ფლექსიად იქცა.

ადრეულ ახალ გერმანულში განვითარდა მრავლობითი რიცხვის კიდევ ორი სუფიქსი: (e)n და er. ეს უკანასკნელი თავდაპირველად მხოლოდ ძველ ir-ფუძეებს უკავშირდებოდა, შემდგომში კი საშუალო სქესის არსებითი სახელების უმრავლესობა მოიცვა.

ქვემოგერმანულში ძველი a და ja-ფუძეები მრავლობით რიცხვში -os დაბოლოებას იღებდნენ: dag-dagos (Tag-Tage). ამ დაბოლოების ზეგავლენით სალიტერატურო ენაშიც განვითარდა „s“ სუფიქსი, რომელიც არსებითი სახელების მცირე ნაწილს დაერთვის და უმეტეს შემთხვევაში მათ გარკვეულ სტილისტურ შეფერილობას ანიჭებს: der Uhu-die Uhus, die Gutentags; აასაუბრო ენაში ვხვდებით die Kerls, die Mädels, die Jungens.

მრავლობითი რიცხვის სუფიქსთა სისტემის ჩამოყალიბება მკიდრო კავშირშია უმლაუტთან. როგორც ვიცით, რედუქციის შედეგად, რომელმაც ასიმბილირების ფონეტიკური კონტექსტი მოშალა, უმლაუტი შინაგან ფლექსიად იქცა. ამ დროიდან მისი ერთ-ერთი გრამატიკული მნიშვნელობა სწორედ მრავლობითობის გამოხატვა იყო. თავდაპირველად ეს ხდებოდა ძველ *i* და *ir*-ფუძეებთან კავშირში, ხოლო შემდგომში ანალოგიის პრინციპით უმლაუტი სხვა არსებით სახელებზეც გაგრცელდა (*Vater-Väter, Mutter-Mütter*).

III. XV საუკუნიდან იწყება მყოფადის გამოხატვის კატეგორიული ფორმის — ფუტურუმის — განვითარება. როგორც ვიცით, გერმანული ენის ადრეულ პერიოდებში ამ მნიშვნელობის გადმოცემას ძირითადად პრეზენსი ემსახურებოდა. მაგრამ, უკვე ძველი ზემოგერმანულიდან მოყოლებული, ენა ცდილობს მომავლის მნიშვნელობა სხვა საშუალებებითაც გამოხატოს. ესენია:

(1) „sein + Partizip I“

*Ioh altquena thî ni ist thir kind berantu* („Und deine alte Frau wird dir ein Kind gebären“).

(2) „werden + Partizip I“

*Inti nu wirst du swîgênti* („Und jetzt wirst du stumm werden“).

(3) „wollen/sollen+Infinitiv“

*Berga ȝ culun swinnan* („Berge werden /sollen schwinden“)

(4) დასრულებული მნიშვნელობის პრეფიქსები, ძირითადად „*gî* → *ge*“: *Stên ni kistentit* („Der Stein wird nicht halten“). *Ich gemache in vollen kragen* („Ich werde ihnen den Hals schon voll stopfen“).

XII—XIV საუკუნეებში საგრძნობლად აქტიურდება მოდალურ-ზმნიანი ფორმები, ხოლო XIII საუკუნიდან ვრცელდება აგრეთვე „werden“-იანი კონსტრუქცია, რომელიც ამ პერიოდში კვლავ მიმდებარება I-ის საშუალებით იწარმოება:

*Diu werdent mîn stimme hoerend* („Sie werden meine Stimme hören“).

მხოლოდ XIV—XV საუკუნეებში მიმდებარება ნაცვლად ჩნდება ინფინიტივი:

Sêlic sint, die reiniu herze habent, wan sie unser werdent sehen („Selig sind diejenigen, die ein reines Herz haben, denn sie werden uns sehen“).

როგორც მეცნიერების ერთი ნაწილი ვარაუდობს (ვ. ჟირმუნსკი), ინფინიტივი განვითარდა მიმღეობა I-სგან ასიმილაციის გზით:  $nd \rightarrow nn$ : sehende  $\rightarrow$  sehene  $\rightarrow$  sehen, ანუ, სხვაგვარად თუ ვიტყვით, მოხდა მიმღეობა I-ის ფონეტიკური გარდაქმნა (რის შედეგადაც იგი დაემთხვა ინფინიტივის ფორმას) და არა მიმღეობის შენაცვლება ინფინიტივით.

თავდაპირველად ამ კონსტრუქციას მოქმედების დაწყების მნიშვნელობა ჰქონდა. ეს მნიშვნელობა მან დიდხანს შეინარჩუნა: XVI საუკუნეშიც კი გვხვდება ამ ლექსიკურ-გრამატიკული შინაარსით შეპირობებული მისი წარსულში ხმარების შემთხვევები („Moses aber ward zittern“ /Luther/ — „მოსეს კანკალი აუტყდა /მოსე აკანკალდა“). სწორედ ამ მნიშვნელობასთან არის დაკავშირებული „werden“-დამხმარე ზმნის მონაწილეობა კონდიციონალისის ფორმების ჩამოყალიბებაში („ich würde sagen“ — „მე ვიტყვოდი“), რომელიც XIV საუკუნეში იწყებს განვითარებას, ხოლო XV—XVI საუკუნეებში ფართოდ გავრცელებული მოვლენაა:

Wäre mein Reich von dieser Welt, meine Diener würden darob kämpfen („Wenn mein Reich in dieser Welt wäre, so würden meine Diener darum kämpfen“).

მომავლის გამომხატველი აღწერილობითი ფორმები საკმაო ხანს ერთიმეორის პარალელურად იხმარებოდა. მელანქტონი (Melanchton), XVI საუკუნის გერმანული გრამატიკის ავტორი, ლათინურ ფორმას „veniam“ ორგვარად თარგმნის: როგორც „ich werde kommen“ და „ich will kommen“. ამასთან, ჩრდილოეთ გერმანიაში ჰარბობდა მოდალურზმნიანი ფორმები, ხოლო სამხრეთში — „werden“-იანი.

გერმანულ სალიტერატურო ენაში, სხვა გერმანიკული ენებისაგან განსხვავებით (ინგლისური, პოლანდიური, შვედური), მოდალურზმნიანი კონსტრუქციის გრამატიზაცია არ მომხდარა. დროის კატეგორიულ ფორმად ჩამოყალიბდა მხოლოდ „werden“-იანი კონსტრუქცია. მაგრამ როგორც ერთი, ისე მეორე კონსტრუქციის გრამატიკული შინაარსი დღესაც გულისხმობს მოდალური და მომავალი დროის მნიშვნელობათა თანაარსებობას. ამასთან, პირველ შემთხვევაში განმსაზღვ-

რელია მოდალური მნიშვნელობა, მინიშნება დროზე როგორც აუცილებელზე, შესაძლოსა თუ სასურველზე, მეორადია: „Damit soll ich wohl bald fertig werden“ — „ამას, ალბათ, მალე დავამთავრებ“. ამავე დროს თანამედროვე ენაში არის შემთხვევები, როდესაც მოდალური ზმნა („wollen“) „მოქმედების დაწყებას“ აღნიშნავს, რაც აშკარად დროის მნიშვნელობის კომპონენტის გააქტიურებაზე მეტყველებს და მას „werden“-ზმნასთან აახლოვებს: „Es will regnen“ = „Es wird gleich regnen“.

„werden“-იან ფორმაში კი, ცხადია, დროის მნიშვნელობაა წამყვანი, თუმცა მოდალურობაც საკმაოდ მკვეთრადაა გამოხატული (მღრ.: „Ich liebe dich und werde immer lieben“ / „მიყვარხარ და მუდამ მეყვარები“ / და „Er wird krank sein“ / „ალბათ, ავდაა“ /).

„werden“-იანი ფორმა, მართალია, დამკვიდრდა სალიტერატურო ენაში, მაგრამ იგი დღემდე წიგნურ ელფერს ინარჩუნებს. დიალექტებსა და სასაუბრო ენაში მყოფადის გამოსახატავად კვლავაც პრეზენსი იხმარება.

XVI საუკუნიდან ვითარდება აგრეთვე ფუტურუმ II. XVII საუკუნეების გრამატიკებში იგი უკვე შეტანილია ზმნის პარადიგმაში.

ფუტურუმისა და კონდიციონალისის ფორმების განვითარებით გერმანული ენის ზმნის მორფოლოგიურ წყობაში დასრულდა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ტენდენცია — გრამატიკულ მნიშვნელობათა სინთეზური გამოხატვიდან ანალიზურ გამოხატვაზე გადასვლა, რის შედეგადაც საბოლოოდ ჩამოყალიბდა ზმნური პარადიგმის თანამედროვე სისტემა.

### დამოუკიდებელი სამუშაო

და ვ ა ლ ე ბ ა 1. შეავსეთ სალექციო მასალა შემდეგი ინფორმაციით:

(I) ლექსიკური ფონდის გამდიდრება ადრეულ ახალგერმანულ პერიოდში

ადრეული ახალი გერმანულის სიტყვათა შედგენილობის განვითარებაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა რეფორმაციისა და გლუხთა ომის პოლიტიკურმა ბრძოლებმა, ვაჭრობისა და მრეწველობის გაფართოებამ, საზოგადოებრივი ცხოვრების, მეცნიერებისა და ხელოვნების ახალი სფეროების ჩამოყალიბებამ.



ლექსიკის განვითარება აღნიშნულ პერიოდში ძირითადად ორი მიმართულებით ხდებოდა. აქედან პირველი უკავშირდებოდა გამოჩენილ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა საქმიანობას, ხოლო მეორე — სიტყვათა სესხებას.

იმ პირთა შორის, რომელთა საქმიანობამაც გავლენა იქონია გერმანული ენის ლექსიკური ფონდის გავრცობა-გაღრმავებაზე, მარტინ ლუთერს განსაკუთრებული ადგილი უკავია. საქმე ის არის, რომ ბიბლიის თარგმნისას მის წინაშე მრავალი ლექსიკური ხასიათის პრობლემა დგებოდა, რის გამოც მას ურთულესი სამუშაოს ჩატარება უხდებოდა: ეძიებდა რა ზუსტ შესატყვისებს, იგი ერთი მხრივ მიმართავდა შუა საუკუნეების სასულიერო და დიდაქტიკურ ლიტერატურას და ააქტიურებდა მის ლექსიკას, ხოლო მეორე მხრივ — საკუთარი ენობრივი ალღოთი ხელმძღვანელობდა და ახალ ლექსიკას ქმნიდა. მისი წყალობით შევიდა ენაში ისეთი სიტყვები და გამოთქმები, როგორცაა Muttersprache, Sündenbock, Hochmut, durch die Finger sehen, ein Dorn im Auge და მრავალი სხვა. მისივე წყალობით ახალი შინაარსით შეივსო და ჩვენამდე მოაღწია ისეთმა სიტყვებმა, როგორცაა Glaube, Gnade, gerecht, fromm, Einfluß, geistreich, wohlgefällig და სხვ.

თუმცა სიტყვების შერჩევისას მარტინ ლუთერი ანგარიშს უწევდა გერმანული ენის ლექსიკური ფონდის ტერიტორიულ-დიალექტურ დანაწევრებას, მისი ენა მაინც რამდენადმე გაუგებარი იყო გერმანიის სხვადასხვა რეგიონის მცხოვრებთათვის. ამიტომ ლუთერის ბიბლიას ხშირად ერთვოდა საგანგებო ლექსიკონები, რომლებიც თავის მხრივ ცხადყოფენ, თუ რაოდენ დიდი იყო განსხვავება ლექსიკის სფეროში ცალკეულ დიალექტებს შორის. ასე, მაგალითად, 1523 წელს ბაზელში გამოცემულ ლუთერის ბიბლიას ახლავს 200 სიტყვის ახსნა „ზემოგერმანულად“ („oberdeutsch“): beben-bidmen, flicken-bletzen, gefess-geschirr, hügel-bühel, lippe-lefze, schmücken-zieren, teppich-gautter,

---

<sup>2</sup> ბიბლიის გამომცემელი ადამ პეტრი (Adam Petri) სიტყვანის წინათქმაში ამბობს: „Lieber Christlicher Leser, So ich gemerckt hab, dass nit yederman vers'on mag ettlliche wört der im yetzt gründtlichen verteutschten neuwen testamenti. doch die selbigen wörtter nit on schaden hetten mögen verwandelt werden, hab ich lassen die selbigen auff unser hoch teutsch' aufsetzen und ordentlich in ein klein register wie du hie sihest, fleißlich verordnet“.

trene-zehere, ersaufen-ertrinken, quelen-peinigen და სხვ. ამ რამდენიმე სიტყვის მაგალითზედაც კი ნათლად ჩანს, რომ შემდგომ ენაში სწორედ ლუთერისეული ვარიანტი დამკვიდრდა. თუმცა არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ენამ ორივე სიტყვა შეინარჩუნა — ლუთერისეულიც და მისი ტერიტორიული დუბლეტიც.

სიტყვათსესხება ადრეულ ახალ გერმანულში კვლავ ძირითადად ლათინურიდან ხდებოდა. სესხების სფეროები იყო უმთავრესად რელიგია, მეცნიერება, საზოგადოებრივი ცხოვრება და ა. შ.: Requiem, Prozession, Text, Materie Logik, Patient, Rezept, Dekret, Advokat და სხვ. ვაჭრობის სფეროს სიტყვები იტალიურიდან შემოდიოდა, ხოლო სამხედრო საქმისა—იტალიურიდან და ესპანურიდან: Bank, Kasse, Kredit, Kapital, Risiko; Kanone, Alarm, Arsenal, Granate, Soldat, Brigade, Kavallerie და სხვ.

ნახესხებ სიტყვებთან ერთად გერმანულში შემოვიდა ლათინური წარმოშობის სუფიქსებიც: -ant, -ent, -enz, -ion, -at და გააქტიურდა ზმნური სუფიქსი „ieren“.

ამ პერიოდის ლექსიკურ სისტემაში ყურადღებას იქცევს სიტყვაწარმოებითი სიახლეებიც. განსაკუთრებით შესამჩნევია სიტყვათა თხზვის ზვედრითი წონის ზრდა. სწორედ ადრეულ ახალ გერმანულში შეიქმნა ისეთი კომპოზიტები, როგორცაა Landesfürst, Sonnenschein, Vaterland, Hilfsmittel, Hochzeitsfest, Göttertrank და მრავალი სხვა, თუმცა მათი დამწერლობა ბევრად გვიან დადგინდა (შედრ.: sunnen schyn; Vater Land და ა. შ.).

## (2) ადრეული ახალი გერმანულის ორთოგრაფიის შესახებ

ადრეულ ახალ გერმანულს ჯერ კიდევ მოუწესრიგებელი ორთოგრაფია ჰქონდა: რეგულარულად არ აღინიშნებოდა უმლაუტი, ერთსა და იმავე ფონემას რამდენიმე გრაფიკული ნიშანი შეესაბამებოდა (მაგალითად, i და y აღნიშნავდა i-ს, u და v—u-ს და ა. შ.), ადგილი ჰქონდა თანხმოვანთა გაუპართლებელ თავმოყრას (anin, hillff, unndt) და სხვ. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ პერიოდში ხდებოდა აღნიშნული ორთოგრაფიული სიჭრელის დაძლევა — ამით, უპირველესად, გამოცემლობები და კანცელარები იყო დაინტერესებული. ამასთან თითოეული მოვლენა ნორმალიზაციის საკუთარ გზას გადიოდა. ქვემოთ

გამოვყოფთ მხოლოდ ერთ საკითხს, რომელიც ვანსაკუთრებით მნიშვნელოვანია ენის დღევანდელი მდგომარეობის თვალსაზრისით. მხედველობაში გვაქვს არსებითი სახელების ასომთავრულით აღნიშვნის წესის დამკვიდრება.

ასომთავრული როგორც წინადადების დასაწყისის ნიშანი უკვე ძველ ზემოგერმანულში გვხვდება. იგივე ვითარებაა საშუალ გერმანულშიც. ადრეულ ახალ გერმანულში ამ წესის საბოლოო დაკანონება ხდება. ამ პერიოდში ასომთავრული პარალელურად სიტყვის ხაზგასმისთვისაც იხმარება. ამგვარი სიტყვების ძირითადი ნაწილი, ბუნებრივია, არსებით სახელებზე მოდის. თავდაპირველად გრაფიკული აღნიშვნის ეს წესი სავალდებულო ხდება საკუთარი სახელებისათვის, შემდეგ კი იმ სახელებისათვის, რომლებიც საკუთარს უახლოვდება. ასეთებია, მაგალითად, წოდებათა სახელებები (Keiser, Churfürst და მისთ.), პიროვნებათა და კოლექტიურ ცნებათა დასახელებები (Christ, Apostel, Mensch, Welt და მისთ.). ფართოვდება აგრეთვე ასომთავრულის ხმარება პატივისცემის ნიშნად, განსაკუთრებით რელიგიურ სფეროში (Gott, Geist, Herr, Evangelium და სხვ.). რაც შეეხება დანარჩენ არსებით სახელებს, ასომთავრულით აღნიშვნის წესი მათზე მხოლოდ მე-XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან ვრცელდება, თუმც კიდევ დიდხანს გვხვდება ორგვარი დაწერილობა. მხოლოდ XVII საუკუნეში უახლოვდება აღნიშნული ტრადიცია საყოველთაო წესს, ხოლო მისი საბოლოო დაკანონება იოჰან კრისტოფ გოტშედის დამსახურებაა.

ასომთავრულის შემოღებას არსებითი სახელების აღსანიშნავად დიდად შეუწყო ხელი ლუთერის ნაწარმოებებმა: თუ 1532 წლის ბიბლიის გამოცემაში ასომთავრული იხმარებოდა საკუთარი სახელებისა და მაღალი რანგის წარმომადგენელთა სახელების გადმოსაცემად, 1540 წლის გამოცემაში არსებით სახელთა 80% უკვე ასე აღინიშნებოდა, ხოლო 1542 წელს ვიტენბერგში გამოცემულ მის საეკლესიო ნაწარმოებებში თითქმის ყველა არსებითი სახელი ასომთავრულით იწერებოდა. ასე რომ, ამ წესის დანერგვას ლუთერის ნაწერების გამოქვეყნებისას მხოლოდ ათიოდე წელი თუ დასჭირდა.

(3) ძირითადი ხინტაქსური ტენდენციების შემდგომი გამოკვეთა ადრეული ახალი გერმანულისათვის ნიშანდობლივია მნიშვნელოვანი ცვლილებები სინტაქსის სფეროში. დავასახელებთ ძირთად მომენტებს:

1. ადრეულ ახალ გერმანულში საბოლოოდ დადგინდა ატრიბუტული მსაზღვრელისა და საზღვრულის თანამიმდევრობა, კერძოდ, მსაზღვრელის პრეპოზიცია იქცა საყოველთაო ნორმად. პარალელურად გაფორმდა ატრიბუტულ სინტაგმაში სინტაქსური შეთანხმებაც — ზედსართავი სახელის მორფოლოგიურად არამარკირებული ფორმები, რომლებიც როგორც ძველ, ისე საშუალო გერმანულში ძალზე გავრცელებული იყო (მაგალითად, ein edel ritter guot), ადრეული ახალი გერმანულის დასასრულისათვის მთლიანად შეიცვალა ფლექტიური ფორმებით:

Der trügige vater ginc zu sente Jacobe (Der betrübtte Vater ging zum heiligen Jakob).

Das will ich mit lieben und güten frunden brauchen (Ich will das zusammen mit meinen lieben und guten Freunden genießen).

2. ადრეულ ახალ გერმანულში კიდევ უფრო გამოიკვეთა შემასმენლის სინტაქსური პოზიცია. მარტივ თხრობით წინადადებაში შემასმენლის ხმარება მეორე ადგილზე დაკანონდა:

In deme selben closter was ein munich gar gutes lebens (In demselben Kloster war ein Mönch, der das Leben eines Gerechten lebte).

Es kriegeten zwêne meister mit einander (Es haderten zwei Meister miteinander).

ეს წესი სავალდებულო გახდა ყველა პროზაული ქანრისათვის. ამით საბოლოოდ გამოიკვეთა აღნიშნული სინტაქსური ტენდენცია, რომელიც ჯერ კიდევ ძველ ზემოგერმანულში შეიმჩნეოდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, შემასმენლის პოზიციის განმსაზღვრელი პროცესი ამ პერიოდში დასრულებულად ვერ ჩაითვლება — ჯერ კიდევ არ ჰქონდა მყარი ადგილი რთული შემასმენლის სახელად ნაწილს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული ზმნური ჩარჩოს ჩამოყალიბება — სრული და არასრული ჩარჩო გვერდიგვერდ გვხვდებოდა:

Es sollent ouch alle fryen einem lantgrafen gehörsam sîn (Es sollen auch alle Freien dem Landgrafen Gehorsam leisten).

Er warf den lichamon in die flamen und wolde in verbrennen in dem vuire (Er warf den Leichnam in die Flammen und wollte ihn im Feuer verbrennen).

ზმნური ჩარჩოს დაკანონება რამდენადმე მოგვიანებით, XVII—XVIII საუკუნეებში მოხდა. ამავე პერიოდს განეკუთვნება შემასმენლის ადგილის დადგენაც ქვეწყობილ წინადადებაში.

3. მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ადრეულ ახალ გერმანულში აგრეთვე უარყოფასთან დაკავშირებით. ამ პერიოდში ძველი ზემოგერმანული „ni“ (საშუალო გერმანული „ne“) თანდათანობით შეცვალა „nicht“ ნაწილაკმა, რომელიც ისტორიულად „niowicht“ (nichts) უარყოფით ზმნიზედას უკავშირდებოდა და რომელიც თავდაპირველად „ni“/„ne“ უარყოფის გასაძლიერებლად იხმარებოდა.

საშუალოგერმანულში:

Wârumbe negêst du niht ze dem lande? (Warum gehst du nicht zum Ufer?).

შემდგომში „nicht“ უარყოფამ სრულიად განდევნა ძველი სუსტად ქდერადი ნაწილაკი „ne“. პარალელურად განხორციელდა ორმაგი უარყოფის შეცვლა ერთიანი უარყოფით:

Alda was niemen mêre (Da war niemand mehr).

ამრიგად, უკვე ადრეულ ახალ გერმანულში ჩამოყალიბდა თანამედროვე ენისათვის დამახასიათებელი უკუთქმითი წინადადების ორი მოდელი:

1) „nicht“ ნაწილაკით: Er hat es nicht gemacht.

2) უარყოფითი ნაცვალსახელით ან ზმნიზედით: Er hat es niemals gemacht; Niemand hat es gemacht.

4. საქმიანი პროზის განვითარებამ აღნიშნულ პერიოდში დიდად შეუწყო ხელი დამოუკიდებელი წინადადების ახალი ტიპების წარმოქმნას, რამაც თავის მხრივ შესაბამისი კავშირების ჩამოყალიბება გამოიწვია. ენის განვითარების ამ მონაკვეთში დიდი როლდენობით შეიქმნა კავშირები, მათ შორის ისეთებიც, რომლებმაც შემდგომში შეუწყეს ხელი დამოკიდებულ წინადადებათა ერთიანი სისტემის დახვეწას. ესენია: dazu, daneben, darauf, darum, daher, deswegen, dennoch, dagegen, entweder... oder, folglich, hingegen, gleichwohl, indessen,

aber, andernfalls, nichtsdestoweniger, nicht nur... sondern auch, sodann, allein, sonst, weder... noch, zwar და მრავალი სხვა.

დავალება 2. გაეცანით მარტინ ლუთერის გამონათქვამებს საკუთარი შოლვაწეობის, თანადროული ენობრივი სიტუაციისა და თარგმნის საკითხების შესახებ და გაავრცეთ მათ საფუძველზე სალექციო მასალა:

(1) „Wir wollen nicht der Papisten schuler noch jünger, sonder yhre meister und richter sein... Sie sind doctores? Ich auch. Sie sind gelert? Ich auch. Sie sind Prediger? Ich auch. Sie sind Theologi? Ich auch. Sie sind Disputatores? Ich auch. Sie sind Philosophi? Ich auch... Sie schreiben bücher? Ich auch. Und wil weiter rh̄men: Ich kan Psalmen und Propheten außlegen. Das können sie nicht. Ich kan dolmetzchen, das können sie nicht. Ich kan die heiligen schrift lesen. Das können sie nicht. Ich kan biten („beten“). Das können sie nicht... (Sendbrief vom Dolmetschen).

(2) „Ich hab keine gewisse, sonderliche, eigene Sprache im Teutschen, sondern brauche der gemeinen Teutschen Sprach, daß mich beyde, Ober—vnd Niederländer verstehen mögen. Ich red nach der sächsischen Cantzeley, welcher nachfolgen alle Fürsten vnd Könige im Teutschlande... Darum ists auch die gemeinste Teutsche Sprach“.

„Die oberländische Sprache ist nicht die rechte deutsche Sprache, nimmt den Mund voll und weit, und lautet hart. Aber die sächsische Sprache gehet fein und leicht ab“.

„Deutschland hat mancherley Dialectos, Art zu reden, alß, daß die Leute in 30 Meilen Weges einander nicht wol können verstehen. Die Oesterreicher und Bayern verstehen die Thüringer und Sachsen nicht, sonderlich die Niederländer“ (Tischreden).

3) „Man mus nicht die buchstaben inn der lateinischen sprachen fragen, wie man sol Deutsch reden, wie diese esel [seine Gegner] thun, sondern man mus die mutter jm hause, die kinder auff der gassen, den gemeinen man auff dem marckt drumb

fragen und den selbigen auff das maul sehen, wie sie reden, und darnach dolmetzchen, so verstehen sie es vnd mercken, das man Deutsch mit jn redet“ (Sendbrief vom Dolmetschen).

(4) „Ich hab mich des geflissen ym dolmetzchen, das ich rein und klar teutsch geben möchte. Und ist uns offft begegnet, das wir vierzehen tage, drey, vier wochen haben ein eyniges wort gesucht und gefragt, habens dennch zu weilen nicht funden“.

„Als wenn Christus spricht: 'Ex abundantia cordis os loquitur'. Wenn ich den Eseln sol folgen, die werden mir die buchstaben furlegen und also dolmetzchen: 'Auß dem Vberflus des hertzen redet der mund' Sage mir, Ist das deutsch geredt? Welcher deutsche verstehet solchs?... sondern also redet die mutter ym haus vnd der gemeine man: 'Wes das hertz vol ist, des gehet der mund vber', das heist gut deutsch geredt, des ich mich geflissen und leider nicht all wege erreicht noch troffen habe. Denn die lateinischen buchstaben hindern aus der massen seer, gut deutsch zu reden“.

„Nu es (die Bibel) verdeuscht vnd bereit ist, kans ein jeder lesen vnd meistern. Leufft einer itzt mit den augen durch drey odder vier bletter, und stösst nicht ein mal an, wird aber nicht gewar, welche wacken und klötze da gelegen sind, da er itzt vber hin gehet, wie vber ein gehoffeltes bret, da wir haben müst schwitzen vnd vns engsten. ehe denn wir solche wacken vnd klötze aus dem wege reumeten... Ah, es ist dolmetzchen ja nicht eines iglichen kunst...; es gehöret dazu ein recht frum, treu, vleisig, forhtsam, Christlich, geleret, erfarn, geübet hertz...“ (Sendbrief vom Dolmetschen).

დავალება 3. ქვემოთ მოცემულია ორი ნაწყვეტი ბიბლიიდან (მათე, 21, 12—17). ერთი მათგანი აღებულია ე. წ. „მენტელის ბიბლიიდან“. იგი დაიბეჭდა სტრასბურგში 1466 წელს იოჰან მენტელის (Johann Mentel/Mentelin) სტამბაში. ეს პირველი გერმანული ნაბეჭდი ბიბლია იყო. მეორე ნაწყვეტი მარტინ ლუთერის ბიბლიის 1546 წლის გამოცემიდან მოგვეყავს:

12. Vnd ihesus gieng in den tempel gotz vnd warff aus von dem tempel alle verkauffer und kauffer; vnd verket die tisch der wechler; vnd die stule der die do verkaufften die tauben.

13. vnd er sprach zuo in. Es ist geschriben; mein haus ist geroufen ein haus des gebets; wann ir habt es gemacht ein gruob der diebe.

14. Vnd die blinden vnd die lamen genachten sich zuo im in dem tempel; vnd er gesunt sy.

15. Wann die fursten der pfaffen vnd die schreiber die sachen die wunder die er tet; vnn die kind rieffen im tempel vnd sprachen; osanna der sun dauids; sy verunwurdigtens.

16. vnd sprachen zuo im. Hörs-tu waz dise sagent? Wann ihesus sprach zuo in. Ia, Lasst ir denn nit wann du hast volmacht das lob von dem munde der kinde und der saugenden?

17. Er ließ sy vnd gieng aus auswendig der stat in bethania; vnd belaub do und lert sy von dem reich gotz.

12. Vnd Jhesus gieng zum tempel Gottes hin ein, vnd treib er aus alle Verkeuffer und Keuffer im Tempel, vnd sties vmb der Wechsler tische, und die stüle der Taubenkremer.

13. Vnd sprach zu jenen, Es stehet geschriecen. Mein Haus sol ein Bethaus heissen. Ir aber habt eine Mördergruben draus gemacht.

14. Vnd es giengen zu jm Blinden vnd Lamem im Tempel, vnd er heilete sie.

15. Da aber die Hohenpriester vnd Schrifftgelerten sahen die Wunder, die er thet, vnd die Kinder im Tempel schreien und sagen, Hosianna dem son David, wurden sie entrüstet.

16. vnd sprachen zu jm, Hörestu auch was diese sagen? Jhesus sprach zu jnen, Ja, Habt jr nie gelesen, Aus dem munde der Vnmündigen vnd Seuglingen hastu Lob zugericht?

17. Vnd er lies sie da, vnd gieng zur Stadt hinaus gen Bethanien, vnd bleib dasselbst.

შეუღარეთ ტექსტები ერთმანეთს ენობრივი თვალსაზრისით! გა-  
მოთქვიტ აზრი გერმანული ენის ცნობილი სპეციალისტის ჰანს ეგერ-  
სის შემდეგ სიტყვებზე:



„Diese... parallel abgedruckten Texte sprechen für sich selbst; es ist nicht zuviel gesagt, daß erst Luther den Deutschen ihre Bibel geschenkt hat“.

დავალება 4. მოცემული ტექსტებიდან ერთი მარტინ ლუთერის ხელნაწერია (1530), მეორე — მისი ნაბეჭდი ვარიანტი (1557). შეადარეთ ეს ტექსტები ერთმანეთს და იმსჯელეთ იმის თაობაზე, თუ რა ორთოგრაფიული ცვლილებები მოხდა დროის იმ მონაკვეთში, რომელიც ამ ორი ტექსტის ფიქსირებას აშორებს:

Vom hunde

Es lieff ein hund durch ein wasser strom vnd hatte ein stuck fleischs ym maul. Als er aber den schemen vom fleisch ym wasser sihet, wehnet er, Es were auch fleisch vnd schnappet gyrig darnach. Da er aber das maul auffthet, enfiel yhm das stuck fleischs vnd das wasser furets weg. Also verlor er beyde fleisch vnd schemen.

Vom Hunde m Wasser

Es lieff ein Hund durch einen Wasserstrom vnd hatte ein stück Fleisch im Maule. Als er aber den schemen vom Flesch im Wasser sihet, wehnet er, es were auch Fleisch vnd schappet girig darnach. Da er aber das Maul auffthet, empfiel jm das stück Fleisch vnd das Wasser füret weg. Also verlor er beide, das Fleisch vnd schemen.

დავალება 5. გაეცანით პროტესტანტულ რელიგიურ ჰიმნს, რომლის ტექსტი და მელოდია მარტინ ლუთერს ეკუთვნის:

Der XLVI. Psalm

Deus noster refugium et virtus.<sup>3</sup>

Ein feste Burg ist unser Gott,

Ein gute Wehr und Waffen.

Er hilft uns frei aus aller Not,

Die uns itzt hat betroffen.

Der alte böse Feind

Mit Ernst er's itzt meint,

Groß Macht und viel List

Sein grausam Rüstung ist,

Auf Erd ist nicht seinsgleichen.

3 „ღმერთი ჩვენი თავშესაფარი და სიმტკიცე“.

Mit unser Macht ist nichts getan,  
Wir sind gar bald verloren,  
Es streit für uns der rechte Mann,  
Den Gott hat selbs erkoren.  
Fragst du wer der ist?  
Er heißt Jesu Christ,  
Der Herr Zebaoth,<sup>4</sup>  
Und ist kein ander Gott,  
Das Feld muß er behalten.

Und wenn die Welt voll Teufel wär  
Und wollt uns gar verschlingen,  
So fürchten wir uns nicht so sehr,  
Es soll uns doch gelingen.  
Der Fürst dieser Welt,  
Wie saur er sich stellt,  
Tut er uns doch nicht.  
Das macht er ist gericht,  
Ein Wörtlein kann ihn fällen.

Das Wort sie sollen lassen stahn  
Und kein Dank dazu haben,  
Er ist bei uns wohl auf dem Plan  
Mit seinem Geist und Gaben.  
Nehmen sie den Leib,  
Gut, Ehr, Kind und Weib,  
Laß fahren dahin,  
Sie haben's kein Gewinn,  
Das Reich muß uns doch bleiben.

დავალება 6. ქვემოთ მოცემულია ნაწყვეტები საშუალებერ-  
მანული ტექსტებიდან. დაადგინეთ, რომელი ხმოვანი და დიფთონგი  
შეიცვალა ადრეულ ახალ გერმანულში და რა სახის ცვლილებაა მომ-  
ხდარი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში:

- (1) In himelriche ein hûs stât  
ein guldin wec da rin gât.

<sup>4</sup> Herr Zebaoth—jüdischer Gottesname: Gott (Herr) der himmlischen Heer-  
scharen.

- (2) An dem österlichen tage  
dô stuont sich Krist ûz dem grabe.
- (3) Ich suochte guoter friunde rât:  
der aller beste hât mir noch geraten niht zu wol.
- (4) Swel man ein guot wîp hât  
und zainer anderer gât,  
der bezeichent daz swin,
- (5) Of der linden ôbené  
dâ sanc ein kleinez vogellin,  
vor dem walde wart es hût:  
dô huop sich aber daz herze mîn  
an eine stat da'z ê dâ was.

დავალება 7. ქვემოთ მოცემულია ურთიერთშესატყვისი ლექსემების მორფოლოგიური დანაწევრება ძველ ზემოგერმანულსა და თანამედროვე ენაში. დაადგინეთ, რა მორფოლოგიურ შინაარსს შეიცავს ყოველი ელემენტი და რა მსგავსება-განსხვავებაა ამ თვალსაზრისით ძველს და ახალ ფორმებს შორის:

ძვ.	აგ.	
gest-i-m	Gäst-e-n	(D. Pl.)
bint-i-t	bind-et	(3 P. Sg.)
mahh-ô-t-a	mach-te	(1—3 P. Sg.)
leb-ê-n	leb-en	(Inf.)
gi-leg-i-t	ge-leg-t	(Part. II)
tag-â	Tag-e	(N.—A. Pl.)
blet-ir-o	Blätt-er	(G. Pl.)
tag-e	Tag-e	(D. Sg.)

ინდივიდუალური დავალება:

ლიდი გერმანელი რეფორმატორისა და ენის ნორმალიზატორის მარტინ ლუთერის მოღვაწეობას უფრო დაწვრილებით შეგიძლიათ გაეცნოთ ნაშრომში:

Eggers H. Deutsche Sprachgeschichte. B. III, Hamburg, 1969.

სალიტერატურო მასალა

1. საერთოგერმანული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების საწყისებთან;
2. გერმანული ეროვნული ენის ნორმალიზაციის პროცესი.

დამოუკიდებელი სამუშაო

1. გერმანული ენის განვითარების ძირითადი ტენდენციების საბოლოო გამოკვეთა თანამედროვე პერიოდში;
2. შემაჯამებელი დავალებები;
3. ინდივიდუალური დავალება.

სალიტერატურო მასალა

1. საერთოგერმანული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების საწყისებთან. გერმანული ენის განვითარების თანამედროვე ეტაპი XVII საუკუნის მეორე ნახევარში იწყება და დღემდე გრძელდება. ეს არის გერმანული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების პერიოდი. აღნიშნულ პროცესში მკაფიოდ იკვეთება საწყისი ფაზა — ის ენობრივი ვითარება, რომელმაც დასაბამი მისცა ერთიანი ენის განვითარებას. მხედველობაში გვაქვს აღმოსავლეთ შუაგერმანული სალიტერატურო ენის (Ostmitteldeutsch; Meißnisch) გავრცელება საქსონიისა და ტიურინგიის ფარგლებს გარეთ, რის შედეგადაც მან თანდათანობით დაკარგა ტერიტორიული ხასიათი, განდევნა სალიტერატურო ენის დანარჩენი ვარიანტები და გერმანიის მნიშვნელოვან ნაწილში საყოველთაო სტატუსი შეიძინა.

აღმოსავლეთშუაგერმანული სალიტერატურო ენის გავრცელება თავდაპირველად ჩრდილოეთისაკენ წარიმართა. ჩრდილოგერმანიაში ამ პერიოდში ვაჭრობის, ღვთისმსახურების, კანცელარიისა და სწავლა-განათლების ენა ქვემოგერმანული იყო: ქვემოგერმანულზე ხდებოდა ოფიციალური დოკუმენტების შედგენა, ქვემოგერმანული ბიბლიის ტექსტს მიმართავდა ეკლესია, ქვემოგერმანულად იწერებოდა სახელმძღვანელოები. აღმოსავლეთშუაგერმანულის შექრა ამ სფეროში არ მომხდარა ერთბაშად და დაუბრკოლებლად; ისევე როგორც არ

შომხდარა მისი გავრცელება ერთბაშად და დაუბრკოლებლად ჩრდილო გერმანიის ყველა რეგიონში, მიუხედავად იმისა, რომ ქვემოგერმანელი მწერლების, სახელმწიფო და რელიგიური მოღვაწეების, ასე ვთქვათ, ზემოგერმანულ ენობრივ ორიენტაციას უკვე დიდი ხნის ტრადიცია ჰქონდა.

ვაკრობის სფეროში აღმოსავლეთშუაგერმანული ვარიანტის გამარჯვება ორ მომენტს უკავშირდებოდა. ეს იყო, ერთი მხრივ, ჰანზის კავშირის დაცემა (სწორედ ჰანზის კავშირის ქალაქები იყო ქვემოგერმანულის უმნიშვნელოვანესი საყრდენი), ხოლო მეორე მხრივ — ლაიფციგის სავაჭრო-ეკონომიკური მნიშვნელობის ზრდა, რასაც თან სდევდა მისი კულტურული ცხოვრების განვითარება. ამგვარ ვითარებას დაერთო ისიც, რომ ჯერ კიდევ ჰანზის კავშირის დაშლამდე ბერლინი გამოეყო ამ ერთობლიობას და დაიწყო სავაჭრო-სამეურნეო და კულტურული ურთიერთობების გაძლიერება ლაიფციგთან. 1500 წელს ლაიფციგის უნივერსიტეტში, რომლის პრესტიჟიც სულ უფრო იზრდებოდა, უკვე 139 ბერლინელი სწავლობდა. ბერლინის კომერციულმა და კულტურულ-საგანმანათლებლო ურთიერთობამ ლაიფციგთან გავლენა მოახდინა ენობრივ სფეროზეც — XVI საუკუნის დასაწყისში ქვემოგერმანული მთლიანად განიღვენა ბერლინის ყველა კანცელარიიდან. ბერლინი ერთ-ერთი პირველი ქალაქი იყო, სადაც აღმოსავლეთ-შუაგერმანულმა გაიმარჯვა.

აღმოსავლეთშუაგერმანული ვარიანტის დამკვიდრებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა რეფორმაციასა და მარტინ ლუთერის მოღვაწეობას. სწორედ მარტინ ლუთერის ბიბლიისა და მისი ფილოსოფიურ-რელიგიური ნაწერების პოპულარობამ დააყენა ჩრდილოგერმანიის განათლებული წრეები აუცილებლობის წინაშე, ეზრუნათ გამარჯვებული რეფორმაციის ენის გავრცელებაზე. ამასთან ლუთერის ბიბლია მთელი პროტესტანტული გერმანიის სამაგიდო წიგნად იქცა და ამან იმდენად შუასუსტა ქვემოგერმანული ბიბლიის მნიშვნელობა, რომ მისი დასტამბვაც კი შეწყდა (იმხანად ბიბლია ქვემოგერმანულზე უკანასკნელად გამოიცა ლუბეკში 1615 წ.. ხოლო ჰამბურგში — 1620 წ.). შუაგერმანულის რელიგიურმა პრესტიჟმა თავისი გავლენა იქონია სკოლაზეც: თუ XV საუკუნის დასასრულს ჩრდილოეთ გერმანიაში სწავლება ქვემოგერმანულზე მიმდინარეობდა, XVI საუკუნის პირველი ნახევრიდან სახელმძღვანელოები იწერება სალიტერატურო ენის შუაგერმანულ ვარიანტზეც, ხოლო 1570 წლიდან აღმოსავლეთშუაგერმანული ამ სფეროში მთლიანად იმარჯვებს.

XVII საუკუნის დასასრულიდან აღმოსავლეთშუაგერმანულმა ვარიანტმა სასაუბრო სფეროშიც შეავიწროვა ქვემოგერმანული, რომელმაც თანდათან სოციალური ელფერი მიიღო — იგი შედარებით დაბალი ფენების მეტყველებას დაუკავშირდა.

ამრიგად, აღმოსავლეთშუაგერმანულმა განდევნა ჩრდილოეთ გერმანიიდან ქვემოგერმანული სალიტერატურო ენა (ლაპარაკია სალიტერატურო სტატუსის მქონე ენაზე, თორემ ქვემოგერმანული დიალექტები დღემდე ხმარებიდან არ გამოსულა). მართალია, შემდგომში იყო ქვემოგერმანულის პრესტიჟის აღდგენის ცდები, მაგრამ ეს ცდები მარცხით დასრულდა. ამდენად, გერმანული ენის ისტორიაში პირველად სალიტერატურო ენამ, რომელიც გარკვეულ რეგიონთან იყო დაკავშირებული და რომლის საფუძველსაც ერთ-ერთი დიალექტი წარმოადგენდა, არა მარტო გადალახა ტერიტორიული შეზღუდულობა, არამედ გაიმარჯვა სალიტერატურო ენის სხვა ვარიანტზე. ეს გამარჯვება კი თავის მხრივ ნიშნავდა, რომ ამიერიდან სწორედ შუაგერმანულს დაეკისრა განსაკუთრებული როლი ერთიანი ეროვნული გერმანული ენის ჩამოყალიბების პროცესში.

დიდი წინააღმდეგობა შეხვდა აღმოსავლეთშუაგერმანულის გავრცელებას სამხრეთ გერმანიაშიც. აქ მას სალიტერატურო ენის ორი ვარიანტი — ალემანური და ბავარიულ-ავსტრიული (ე. წ. საერთოგერმანული) — უპირისპირდებოდა.

ალემანური ვარიანტის განმტკიცებას სამხრეთ-დასავლეთ რეგიონებში დიდად შეუწყო ხელი როგორც შვეიცარიული ქალაქების პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა იზოლირებამ, ისე ადგილობრივი სალიტერატურო ენის ხანგრძლივმა ტრადიციამ და პრესტიჟმა. ეს ვითარება XVII საუკუნის დასაწყისამდე გრძელდებოდა. შემდეგ კი ბაზელის, ციურიხისა და ბერნის კანცელარიებსა და გამომცემლობებში ალემანურმა ვარიანტმა უკან დაიხია და მისი ადგილი ბავარიულ-ავსტრიულმა დაიკავა, რომელიც მძლავრ კონკურენციას უწყევდა აღმოსავლეთ-შუაგერმანულს. ამ კონკურენციას კიდევ უფრო აძლიერებდა საქსონიის პოლიტიკური ბრძოლა ბავარიულ-ავსტრიული ჰეგემონიის წინააღმდეგ.

სალიტერატურო ენების კონკურენციის შედეგობი შესუსტება მჭიდროდაა დაკავშირებული გერმანელი ერის კონსოლიდაციის პროცესთან, რომლის გაძლიერება უკვე XVII საუკუნიდან შეიმჩნევა და რომელიც XIX საუკუნის პირველ ნახევარში მთავრდება. სწორედ ამ დროისათვის იმარჯვებს საბოლოოდ აღმოსავლეთშუაგერმანული, რაც,

თავის მხრივ, დიდად უწყობს ხელს გერმანული ეროვნული ენის ჩამოყალიბებას.

2. გერმანული ეროვნული ენის ნორმალიზაციის პროცესი. როგორც უკვე ითქვა, ზრუნვა ერთიანი გერმანული სალიტერატურო ენის შექმნაზე ჯერ კიდევ XVII საუკუნეში დაიწყო — მაშინ, როდესაც გერმანულ ხალხში იმძლავრა ეროვნული გაერთიანების სურვილმა: დედაენისადმი ინტერესი, მისი პრესტიჟის მიზანსწრაფული ამაღლება გერმანული ეროვნული თვითშეგნების ერთ-ერთ გამოვლინებად იქცა. ამ პროცესში თავისი წვლილი შეიტანეს სხვადასხვა თაობის მწერლებმა, საზოგადო მოღვაწეებმა, გრამატიკოსებმა, ლექსიკოგრაფებმა, ენის თეორეტიკოსებმა

XVII საუკუნეში გერმანული ენის ნორმალიზაციის პროცესს პატრიოტულად განწყობილი ინტელიგენციის წარმომადგენლები, უპირველესად მწერლები და მეცნიერები, წარმართავდნენ.

ამ პერიოდის გერმანული მწერლებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მარტინ ოპიცის (Martin Opitz) მოღვაწეობა. იგი გადაქრითაცხადებდა გერმანული სალიტერატურო ენის ერთიანობის აუცილებლობას და ამის საფუძვლად მარტინ ლუთერის ენას (სალიტერატურო ენის აღმოსავლეთშუაგერმანულ ვარიანტს) მიიჩნევდა. იგი პრაქტიკულადაც ზრუნავდა გერმანული სამწერლო ენის უნიფიცირებაზე: სწორედ მან შეიმუშავა გერმანიაში განსაკუთრებული პოეტური სტილი — ბაროკო. ამ სტილის ძირითადი პირობა იყო ყოფითსა და დიალექტურ მეტყველებაზე უარის თქმა და სუფთა, ლამაზი, ამაღლებული ენის დანერგვა.

აღსანიშნავია, რომ XVII საუკუნეში ძალზე გაფართოვდა ლიტერატურული ქანრების დიაპაზონი: ლირიკული ქანრების გვერდით განვითარდა სატირული და რეალისტური პროზა, ტრაგედია, კომედია. სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა პირველი გერმანული რეალისტური რომანები, მაგალითად, გრიმელსჰაუზენის (Hans Jakob Christoffel von Grimmelshausen) „Der abenteuerliche Simplicissimus“. ლირიკის მაღალფარდოვანი ენისაგან განსხვავებით, ამ ქანრებისათვის დამახასიათებელი იყო სასაუბრო ენა მთელი წლის სოციალური ნაირფეროვნებით.

გერმანული ენის ნორმალიზაციისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ამ პერიოდში ჩამოყალიბებულ ენობრივ საზოგადოებებს (Sprachgesellschaften). პირველ ასეთ საზოგადოებას წარმოადგენდა

„Fruchtbringende Gesellschaft“ (შემდგომ „Palmenorden“). იგი და-  
 არსდა ვაიმარში 1617 წელს. მისი წევრები იყვნენ მეცნიერები, მწერ-  
 ლები, გრამატიკოსები, არისტოკრატიული წრეების წარმომადგენლე-  
 ბი. ამ საზოგადოების ანალოგიით შეიქმნა რამდენიმე საზოგადოება:  
 სტრასბურგში — „Aufrichtige Gesellschaft von der Tannen“ (1633),  
 ჰამბურგში — „Teutschgesinnte Genossenschaft“ (1643), ნიურნ-  
 ბერგში — „Hirten-und Blumenorden“ (1644) და სხვ. ამ საზო-  
 გადოებათა წევრები თარგმნიდნენ გერმანულად მსოფლიო ლიტერა-  
 ტურის უმნიშვნელოვანეს ნიმუშებს, თხზავდნენ ლექსებს, დრამებს,  
 რომანებს, წერდნენ ტრაქტატებს გერმანული ენის შესახებ და გრამა-  
 ტიკებს. მათ ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად მიაჩნდათ უცხოენოვან-  
 ნი (ძირითადად ფრანგული<sup>5</sup>) გავლენის დაძლევა, რომელიც განსაკუ-  
 თრებით შესამჩნევი იყო ლექსიკის სფეროში. მათ ნამდვილი ომი გა-  
 მოუცხადეს უცხო სიტყვებს (ამ საქმეში განსაკუთრებით გამოიჩინა  
 თავი მწერალმა და ენის თეორეტიკოსმა ფილიპ ცეზენმა [Philipp  
 Zesen]). ამ მიმართულებას საგანგებო სახელიც კი ეწოდა — პ უ რ ი-  
 ზ შ ი. პურისტების მიერ შემოთავაზებული სიტყვების დიდი რაოდე-  
 ნობა დამკვიდრდა ენაში. ასეთებია Anschrift (Adresse), Bücherei (Bib-  
 liothek), Tagebuch (Journal), Mundart (Dialekt), Trauerspiel (Tragö-  
 die), Verfasser (Autor), Nachruf (Nekrolog) და სხვ. მაგრამ პურისტები  
 ზშირად ზომიერებას კარგავდნენ და ისეთი სიტყვების შეცვლასაც ლა-  
 მობდნენ, რომლებიც დიდი ხნის წინ დამკვიდრდა ენაში. ამიტომ  
 შემოთავაზებული სიახლეები არცთუ იშვიათად დაცინვის საგნად იქ-  
 ცეოდა ხოლმე. ასეთები იყო, მაგალითად:

„Jungferzwinger“ ნაცვლად „Nonnenkloster“, „Tagesleuchter“ ნაცვ-  
 ლად „Fenster“, „Gesichtserker“ ნაცვლად „Nase“ და სხვ.

განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ამ პერიოდში ენის ნორ-  
 მალიზატორთა მოღვაწეობამ. ენის ნორმალიზაცია (Sprachregelung;  
 Normung der Sprache) — ესაა სანიმუშო ფონეტიკური, გრამატიკუ-  
 ლი და ლექსიკური ფორმების შერჩევა ენობრივი ერთობლიობის ში-  
 გნით არსებული ვარიანტებიდან და მათი კოდიფიცირება გრამატიკებ-  
 ში, ლექსიკონებსა და ცნობარებში. ამგვარი რეგლამენტირების უფ-

<sup>5</sup> ფრანგული კულტურისა და ყოფის გავლენა იმხანად ისეთი დიდი იყო, რომ

ამ ეპოქას „A-la-Mode-Zeit“ ეწოდა.



ლებით უპირველესად სარგებლობენ ენის ნორმალიზატორები (Sprachregler) — გრამატიკოსები, ფონეტიკოსები, ლექსიკოგრაფები, ენის თეორეტიკოსები.

ნორმალიზატორული მუშაობა XVII საუკუნეში გრამატიკისა და ორთოგრაფიის საკითხების მოწესრიგებით დაიწყო. თუმცა პირველი გრამატიკები და ორთოგრაფიული ცნობარები უკვე XVI საუკუნეში გამოიცა, ისინი ძირითადად სასკოლო სახელმძღვანელოებს წარმოადგენდნენ. XVII საუკუნის შრომები კი წინა რიგში სწორედ ენის უნიფიცირების პრობლემას აყენებდნენ. მათი ავტორები მიზნად ისახავდნენ, შეეჩიხათ არსებული ენობრივი ვარიანტებიდან ერთი გრამატიკული ფორმა თუ დამწერლობის ნიმუში და გამოეცხადებინათ იგი საყოველთაო ნორმად.

ამ პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ნორმალიზატორი იყო შოტელი (Justus Georg Schottel). მისი ძირითადი შრომა „Ausführliche Arbeit von der Teutschen Hauptsprache“ (1633) მოიცავდა მორფოლოგიას, სიტყვაწარმოებას, სინტაქსსა და ლექსიწყობას. მანვე შექმნა ლათინურის შესატყვისი მრავალი გერმანული ენათმეცნიერული ტერმინი (მაგალითად, Einzahl, Mehrzahl, Zeitwort და სხვ.) და საფუძველი ჩაუყარა გერმანულ გრამატიკულ ტერმინოლოგიას. ძალზე პოპულარული იყო ამ პერიოდში აგრეთვე ი. ბიოდიკერის (Johann Bödiker) „Grudzüge der Deutschen Sprache“ (1690). სწორედ მან ჩამოაყალიბა პირველად არსებითი სახელის ასომთავრული წერის წესი.

აღნიშნულ სამუშაოს მოპყვა ლექსიკის აღნუსხვისა და ორგანიზაციის ცდებიც, რაც ამ პერიოდში გამოცემულ რამდენიმე ლექსიკოგრაფიულ ცნობარში აისახა.

XVIII საუკუნის დასაწყისის გერმანიისათვის ნიშანდობლივი მძლავრი ეკონომიკური აღმავლობა. სწორედ ამ საფუძველზე გახდა შესაძლებელი განმანათლებლური მოძრაობის (Aufklärung) გაშლა. ეს მოძრაობა ევროპის პროგრესული ქვეყნებიდან მომდინარეობდა და ახალი ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამოვლინება იყო. ეს იყო ანტიფეოდალური მოძრაობა, რომელიც სიკეთისა და სამართლიანობის იდეებს ქადაგებდა და მცენიერული ცოდნის გავრცელებას ესწრაფოდა. გერმანიაში ამ მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ მათემატიკოსი და ფილოსოფოსი კ. ვ. ლაიბნიცი (Christian Wilhelm Leibnitz), იურისტი და ფილოსოფოსი კ. თომაზიუსი (Christian

Thomasius), ფილოსოფოსი ი. კანტი (Immanuel Kant), მათემატიკოსი და ფიზიკოსი ი. ჰ. ლამბერტი (Johann Heinrich Lambert) და სხვ. გერმანული განმანათლებლური მოძრაობის ცენტრში იღვწოდნენ დიდი გერმანელი მწერლები ფ. გ. კლოპშტოკი (Friedrich Gottlieb Klopstock), გ. ე. ლესინგი (Gotthold Ephraim Lessing) და კ. მ. ვილანდი (Christoph Martin Wieland), შემდეგ კი ი. ვ. გოეთე (Johann Wolfgang von Goethe) და ფ. შილერი (Friedrich Schiller). ამ წლებში დიდი იყო აგრეთვე პერიოდული პრესის მნიშვნელობა — სწორედ პრესას მიჰქონდა ხალხთან განმანათლებლობის იდეები. ამ ხანას მიეკუთვნება პრესის არნახული აღმავლობაც — დაარსდა მორალურ-დიდაქტიკური და ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთები, რომლებიც ავრცელებდნენ ცოდნა-განათლებას, უყალიბებდნენ მკითხველს ლიტერატურულ გემოვნებას, აცნობდნენ მას სიტყვაკაზმული მწერლობის სიახლეებს. ამავე პერიოდში ხდება არაერთი საგაზეთო ჟანრის (მათ შორის პოლიტიკური პუბლიცისტიკის) ჩამოყალიბებაც.

XVIII საუკუნის ენის ნორმალიზატორებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ი. კ. გოტშედის (Johann Christoph Gottsched), ი. კ. ადელუნგისა (Johann Christoph Adelund) და ი. ჰ. კამპეს (Joachim Heinrich Campe) მოღვაწეობა.

თავის ნაწერებში გოტშედი გამოთქვამდა აზრს, რომ გერმანული ენის გაერთიანებისა და ნორმირების პროცესი ორ საფუძველს უნდა ეყრდნობოდეს: პირველია აღმოსავლეთშუაგერმანული სალიტერატურო ნორმა (მაისენური) — „die Sprache des Hofes, der in der Mitte des Landes liegt“, ხოლო მეორე — საუკეთესო ანადროული მწერლობის ენა („Man sollte auch den Gebrauch der besten Scribenten [Schriftsteller] zu Hülfe nehmen, um die Regeln einer Sprache festzustellen“). მთელს გერმანიაში ცნობილი იყო მისი ნაწარმოები „Deutsche Sprachkunst, nach den Mustern der besten Schriftsteller des vorigen und itzigen Jahrhunderts abgefasst“ (1748).

ადელუნგის მოღვაწეობა აღსანიშნავია იმით, რომ მან შეაჯამა მის წინამორბედთა მთელი ნორმალიზატორული საქმიანობა, რის საფუძველზეც გამოსცა თავისი ცნობილი ნაშრომი „Umständliches Lehrgebäude der deutschen Sprache“ (1782). ამ ნაშრომს მოჰყვა ხუთტომეული „Versuch eines vollständigen grammatisch-kritischen Wörterbuchs der hochdeutschen Mundart“ (1774.—1786), რომელშიც

მოცემული იყო თითოეული სიტყვის ხმარება, მართლწერა, წარმოთქმა და ფორმაწარმოება. ლექსიკონმა თავისი მნიშვნელობა XIX საუკუნეშიც შეინარჩუნა — სხვებთან ერთად ამ ცნობარით სარგებლობდნენ გერმანული ლიტერატურის კლასიკოსებიც.

ადელუნგი, ისევე როგორც გოტშედი, ნორმალისატორული მუშაობისას ეყრდნობოდა სალიტერატურო ენის აღმოსავლეთმუშაგერმანულ ვარიანტს და შესაბამისი რეგიონის მწერლობის ენას.

მეორე დიდი ლექსიკონის ავტორი იყო იმდროინდელი პროგრესული პედაგოგი ი. კაპპე. კაპპემ გააგრძელა პურისტების საქმე და მრავალ უცხო სიტყვასა თუ გამოთქმას შეურჩია გერმანული შესატყვისი. ამ შრომის შედეგი აისახა მის ძირითად ნაწარმოებში „Wörterbuch der Erklärung und Verdeutschung der unserer Sprache aufgedrungenen fremden Ausdrücke“ (1801—1804). სწორედ მისგან მომდინარეობს ისეთი სიტყვები, როგორცაა Einzelwesen, Feingefühl, Haft, Lehrgang, Minderheit, Mißerfolg, schöngeistig, geeignet, gegenüber, trauen, verwirklichen და მრავალი სხვა.

გერმანული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა გერმანულ ეროვნულ ლიტერატურას, რომლის აღმავლობაც უკავშირდება უპირველესად კლოპშტოკის, ვილანდისა და ლესინგის სახელებს. ამ საქმეში უდიდესი წვლილი შეიტანეს ე. წ. „ქარიშხლისა და შეტვის“ („Sturm und Drang“) მწერლებმა (ჰერდერი, ბიურგერი, ლენცი, გოეთე, შილერი და სხვ.), გერმანული ლიტერატურის კლასიკოსებმა. ეს მწერლები არა მარტო არჩევდნენ უკეთეს სინონიმურ ენობრივ საშუალებებს შორის და განამტკიცებდნენ არჩეული ფორმის პრესტიჟს თავისი ნაწარმოებებით, არამედ ამდიდრებდნენ ენის გამოხატვის საშუალებებს, შეგნებულად მოქმედებდნენ სალიტერატურო ენის უნიფიკაციაზე. გერმანული კლასიკური ლიტერატურის შექმნით დასრულდა ფაქტობრივად გერმანული ეროვნული ენის ფორმირება და დაიწყო ენობრივი განვითარების უახლესი — თანამედროვე — ეტაპი.

XIX საუკუნეში გერმანული ენის მეცნიერული შესწავლისათვის მნიშვნელოვანი პირობები შეიქმნა. უპირველესად უნდა აღინიშნოს ენის თეორიის განვითარება და განსაკუთრებული ინტერესი გერმანული ენის გენეზისა და ისტორიისადმი. ამ სფეროში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ძმები გრიმების ენათმეცნიერულ მოღვაწეობას: იაკობ გრიმმა (Jacob Grimm) გამოსცა ისეთი ფუნდამენტური ნაშრომები

გერმანული. ენის შესახებ, როგორცაა ოთხტომეული „Deutsche Grammatik“ და „Geschichte der deutschen Sprache“, ხოლო ძეგბა ერ-  
თობლივად საფუძველი ჩაუყარეს გერმანული ენის დიდ განმარტებით  
ლექსიკონს „Deutsches Wörterbuch“, რომელზეც შემდგომში არაერთი  
თაობა მუშაობდა და რომელიც მხოლოდ ჩვენი საუკუნის 70-იან  
წლებში დასრულდა.

მთელი XIX საუკუნის მანძილზე აქტუალური რჩებოდა აგრეთვე  
ენობრივი — განსაკუთრებით ორთოგრაფიული და ორთოეპიული —  
ნორმების დაკანონება.

სერიოზული შეცნეირული დავა მიმდინარეობდა იმის თაობაზე,  
თუ რა პრინციპებზე დაყრდნობით უნდა მოგვარებულიყო გერმანუ-  
ლი მართლწერის საკითხები. იაკობ გრიმი ისტორიულ-ეტიმოლოგიური  
პრინციპის მომხრე იყო, ზუდლოფ რაუმერი (Rudolf Raumer) — ფონე-  
ტიკურის, რომელიც დამწერლობის წარმოთქმასთან მაქსიმალურ  
დაახლოებაში მდგომარეობს და ა. შ. 1876 წელს ბერლინში გაიმართა  
პირველი ორთოგრაფიული კონფერენცია, რომელმაც სახელმძღვანე-  
ლოდ ფონეტიკური პრინციპი მიიღო. ამ კონფერენციის უშუალო შე-  
დეგი იყო ფილოლოგისა და პედაგოგის კონრად დუდენის (Konrad  
Duden) მეორე გამოცემული „Orthographisches Wörterbuch der deutschen  
Sprache“. 1902 წელს ბერლინში მეორე ორთოგრაფიული კონფე-  
რენცია ჩატარდა. ამ კონფერენციამ შემოიღო ერთიანი დამწერლობა,  
რომელიც გავრცელდა აგრეთვე ავსტრიასა და შვეიცარიაში და რომე-  
ლიც არსებითად დღემდე ძალაშია. საბოლოოდ დადგენილი წესები  
აისახა დუდენის ლექსიკონის მეორე გამოცემაში (1902).

დიდხანს რჩებოდა მოუგვარებელი ერთიანი წარმოთქმის საკით-  
ხიც. ეს, ერთი მხრივ, განპირობებული იყო დიალექტური განსხვავე-  
ბებით, ხოლო მეორე მხრივ — ენის ზეპირი ფორმის ნორმალიზაციის  
ერთგვარი ჩამორჩენით წერილობით ფორმასთან შედარებით.

ჩერ კიდევ 1803 წელს თავის ნაშრომში „Regeln für Schauspieler“  
გოეთე (იმ დროს ვაიმარის თეატრის დირექტორი) მოითხოვდა დიალექ-  
ტური წარმოთქმის დაძლევის და ე. წ. „სასცენო მეტყველების“  
(Bühnenaussprache) დაწვევას. იგი წერდა: „Wenn mitten in einer  
tragischen Rede sich ein Provinzialismus eindringt, so wird die  
schönste Dichtung verunstaltet und das Gehör des Zuschauers belei-

digt. Daher ist das Erste und Notwendigste für den sich bildenden Schauspieler, daß er sich von aller Fehlern des Dialekts befreie und eine vollständig reine Aussprache zu erlangen suche". მაგრამ ისეთი დიდი მწერლების ნაწარმოებებშიც კი, როგორც გოეთე და შილერია, ცალკეულ შემთხვევებში დიალექტიზმები იკებნება. ასე მაგალითად, სწორედ დიალექტური წარმოთქმის თავისებურებებზე მიუთითებს შემდეგი სიტყვების გარიიჰვა: გოეთესთან — „Freude“ — „heute“, „neige“ — „Schmerzenreiche“, შილერთან — „Finger“ — „Säng.r“, „Kleider“ — „heiter“, „Träne“ — „schöne“ და სხვ.

სანიმუშო წარმოთქმა თავდაპირველად ჩრდილოეთში განვითარდა, სადაც სამწერლო-სალიტერატურო ენა ისე შორს იდგა ადგილობრივი დიალექტის ფონოლოგიური სისტემიდან, რომ მათი აღრევა ფაქტობრივად შეუძლებელი იყო. ჩრდილოგერმანელები სწორ წარმოთქმას დაწერილის მიხედვით სწავლობდნენ და ამით თავს არიდებდნენ სალიტერატურო ნორმიდან გადახრას. ამრიგად, დახვეწილ გერმანულად წარმოგვიდგა „hochdeutsche Sprachform in neiderdeutscher Aussprache“. ქვემოგერმანულ სალიტერატურო წარმოთქმაზე დაყრდნობით ვილჰელმ ფიეტორმა (Wilhelm Viëtor) შეადგინა და 1885 წელს გამოსცა „Deutsches Aussprache-Wörterbuch“, მაგრამ ამით საკითხი არ გადაჭრილა: ერთიანი საწარმოთქმო ნორმის დადგენა მოუხდა სპეციალურ კომისიას, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ თეატრალური მოღვაწეები და მეცნიერები. მათ შეიმუშავეს სასცენო მეტყველების ნორმები, რომლებიც აისახა ამ კომისიის მდივნის პროფ. თეოდორ ზიბსის (Theodor Siebs) წიგნში „Deutsche Bühnenaussprache“ (1898). სალიტერატურო წარმოთქმის ეს ნორმები ძირითადად დღესაც ძალაშია.

XX საუკუნეში ენობრივი განვითარების თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეორე ნახევარი, რომელიც დაიწყო გერმანიის ორ სახელმწიფოდ დანაწევრების შემდეგ. ენობრივი საკითხების მოწესრიგების პროცესი ამ პერიოდში ყოფილ გდრ-სა და გფრ-ში უკვე ცალ-ცალკე მიმდინარეობდა.

50-იანი წლების დასაწყისში ორივე სახელმწიფოში გაისმა ორთოგრაფიული რეფორმის მოთხოვნა. ამ მოთხოვნის მომხრეები ასაბუთებდნენ, რომ კონრად დუდენის მიერ კოდიფიცირებული ნორმები ვეღარ ასახავდნენ ბოლომდე და სრულყოფილად ახალ ენობრივ ვითარებას. 1954 წელს შტუტგარტში შედგა ორთოგრაფიული კონფე-

რენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს გფრ-ის, გდრ-ის, ავსტრიის, ლუქსემბურგისა და შვეიცარიის წარმომადგენლებმა. მაგრამ ე. წ. „შტუტგარტულმა რეკომენდაციებმა“ საყოველთაო აღიარება ვერ მოიპოვა და ვითარება არსებითად არ შეცვლილა.

1954 წლიდან მოყოლებული როგორც გდრ-ში (ლაიფციგი), ისე გფრ-ში (მანჰაიმი) ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ისტამბება დუდენის ორთოგრაფიული ლექსიკონის გადამუშავებული გამოცემები. მათ შორის მცირე განსხვავებებია: სალექსიკონო ერთეულები შეტანილია სხვადასხვა რაოდენობით, შეიმჩნევა არაერთგვაროვანი მიდგომა ორთოგრაფიული ვარიანტებისადმი და სხვ.

რამდენადმე რთულად იდგა და დგას დღესაც ორთოეპიული საკითხები. ჯერ ერთი, საჭირო გახდა ამ პერიოდში მომრავლებული ახალი სიტყვების საწარმოთქმო წესების დადგენა, მეორეც, რამდენადმე შეიცვალა სამეტყველო პრაქტიკაში ცალკეული ბგერების არტიკულაცია. ისე რომ, ახალი ენობრივი რეალობა ზოგჯერ ველარ თავსდებოდა თ. ზიბსის მიერ დადგენილი ნორმების ჩარჩოებში. ამიტომ დადგა ამ ნორმების გადასინჯვის აუცილებლობა.

ორთოეპიული ნორმების გადამუშავება გდრ-ში 60-იანი წლებიდან დაიწყო. შედგა ახალი ლექსიკონის რედაქცია, რომელშიც შევიდნენ თეატრის, კინოს, ტელევიზიის, რადიოსა და სასწავლო დაწესებულებების წარმომადგენლები. რედაქციამ ძირითადად რადიოგადაცემები გააანალიზა. მან დაადგინა, რომ წარმოთქმამ ცოცხალი მეტყველებისას ზოგ შემთხვევაში გადაუხვია თ. ზიბსის მიერ კოდიფიცირებულ ნორმებს. ასე, მაგალითად, ზიბსის მოთხოვნა, რომ „r“ მუდამ თანხმონის არტიკულაციით წარმოითქვას, შეიცვალა წესით, რომლის თანახმადაც გარკვეულ პოზიციაში დასაშვებია მისი ეოკალიზება; შერბილდა ზიბსის მიერ შემუშავებული წესი ბოლოკიდური „e“-ს წარმოთქმის შესახებ — დადგინდა პოზიციები, სადაც შესაძლებელია მისი რედუცირება (erreichen, laufen, zwischen და სხვ.). დადგინდა აგრეთვე უცხო სიტყვებისა და საკუთარი სახელების საწარმოთქმო ვარიანტები. ამით ფაქტობრივად დაკანონდა ის, რასაც ენაში არსებობის უფლება პრაქტიკულად უკვე მოპოვებული ჰქონდა. ყოველივე ზემოთქმული აისახა 1964 წელს ლაიფციგში გამოცემულ ლექსიკონში „Wörterbuch der deutschen Aussprache“. 1969 წელს კი გფრ-ში გაზიარდა დე ბორის (De Boor), მოზერისა (Moser) და ვინკლერის (Winkler) მიერ გადამუშავებული ზიბსის ლექსიკონი სახელწოდებით „Siebs. Deu-

tsche Aussprache. Reine und gemäÙige Hochlautung mit Aussprache-  
wörterbuch“. როგორც სათაურიდან ჩანს, ავტორებმა განასხვავეს იდეა-  
ლური უღერადობა (reine Hochlautung) და ფართო მასების მიერ ამ  
უღერადობის რეალიზაცია (gemäÙige Hochlautung). ამით მათ უსაზღვროდ  
გაუწიეს ანგარიში არსებულ ენობრივ რეალობას.

ორი განსხვავებული იდეოლოგიისა და ადმინისტრაციულ-ეკონო-  
მიკური სტრუქტურის სახელმწიფოს არსებობამ კვალი დააჩნია ამ პე-  
რიოდის გერმანულ ლექსიკასაც. ჭერ ერთი, გერმანულმა ენამ აღმო-  
საველეთში რუსულის დიდი გავლენა განიცადა, ხოლო დასავლეთში —  
ინგლისურისა. მერე წარმოიშვა განსხვავებული პოლიტიკური, საზო-  
გადოებრივი და სამეცნიერო ტერმინოლოგია. ეს განსხვავებები ეხე-  
ბოდა როგორც ახალი — ერთმანეთისაგან განსხვავებული — ერთეუ-  
ლების შესვლას გღრ-ისა და გფრ-ის ენაში, ისე საერთოგერმანული  
ლექსიკური ფონდის სიტყვების მნიშვნელობაში არაერთგვაროვანი  
სოციალურ-პოლიტიკური ნიუანსების გაჩენას. ორივე ქვეყანაში ამ  
საკითხებს მრავალი გამოკვლევა მიეძღვნა. გამოითქვა შეშფოთებაც  
იმის თაობაზე, რომ აღნიშნული განსხვავებები სულ უფრო ღრმავდე-  
ბოდა. მაგრამ აღნიშნავდნენ იმასაც, რომ ეს განსხვავებები ძალზე  
ნაკლებად შეეხო ძირითად ლექსიკურ ფონდს, ენის გრამატიკულ  
და ფონეტიკურ სისტემებს. გღრ-ისა და გფრ-ის გაერთიანებამ ეს პრო-  
ბლემა, ცხადია, მოხსნა.

ცალ-ცალკე მიმდინარეობდა ორ გერმანულ სახელმწიფოში ლექ-  
სიკოგრაფიული მუშაობაც, რომელიც ამ პერიოდში უაღრესად ნაყო-  
ფიერი იყო. მოვიყვანთ ამ მუშაობის ზოგიერთ — განსაკუთრებით  
მნიშვნელოვან — შედეგებს:

1. გღრ-ში გამოიკა გერმანული ენის განმარტებითი ლექსიკონის  
ექვსტომეული: Wörterbuch der deutschen Gegenwartssprache. Hrsg.  
von Ruth Klappenbach und Wolfgang Steinitz. Akademie-Verlag Ber-  
lin. 1969—1978.

2. დასრულდა ძმები გრიმების მიერ დაწყებული ლექსიკონი:  
Deutsches Wörterbuch, In 33 Bd. Von J. und W. Grimm. Leipzig,  
1850—1971.

3. გფრ-ში შეიქმნა გ. ვარიგის განმარტებითი ლექსიკონი:  
G. Wahrig. Deutsches Wörterbuch. Gütersloh, 1975.

4. გვრ-ში გამოვიდა გ. დროზდოვსკის განმარტებითი ლექსიკონის ექვსტომეული: Das Große Wörterbuch der deutschen Sprache. Unter Leitung von G. Drosdowski. Mannheim/Wien/Zürich. 1977—1981.

5) გვრ-ში დამუშავდა ლექსიკონები სერიით „DUDEN“:

ა) ექვსტომიანი განმარტებითი ლექსიკონი: DUDEN—Das große Wörterbuch der deutschen Sprache in 6 Bänden;

ბ) გერმანული ენის ლექსიკონ-ცნობარის ათტომეული: Der Große DUDEN in 10 Bänden;

ტომი 1: Die Rechtschreibung;

ტომი 3: Das Bildwörterbuch;

ტომი 5: Das Fremdwörterbuch;

ტომი 7: Das Herkunftswörterbuch;

ტომი 9: Die Zweifelsfälle der deutschen Sprache

ტომი 2: Das Stilwörterbuch;

ტომი 4: Die Grammatik;

ტომი 6: Das Aussprachewörterbuch;

ტომი 8: Die sinn- und sachverwandten Wörter und Wendungen;

ტომი 10. Das Bedeutungswörterbuch.

6. ცალკე ლექსიკონი მიეძღვნა სასაუბრო ლექსიკას: H. Küpper. Wörterbuch der deutschen Alltagsrede. In 2 Bd., München. 1971.

ჩამოთვლილ ლექსიკოგრაფიულ ცნობარებში მთელი შესაძლო სისრულით აღინუსხა თანამედროვე გერმანული ენის ლექსიკური შედგენილობა, სიტყვათა ხმარების ძირითადი შემთხვევები, უმინშენგლოვანესი გრამატიკული, ფონეტიკური, ორთოგრაფიული, სტილისტური მომენტები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათში კოდიფიცირება ჰპოვა თანამედროვე გერმანულმა ენამ მისი საყოველთაოდ მიღებული ნორმირებული სახით — იმ სახით, რომელსაც ტრადიციულად ეწოდებოდა „Hochdeutsch“, „Hochsprache“, „Bühnendeutsch“, „Literatursprache“, „Nationalsprache“ და რომელიც ამ უკანასკნელ ხანებში აღინიშნება ტერმინით „die deutsche Standardsprache“.



დავლება 1. შეავსეთ სალექციო მასალა შემდეგი ინტორმაციით:

გერმანული ენის განვითარების ძირითადი ტენდენციების საბოლოო გამოკვეთა თანამედროვე პერიოდში

გერმანული ენის განვითარების უახლეს ეტაპზე რამდენადმე დასრულებული სახე მიიღო ყველა იმ ტენდენციამ, რომელიც მთელი მისი ისტორიის მანძილზე მოქმედებდა.

თანხმობანთა სისტემაში:

1) დასრულდა მეორე ბგერათგადაწვევის კანონზომიერებათა დამკვიდრება სალიტერატურო ენაში შუაგერმანული (და არა ზემოგერმანული) ვარიანტის მიხედვით: b—p („bin“ და არა „pin“), g—k („Gast“ და არა „kast“), k—kch („Werk“ და არა „werkch“);

2) შუაგერმანული ფონოლოგიური ტენდენციის თანახმად გაფართოვდა [ ] ფონემის გავრცელების სფერო და ზემოგერმანულისაგან განსხვავებით იგი შეიჭრა „sch, schm, schl, schw“—ბგერათკომპლექსებში („Schwalbe“ და არა „swalb“).

ხმოვანთა სისტემაში:

1) სალიტერატურო ენაში აისახა შუაგერმანულის ისეთი მოვლენა, როგორცაა ხმოვანთა მონოფთონგიზაცია: lieb [i:], gut (შდრ.: ბავარიულ-ავსტრიული lieb [ie], guet, ალემანური liab, guat);

2) ზემოგერმანული ტენდენციებიდან სალიტერატურო ენაში განხორციელდა დიფთონგიზაცია (mein; Haus; deutsch) და დიფთონგების გაფართოება (ein[ae:n], Auge);

3) სიტყვის საწყის და ბოლო მარცვალში შენარჩუნდა „e“ (ე.წ. „ლუთერისეული e“), რაც შუაგერმანული ნორმა იყო და რასაც ეწინააღმდეგებოდა ზემოგერმანული ტრადიცია (შდრ.: „behalten“—„bhalten“, „genommen“—„gnommen“, „Name“—„Nam“ და სხვ.);

4) გაფართოვდა უმლაუტის ხმარება — იგი გავრცელდა იმ შემთხვევებზეც, სადაც მის შემოღებას არც ისტორიულ-ფონეტიკური, არც მორფოლოგიური საფუძველი არ ჰქონია;

საშ. გერმ.		თან. გერმ.
zwelf	—	zwölf
leffel	—	Löffel
leschen	—	löschen
wirde	—	Würde
flistern	—	flüstern

### მ ა რ თ ლ წ ე რ ი ს ს ფ ე რ ო შ ი :

1) მცირე გამონაკლისების გარდა (მაგალითად, Eltern, fertig) წესად დამკვიდრდა უმლაუტის აღნიშვნა იქ, სადაც ამას ეტიმოლოგიური პრინციპი მოითხოვდა;

2) დამწერლობის წესები სრულ შესაბამისობაში მოვიდა ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლის გადმოცემასთან. ასე, მაგალითად, გაუქმდა გაორმაგებული თანხმოვანი იქ, სადაც იგი ხმოვნის სიმოკლეს არ აღნიშნავდა (ზღრ.: oder — ლუთერთან: odder; Tiefe — ლუთერთან: Tiefe); გამოვიდა ხმარებიდან „ie“-ს დამწერლობა იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ხმოვნის სიგრძეზე არ მიუთითებდა (ზღრ.: Licht—ლუთერთან: liecht);

3) საყოველთაოდ გაიმარჯვა არსებითი სახელის ასომთავრულით აღნიშვნის წესმა.

### მ ო რ ფ ო ლ ო გ ი უ რ ს ი ს ტ ე მ ა შ ი :

#### ზ მ ნ ი ს ს ფ ე რ ო შ ი :

1) ენაში შემოსული ახალი ზმნებისათვის დამკვიდრდა სუსტი პარადიგმა (filmen, röntgen, parken, tanken და სხვ.);

2) მოხდა (მცირე გამონაკლისების გარდა) ძლიერი და სუსტი ზმნების ძირითადი ფორმების უნიფიცირება;

3) დამკვიდრდა ზმნის პარადიგმაში ანალიზური ფორმები და დადგინდა მათი შინაარსი (როგორც პარადიგმატული, ისე სინტაგმატური);

4) სინთეტიზმიდან ანალიტიზმზე გადასვლის ტენდენცია გამოიხატა აგრეთვე ე. წ. „აღწერილობითი ფორმების“ მოზღვავებაში: Er ist am Arbeiten; Sein Ansehen ist im Wachsen; Das Theaterstück kommt zur Aufführung; Er bekommt es geschenkt; Er kriegte es gesagt და სხვ.

5) ანალიტიზმისაკენ მისწრაფებამ წარმოშვა აგრეთვე კონიუნქტივის აღწერილობითი ფორმა — კონდიციონალისი: Wenn die Medizin helfen würde, wäre ich froh; Würdest du mir schreiben, wenn du Zeit hättest?

ს ა ხ ე ლ ი ს ს ფ ე რ ო შ ი:

1) მკაცრად დადგინდა ყველა არსებითი სახელის სქესი. რამდენიმე ვარიანტიდან (მაგალითად, die Butter და der Butler, die Finsternis და das Finsternis) ნორმად მიჩნეულ იქნა ერთი;

2) მოხდა მრავლობითი რიცხვის წარმოების უნიფიცირება — ამ შემთხვევაშიც ორი ან მეტი ვარიანტიდან (მაგალითად, die Steine და die Steiner, die Orle და die Örter) უპირატესობა ენიჭებოდა ერთ-ერთს, უმთავრესად იმ ვარიანტს, რომელიც შესაბამისი რიგის (მხედველობაში მიიღებდა სიტყვის სქესი და ფორმა) არსებითი სახელებისათვის უფრო დამახასიათებელი იყო;

3) ხმარებიდან გამოვიდა მდებრობითი სქესის არსებით სახელთა სუსტი ფორმები, რომლებიც ისტორიულად „ი“ ფუძეებს უკავშირდებოდა (მაგალითად, მხოლობითი რიცხვის გენიტისა და ლატივში der Sonnen და der Erden) — მდებრობითი სქესის ყველა არსებითი სახელისათვის სავალდებულო გახდა ერთი პარადიგმა;

4) ზედსართავი სახელის პარადიგმაში დამკვიდრდა ე. წ. „მონოფლექსიურობის პრინციპი“, რომლის თანახმადაც ატრიბუტულ სინტაგმაში არსებითი სახელის მორფოლოგიური კატეგორიების გამოხატვა ეკისრება ერთ-ერთ მსაზღვრელს: starker Tee — der starke Mann — dieser starke Mann — ein starker Mann — mein starker Mann — dem starken Mann — einen starken Mann და ა. შ.

ს ი ნ ტ ა ქ ს უ რ ს ი ს ტ ე მ ა შ ი:

1) შესამჩნევი გახდა წინადადების მოცულობის შემცირების ტენდენცია (თანამედროვე გერმანული წინადადება საშუალოდ 14—18 სიტყვისაგან შედგება, მაშინ როდესაც გოეთესთან ეს კოეფიციენტი 30-ს უდრიდა). ამ ტენდენციასთან მკიდრო ურთიერთკავშირში გამოიხატა მეორე ტენდენციაც (განსაკუთრებით წერით მეტყველებაში) — წინადადების წევრთა ინფორმაციული მოცულობის ზრდა, რაც ძირითადად ნომინალიზაციის<sup>6</sup> საშუალებით მიიღწევა, მაგალითად: die in

6 ნომინალიზაცია — ზმნური შინაარსის გადმოცემა სახელის მეშვეობით.

Berlin weilende Delegation; die in einem Bericht des Ausschusses zur Bekämpfung der Rassenungleichheit in der amerikanischen Hauptstadt wiedergegebene Auskunft;

2) ზმნური ჩარჩოს მკაცრ დაკანონებას სწრაფადვე მოჰყვა უკურეაქცია, რაც მის რღვევაში გამოიხატა, განსაკუთრებით ზეპირმეტყველებასა და მხატვრულ ლიტერატურაში: Ich bin zufrieden mit dir; Er ist nicht zu sprechen vor Glück (Frisch); Sauer war in dem städtischen Straßenbüro untergekommen nach fünf Jahren Arbeitslosigkeit (Seghers);

ს ი ტ ყ ვ ა წ ა რ მ ო ე ბ ი თ ს ი ს ტ ე მ ა შ ი :

1) სიტყვაწარმოებით სფეროში მკვეთრად გამოიხატა ორი ტენდენცია: ისინი ერთი შეხედვით თითქოს ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან, სინამდვილეში კი ორივეს ინფორმაციის შემჭიდროების პრინციპი უდევს საფუძვლად. ორივე ტენდენცია ძირითადად მეცნიერულ, ოფიციალურ და საგაზეთო სფეროში მოქმედებს. პირველია კომპოზიტების მოკულობის ზრდა (ასე, მაგალითად, გაზეთში არცთუ იშვიათია ოთხი-ხუთი სიტყვისაგან შემდგარი კომპოზიტები: Arbeiterwohnungsbau-genossenschaft, Waffenstillstandsabkommen და მისთ.), ხოლო მეორე— აბრევიატურებისა და კომპრესირებული სიტყვაწარმოებითი შესიტყვეების მომრავლება (ასეთებია VR, EWG, UNO, UN-Charta, USA-Kriegsschiffe, 4-Länder-Turnier, 9-Tage-Rennen, Ost-West-Dialog და მისთ.);

2) გამოიკვეთა უკლებლივ ყველა მეტყველების ნაწილის გაარსებითების ტენდენცია: das Schreiben; der Kranke; das Ich; das Wie და ა. შ.

### შემაჯამებელი დავალებები

დავალება 1. ქვემოთ მოცემული ნიმუშები აღებულია ავსტრიელი მწერლის ა. შნიცლერის მოთხრობიდან „Die Frau des Weisen“. რომელი ენობრივი მოვლენები ავლენენ ავსტრიული ვარიანტის თავისებურებებს?

(1) „Wir sind heute am Strand nebeneinander gesessen und haben miteinander gesprochen wie Fremde. Der Bub spielte zu unseren Füßen mit Sand und Steinen.“

(2) „Und das Merkwürdigste ist, seit Friederike in meiner Nähe weilt, scheinen mir jene Tage sogar näher, als die vom heurigen Mai, da ich das Fräulein liebte, das im Juni den Uhrmacher geheiratet hat“.

დავალება 2. უპასუხეთ შეკითხვებს მოცემული ტექსტების მიხედვით! დაასაბუთეთ პასუხები ვრცელი კომენტარით:

(1) „Alles verstehen hieße alles verzeihen? Ich weiß doch nicht. Es gibt etwas, was ich Erkenntnisekel nenne, Lisa-weta“. (Th. Mann, Tonio Kröger).

1. როგორ აიხსნება ისტორიულად ფუძის არაერთგვაროვნება „verstehen“ ზმნის ძირითად ფორმებში: ver-steh-en—ver-stand—ver-standen?

2. რომელ მორფოლოგიურ კლასს მიეკუთვნება ზმნა „weiß“ და როგორაა მოტივირებული ამ კლასის სახელწოდება ისტორიულად?

3. რა ეწოდება ზმნებს, რომელთა რიცხვსაც ეკუთვნის ზმნა „nennen“? რა ნიშნითაა მოტივირებული ეს სახელწოდება ისტორიულად?

(2) „Ich habe dies gern gehört, es hat mir geschmeichelt“. (Th. Mann, Tonio Kröger).

1. როგორ ახსნით ისტორიულად იმ ფაქტს, რომ „habe“ და „hat“ ფორმებს განსხვავებული ფუძეები აქვთ?

2. რა ეტიმოლოგიურ კავშირშია პირის ნაცვალსახელი „ich“ სიტყვასთან „der Egoist“?

(3) „Einsiedler, Wohin willst du aber jetzt?

Simplicius, Ich weiß es wirklich nicht. Ich will hier bei dir bleiben.

E.: Dich hier zu behalten, ist unmöglich. Ist Danach will ich dich wieder zu Leuten führen... Nun geh und iß“!

(H. J. Ch. von Grimmelshausen. Der abenteuerliche Simplizis-simus)

1. რა ნიშნით ერთიანდება ზმნები „weiß“ და „will“ ერთ მორფოლოგიურ კლასში?

2. რით არის განპირობებული ისტორიულად განსხვავებული ფუძისეული ხმოვანი „geh“ და „iß“ ფორმებში?

(4) Wenn zum Beispiel ein Fischlein sich die Flosse verletzen würde, dann würde ihm sogleich ein Verband gemacht, damit es den Haifischen nicht wegstürbe vor der Zeit“ (B. Brecht, Wenn die Haifische Menschen wären).

1. დაახასიათეთ ფორმა „wegstürbe“ მორფოლოგიურად! რა თავისებურება ეკონდება ფუძის გაფორმებისას? ახსენით ეს თავისებურება ისტორიული მონაცემების საფუძველზე!

2. სიტყვას „Zeit“ ანგლოსაქსონურში შეესაბამებოდა „tid“. როგორ აიხსნება ეს შესაბამისობა ისტორიული ფონეტიკის თვალსაზრისით?

(5) „Glaubet mir, Freunde, die große Welt ist nicht für den Weisen, ist nicht für den Dichter! Man kennet da ihren wahren Wert nicht, und ach, sie sind oft schwach genug, ihn mit einem nichtigen zu vertauschen.

In den ersten Zeiten war die Schwalbe ein ebenso tonreicher, melodischer Vogel als die Nachtigall. Sie ward es aber bald müde, in den einsamen Büschen zu wohnen und da von niemand als dem fleißigen Landmanne und der unschuldigen Schäferin gehört und bewundert zu werden. Sie verließ ihre demütigere Freundin und zog in die Stadt. — Was geschah? Weil man in der Stadt nicht Zeit hatte, ihr göttliches Lied zu hören, so verlernte sie es nach und nach und lernte dafür —bauen“. (G. E. Lessing, Die Schwalbe).

1. მონახეთ ზმნები, რომელთა მორფოლოგიური სტრუქტურაც გარდამავალ ნიშნებს შეიცავს! იმსჯელეთ სუსტი ზმნების ფორმალური სტრუქტურის შეცვლის ძირითად კანონზომიერებებზე ძველი შემოგერმანულიდან მოყოლებული დღემდე!

2. გააანალიზეთ ფორმა „ward“!

3. რა მორფოლოგიურ თავისებურებას ავლენს ფორმა „dem Lardmanne“?

4. რა სახისაა უმლაუტი — ფონეტიკური თუ მორფოლოგიური — სიტყვაში „göttlich“?

(6) „Du müßtest nicht meine Tochter sein, nicht die Enkelin Deines in Gott ruhenden Großvaters und überhaupt nicht ein würdig Glied unserer Familie, wenn Du ernstlich im Sinne hättest, Du

allein, mit Trotz und Flattersinn Deine eigenen, unordentlichen Pfade zu gehen“. (Th. Mann, Buddenbrooks).

1. მონახეთ ატრიბუტული სინტაგმა, რომლის მორფოლოგიური ვაფორმებაც არ შეესაბამება დღევანდელ ნორმებს! რა საფუძველი აქვს ამგვარ ვაფორმებს ისტორიულად? რა მიზნით მიმართავს მას ავტორი?

2. სიტყვას „Pfad“ (ძვ. pfad) ინგლისურში შეესაბამება „path“. როგორ აიხსნება ეს შესაბამისობა ისტორიული ფონეტიკის მონაცემების საფუძველზე?

(7) „Die ganze Nacht umsiehen die Ärzte das Lager Lincolns. Morgens nach sieben Uhr stirbt er...“

Vier Tage später umzingelt man das Versteck des Flüchtlingen in einem Gehölz. Er soll gegen die Soldaten geschossen haben, worauf sie das Feuer erwiderten. Da sie sich ihm nähern, atmet er, schwerverwundet, sein Leben aus. „Bringt meiner Mutter meinen letzten Gruß. Was ich getan, tat ich fürs Vaterland, und ich glaube, es war eine gute Tat“. (E. E. Kisch. Paradies Amerika).

1. რომელ უძველეს ფუძეებთან კავშირით აიხსნება შემდეგი არსებითი სახელების მრავლობითი რიცხვის წარმოება: „der Tag—die Tage“, „die Nacht—die Nächte“? მრავლობითი რიცხვის წარმოების რომელ მოდელში ჩაერთო „der Arzt—die Ärzte“, რომელიც ენაში ფორმით „arzât/arzet“ მბოლოდ საშუალ გერმანულში შემოვიდა? რა თვისებრივი სხვაობაა ფორმების „die Nächte“ და „die Ärzte“ გაუმლაუტებას შორის?

2. რით აიხსნება ორი ძლიერი ზმნის განსხვავებული ფორმები: „er steht“, მაგრამ „er stirbt“?

3. რომელ ძველზემოგერმანულ სიტყვაწარმოებით მოდელს უკავშირდება „Gehölz“ და რა ახსნა აქვს ამ მოდელის ფარგლებში ფუძის გაუმლაუტებას?

4. რომელ მორფოლოგიურ კლასს მიეკუთვნება თანამედროვე გერმანულ ენაში ზმნები „bringen“ და „tun“ და რა ვითარებაა ამ თვალსაზრისით ისტორიულად?

და ვ ა ლ ე ბ ა 3. მოცემული პარალელური ნაწყვეტებიდან (იოანე, I, 32—34) პირველი ეკუთვნის ლუთერის ბიბლიის გადამუშავებულ ტექსტს (1964), ხოლო მეორე — სახარების ერთ-ერთ უახლეს თარგმანს (1981). შეადარეთ ეს ნაწყვეტები ერთმანეთს და იმსჯელეთ

იმის შესახებ, თუ რომელმა სინტაქსურმა პროცესებმა მიიღეს თანამედროვე გერმანულ ენაში საბოლოო სახე:

Und Johannes bezeugte und sprach: Ich sah, daß der Geist herabfuhr wie eine Taube vom Himmel und blieb auf ihm, und ich kannte ihn nicht. Aber der mich sandte, zu taufen mit Wasser, der sprach zu mir: Über welchen du sehen wirst den Geist herabfahren und auf ihm bleiben, der ist's, der mit dem heiligen Geist tauft. Und ich sah es und bezeugte, daß dieser ist Gottes Sohn.

Und Johannes bezeugte; Ich sah, daß der Geist vom Himmel herabkam wie eine Taube und auf ihm blieb. Auch ich kannte ihn nicht; Aber er, der mich gesandt hat, mit Wasser zu taufen, er hat mir gesagt: Auf wen du den Geist herabkommen siehst und auf wem er bleibt, der ist es, der mit dem Heiligen Geist tauft. Das habe ich gesehen und bezeuge; Er ist der Sohn Gottes.

#### ი ნ დ ი ვ ი დ უ ა ლ უ რ ი დ ა ვ ა ლ ე ბ ა

გერმანულ ლექსიკას ენის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მრავალი ახალი სიტყვა შეემატა. გერმანული ენის ლექსიკური ფონდის გამდიდრების ამ კონკრეტულ საკითხს შეგიძლიათ გაეცნოთ შემდეგ ნაშრომებში:

1. Geschichte der deutschen Sprache. Unter Leitung von W. Schmidt. Berlin, 1969.
2. Stepanowa M. D., Černyševa I. I. Lexikologie der deutschen Gegenwartssprache. M., 1986.
3. Розен Е. В. Новое в лексике немецкого языка. М., 1971.



## ლიტერატურა:

### ქართულ ენაზე:

- 1 კოეგლერი კ. გერმანული ენის ისტორიის შესავალი. (წინასიტყვაობა და თარგმანი შ. შათირიშვილისა). თბ., 1964, 1989.
2. ენათმეცნიერების შესავლის საკითხები. გ. ახვლედიანის რედაქციით. თბ., 1972.
3. ნებიერიძე გ. ენათმეცნიერების შესავალი. თბ., 1991.
4. შარაძენიძე თინ. თანამედროვე ენათმეცნიერების თეორიული საკითხები. თბ., 1972.
5. ჩიქობავა არნ. ზოგადი ენათმეცნიერება II. ძირითადი პრობლემები. თბ., 1983.

### გერმანულ ენაზე:

1. Braune W. Althochdeutsche Grammatik. Halle, 1955.
2. Braune W., Helm K. Gotische Grammatik. Halle, 1952.
3. Deutsche Sprache. Kleine Enzyklopädie. Leipzig, 1983.
4. Die deutsche Sprache. Band I. Kleine Enzyklopädie. Leipzig, 1969.
5. Eggers H. Deutsche Sprachgeschichte. Bd. I—IV. Hamburg, 1963—1977.
6. Geschichte der deutschen Sprache. Unter Leitung von W. Schmidt. Berlin, 1969.
7. Guchman M. M. Der Weg zur deutschen Nationalsprache. Berlin, 1969.
8. Moskalskaja O. I. Deutsche Sprachgeschichte. M., 1977.
9. Polenz P. von. Geschichte der deutschen Sprache. Berlin/New York, 1978.
10. Sinder L. R., Stroewa T. V. Einführung in das Studium der deutschen Sprachgeschichte. Leningrad, 1977.
11. Wolf G. Deutsche Sprachgeschichte. Frankfurt a. Main, 1986.

### რუსულ ენაზე:

1. Бах А. История немецкого языка. М., 1956.
2. Введение в германскую филологию. М., 1980.
3. Гамкрелидзе Т. В., Иванов Вяч. Вс. Индоевропейский язык и индоевропейцы. Изд-во ТГУ, Тб., 1984.
4. Гухман М. М. Готский язык. М., 1958.
5. Жирмунский В. М. История немецкого языка. М., 1965.
6. Филичева Н. И. История немецкого языка. Изд-во МГУ, 1959.

ქრესტომათიები და ლექსიკონები:

1. ხავთასი გრ. გერმანული ლიტერატურის ქრესტომათია. თბ., 1962.
2. Älteste deutsche Dichtung und Prosa. Hrsg. von H. Mettke. Leipzig, 1982.
3. Kettmann G. Frühneuhochdeutsche Texte. Leipzig, 1971.
4. Kluge F. Etymologisches Wörterbuch der deutschen Sprache. Berlin, 1960.
5. Wasserzieher E. Kleines etymologisches Wörterbuch der deutschen Sprache. Leipzig, 1975.
6. Риттер Е. Н. Практические занятия по истории немецкого языка. Ленинград, 1963.
7. Хрестоматия по истории немецкого языка. Составитель Н. С. Чемоданов. М., 1978.

## ზემოკლებათა განმარტება

- ანბლ. სპს. — ანგლოსაქსონური  
ბერძნ. — ბერძნული  
გერმ. — გერმანიკული  
გუთ. — გუთური  
თან. გერმ. — თანამედროვე გერმანული  
ი. ე. — ინდოევროპული  
ლათ. — ლათინური  
რუს. — რუსული  
სპანდ. — სკანდინავური  
ძვ. ინბლ. — ძველი ინგლისური  
ძვ. ინდ. — ძველი ინდური  
ძვ. ისლ. — ძველი ისლანდიური  
ძვ. სპს. — ძველი საქსონური  
ძვზ. — ძველი ზემოგერმანული  
N. — Nominativ  
G. — Genitiv  
D. — Dativ  
A. — Akkusativ  
I. — Instrumentalis

## ზ ი ნ ა რ ს ი

წინასიტყვაობა	3
შესავალი	
თემა პირველი	
სალექციო მასალა	
1. ენის სინქრონიული და დიაქრონიული შესწავლა	7
2. ენობრივი ცვლილებები და მათი გამომწვევი მიზეზები. ენის ცვალებადობის ზოგადი კანონზომიერებები	9
3. გერმანული ენის ისტორიის საგანი და ამოცანები	12
დამოუკიდებელი სამუშაო	
1. დიაქრონიული ლინგვისტიკის ძირითადი მეთოდები	13
2. გერმანული ენის ისტორიის ადგილი თეორიულ საგანთა ციკლში	16
3. ინდივიდუალური დავალება	17
თემა მეორე	
სალექციო მასალა	
1. ინდოევროპულ ენათა ნათესაური სიახლოვე და წინარეენის საკითხები	18
2. გერმანიკული ენები	21
დამოუკიდებელი სამუშაო	
1. ინდოევროპულ ენათა ოჯახი	29
2. გერმანიკული ტომები	32
3. რუნული ანბანი	33
4. პრაქტიკული დავალებები	34
5. გერმანიკული ენების საერთო ტიპოლოგიური ნიშნები	36
6. ინდივიდუალური დავალება	43
თემა მესამე	
სალექციო მასალა	
1. თანამედროვე გერმანული ენის არსებობის ფორმები	<u>44</u>
2. თანამედროვე გერმანული ენის ეროვნული ვარიანტები	<u>47</u>
3. გერმანული ენის ისტორიის ქრონოლოგიური მიჯნები	<u>49</u>
დამოუკიდებელი სამუშაო	
1. თანამედროვე გერმანული ენის დიალექტები	51
2. „Hochdeutsch“ — ტერმინის შესახებ	56
3. პრაქტიკული დავალებები	56

## პირველი ნაწილი ძველი ზემოგერმანული

### თემა პირველი

#### სალექციო მასალა

1. გერმანული ენის წარმოშობის ისტორიული პირობები 59
2. ძველი ზემოგერმანული დიალექტები 61
3. ძველი ზემოგერმანულის უმნიშვნელოვანესი წერილობითი ძეგლები 64კ  
დამოუკიდებელი სამუშაო
1. ძველი ზემოგერმანული ძეგლების ნიმუშების გაცნობა (გლოსები, „სიმღერა პილდებრანდზე“, „ტატიანი“) 66
2. „deutsch“ სიტყვის ეტიმოლოგია 69

### თემა მეორე

#### სალექციო მასალა

1. ძველი ზემოგერმანულის თანხმოვანთა სისტემა. პირველი ანუ გერმანიკული ბგერათგადაწევა; „გრიმის კანონი“ 70
2. „ვერნერის კანონი“ 74  
დამოუკიდებელი სამუშაო
1. თანხმოვანთა კლასიფიკაციის პრინციპების გამეორება 77
2. პრაქტიკული დავალებები 77
3. თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის თვალსაზრისი ინდოევროპული და გერმანიკული ფონოლოგიური სისტემების ურთიერთმიმართების შესახებ 79
4. ინდივიდუალური დავალება 84

### თემა მესამე

#### სალექციო მასალა

1. ძველი ზემოგერმანულის თანხმოვანთა სისტემა, მეორე ანუ ზემოგერმანული ბგერათგადაწევა. თანხმოვანთა მონაცვლეობა თანამედროვე გერმანულ ენაში 85  
დამოუკიდებელი სამუშაო
1. ძველ ზემოგერმანულ თანხმოვანთა გრაფიკული აღნიშვნა 93
2. პრაქტიკული დავალებები 94

### თემა მეოთხე

#### სალექციო მასალა

1. ხმოვანთა მონაცვლეობა ძველ ზემოგერმანულში 98
  2. ძველი ზემოგერმანულის ხმოვანთა სისტემა საერთოგერმანიკულთან მიმართებაში 104  
დამოუკიდებელი სამუშაო
  1. ხმოვანთა კლასიფიკაციის პრინციპების გამეორება 107
  2. ძველი ზემოგერმანული ხმოვნების გრაფიკული აღნიშვნისა და წარმოთქმის ზოგიერთი წესი 107
  3. პრაქტიკული დავალებები 107
- 245

თ ე მ ა მ ე ხ უ თ ე

სალექციო მასალა

- 1. ძველი ზემოგერმანული ზმნის ძირითადი ფორმალური თავისებურება და მორფოლოგიური კლასები 109'
- 2. ძლიერი ზმნები. ძლიერი ზმნების კლასები 109'
- 3. სუსტი ზმნები. სუსტი ზმნების კლასები 115
- 4. უწყისო ზმნები 118
- 5. პრეტერიტულ-პრეზენსული ზმნები 121
- 6. ინფინიტივ და მიმღობა 123'
- 7. დროის კატეგორია და ზმნის ანალიზური ფორმების განვითარება 124-

დამოუკიდებელი სამუშაო

- 1. ზმნის უღლება: პრეზენსისა და პრეტერიტუმის პარადიგმები 127
- 2. კონიუნქტივის წარმოება 131 ა
- 3. იმპერატივის წარმოება 132
- 4. პრაქტიკული დავალებები 132

თ ე მ ა მ ე ე ქ ვ ს ე

სალექციო მასალა

- 1. არსებითი სახელის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები ძველ ზემოგერმანულში. არსებითი სახელის ბრუნება 135
- 2. არტიკლის განვითარება 143
- 3. ზედსართავი სახელი 144

დამოუკიდებელი სამუშაო

- 1. ნაცვალსახელური პარადიგმები. რიცხვითი სახელი 146
- 2. პრაქტიკული დავალებები 148

თ ე მ ა მ ე შ ვ ი დ ე

სალექციო მასალა

- 1. ძველი ზემოგერმანულის ძირითადი სინტაქსური თავისებურებანი 151
- 2. ძველი ზემოგერმანულის ლექსიკური ფონდის ეტიმოლოგიური დიფერენციაცია 156-

დამოუკიდებელი სამუშაო

- 1. პრაქტიკული დავალებები 161
- 2. შემაჯამებელი დავალებები 165

მ ე ო რ ე ნ ა წ ი ლ ი. საშუალი გერმანული

თ ე მ ა პ ი რ ე ე ლ ი

სალექციო მასალა

- 1. საშუალი გერმანულის ზოგადი დახასიათება 167
- 2. საშუალი გერმანულის ლიტერატურული ძანრები 172 |
- დამოუკიდებელი სამუშაო
- 1. ლექსიკური ფონდის განვითარება საშუალგერმანულ პერიოდში 176

თ ე მ ა მ ე ო რ ე

ხალექციო მასალა

- 1. უმახვილო ხმოვანთა რედუქცია როგორც სამუალო გერმანულის უმნი-  
შენელოვანესი ფონეტიკური მოვლენა და მისი ასახვა ენობრივი სისტე-  
მის მორფოლოგიურ დონეზე 179
- 2. ახალი ფონემების განვითარება 185

დამოუკიდებელი სამუშაო

- 1. გერმანული ენის განვითარების ძირითადი სინტაქსურ-მორფოლოგიურ  
ტენდენციების შემდგომი განმტკიცება 188
- 2. პრაქტიკული დავალებები 190

მ ე ს ა მ ე ნ ა წ ი ლ ი თანამედროვე გერმანული სალიტერატურო ენის ჩა-  
მოყალიბება

პ ი რ ვ ე ლ ი

- ელი ახალი გერმანულის ზოგადი დახასიათება 192
- ითადი ცვლილებები ენის ფონოლოგიურ სისტემაში 196
- ქიშენელოვანესი მორფოლოგიური ტენდენციების შემდგომი განვითარება 199
- აუკიდებელი სამუშაო
- ლექსიკური ფონდის გამდიდრება ადრეულ ახალგერმანულ პერიოდში 208
- ადრეული ახალი გერმანულის ორთოგრაფიის შესახებ 210
- ძირითადი სინტაქსური ტენდენციების შემდგომი გამოკვეთა 212
- პრაქტიკული დავალებები 214
- ინდივიდუალური დავალება 219

რ ე მ ა მ ე ო რ ე

ხალექციო მასალა

- საერთოგერმანული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების საწყისებთან 220
- 2. გერმანული ეროვნული ენის ნორმალიზაციის პროცესი 223
- დამოუკიდებელი სამუშაო
- 1. გერმანული ენის განვითარების ძირითადი ტენდენციების საბოლოო გამო-  
კვეთა თანამედროვე პერიოდში 233
- 2. შემაჯამებელი დავალებები 236
- 3. ინდივიდუალური დავალება 240

ლიტერატურა

შემოკლებათა განმარტება 243

**Мзия Александровна Гвенцадзе, Циური Геორგიევна Чичинадзе**  
**ИСТОРИЯ НЕМЕЦКОГО ЯЗЫКА**  
(на грузинском языке)

გამომცემლობის რედაქტორები ლ. ნაკყეზია, დ. ჭიბლაძე  
მხატვრული რედაქტორი თ. კარბელაშვილი  
ჟურ. კორექტორები ე. ბაბალაშვილი, ბ. ჯობავა

სბ № 4839 Учебное издание

გადაეცა წარმოებას 19.11.1992. ხელმოწერილია დასაბეჭდად 6.12.1993.  
ქალაქის ზომა 60X84/16. საბეჭდი ქაღალდი № 2. გარნიტურა ვენური.  
ბეჭდვა მაღალი. ნაბეჭდი თაბახი 15,5. პირ. ნაბეჭდი თაბახი 14,42.  
ბირობითი საღებავგატარება 14,65. საალ.-საგამომც. თაბახი 11,37

ტირაჟი 2000.

შეკვეთა № 1355.

ფისი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ქ. № 50  
Издательство „Ганатлеба“, Тбилиси, ул. Г. Чубинашвили, № 50.

1993

მაქართველოს მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, დ. გამრეკელის ქ., 19  
Типография АН Грузии, Тбилиси, 380060, ул. Д. Гамрекели, 19